საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი

დ. პავლიაშვილი

მეხიდეობა აღმოსავლეთ საქართველოში

(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1962

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლის დავით პაელიაშვილის ნაშრომი „მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში“ · მიზნად ისახავს ეთნოგრაფიული შესწავლის საფუძველზე გამოავლინოს ამ დარგის საქართველოსათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი თავისებურებანი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ხალხის შრომითი ჩვეულები და საწარმოო ტრადიციები, მეხილეობის ადგილი და როლი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში.

ნაშრომი ემყარება ახალ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც განხილულია ისტორიულ-არქეოლოგიური, ფილოლოგიური, ბოტანიკური და სხვა სამეცნიერო დისციპლინათა მონაცემების ფონზე. დაწერილებით არის დახასიათებული ხეხილისათვის ნიადაგების შერჩევის, დამუშავების, გამრავლება-მოშინაურების, მოვლის, კრეფის, შენახვისა და დაცვის წეს-ჩვეულებანი, ხილის პროდუქტების დამუშავება-გამოყენების მდიდარი ხალხური ცოდნა-გამოცდილება. ნაშრომი ყურადღებას იმსახურებს არა მარტო კულტურულ-ისტორიული საკითხების გარკვევის თვალსაზრისით, არამედ ხალხური მეთოდებისა და შრომითი ჩვეულების პრაქტიკაში გამოყენების მიზანდასახულობით მეხილეობის დარგში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ხილი ადამიანის ისეთ საკვებს წარმოადგენს, რომელსაც კაცობრიობა ნანადირევთან ერთად უძველესი დროიდანვე ძირითად საარსებო საშუალებად იყენებდა. გარეული, ჯერ კიდევ მოუშინაურებელი და ადამიანის ხელით დაუმუშავებელი ხილი, სხვადასხვა სახის ველურ ნაყოფთან ერთად, პირველყოფილი ადამიანის მზამზარეული პროდუქტი იყო. როგორც ფ. ენგელსი წერს, განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანის „საკვებს შეადგენდა მცენარეთა ნაყოფი, კაკალი, მცენარის ფესვები“[1].

შემგროვებლობითი მეურნეობის სტადიაზე მამაკაცი ძირითადად თუ მონადირეობით იყო დასაქმებული. ხილისა და სხვა სახის მცენარეული ნაყოფის შეგროვება ქალს ევალებოდა. ხილის მოშინაურება იწყება ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის დროიდან. აქედანვე ხდება ხილის ჯიშების გაუმჯობესების ცდები, რაც თანდათანობით ვითარდება და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საკვები პროდუქტების იმ მარაგში, რაც ადამიანის შრომითი ჩვევების, მდიდარი საწარმოო გამოცდილების შედეგად დაგროვდა. ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების წყალობით საარსებო საშუალებათა მოპოვება-გაზრდის შესახებ საყურადღებოა კ. მარქსის კლასიკური განმარტება. შრომის პროცესების განხილვასთან დაკავშირებით, ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების შესახებ „კაპიტალში“ ვკითხულობთ: „ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირისპირდება. როგორც ბუნების ძალა, მას მოძრაობაში მოყავს თავისი ორგანიზმის ბუნებრივი ძალები: მკლავები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიიღოს“[2].

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953. გვ. 27.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი. თბილისი, 1959. ტ. I. გვ. 226.

პირველყოფილი მიწათმოქმედება. რასაკვირველია, იყო ძალიან მცირე ფართობზე, სადაც ერთი ან რამდენიმე სახის მცენარეული სადგომის ახლოს იყო გაშენებული. მაგრამ ასეთმა პრიმიტიულმა მიწათმოქმედებამ ადამიანს შედარებით იოლადაც მისცა მუდმივი საკვები[3].

მეხილეობის ისტორია იწყება იმ მომენტიდან, როცა ადამიანი ჩაება ბუნებრივი ევოლუციის მსვლელობაში და ბუნება პირადი ინტერესებისა და საჭიროების სამსახურში ჩააყენა

განვითარებული მეხილეობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ მონათმფლობელური წყობილების დროს მესოპოტამიასა და ეგვიპტეში, 4-5 ათასი წლის წინ ჩვ. წ. აღრიცხვამდე. წარწერები, ნახატები და სხვა იმდროინდელი ძეგლები ამტკიცებენ ყურძნის კულტურის, ლეღვის კულტურის, ფინიკიური პალმისა და სხვათა არსებობას[4].

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხილის ნარგავები გვხვდება ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, რომელთაგან გამოირჩევა კავკასია (სომხეთი, ურარტუს სახელმწიფო), შუა აზია (სოგდიანა, ფერგანი) და ქერჩი.[5] ჰომეროსის ეპოსში, რომაელი ავტორების ვირგილიუსის, კატონის, ვარონისა და სხვათა ნაწერებიდან მოწმდება მებაღეობის კულტურა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში და კავკასიაში.

„Раскопки древнего поселения к западу от Хандара (Азерб. ССР) относящегося к самому началу I тысячелетия до н. э., также выявили явственные следы земледелия, сочетавщегося с садоводством. Садоводство древнего ханларского населения выступает весьма отчетливо. В большом сосуде, впущенном в пол одного из разчищенных жилищ, оказались косточки винограда, свидетельствующие о далеком прошлом виноградарства и виноделия в Закавказье, а в обмазке пола другого жилища найдена косточка персика"[6].

ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმ. საქართველოში მეტყველებენ მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე.

ბრინჯაოს სასხლავებისა და მოხრილი სპაღე დანების ფართო გავრცელება და ცოტა უფრო გვიანი ხანისათვის ყურძნის—წიპწე-

---

[3] М. О. Косвен, Очерки истории первобытной культуры, Москва, 1957, стр. 69.

[4] Б. С. Э., 1955, том. 33, стр. 267.

[5] იქვე.

[6] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Ленинград, 1949. стр. 70—71.

დადასტურება უძველეს მომამწყვებელი უნდა ყოფილიყო მეცხოველეობა-მეევნახეობის განვითარება.

უძველესი ბერძნული ცნობები (VI—IV სს. ძვ. წ.) საქართველოს მცენარეულობით, ცხოველებითა და მინერალური ნედლეულით მდიდარ ქვეყანად გვიხატავენ. კულტურული მცენარეულობიდან დასახელებულია ვაზი და აღნიშნულია, რომ აყენებდნენ ღვინოს: მოხსენებულია კაკალი და წაბლი. აღსანიშნავია, რომ წაბლის ხეყოფს დიდი რაოდენობით ხმარობდნენ, ან მოხარშულს, ან პურის სახით გამომცხვარს. საქართველოს შესახებ ნათქვამია, რომ აქ აშენებენ ყოველნაირი ჯიშისა და ალგი ხარისხის მსხალსა და ვაშლს დიდი რაოდენობით, ბლომად ხაროობს აქ აგრეთვე ლეღვი და ბროწეული. ზოგი ხეხილი აქ შემდეგში სხვა ქვეყნებშიაც გავრცელდა. მაგ., კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ევროპაში ბალი, რომლის სახელი ევროპულ ენებში კერასუნტის სახელთანაა დაკავშირებული[8].

წინა აზიის უძველესი მოსახლეობის მეურნეობის შესახებ საყურადღებოა აკად. გ. მელიქიშვილის გამოკვლევა. სადაც აღნიშნულია: „ასურული წარწერების მიხედვით ნაირი-ურარტუს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში ბუნებრივი პირობების და შესაბამისად წამყვანი ზოგგან მესაქონლეობა ჩანს, ზოგგან კი—მიწათმოქმედება. საინტერესოა, რომ მიწათმოქმედების კულტურასთან ერთად აქ განვითარებული ჩანს სოფლის მეურნეობის ისეთი ინტენსიური დარგები, როგორიცაა მებაღეობა და მეევნახეობა"[9].

მიუხედავად წყაროთა სიმცირისა ჩვენამდე მოღწეული წერილობითი მასალები ზოგად წარმოდგენას გვაძლევს საქართველოში ძველთაგანვე „მტელ-სამოთხეებისა" და „ბაღ-წალკოტების" მოწყობის შესახებ. უკვე ასურული ლურსმული წარწერებისა და წყაროებითგან.—აღნიშნავს განსვენებული .აკად. ივ. ჯავახიშვილი.—ჩანს, რომ მუსკებსა და ტაბალებს მეევნახეობა ჰქონიათ. ამიტომ, ცხადია, რომ მიწისმოქმედების სხვა დარგებიც. მათ შორის მებაღეობა, მეხილეობაც იქნებოდა გავრცელებული[10].

---

[7] ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი. ალანდაძე. გ. ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე. ნ. ხოშტარია. საქართველოს ბიბლიოგრ. თბილისი, 1959. გვ. 189.

[8] ნ. ბერძენიშვილი. ივ. ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწ. I, თბილისი. 1948. გვ. 45.

[9] გ. მელიქიშვილი. ურარტუ. თბილისი. 1951. გვ. 37.

[10] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი II. თბილისი, 1934, გვ. 108.

აღსანიშნავია, რომ ხალხი მტილ-სამოთხეებისა და ბაღ-წალ-ტების მოსაწყობად ძველთაგანვე დიდი შრომის გაწევასაც არ ერ-დებოდა. „ბაბილონეთის ერთ-ერთი უკანასკნელი მეფის ნაბუქოდონ-ოსორის (604—562) ლურსმული წარწერა გვატყობინებს, რომ მან თავისი საყვარელი ცოლის—მიდიელი ქალის—გასართობად გააშენა ბაღები, რომლებსაც ძველი პერძნები სამყაროს სამშენებლო ხელოვნების შვიდ სასწაულს შორის იხსენიებდნენ. აგურისაგან ავებულ თაღებზე დაყრილი იყო ნოყიერი მიწის სქელი ფენა და დარგული იყო ხეები, ბუჩქები, ყვავილები. მონები განუწყვეტლივ ტუმბავდნენ მდინარე ევფრატიდან წყალს ამ ბაღების მოსარწყავად"[11].

ძველ საქართველოში მებაღეობა-მესილეობის განვითარების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული, როგორც საისტორიო წყაროებში, ისე სხვადასხვა დროის უცხოურ და რუსულ ლიტერატურაში. ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად საყურადღებოა მხატვრული ლიტერატურის ძეგლები და ფოლკლორი, სადაც ეს საკითხი თავისებურადაა ასახული.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ჯერჯერობით მხოლოდ ნე-6 საუკუნიდან მოყოლებული ქოგვეპოვება ძეგლები, რომლებშიც მტილ-სამოთხეთა ვითარების გასათვალისწინებლად კონკრეტული ცნობებია დაცული. ერთ მათგანში მე-IV საუკ. იბერთა მეფის მცხეთის სამოთხეა მოკლედ აღწერილი.. ‘ი იქ სახელდობრ რა წერია.

შატბერდისეული ცხოვრების ცნობით, მირიან მეფემ წ‘ა ნინოს ‘ეთხრა: „მიყუარან მაყუალნი ეგე შენნი... არამედ არავპრიდო საზოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მით ნაყოფიერებასა და ყვავილთა მით სულნელებასა“-ო.[12]

ძველთაგანვე მოყოლებული ქართველი მიწისმოქმედნი ძალღონეს არ იშურებდნენ მტილ სამოთხეებისა და ვენახების გასაშენებლად. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს „თუმცა, გრ. ხანძთელის ცნობით, შავშეთ-კლარჯეთის მეტისმეტი მთაგორიანობის გამო, არამც თუ საბოსტნე და საბაღ-ვენახე, თვით სახნავი ადგილებიც კი მეტის-მეტად ცოტა მოიპოვებოდა, მაინც ამ ორ თემში დამკვიდრებულ ბერებსაც-კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მცი-

---

[11] გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბილისი, 1961. გვ. 27.

[12] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 109.

ოედ ვენაკნი ჭირითა და ურვითა დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები"[13].

საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის დიდ კულტურაზე ცნობებს მერმინდელი ხანის ისტორიკოს-გეოგრაფთა ნაწერებშიც ვხვდებით, რომელთაგან აღსანიშნავია ისტაქრი-ს (930 წ. ჩვ. წ.) ცნობები, რომ თბილისი იმდროისათვის მეტად აყვავებული ხილ-ბოსტნებით მდიდარი ქალაქი იყო[14].

XII საუკუნისათვის საქართველოს ძლიერების ეპოქაში მებაღეობისა და მევენახეობის კულტურა, რასაკვირველია, უფრო დაწინაურებული იყო, რაც შავთელის მიერ მეფის სასახლისა და ბაღის აღწერიდანაც ჩანს: „თუ უქო სრანი მე მასა, ორანი? გალაკანისა შემკულობანი მტილ-სამოთხენი, თვალ-სამოთხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი, კართა სტოვანი... იპოდრომისა განხმულობანი"-ო[15]. ამავე პერიოდისათვის საყურადღებოა შოთა რუსთაველის ცნობაც, რომელიც ქალაქის გარეთა უბნების ბაღებით შემოფარგვლას შეეხება:

„ნახეს მოცული ქალაქი, ვარე ბაღისა ტევრითა,
გვარად უცხონი ყვავილნი, ფერითა ბევრის ბეკრითა
მის ქვეყანისა სიტურფე რა გაგაგონო ენითა" [16].

შემდგომი პერიოდისათვის, საქართველოს ნაყოფიერებისა და ყვავილ მცენარეულობით ზოგად დახასიათებასთან ერთად, სხვა ქალაქების გვარად ვახუშტი ბატონიშვილი წალკოტთა და ყვავილ-ხილეულით მდიდარ ქალაქად წარმოგვიდგენს ქ. გორსაც. მისი სიტყვით გორში ქალაქს „გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი"-ო[17].

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით თუ ვიმსჯელებთ მას მთელი იმდროინდელი საქართველო წარმოდგენილი აქვს ვენახ-ხილიანად, დაწყებული ველებიდან 1000—1200 მეტრის სიმაღლემდე[18].

---

[13] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული შრომა. გვ. 109.

[14] В. Караулов, Свед. араб. писателей о Кавказе: СМОМПК, вып. 29.

[15] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 111.

[16] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სოლ. ყუბანეიშვილის გამოც. თბილისი, 1956. ტაეპი 1245.

[17] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 74.

[18] ნ. კეცხოველი, წინასიტყვაობა ნ. ხოზიზურაშვილი, ელ. ერისთავი, საქართველოს ხილი. თბილისი, 1939. გვ. 1.

მაშინაც კი, როდესაც საქართველო წინანდელთან შედარებით, ალემურლენგისა და შემდეგ შაჰაბაზისაგან აოხრებული და ეკონომიურად ძალზე ჩამოქვეითებული იყო, მეხილეობა მაინც მაღალ დონეზე მდგარა: შარდენის ცნობით საქართველო მდიდარია ყოველგვარი ხილით. „ევროპაში არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი. აზიაშიც არ მოდის უკეთესი ბროწეული“[19]. ხოლო აკადემიკოს გულდენშტედტის ცნობებით ქართლ-კახეთში განსაკუთრებით გამრავლებულია: ლეღვი, ბროწეული, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ბალი, ნუში, ატამი, აბრიკოსი, კაკალი და სხვა[20].

არანაკლებ საინტერესო ცნობებია დაცული რუს დესპანთა ნაწერებში, რომელნიც საქართველოს ხეხილით მდიდარ ქვეყანად აღიარებენ. მიშეცკის აღწერით XVIII ს. კახეთში ფართოდ ყოფილა გამრავლებული ვაშლი, მსხალი (გულაბი), არმუდი, ნარი, ყურძენი, ქიშმიში და ლეღვი, კაკალი, ალუბალი, შინდი, წიფელი, ფუსტუღი, რაყვალი და სხვა. ამასვე იმეორებენ ტოლჩანოვი და იევლიევიც[21].

მეხილეობის შემდგომ განვითარებასა და ხეხილის მრავალფეროვნებაზე ქართული მწერლობის XVII საუკ. ნიმუშებიც მეტყველებენ: გარსევან ჩოლოყაშვილი—„ხილთა ქება“, თეიმურაზ II—„ხილთა ბაასი“ და სხვა.

„წმინდა ხილის ბაღები საქართველოში გავრცელებული იყო უფრო იმ რაიონებში, სადაც ვაზს ცოტად თუ ბევრად უჭირდა, მაგალითად ქართლისა და იმერეთის შუამთაში, მესხეთში ო სხვაგან. ძველი სიგელგუჯრები და წყაროები ცალკე ბაღებს განსაკუთრებით სწორედ ასეთ მხარეთათვის მოიხსენიებენ. ამ მხარეში დღესაც მოიპოვება ბაღები, რომლებშიც ასწლოვანი ადგილობრივი ჯიშის ხილეულია (ვალე, უდე, ხერთვისი, კეხვი, კულბითი)“[22].

XVII—XVIII ს. მთელი ევროპა და განსაკუთრებით ინგლისი ცასწაულებს ახდენენ სოფლის მეურნეობაში, მათ შორის ბაღის კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეშიც.

---

[19] ჟ. შარდენის მოგზაურობა საქართველოში (1672—1673 წწ.), თბილისი, 1903. გვ. 82.

[20] Описание Грузии и Кавказа, из путешествия акад. Гульденштедта через Россию и по Кавказским городам, в 1770—73 годах, Санкт-Петербург, 1809, стр. 195.

[21] საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდი, № 11, გვ. 160—187.

[22] ნ. ყ ე ც ხ ო ვ ე ლ ი. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957, გვ. 307.

ევროპისა და საერთოდ უცხო ქვეყნების მეხილეობა ინტენსიურად XIX ს. შემოიჭრა ჯერ რუსეთში. სახელდობრ ყირიმში. და აქედან სულ მოკლე ხანში XIX ს. პირველი ნახევრის ბოლოს და მეორე ნახევრის დასაწყისში შემოდგა საქართველოშიც, სადაც უცხო ჯიშების ინტროდუქცია ხდება აგრეთვე უშუალოდ ევროპიდანაც—შავი ზღვის გზით. სწორედ ეს ხანა საქართველოს მეხილეობის გარდატეხისა და სამრეწველო მეხილეობის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს[23].

ევროპული ჯიშები პირველად ინერგება ქართლში. რომლის პიონერებად ითვლებიან ნიკო ზაქარიას ძე კეცხოველი—სოფ. ტყვიავში, ისაია ფურცელაძე—სოფ. ნერეთში. ს. ხეთაგური—სოფ. ნიქოზში. ფრიდონოვი და ავსარქისოვი—სოფ. სკრაში. ხოლო ევროპული ჯიშების პირველი მთლიანი ნარგავები გაშენდა სოფ. ყარალეთში (ელიზბარ ერისთავის ბაღი), ბორჩალოში (ბარონ ნიკოლაის ბაღი), რომელთაც ყავდათ საფრანგეთიდან მოწვეული მებაღეები[24].

თუ წინათ ბაღების დიდ მაინვებზე გაშენება ოიოქმის შეუძლებელიც კი იყო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა შეიქმნა გეგმაზომიერი განვითარება სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, შესაძლებელი გახდა ბაღების ფასაშენებლად დიდი კაპიტალის დაბანდება. ამჟამად ეს საკითხი მეცნიერების მიღწევებით და პრაქტიკის მებაღეთა გამოცდილებით ვადაწყვეტილია.

ახალი შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ მებაღეობა-მევენახეობისა და მეჩაიეობის ფართოდ განვითარებას. ხილის, კენკრის და ყურძნის წარმოების სულ ცოტა ერთი ორად და მეტად გადიდებას. თუ 1953 წ. ხეხილის ბაღების ფართობი საქართველოში 95.437 შეადგენდა. ხოლო 1958 წ. —113.000 ჰექტარს. 1965 წლისათვის იგი უნდა გაიზარდოს 140.000 ჰექტარამდე[25].

ვიდრე ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის რაობას შევეხებოდეთ და მის საფუძველზე დაწერილ წინამდებარე მონოგრაფიის აგებულებაზე რაიმეს ვიტყოდეთ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ XIX საუკუნის ლიტერატურას, რომელსაც ზემოთ აღნიშნულ წყაროებთან ერთად ვიყენებთ.

---

[23] ნ. ხომიზურაშვილი. ელ. ერისთავი, დასახ. შრომა. შესავალი.
[24] იქვე.
[25] კ. მირიტაძე. გაზ. კომუნისტი. 1959. 7 იანვარი.

XIX საუკუნის მეცხოველეობა-მეფრინველეობის ირგვლივ საყურადღებო ცნობებია დაცული ქართულსა და რუსულ პერიოდულ ლიტერატურაშიც. „ეუთნის დედა“ (1862—76 წწ.). „მეურნე“ (1888—1896 წწ.), „სასოფლო გაზეთი“ (1868—1874 წწ.), ჟურნ. „მოსავალი“. ამათ გარდა აღსანიშნავია:

„Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае“ (1895 г.), „Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края“ (том IV, V, VII, 1887 г.), „Очерк садьводства“ (В. Гсевский, Тифлис, 1878 г.) „Кавказское хозяйство“ და სხვა.

დასმული საკითხის შესასწავლად ვიყენებთ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ სპეციალურ ლიტერატურას და ქართველ ისტორიკოს-ეთნოგრაფთა შრომებს. მათ შორის უნდა აღინიშნოს ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტალური შრომა ორ წიგნად „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (თბილისი, 1930—1935 წწ.), П. М. Жуковский, „Культурные растения и их сородичи“ (Москва, 1950 г.), მისივე Земледельческая Турция (Москва, 1933 г.), გ. ჩიტაია. „რაჭული სახვნელი“ (ენიმკის მოამბე, ტ. 1, 1937), „Земледельческие системы и пахотные орудия Грузии “ (Вопросы этнографии Кавказа, 1952 г.), ალ. რობაქიძე, „მეფუტკრეობის ისტორიისათვის (თბილისი, 1960 წ.), გ. ჯალაბაძე „აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან“ (თბილისი, 1960 წ.), ვ. გეგეშიძე, „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში“ (თბილისი, 1961 წ.), ჯ. სონღულაშვილი, „მებოსტნეობა თბილისის სანაპეში“ (თბილისი, 1959 წ.), ნ. კეცხოველი, „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“ (თბილისი, 1957 წ.), ნ. ხომიზურაშვილი და ელ. ერისთავი, „საქართველოს ხილი“ (თბილისი, 1939 წ.) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ განხილული წყაროები და ლიტერატურა თავისთავად საინტერესო და მრავლისმეტყველია, ბაგრამ მარტოოდენ მათზე დაყრდნობით არ შეიძლება სრული წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა მეხილეობის ხალხური ტრადიციებისა და საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ემპირიული ცოდნის შესახებ.

ყველა დასახელებულ წყაროს თუ ცალკეულ გამოკვლევას ჩვენ სათანადოდ ვიყენებთ ამა თუ იმ საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით, მაგრამ ძირითად წყაროს საკვლევი თემისათვის მაინც ჩვენ

მიერ სხვადასხვა დროს კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა წარმოადგენს [26]. ზუსტად ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აღნიშნული საკითხის შესწავლა საჭიროა მით უფრო, რომ მეხილეობის ხალხური ტრადიციების შესახებ დღემდე არც ერთი ეთნოგრაფიული გამოკვლევა არ გაგვაჩნია.

თემის დასამუშავებლად ჩვენ მიერ საველე ეთნოგრაფიული მასალა იკრიბებოდა, როგორც აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მიერ მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობისას (სოღნაღის 1959, დუშეთის 1960, თეთრიწყაროს 1960), ისე ცალკე მოგზაურობების დროს გორისა და დუშეთის რაიონებში 1957—1960 წწ., ქარელისა და ბორჯომ-ახალციხე-ახალქალაქის რაიონებში 1959—1961 წწ.

გარდა ზემოთ დასახელებული მასალებისა საკითხის დამუშავებისას გამოვიყენეთ აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული „შინამრეწველობის მასალები“ და შევისწავლეთ აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული მეხილეობასთან დაკავშირებული ექსპონატები.

წინამდებარე ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან: I — ნიადაგების შერჩევა-გამოყენების ხალხური მეთოდები მეხილეობაში, II ხეხილის გამრავლება, ბაღის გაშენება, ხეხილის მოვლა და ხეხილის დაავადებანი. III—ხეხილის მოსავლიანობის გადიდების, ხილის კრეფისა და გამოზამთრების ხალხური მეთოდები და IV—ხილეული და მათი გამოყენება.

ნაშრომის პირველ თავში „ნიადაგების შერჩევა-გამოყენების ხალხური მეთოდები მეხილეობაში“ გამოვლენილია ქართველ მეურნეთა ის მდიდარი ცოდნა-გამოცდილებანი, რასაც ხეხილისათვის ნიადაგების შერჩევისა და უვარგისი ნიადაგების გამოყენებისას იჩენდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ნიადაგების ავკარგიანობის შეტ-

---

[26] კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის შესახებ იხ. გ. ჩიტაია. ქართული ეთნოლოგია. „მიმომხილველი“ 1926, ტ. I. მისივე, Этнографические исследования в Грузинской ССР, „Советская Этнография“, 1948 № 4; მისივე, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1948 წ. (წინასწარი ანგარიში), „მიმომხილველი“, II. 1949; მისივე, Принципы и методы полевой этнографической работы, „Советская этнография“, 1957, № 4, А. И. Робакидзе, К некоторым спорным вопросам этнографического изучения нового быта, „Советская Этнография“, 1952, № 2.

ყობა: სუნით, მუჭაში გამოფშვნით, მორწყვით, ბალახეულობით და სხვა. აქვეა განხილული ხეხილისათვის ნიადაგის შემზადება-დამუშავების ხალხური მეთოდები, ფერდობ, ჭაობიან, გაკაფულ და ნამუშევარ ადგილებში.

მეორე თავში „ხეხილის გამრავლება, ბაღის გაშენება, ხეხილის მოვლა, ხეხილის დაავადებანი და მოვლა“ განხილულია გავრცელებული ხეხილის მოშინაურების ხალხური ტრადიციები და მისი მნიშვნელობა ხეხილის გამრავლებისა და ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში. ხეხილის გამრავლებიდან ხაზგასმულია „მყნობის“, „გადაწვენის“, „ლერწის“, „ფესვდაყოფისა“ და სხვა ისეთი წესები, რომელთაც ქართველი მეურნეები ოდითგანვე ფლობდნენ და თავიანთი ბუნების გასამდიდრებლად იყენებდნენ. აქვეა განხილული ხეხილის გასამრავლებლად გამოყენებული სხვადასხვა ხალხური მეთოდები: „ხეხილის საძირის ტყიდან ჩამოტანა“, „თესლთესვა“ და თვით თესლის დამზადება-გამოზამთრება და ა. შ. ამავე თავში წარმოდგენილია ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავება და ხეხილის სხვადასხვა ავადმყოფობის საწინააღმდეგო ხერხები.

მესამე თავში „ხეხილის მოსავლიანობის გადიდებისა და ხილის გამოზამთრების ხალხური მეთოდები“ ნაჩვენებია ქართველ მეურნეთა დაუცხრომელი ზრუნვა ხეხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ამ მიზნით ყოფაში იყენებდნენ: „დაკოდვის“, „რწყვის“ „გაპატივების“, „გასხვლის“, „დაშინებისა“ და სხვა ხალხურ წესებს, სადაც აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ძველ რწმენა-წარმოდგენებსაც.

მეოთხე თავში „ხილის სახეობანი და მისი გამოყენება აღმოსავლეთ საქართველოში მონოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ ნაჩვენებია აღმოსავლეთ საქართველოს ფლორისათვის დამახასიათებელი ხილის კულტურები და შეძლებისდაგვარად განხილულია თვითეული მათგანის წარმოშობის ადგილები, მათი გამრავლების, გავრცელებისა ან შემოტანის გზები.

აღნიშნულ თავში ხილის კულტურების კლასიფიკაციისას ცალცალკეა განხილული მათი მნიშვნელობა როგორც სამეურნეო-ეკონომიური და სამკურნალო დანიშნულების თვალსაზრისით. ისე სხვადასხვა ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესრულებისას, როგორც აუცილებელი ელემენტი. ამავე თავში ხილი, როგორც ქართული სუფრის ლაზათი განსაკუთრებული სიცხადით არის წარმოდგენილი, რომლის ირგვლივაც ხალხს სათანადო ლექსები და თქმულებანი შეუქმნია.

თავი პირველი

ნიადაგების შერჩევა-გამოყენების ხალხური წესები მეხილეობაში

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მეხილეობასთან დაკავშირებით შემონახული ხალხური ცოდნა მეტყველებს იმ დიდ მიღწევებზე, რაც ჩვენს წინაპრებს თავის დროზე შეუქმნიათ. საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები მეურნეს უკარნახებდა თავისებურად შეერჩია ამა თუ იმ კულტურისათვის საჭირო ნიადაგები, ხელსაწყო იარაღები და განესაზღვრა დამუშავების ვადები და თვით სამუშაო ძალაც კი. ამის გამო ივ. ჯავახიშვილი საქართველოს როგორც რთულ სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანას ორ კატეგორიად „მთად“ და „ბარად“ ყოფს, სადაც აღნიშნავს: „ბარისა და მთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული გარჩევის პრინციპი მრავალი მოსაზრების გამო ძველისძველი დაკვირვების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული. მისი კვალი სტრაბონის თხზულებაში დაცულს იბერიის აღწერილობაშიაც ჩანს“[1].

აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში (საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I) განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ქართველი ხალხის იმ ხანგრძლივ დაკვირვებებსა და გამოცდილებებს, რაც ნიადაგის თვისებების დიფერენცირების ირგვლივ შეუმუშავებიათ. იმავე საკითხების ირგვლივ საყურადღებოა პროფ. ვ. ჩიტაიას „ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წ.“ (მიმომხილველი. 1, 1949), „Земледельческие системы и пахотные орудия Грузии“ (Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1953). მ. გეგეშიძის, „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში“, თბილისი, 1961 და სხვა.

მიწათმოქმედების მეხილეობის სისტემაში განსაკუთრებული სირთულე ნიადაგების არაჩვეულებრივი სიჭრელითა და მრავალფეროვნებით არის გამოწვეული. ამის გამო ქართველი მეურნე კარგად არჩევს: მსუქან, ღარიბ, მძიმე, მჩატე, ალქატ, გამოფიტულ, ჯანდაკ და მლაშე ნიადაგებს. იგი ნიადაგების შერჩევას გადამწყვეტ მნიშვნელობასაც კი აძლევს, რადგანაც მან თავისი დაკვირვებებით იცის, რომ ხილის ესა თუ ის ჯიში სხვადასხვა ნიადაგებში თავისებურ შედეგებს იძლევა. ამის გამო ყოფაში ხშირად აღნიშნავენ ხოლმე: „ზოგი ხილი, სადაც გინდა დარგო იხეირებს, მაგრამ არ ივარგებს, არც კაი ტანს შეჰყრის და არც კაი მოსავალს მოგვცემს-ო“.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბილისი, 1930, გვ. 298.

ხეხილისათვის შესაფერისი ნიადაგების შერჩევის წესები და პრაქტიკოსი ნიადაგმცოდნეები საქართველოში ძველადვე უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „სახნავი, საყანური, სავენახე, სათიბი, საძოვარი და ბევრი სხვაც მეტყველებს მემინდვრეობისათვის, თუ ბაღისა ანუ ვენახის გასაშენებლად განზრახულ მიწას მაშინდელი შეხედულებებითაც გარკვეული თვისება უნდა ჰქონოდა"[2]. ხალხური ნიადაგმცოდნეობის უტყუარ წარსულზე მიგვითითებს ყოფაში ხმარებული რიგი ტერმინოლოგიის სიუხვე: შავი მიწა, წითელი მიწა, ტრედისფერი, ხირხატი, ჭანჭრობ-ჭაობიანი, ქვიშიანი, ლამული, თირი, აყალო და სხვა, რომელნიც ნიადაგების თვისებების აღმნიშვნელად იხმარება.

შ ა ვ ი მ ი წ ა აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ხეხილის ისე სხვა სამეურნეო კულტურებისათვისაც საუკეთესო და კარგი მოსავლის მომცემ ნიადაგად არის ცნობილი. იგი მთხრობელთა გადმოცემით მსუბუქი დასამუშავებელი, ფხვიერი და გამწეევიანია. ნიადაგის ეს სახელწოდება იმავე მნიშვნელობით იხმარება საქართველოს სხვა კუთხეებშიაც (რაჭა, ხევი). აღნიშნული ნიადაგის სიფხვიერისა და სინოყივრის გამო ხილსა და ვენახს ბევრგან 2-3 წელიწადში ერთხელ ბარავენ. მისი საუკეთესო მოსავლიანობის აღსანიშნავად ქართლში და იმერეთში მას „დილღვამსაც" უწოდებენ (აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტში დაცული შინამრეწველობის მასალები, ქვ. იმერეთი). მეხილეთა დაკვირვებით ის ადვილად დასამუშავებელი და მოსავლიანი მიწაა. მათივე აზრით ხსენებული ნიადაგის ხშირი დამუშავებით ზოგიერთი წვრილი ხილი ისპობა და ნამეტნავად ქარიან ადგილებშიო.

წ ი თ ე ლ მ ი წ ა ს აღმ. საქართველოში თიხამიწას, ხოლო გურიაში ეწერსაც უწოდებენ, რადგანაც თიხის უმეტესი რაოდენობის შემცველია, იგი მოწითალო-მოყვითალო ფერისაა, მაგარია, ატალახებისას ფეხს ძალიან ეფისება, წყალს გვიან იშრობს, გვიან შრება და გახმობისას დასკდომა იცის. წითელი მიწა, როგორც, გვიან მშრობადი ნიადაგი კარგია ბოსტნეულისა და ისეთი წვრილი ხილის გასაშენებლად, რომელთაც სინესტე არ სწყენთ (ბალი, ალუბალი, ჭანჭური, ტყემალი, მოცხარი და სხვა). მთხრობელთა გადმოცემით მასში ხეხილის გაშენება ღრმად გადაბრუნების შემდეგ შეიძლება და ემეტესად კი იქ სადაც ალმასი-ჩქარი წყლით ირწყვის, რადგანაც ჩქარი წყალი ლამსა და ქვიშას შეიტანს, გამოგვალვას შედარებით

---

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბილისი, 1930, გვ. 104.

კარგად აიტანს და გახმობისას ხეს პირს ისე ეფერ შეუკრავს ანუ მოუპერსო. მათივე გადმოცემით ამგვარი ნიადაგი წვიმის შემდეგ მღვრიე წყლით მორწყვითაც კეთდება, რომელიც დატბორვით მორწყვისას ნიადაგში დიდძალ ლაშს ტოვებს.

წითელი მიწა საკვლევ რაიონში იშვიათად გვხვდება და როგორც გადმოგვცემენ ის „თვალდათვალ" შეიმჩნევა, თუმცა მას სხვადასხვა თვისებებითაც ამჩნევენ. როგორც მთხრ. გიგუცა ხმიაღაშვილი (სოფ. ტირძნისი, გორის რ-ნი, 1958, '83 წ.) გადმოგვცემს, „მოწითალო ანუ ყვითელი მიწა თავდაპირველად ე. ი. ღრმად დამუშავებამდე მძიმეა, წყალგაუმტარი, ერთი ბარისპირის შემდეგ უძრავია, ერგს ფესვი ძნელად გააქვს და ამისათვის რაც სიღრმით გადაებრუნებთ იმდენად კარგად გამოკეთდება". ყოველივე ამის გამო მეხილეობის განვითარების თვალსაზრისით წითელი მიწა ზემოთ აღნიშნული წესით დამუშავებამდე ყოფაში გამოუსადეგარ ნიადაგად ითვლებოდა. წითელი მიწა იგივე (დ. პ.) მუნი მიწა ქვაცხელა მიწაა, რომელიც მ. გეგეშიძის გამოკვლევით, ურწყავშია, ფერად წითელია, ცხელი და უღონო, გვალვაში ჭირნახულს არ მოიყვანს[3].

ტ რ ე დ ი ს ფ ე რ ი მიწა ღია რუხი ფერისაა და აღმ. საქართველოს მიწათმოქმედებაში საშუალო ნიადაგად ითვლება. მთხრობელთა გადმოცემით, გარდა ქვიშისა და თიხისა მას მეტი რაოდენობით ურევია კირის შემცველი მიწა, რის გამო ქართლში, კახეთში, რაჭაში და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებშიაც კირნარ მიწასაც კი უწოდებენ ხოლმე. ყოფაში ტრედისფერი მიწა საშუალო მოსავლიან ნიადაგად ითვლება, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ის საშუალოზე ნაკლებ მოსავალსაც იძლევა.

კ ი რ ნ ა რ ი მ ი წ ა რომელიც სიკეთეს ე. ი. ძალასა და სინოყივრეს მალე ჰკარგავს, ხალხში „ფიცხ" ნიადაგად არის მიჩნეული. კირნარი მიწა წყალს მალე იშრობს და თიხამიწასთან შედარებით ნსუბუქია. მეხილეთა დაკვირვებით იგი ყოველგვარი ხეხილის გასაშენებლად გვარობს და განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ღრმად ბადაბრუნდება და განოყიერდება. ხოლო ისეთი ხეხილის გასაშენებლად, როგორიცაა მაგ. თუთა, ჭანჭერი, ჭერამი, ატამი, კომში, ტყემალი და ზოგიერთი სხვა ხილეულისათვისაც ჩვეულებრივი დამუშავებაც საკმარისია. ამისათვის ტრედისფერი და კირნარი მიწისათვის ისეთ ხეხილს ურჩევენ, რომელსაც „ეგრერიგად" არ ესაჭიროება გაპატივება-დამუშავება.

---

[3] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში. თბილისი, 1961, გვ. 44.

ხირხატი მიწა ულონი და მოუსავლიან ნიადაგად არის ცნობილი, რომელშიც ურევია ქლდის ნაფშვნები, სილა და მეტწილ შემთხვევაში რიყენაოვანიც წარმოგვიდგება. ხარხატი მიწა მთხრობელთა გადმოცემით შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის, მაგრამ მეტწილ შემთხვევაში ის რუხი და ტრედისფერისა გვხვდება. თვით ტერმინი ხირხატი ანუ საბა ორბელიანის აღწერილ „ხირატი"— ცვავნარი საბანავი მიწაა, რომელიც ღღეს ხირხატის სახელწოდებითაა შემორჩენილი. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აღნიშნული ტერმინის ქვეშ გულისხმობენ გამოფიტულ, ქვა-ქვიშიან და მოუსავლიან ნიადაგს. ხოლო იმერეთში და გურიაში საერთოდ მოუსავლიან ნიადაგს ეწერსაც უწოდებენ.

მეურნეთა დაკვირვებით ნიადაგი შეიძლება იყოს წმინდა და ნაწილობრივ ხირხატიანი, წმინდა ხირხატიანი დიდ შრომა-გარჯას თხოულობს. მაგრამ მასში მოსული მოსავალი ერთიერად კარგი შედგენილობისა გამოდის. სადაც აღსანიშნავია წვრილი ხილისა და ყურძნის მეტი სიტკბოიანობა. ნაწილობრივ ანუ ნახევრად ხირხატიან ნიადაგს ყოფაში ისეთ მიწებს უწოდებენ, სადაც ზემოდან ნაკლებად შეიმჩნევა მისი შედგენილობა. მთხრობელის სიტყვით, „თუ ერთ-ორ ბარიპირზე დაეედით და რიყე დაგვიხვდა ბაინც ხირხატი ქვიან. რადგანაც ესეთ ნიადაგს არც გამწეობა აქვს და ბარვაში რიყე ნელ-ნელა ზეით-ზეით მოიწევს"-ო (მთხრ. ვ. აღლაძე, 72 წ-სა სოფ. გრემი .ყვარელის რაიონი, 1959 წ.). მისივე სიტყვით, ხირხატი და ნახევრად ხირხატი ნიადაგები კარგია გვალვის დროს, რომელიც ხშირად ინარჩუნებს სინესტეს. ეს რომ ნამდვილად ასეა და ხირხატ ნიადაგს რიყის ფენა ახასიათებს კარგად ჩანს აკად. შ. საბაშვილის შრომებიდანაც. მისი სიტყვით, „ეს ნიადაგები მათი რიყნარ (კენჭოვან) ნაფენებზე განვითარების შემთხვევაში გამოირჩევიან ხშირად საკმაოდ ძლიერი ხირხატიანობით"[4].

ხირხატიანი ნიადაგი საკმაოდ ძნელად დასამუშავებელი და ხეხილისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი იყო, რომელსაც არჩილ მეფის სიტყვით: „კლდოვან ღირღატთა ადგილთა ვის შეუძლია ბაღეობა"-ო[5]. ამის გამო ხირხატ-ქვიანი ნიადაგების გამოსაყენებლად ყოფაში მიმართავენ „მოქვავების" ანუ „მოკარკვლის" (მესხეთი), გაყამირებისა და გაპატივების ხერხებს.

---

[4] შ. საბაშვილი, საქ. სს რესპუბლიკის ტენიანი სუბტროპიკული ზონის ნიადაგები. თბილისი. 1936. გვ. 69.

[5] არჩილიანი, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი. 1937, გვ. 126.

ლამი ანუ ლამული ნიადაგები მეტნაკლებად საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება, რომელიც სინესტისა და სილაბიწის მომეტებულობით ხასიათდება. ლამულ მიწებს რაჭაში ლამბულსაც უწოდებენ, ხოლო ძველად საქართველოში ლამი შავ ლიას ნიშნავდა, რომელიც მღვრიე წყლის ტბორეს უნდა რქმეოდა. მთხრობელთა სიტყვით ლამი წყლისაგან მამულში შეტანილ ან მდინარის პირას დატოვებულ ნალექს ეწოდება, რომელიც აკეთებს უღონო ნიადაგებსაო. ამის გამო უღონო და ჯანდაკ მამულებს ყოფაში, გაზაფხულობით, როდესაც წყლები მატულობს და მღვრიეა. ამჯობინებენ ხშირ რწყვას. ლამული ნიადაგები ადვილი გამოსაცნობია, რადგანაც ბეურნემ კარგად იცის, რომ ამგვარი მიწები ძირითადად მდინარეების ახლომახლო მდებარეობენ, რომელსაც საბა ორბელიანიც განმარტებისას აღნიშნავს „ლამი იგივე შავი ლიაა და წყლის პირნი ნაყოფიერი". თუმცა ყველა მდინარის ლამები ერთნაირ სინოყივრეს არ შეიცავენ. მაგ. პატარა ლიახვის ლამი შედარებით მწირია დიდი ლიახვის ლამთან და ა. შ.

ლამულ ნიადაგებს, გარდა იმისა, რომ მდინარეების ახლო დიდებით იცნობენ, მთხრობელთა სიტყვით, იგი „ბარეისას ხრაშახრუშს ჯამოსცემს, სლიკინით. მიდის ბარი და მიუხედავად იმისა, რომ მძიმე მიწაა, როგორც არ უნდა გვალვა იყვეს, ერთი ბარის პირის სიღრმეზე მაინც კარგი დასამუშავებელია". მეურნეთა გადმოცემით, „ახლად დაბარულ ლამულ მიწას რომ გახედავ სულ ლურჯად და ჭრელად იცქირება"-ო.

როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ, ამგვარ მიწებში, მიუხედავად მისი სინოყივრისა, თუ კარგად მშრალი ადგილები არ იქნება, ხეხილს არ აშენებენ. მეხილეებმა გამოცდილებიდან იციან, რომ ხეხილს უჯობს ფერდა ადგილები, სადაც ლამული ნიადაგები ნაკლებადაა წარმოდგენილი. მათივე დაკვირვებით, დაბლობ ადგილებში ხეები დიდრონები იზრდება, თუმცა მათი ნაყოფი შედარებით მდარე—„ფოთქვია"-ო. ჩავარდნილი ადგილები რომ ხეხილისათვის ნაკლებგამოსაყენებელი იყო, ჩანს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობიდანაც: „ბაღი ჩავარდნილ—სველ გუბიან ადვილას არ გვაორობს, მცირე მომაღლო-დაქანებული ბაღი საუკეთესოა თუ ამავე დროს აქვს წყაროები"-ო[6].

ლამი ნიადაგების აღმნიშვნელად ძველ ქართულში ხმარებულა „მიწალებიც". საბას განმარტებით, ეს სახელი არჯასპის სინონიმია,

---

[6] ილ. რუსიეევი, „გუთნის დედა", 1862, № 15.

ხოლო, მისივე აზრით, რაკი არჯასპი სომხურია, ქართულად მიწალები შესაღებავიაო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მიწალები ორი ნაწილისა—მიწისა და ლებისაგან შესდგება, რომელთაგან მეორე ლურჯს ნიშნავდა[7].

ლამულ ნიადაგებში, როგორც აღნიშნული გვქონდა, თითქმის ყოველგვარი ხეხილი გვარობს, თუმცა, მეურნეთა გადმოცემით, სშირი რწყვისა და ავდრიანობის შემთხვევაში მდარე-წყლიანი ხილი იცის, რომელიც დიდხანს ვერ ინახავს თავსაო.

ჭ ა ნ ჭ რ ო ბ ი მომეტებული ნესტიანი—„ჭყოპი“ ნიადაგია, რომელიც ძველ ქართულში იმავე სახელწოდებითაა ცნობილი და საბა ორბელიანის განმარტებით, „კორდი წყლიანი ნოტიო“-ს, ხოლო ჭაობი „სათიბი ნოტიო ადგილ“-ს ნიშნავს[8].

როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ, ჭანჭრობი ანუ ჭაობიანი ნიადაგი ფრიად ნოყიერია, მაგრამ მეტი ტენიანობის გამო ჯამოუსადეგარი, რის გამოც ძველად ამგვარი ადგილები მხოლოდ სანადირობდა და სათიბ საძოვრებად გამოიყენებოდა.

სალსური დაკვირვებით, ჭანჭრობ ნიადაგს თუ წყალს დაუწკრეტავენ მას მამული არ შეედრება, რადგანაც ცნობილია, რომ დაჭაობების წესით ყოფაში ნიადაგის განოყიერებასაც მიმართავდნენ. ჭანჭრობი ნიადაგები მეხილეობაში გამოუსადეგარია, რის გამოც გამოცდილი მებალეები მისი დაწრეტვის სხვადასხვა წესებს მიმართავენ, რომელზედაც ქვევით გვექნება საუბარი. მთხრობელთა გადმოცემით, ჭაობიანმა მიწებმა სიმლაშე იცის და მისი გამოშრობის მერე სინესტეს მაინც ინარჩუნებს, რომელიც ხეხილისათვის სასარგებლოაო.

ჭანჭრობიან ნიადაგს ხალხის დაკვირვებით გამხმარი ბელტის სითეთრითაც ამჩნევენ.

ქ ვ ი შ ა-მ ი წ ა გვხვდება ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭაში, ხევში და სხვაგან, რომელსაც იმავე სახელწოდებით იხსენიებენ, ხოლო შენაცვლებით მას სილამიწასაც უწოდებენ. იგი გამოირჩევა თავისი სიფხვიერით, ქვიშის მეტი მინარევით, ტენიანობითა და წყლის კარგი გაძტარიანობით. ქვიშა-მიწას თავისი პირვანდელი ბუნებრივობით ხეხილის გაშენების საქმეში უვარგისად მიიჩნევენ. ამის გამო მისი გამოყენების თვალსაზრისით პრაქტიკაში ღვრია წყლით რწყვის, გაყამირებისა და გაპატივების ხერხებს მიმართავდნენ.

---

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახელებული შრომა, ტ. II. გვ. 122.

[8] ს ულ ხ ან ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი. თბილისი. 1928.

საბა ორბელიანის განმარტებით, „სილა ერის ქვა, ვითარცა გაცრილი, ხოლო ქვიშა ხვარბალთა ოდენი". ამრიგად სილამიწა თავისი წემადგენლობით ახლოს დგას, როგორც ლამულ ისე ხირხატ ნიადაგებთან, რომელთაც აღნიშნული ნიადაგის მსგავსად დახეულ-გაძოგვალვა ახასიათებთ.

თ ი რ ი მ ი წ ა, რომელიც კარგ ნიადაგად არის ცნობილი, განსაკუთრებით საუკეთესოა წვრილი ხილისა და ნამეტნავად ვენახებისათვის. მთხრობელთა გადმოცემით, იგი ფხვიერია, გვხვდება მთისძირა ფერდობებზე და მოწითალო-მოყვითალო ფერი დაჰკრავს. მისი დამუშავება თავდაპირველად მძიმეა, ხოლო შემდგომში მსუბუქი, რის გამოც მორწყვისას პატარა წყლით რწყავენ, რომ დახრამვა არ გამოიწვიოს.

თირი, როგორც ნიადაგის აღმნიშვნელი სახელი ყოფაში უმეტესად ისმარება რბილი კლდისაგან ნაშალი მიწის შესატყვისად. როგორც ძველ ქართულშიც იმავე გაგებით ხმარებულა. საბას განმარტებით, „თირი არს კლდე ლბილი და ადვილსათლელი". ხოლო ივ. ჯავახიშვილის აზრით, „თირი თავისი სიმკვრივით უფრო კლდესა და ქვას მიაგავს, ვიდრე მიწასა"[9]-ო. ტერმინი თირი ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს ნახსენები, რომელიც დ. ლიახვის ხეობის აღწერისას აღნიშნავს: „თამარაშენ ზეით ერთვის თირის მონასტრის ხევი"[10], სადაც თირი ნიადაგების გამო შესაძლებელია, რომ აღნიშნულმა ხევმა სწორედ იქიდან მიიღო სახელწოდებაც.

მეურნეთა გადმოცემით, თირი მიწა თავისი თვისებებით ნაქებია, იგი კარგი სამუშაოა, წვრილია და საუკეთესოდ გვარობს, როგორც ხილბოსტნეული, ისე ვენახი. თირი მიწა ზოგგან ცნობილია ღადარა მიწის სახელწოდებითაც, რომელსაც უღონო, „შინშილა" ნიადაგად მიიჩნევენ[11].

ა ყ ა ლ ო მ ი წ ა ს საქართველოში ნიადაგის გარკვეული თვისების აღმნიშვნელად ხმარობენ. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, აყალო მიწას „შენარევის საკმაო ოდენობის სახით ტუტე უნდა ჰქონდეს, თუ მას დასარეცხადაც ხმარობდნენ" [12]. ეთნოგრაფიული მასალებიდან მოწმდება, რომ ამ ტერმინს მომლაშო და თიხანარევი ნიადაგების აღმნიშვნელად ხმარობენ. მთხრობელთა თქმით აყალო მიწა ფეხს ისე ეკვრის, როგორც თიხა-მიწა, ხოლო მორწყვი-

---

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 122.
[10] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 76.
[11] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 44.
[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 124.

ხას ცოტა ხმაური-შიშინი და ქაფის მოგდება იცის. აყალო მიწა რომ უმეტესად თიხა მიწის შემცველია მოწმდება სხვა ეთნოგრაფიული მასალებიდანაც [13].

აყალო მიწა, რომ თიხანარევია და წებოსავით იგლისება ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი ფართოდ ყოფილა გამოყენებული მყნობის დროს, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში აყალოს საზოგადოდ ულონო, გამოფიტული, მოუსავლიანი და ყვითელი მიწის აღსანიშნავად ხმარობენ, რომელიც ძველადაც ხვნა-თესვისათვის გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო. საბა ორბელიანის განმარტებით, ის საპონის მსგავსი და „მწიკულთა გამრეცხელი" ყოფილა.

აყალო მიწას მეხილეობაში არახელსაყრელ ნიადაგად მიიჩნევენ, რის გამოც მისი გამოყენების მიზნით ღრმად გადაბრუნების, ჩღვრიე წყლით რწყვისა, გაყამირება-გაპატივებისა და სხვა ხერხებს მიმართავდნენ.

ყველა ზემოთ აღნიშნულის მიხედვით დგინდება, რომ სხვადასხვა ხეხილის გასაშენებლად კარგია: შავი, ლამული, თირი, ტრედისფერი და ნაწილობრივ თიხანარევი და ხირხატი ნიადაგები. ხოლო ნიადაგების „გამოყენება"-გამდიდრების გარეშე გამოუსადეგარია: მლაშე, ჭანჭრობი, თიხა, ქვიშა, კირნარი და აყალო მიწები. სხვა კულტურებისათვის ნაკლებად მოსავლიან ნიადაგებად მიიჩნევენ აგრეთვე გოხა მიწას, ხიხო მიწას, თიღი მიწას, სილა მიწას, რიყიან მიწას და კირიან მიწას[14].

აღსანიშნავია, რომ ვარგისი ან გამოუსადეგარი ნიადაგის გამოცნობას გამოცდილი მეურნეები სხვადასხვა მეთოდებით იგებენ, რომელთაგან აღსანიშნავია: მისი მუჭაში გამოფშვნის, ატალახების, სუნის, ფერის და შიგ ამოსული ბალახის საშუალებით.

ძარღვიან-მაგარ მიწას ე. ი. დასამუშავებლად მძიმეს, მაგრამ გამწევს თითებში გამოსრესა-გამოჭყლეტვით არჩევენ. ასეთი მიწა წელიწადის ყველა დროს გამოჭყლეტვისას მძიმეა და თითებზე ეგლისება, ხოლო ჩვეულებრივი უფრო ნოყიერი მიწა კი მსუბუქად იფშვნება თითებშიო. ასევე მორწყვისას, როდესაც ნიადაგი გვიან შრება იტყვიან „მოღლილი, ღარიბი-გაჯანდაკებული მიწაა"-ო, ხოლო ღონიერზე, რომელიც შედარებით მალეც ირწყვის, ადრე მძრალდება და ამავე დროს მალეც შრება იტყვიან ისეთი ღონიერი

---

[13] იხ. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ი ს ხვნა-თესვა ძველ სამგორში. ჟურნ. სოციალისტური სოფელი, № 8, თბილისი, 1952. გვ. 22.

[14] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 44.

ციწაა. რომ ხნულშიეე კაცი მუხლამდე ჩავარდებაო. ხალხის დაკვირ-ვებით ღონიერმა და საშუალო სინესტის მქონე ნიადაგმა ბარეისას ყველივით თლა, ხოლო ბელტის გადაგდებისას დაშლა იცის. ამასთან ერთად აღნიშნულმა მიწამ გვალვიან წელიწადს იშვიათად იცის დას-კდომა-გამაგრება.

საყურადღებოა ნიადაგის ავკარგიანობის გამოცნობა შიგ ამო-სული ბალახების საშუალებით, რომელიც, მთხრ. სიტყვით, რომ ვთქვათ, თუ მიწაში „გვიმრა, დათვსაგებელა, ჩადუნა, ეკალი და ზოგიერთი სხვა ერთგვარი ბალახეულობაა მორეული, ის მიწა სან-დო არ არის, შეიძლება ხილმა იხეიროს, მაგრამ ისე კი ვერა, რო-გორც წესი და რიგია, ამიტომ იქ ხილის გაშენებას ვერიდებით ხოლ-მე"-ო (მთხრ. გ. ხმიადაშვილი 83 წ., გორის რაიონის სოფ. ტირძნი-სი, 1958).

ბალახეულის საშუალებით მიწის ავკარგიანობის გამოცნობის ეს ხალხური წესი სათანადო ლიტერატურიდანაც არის ცნობილი, რომ „კარგი ბალახები კარგ იმედებს გვაძლევს", ხოლო გამოუსა-დეგარი მაგ. „ჩადუნა, გვიმრა, ბირკა, ეკლანა, დათვსაგებელა და სხვა ცუდ იმედებს"[15].

არანაკლებ საინტერესოა ნიადაგების სუნით გამოცნობის წესი, რომელსაც მებაღეები წვიმიან ამინდში და განსაკუთრებით კი გა-ზაფხულობით ბარვისას ამჩნევენ. მთხრობელთა გადმოცემით, ზე-მოთ აღნიშნულის დროს კარგი მოსავლის მომცემ მიწას თავისებუ-რი სასიამოვნო სუნი ახასიათებს და იტყვიან: ეს ისეთი სასიამოვნო სუნის მამული ჩანს, რომ რაც გინდა მიაბარო ერთიორად იქცევაო. (მთხრ. ს. პავლიაშვილი, 1957, ს. ტყვიავი, 67 წ.).

როგორც აღვნიშნეთ, ამა თუ იმ სამეურნეო დარგისათვის მიწის ვარგისიანობის გადასაწყვეტად ნიადაგის თვისების ცოდნაა საჭირო. ძველადაც მიწათმოქმედმა კარგად იცოდა, რომ ზოგი ხეხილის მოყ-ვანა-გაშენებისათვის ნოყიერი ნიადაგი იყო საჭირო, ზოგიც ღარიბ ნიადაგში კარგად გვარობდა და სხვა. ყოველივე ამის გამო ყოფაში ნიადაგების თვისებათა გამოსახატავად სათანადო ტერმინოლოგიაც გაქვს შემონახული. მაგ. აღმ. საქართველოს სინამდვილეში საუ-კეთესო მოსავლიან ნიადაგს „ძილღვამი", უღონო-მოღლილ მიწას „ნაბეჩხარი", გასარჩევსა და ქვიანს „ღორჯოიანი", ხოლო მთლად უმუშევარს „ხამი" ეწოდება.

მიწისმოქმედთ ძველთაგანვე კარგად უნდა სცოდნოდათ ნას-

---

[15] ი. რ უ ს ი ე ვ ი, „გუთნისდედა", 1862, № 15.

ვენი და ახლად გატეხილი ნიადაგების ღირსება, რომლის დასამუშავებლად რა თქმა უნდა სხვადასხვა მეთოდებსაც მიმართავდნენ.

ახლად გასატეხი ნიადაგის დასამუშავებლად ქართველი ხალხი მიმართავდა „ცეცხლის გამოყენებას“, „ამოძირკვას“, „ვაკაფვას“, „მოქვავებას“, „ტეოასების“-ა და „საწრეტების მოწყობას“ და სხვა.

როგორც აღნიშნული გვქონდა მთლად უმუშევარ მიწას ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ხამს“ უწოდებენ, რომელიც ძველ ქართულშიც იმავე მნიშვნელობით ხმარებულა. თვით ტერმინი მიგვითითებს, რომ ამგვარი „ხამი“ მიწა ჯერ დაუმუშავებელი უნდა ყოფილიყო. რადგანაც სიბას განმარტებით „ხამი“ ეს „ლეხთაგან მიღებულ არს და სახელსდებენ პარტახთა აგარაკთა და გამოუჯაგავთა ცხენთა და სხვათა“.

საქართველოში ხამი მიწის ანუ ახოს გატეხვის ირგვლივ მრავალი გამოკვლევები არსებობს,[16] სადაც აღნიშნულია მისი დამუშავების სხვადასხვა ხალხური მეთოდები.

მიწათმოქმედების მეხილეობის სისტემაში ვხვდებით ნიადაგების დამუშავების სხვადასხვა ხერხებს, მათ შორის „ტახტებად მოწყობის“, „შემობარვის“, საწრეტების გათხრისა და სხვა.

ისევე, როგორც მიწათმოქმედების სხვა შემთხვევაში მეხილეობაშიაც ტახტებად ადგილის დაყენება-მოსწორება გვხვდება ორიან ან ძალიან ფერდა ადგილებში. როგორც ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები გვიჩვენებენ ტერასებს ანუ ტახტებს უმეტესად აღმოსავლეთის მხარეზე აწყობდნენ,[17] სადაც რწყვის ან გაცდარების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო გადარეცხვა-ჩახრამვა. ისევე, როგორც ახოს აღების შემთხვევაშიც ტერასების მოწყობას იმ ადგილებში მიმართავდნენ, სადაც ჭარბ მოსახლეობას სახნავ-სათესი მიწა აღარ ყოფნიდა და სადაც მისი გაფართოების საშუალებას აღგილმდებარეობა იძლეოდა[18].

ტახტებად ნიადაგების მოწყობა ახოს აღების ერთ-ერთი სახეობაა, სადაც მის მოსაწყობად დამატებითი სამუშაო იარაღები და მუშახელია საჭირო.

მეხილეობის რაიონებში ტახტებად მოსწორებულ ადგილებზე უმეტესად ვხვდებით ე. წ. წვრილი ხილის განაშენიანებას (ქლიავი, ჭანჭური, ბალი, ალუბალი, მოცხარი, ზღმარტლი და ა. შ.), ხოლო

---

[16] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, I, თბილისი, 1937, გვ. 174. გ. გეგეშიძე, დასახ. შრომა. გ. ჯალაბაძე, დასახ. შრომა. ჯ. სონღულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, თბილისი, 1959.

[17] В Геевский, Очерк садоводства, Тифлис, 1878, გვ. 35.

[18] გ. ჯალაბაძე, დასახელებული შრომა, გვ. 17.

თუ საკმაოდ დიდი ტახტია, მაშინ ყველა სახის ხილსაც. როგორც ითქვა ტახტების მოსწორება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად ხდება, მაგრამ ძირითადად მას იყენებენ მევენახეობა-მეხილეობასა და მებოსტნეობაში. როგორც გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობებიდან ჩანს, ამგვარი „ტერასები“ ანუ „ტახტები“ ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. გეევსკის ცნობით, ასეთ ტერასებს აწყობენ ხილისათვისაც, მაგ. ხეთოვისში. ურაველში მდ. ურაველ ჩაიზე[19] და ა. შ. ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ტახტების პირველადი მოსწორებისას ხეხილს ან ვაზს ჩაყრიდნენ, სადაც ამავე დროს ბოსტნეულსაც თესდნენ. მთსრობელთა გადმოცემით. „ახლად მოსწორებული დარეჯის ანუ ტერასის მიწა ფოთქვია, მას ხეხილის—ნარგავის ფესვები შეკრავს და დააბეგებს, მითუმეტეს, რომ 2-3 წლის განმავლობაში ბარვას არ თხოულობს და უამისოდაც კარგი ფეხის მოსავალი მოდის“-ო. ხალხური წესით ტერასის დაბეგება დღეს პრაქტიკაში ფართოდაა დანერგილი. სპეციალისტთა აზრით, ბაქნებსა და ტერასებზე ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით უნდა შეირჩეს, როგორც სათესი, ისე მრავალწლიანი კულტურები. „ასეთები, როგორც საფიქრებელია, უმთავრესად იქნება ხეხილი, ვაზი, ხოლო შემდეგ ბოსტანი“[20].

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ტახტები გვხვდება სხვადასხვა ზომისა, უმეტესად კი ვიწრო და გრძელი. ცნობილია, რომ ტახტების მოსწორება მძიმე საქმეა და გაერთიანებულ შრომას თხოულობს. მიწას ფერდის მხარეზე იღებენ ბარის, წერაქვის, თოხის, რკინის კეტის და ნიჩბების საშუალებით. ასეთ დროს ეწყობა მეზობელ-ნათესების გაერთიანება, რასაც ხშირად დაძახილს ანუ ულაპს ეძახდნენ[21].

საქართველოს მიწათმოქმედების სისტემაში მთიანი რელიეფის გამო ნიადაგის დამუშავების ამგვარი. ხელოვნური ხერხები მეტნაკლებად ყველა კუთხეებში გვხვდება, რომელიც სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი: „ოროკები“-ს, „ტახტები“-ს, „ჩეჩმები“-ს. „ტერასები“-ს, „ბაქნები“-ს, „დარეჯები“-სა და სხვა.

„ირკვევა, რომ ქართლში, ისევე, როგორც მესხეთ-ჯავახეთშიც. სამეურნეო ნაკვეთების დასაფეხურება რამდენიმე მნიშვნელოვან

---

[19] В. Геевский, დასახელებული შრომა, გვ. 35.

[20] ვ. მირზაშვილი, ნიადაგის დაცვის ღონისძიებანი მთიან რელიეფის პირობებში, თბილისი, 1955, გვ. 63.

[21] ჯ. სონღულაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 14.

მოთხოვნილებას პასუხობდა. ეს ღონისძიება უზრუნველყოფდა: 1. ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლას, 2. მორწყვის მაქსიმალურ ეფექტს. იგივე ღონისძიება აგრეთვე ამცირებდა ქვის გორვას და ასევე თუ ტერასებზე ხეხილის ბაღები იყო გაშენებული, ჩამოცვენილი ნაყოფის დანაკარგს"[22].

როგორც სოფ. აწყურის მცხოვრ. ფილიპე ესტატეს ძე გელაშვილი გადმოგვცემს—„დარეჯის ანუ ტახტების გაკეთებას ვიწყებდით მეზობელ-ნათესაველების დახმარებით, მთის ფერდობიდან მიწის ჩამოღებით. როდესაც ციცაბო ადგილას ვაკეთებდით, მაშინ დაქანების მხრიდან მშრალად ნაგებ კედელს ამოუყვანდით ესე სახლის საძირკველის სისქისას ან უფრო განიერს, რაც დარეჯის დაქანებასა და სიგანეზე იყო დამოკიდებული". იმ შემთხვევაში, თუ დარეჯი ბევრ მიწას მოითხოვდა მოსწორებისათვის, მაშინ ამგვარ— „გაუმაძღარ" ადგილას დიდ ლოდებსა და ყოველგვარ მიწას მიაყრიან, ხოლო ზემოდან კარგ ნიადაგს შეურჩევენ. მთხრობელთა გადმოცემით ქვების ჩაყოლებისას თანდათან ისე უნდა მიეყაროს მიწა, რომ არსად ცარიელი ადგილი დარჩეს, თორემ მორწყვის ან წვიმის დროს შესაძლებელია ჩაწვეს-ჩაიხრამოს. მათივე გადმოცემით, ლოდებით ამოვსებულ-მოსწორებულ ტახტეს ის უპირატესობაც აქვს, რომ გვალვიანობისას ნიადაგი დიდხანს ინარჩუნებს სინესტესა და ნოსავალსაც ადრე იძლევა.

ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ტახტებზე ახლად გაშენებულ ხეხილს მესამე წლიდან უბარავენ ძირებს, ე. ი. მაშინ, როდესაც ნიადაგი კარგად არის დამჯდარ-დაბეგვილი, ხოლო შემდეგში მთლიანად მოვაკებასაც ბარავენ. ეს ძველი ქართული ხალხური წესი ცნობილია დღევანდელ აგროტექნიკაშიც. სპეციალისტების აზრით, „ახლად მოსწორებულ ტერასებს მთლიანად არ უნდა ბარვა, სადაც ეუშავდება ტერასის ვაკისი, ხოლო მისი ფერდობები დაკორდებულადვე რჩება"[23].

ისეთ ადგილებში, სადაც მებოსტნეობაა განვითარებული, ტერასის ფერდობებს, რომელსაც მეხილეობაში აყამირებენ აქ, მასაც ინტენსიურად იყენებენ და სხვადასხვა ბოსტნეულს სთესენ. იქ, სადაც ტახტეები სარწყავია, ერთი მთავარი კვალია გაყვანილი, რომელიც ნაკადულებად არის დაყოფილი იმის მიხედვით, თუ შიგ რა კულტურა უნდა იქნეს დათესილი. ასე, მაგალითად, ბოსტნეულს ეშირი კვალვა ესაჭიროება, ხილს ყველაზე ნაკლები და ა. შ.

---

[22] მ. გ ე ბ ე შ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 46.

[23] ნ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება ხეხილის ბაღში, თბილისი, 1956, გვ. 37.

ატენის ხეობაში დამოწმებულია ნიადაგის ბაქნებად მოწყობის თავისებური ხალხური წესი, რომელსაც ხეხილის ჩაყოის შემდეგაც ინმართავენ. მთხრობელთა გადმოცემით, ახლად გაშენებულ ბაღ-ვენახს, რომელიც თავქვეზე მდებარეობს, თანდათანობით ასწორებ-ენ. მოსწორებას იწყებენ ერთ მხრიდან ჩვეულებრივი ღრმად ბარ-კის წესით, რომელსაც ქვევიდან ზევით მიყვებიან ისე, რომ ბელტი ტაბლობისკენ გადაიყაროს. აღნიშნული პროცესის დროს ზევით მდგარ ნარგავებს ფესვები უჩნდებათ—„უტიტველდებათ", მცენარე ბაღლა იწევს და საჭიროებს იმავე ადგილზე ხელახლა ჩარგვას, რო-მელსაც ყოფაში ნარგავის „ძირს დაშვებას" უწოდებენ. ამ სამუშა-ოს სისტემატიურად ასრულებენ და თანდათანობით მთელ ფართობს მოავაკებენ. შედარებით ვაზთან ხეხილიანი ნიადაგის ამგვარ დამუ-შავებას დაჩქარება უნდა, ისე რომ დარგვიდან 2-3 წელიწადში მოს-წორდეს, რადგანაც დაგვიანების შემთხვევაში დიდრონი ხეხილის ძირს დაშვება შეუძლებელი ხდება. აღნიშნული წესით ნიადაგის მოსწორება, ხალხური დაკვირვებით. სასარგებლოა იმითაც, რომ ძირს დაშვებისას ნარგავს ფესვები ეკრება, იმ ადგილს ახალ ფეს-ვებს იკეთებს და თამამდებაო. მათივე გადმოცემით ბევრჯერ ერთი-დაიმავე ნარგავს, განსაკუთრებით კი ვაზს, ორ-სამჯერაც უხდება ძირს დაშვება, რაც დამოკიდებულია ნიადაგის მდებარეობა-დაქანე-ბაზე.

აღსანიშნავია, რომ მთაში ხეხილის გაშენებას ტერასების მოუ-წყობელადაც მისდევდნენ, რომელსაც ჩვენ პირობითად „შემობარ-ვის" წესი ვუწოდეთ. აღნიშნული წესი ხეხილის გაშენება-დამუშავე-ბისათვის დამოწმებულია მთიულეთში, სამხრეთ ოსეთში, ალგეთისა და ვერის ხეობებში, სადაც ხეხილის გაშენებას შერჩევითი წესით აწარმოებენ[24]. მთიან ადგილებში გარდა ბაქნებად მოწყობისა ხეხი-ლის ბაღებს ფართოდ აშენებდნენ შემობარვის ანუ მხოლოდ და-სარგავი ნერგის მცირე ადგილის მოსწორების წესითაც.

იმ შემთხვევაში, თუ მიწა ბუჩქნარიანი იყო „გაჯაგამდნენ", ხოლო რიყიანს „მოაქვავებდნენ", რის შემდეგაც იწყებდნენ ამოსა-ოხრელი ორმოებისათვის ადგილის მოსწორებას. მთიან პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საბაღე მიწის შერჩევას ბისი ადგილმდებარეობის მიხედვით. მთხრობელთა გადმოცემით უნდა შეირჩეს მისადგომი, მყუდრო და ნიაღვრისაგან დაცული ად-გილები. იმ მიზნით, რომ ხეხილმა კარგად მოასწროს დამწიფება და ამავე დროს ყინვისა და გვალვისაგან იქნეს დაცული ყოფაში ურჩე-

---

[24] დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მეხილეობაში ნიადაგების შერჩევის ხალხური წე-სები ქართლში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, თბილისი, 1961, გვ. 287.

ვენ ხეობების დაბლობ და წყაროების ნაპირა მიწებს. თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ღვევში მთხრ. პავლე გივის ძე აფციაური (85 წლის, 1961 წ.) გადმოცემით უმჯობესია სამხრეთით (დაქანებულ ფერდობზე გაშენდეს ხეხილი, რადგანაც მზე მთელ დღეს უყურებს და გემოიანი ხილი გამოვაო. მაშინ, როდესაც ადგილი ბალზე დაქანებულია, ორმოს ამოსათხრელად განკუთვნილ ადგილს შედარებით ღრმად მოასწორებენ—ჩამოიღებენ და შემდეგ ამოთხრიან. მისი მოთხრა ხდება გარდიგარდმო მწკრივად, რომელთა სიგრძე გასაშენებელი ხეხილის თვისებაზეა დამოკიდებული. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ ასეთ ადგილებში რამდენიმე კვირით ორმოების წინასწარი მოთხრა მიუღებელია. რადგანაც ხის დარგვამდე ამოივსებაო.

აღნიშნულ ადგილებში ხეხილის გაშენების შემდეგ მის სრულად დამუშავებას არ მისდევენ, რადგანაც ნამუშევარი მიწა ადვილად იხრამება და ირეცხება. ამის გამო მეურნე-მეხილეები მთაში ნხოლოდ მისი ირგვლივი შემობარვის წესითაც კმაყოფილდებიან.

ხეხილის გაშენების საქმეში არანაკლებ საინტერესოა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე შემორჩენილი ჭაობიანი ნიადაგების დაწრეტვა-გამოყენება. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ჭაობიანი ადგილები ძველად ძირითადად სათიბ-საძოვრებად და სანადიროდ იყო გამოყენებული. მაგრამ იქ, სადაც სახნავ-სათესი ფართობების სივიწროვე იყო ჭაობიანი ადგილების დასამუშავებლად „დაწრეტვის“ წესსაც მიმართავდნენ.

საწრეტების მოწყობა მიწის დაქანების მხრიდან ღრმა არხების გათხრაში მდგომარეობს. მას ხშირად მთელი ფართობის სამ მხარეს ჭრიდნენ. სამი მხრიდან არხის გაჭრით ნიადაგი შედარებით მალე იწრიტებოდა, სადაც გათვალისწინებული იყო, რომ დაწრეტილ ანუ „ნაეურ“ წყალს გასავალი ერთ საერთო არხში ჰქონებოდა. საწრეტი არხი იმისდა მიხედვით თუ როგორი ამინდები შეხვდებოდა წელიწადში ანჯორ წელიწადში ერთხელ დანალექისაგან იწმინდებოდა. სამი მხრიდან კარგად ღრმად გათხრილი საწრეტი არხები ნიადაგს 3-4 წელიწადში გამოაშრობდა, რის შემდეგაც გვერდით არხებს გააუქმებდნენ. ისეთ ადგილებში, სადაც ნახევრობით ჭაობიანი ნიადაგები იყო, ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ხეხილის თავდაპირველადვე ჩაყრა, ხოლო შემდგომში საწრეტების მოწყობა, ამ მიზნით ნიადაგს ზაფხულშივე სიმშრალით ამუშავებდნენ, რომ მომავალ გაზაფხულზე ხილი გაეშენებინათ და ფეხის მოსავალიც მოეყვანათ.

აღმოსავლეთ საქართველოში დამოწმებულია ნიადაგების საწრეტებად მოწყობის სხვა ხალხური წესებიც, რომელნიც გათვალისწინებულია გვალვისას ნიადაგის სინესტის შენარჩუნების მიზნით, რაც ფართოდ ყოფილა აგრეთვე გამოყენებული მებოსტნეობაში[25].

გორის რაიონის სოფ. სვენეთში (მთხრ. გიუნაშვილი ფიდო სოლომონის ძე 74 წ. 1958 წ.) დამოწმებულია ჭაობიანი ნიადაგის დაუწრეტავად ხეხილის გაშენების წესი, რომელიც საინტერესო მაგალითს წარმოადგენს უვარგისი ნიადაგების გამოყენების საქმეში. მისი გადმოცემით რომ ვსთქვათ, „ჭანჭრობ ადგილებში თუ ხილის ჩარგვა გვინდა მაშინ მორდილა ორმო უნდა მოვთხაროთ, კარგი დიდი კეცი-ქვები ჩავაწყოთ, მერე ხამი მიწით ამოვავსოთ, ავამაღლოთ და ზედ ხე დავრგოთ“-ო. მეურნეთა გადმოცემით ქვებს იმისათვის უწყობენ, რომ წყალი არ დაიყენოს—გაატაროს და ამავე დროს ზემოდან დაყრილი-ამაღლებული მიწა შეიმაგროს ჩაწოლისაგან. აღნიშნული წესით ხეხილის დარგვის ეს საინტერესო წესი, რომელსაც ჭაობიან ადგილებში იყენებდნენ გასული საუკუნის რიგ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალ-გაზეთებითაც მოწმდება.

ზემოთ აღნიშნულ მასალებთან ერთად ჭანჭრობ-ჭაობიანი ნიადაგების დამუშავება-გამოყენების შესწავლა ინტერესს იწვევს იმ მხრივაც, რომ მიწათმოქმედების საწყისი ფორმების კვლევისას მეცნიერთა გარკვეული ნაწილი სწორედ ამგვარ ნიადაგებში ეძებს მის დასაბამს[26].

თავი მეორე

ხეხილის გამრავლება, ბაღის გაშენება, ხეხილის მოვლა და ხეხილის დაავადებანი

ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ყურადღებას იქცევს მცენარეთა მოვლა-მოშენების ხალხური წეს-ჩვეულებები და კერძოდ, გარეული ხეხილის მოშინაურების საკითხი. ქართველი ხალხის მიერ მრავალსაუკუნოვანი ცოდნა-გამოცდილება დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში აშკარად შეიმჩნევა, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხისათვის მეტნაკლებად არის დამახასიათებელი და საწარმოო გამოცდილებაზეა აგებული.

---

[25] ჯ. სონღულაშვილი, დასახ. წერილი, გვ. 15.

[26] М. О. Косвен, Очерки истории первобытной культуры, Москва, 1957, გვ. 69.

როგორც განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა მცენარეული ძველადვე ორ მთავარ ჯგუფად ყოფილა დაყოფილი: „ყვავილნი“ ანუ ყვავილოვანნი და „ნერგნი“ ანუ ნერგოვანნი.[1] მისივე სიტყვით ეს ორივე თავისი სადაურობის მიხედვით შეიძლება ყოფილიყვნენ ან „შინაურნი“ ან „ველურნი“. ხოლო თვით ნერგი უეჭველია რგვა ზმნისაგანაა და დარგვით მოყვანილი ყოველნაირი მცენარის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო[2].

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ერთეულ მცენარეს ძირი ეწოდება, ხოლო მისი პირდაპირი მნიშვნელობით ძველთაგანვე ძირი მცენარის იმ ნაწილს რქმევია, რომელიც მიწაშია მოქცეული. ძირზე გამოტანილ წვრილ ფესვებს კი ძველად ჩინჩლი რქმევია, რომელსაც საბა ორბელიანი განმარტავს, ხოლო დღევანდელ სინამდვილეში ტერმინი „ჩინჩლი“ ძალიან ნაკლებადღა იხმარება. ასევე ითქმის მცენარის სხვა შემადგენელ ნაწილებზე—ტანზე, ტოტებზე და სხვა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით „ტანი ზროდ, რტოი—შტოდ შეიცვალა“ო[3].

ძველ საქართველოს ტერიტორიაზე ხილეულის ფართოდ გამრაველება, რომელზედაც რიგი ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემები მეტყველებენ, შეპირობებული უნდა ყოფილიყო ბუნებრივი გარემოთი და მოსახლეობის მაღალი კულტურით.

ცნობილია, რომ პირველ მიწისმოქმედად ქალი, ხოლო მამაკაცი მონადირე მოსაქმედ არის აღიარებული. ისიც ცნობილია. რომ დედაკაცის მიერ შეგროვებითი წესით მოტანილი სხვადასხვა ხილეულისა და ძირხვენეულის ნარჩენების მოხვედრამ ბინის ახლო-მახლო მიწაში დასაბამი მისცა მცენარეულის მოშენებას.

გარეული ხილის მოშინაურება კაცობრიობის განვითარების იმ საფეხურზე იწყება, როცა მოხეტიალე შემგროვებლური ხასიათის მეურნეობიდან ადამიანმა დაიწყო დამჯდარი მეურნეობის წარმოება, რომელიც ენგელსის მიხედვით, ემთხვევა ბარბაროსობის ქვედა საფეხურს[4].

ჩვენს ქვეყანაში ძველადვე ველურ ყვავილ-მცენარეების გაშინაურების ცდებზე, სხვა ისტორიული ცნობების განხილვასთან ერ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1930, გვ. 275.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 278.

[4] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953, გვ. 34.

თად, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „თუ ქართველი შეურნე ცდილობდა შორეული, უცხო ქვეყნიდან მოტანილი ხეებითა, მცენარეებით შეემკო და გაემდიდრებინა თავისი ბაღ-წალკოტი, რა თქმა უნდა, თავისი სამშობლოს თვალწარმტაცი ბუნების სიმშვენიერესა და ყვავილ-ხეების მრავალფეროვან სიუცხოვესაც გამოიყენებდა. ამის შესახებ, განაგრძობს ავტორი, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ასეთია—არს ყვავილი სუმბული ფერით სპეტაკი... სურნელი, ვითარცა ამბრი და უმეტესად ფშოსანი და ეკლოვანი. ეს ველური ყვავილი ისე მოსწონებიათ, რომ მეფემან ვახტანგ მოიღო სავარდესა შინა“-ო[5].

ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ძველ საქართველოში ყვავილ მცენარეთა, ხეხილთა შერჩევისა და ველურთა გაშინაურების ცდებს ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ჰქონოდა დათმობილი.

დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილია გარეული ხეხილის მოშინაურების სხვადასხვა ხერხები, რომელსაც აკად. ნ. კეცხოველი დიდ შეფასებას აძლევს. „საქართველო—აღნიშნავს ავტორი—კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ერთ-ერთი კერაა, მცენარეთა გაკულტურება დღესაც ხდება, ბევრგან დარჩენილია გაკულტურების ძველი წესიც, ამიტომ ახალი მეთოდების მოხსენებასთან ერთად, ძველი წესის აღწერასაც საკმაო ადგილი დაეუთმეთ, რადგან ამას ერის ისტორიის გაცნობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“[6]. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია პ. ჟუკოვსკის სიტყვები: როგორც ხალხის მიერ შექმნილი შესანიშნავი ხელოვნების ძეგლები შეგვაჩერებენ და ჩვენს აღტაცებას და გაკვირვებას გამოიწვევენ მონუმენტალურობით, სიდიდით, ასევე უნდა ვჩერდებოდეთ კულტურული მცენარეულის თითოეული სახეობის წინ, და გაკვირვებას გამოვთქვამდეთ, რომელთა შექმნა ხალხის მრავალსაუკუნოვან შემოქმედებით შრომას უკავშირდებაო[7]. აქვე უნდა აღინიშნოს ისტ. მეცნ. კანდიდატ—მ. გეგეშიძის შეფასება ტყის გარეული ხილის მოშინაურება-გამოყენების შესახებ, რომელიც ქართველი ხალხის აქტიურ საწარმოო გამოცდილებაზეა დამყარებული. იგი აღნიშნავს: „საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე შემონახული ხალხური სასოფლო-სამეურნეო წესები და

---

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, წ. II, გვ. 137. ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. შრომა გვ. 39.

[6] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957, გვ. 9.

[7] П. М. Ж у к о в с к и й, Земледельческая Турция, М.-Л., 1933, გვ.93.

ჩვეები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ ჩვენს ხალხს ძველთაგანვე უნდა შეემუშავებინა აქტიური საწარმოო დამოკიდებულება ტყის სასარგებლო მცენარეულის მიმართ. ამისი ერთ-ერთი გამოხატულებაა ტყის გარეული ხილის საცხოვრებელ ადგილზე—ბაღებში ან საკარმიდამო ნაკვეთებზე გადმორგვა"[8].

ხ ე ხ ი ლ ი ს გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ა

მეხილეობაში ძველთაგანვე იცნობდნენ და იყენებდნენ ხეხილის გამრავლების ისეთ ხერხებს, როგორიცაა: მოშინაურება, მყნობა, გადაწვენა, ტოტების ჩაყრა, ფესვის ბარტყობა, ფესვთ დაყოფა, თესლთ-თესვა და სხვა.

მ ო შ ი ნ ა უ რ ე ბ ა. ქართველი მეურნე, რომელიც დაინტერესებული იყო ხეხილის გაუმჯობესება-მოშინაურებითა და მისი ნაყოფის მაღალი ღირსებით, მიდიოდა ტყეში, სადაც მას ეგულებოდა ხილის ნორჩი ნერგები. საზოგადოდ ტყიური, ნორჩი ნერგების აღმნიშვნელ სახელად აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მიღებულია „ბაყილო", რომელიც ქართველ ლექსიკოგრაფს საბა ორბელიანს იმავე მნიშვნელობით აქვს განმარტებული. გარდა იმისა, რომ ტყიური ნერგის აღმნიშვნელად ყოფაში ზემოაღნიშნული ტერმინია ხმარებული, ზოგიერთი ხეხილის გარეულ სახეობას თავისი განსაკუთრებული სახელწოდებაც გააჩნია, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს მის რაობას. მაგალითად, ვაშლის გარეულ ბაყილოს უწოდებენ „მაჟალოს", მსხლის გარეულ ბაყილოს „პანტას" და ა. შ., რომელსაც საბა ორბელიანი ისევე განმარტავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რიგ კუთხეებში, როგორც გარეულ ისე შინაურ ხილეულს სხვადასხვა სახელწოდებითაც იხსენიებენ. გარეული ვაშლი ქართლში მაჟალო, ქვ. რაჭაში, ქვ. იმერეთში „ჭკუტა ვაშლი"-ს სახელწოდებითაა ცნობილი; ლეჩხუმში—„ტყის ვაშლი", „მწარე ვაშლი", საინგილოში—„ჭირვაშლი", „ჭირჭიმა"; ჭანეთში—„მტკვი უშქირ"; სამეგრელოში—„ტყარ უშქური", „ქვეტელი უშქური". გარეულ მსხალს ქართლში პანტა, ზემო რაჭაში „პანტა მსხალი", რაჭაში, ქვ. იმერეთში „ჭკუტა მსხალი"; ლეჩხუმში „ჭკუტა"; ზემო იმერეთში „ჯარჭი"; გურიაში „ქვიჭიჭი მსხალი"; საინგილოში „ჭირჭიმა, ჭანეთში „მტკვი მცხული"; სამეგრელოში „ვეტელე სხული", „ტყარ სხული", „ჭიკო სხული"[9] და ა. შ. ასევე სხვა ხილეულის უმრავლესობაც საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნაირი სახელწოდებითაა წარმოდგენილი.

---

[8] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 175—176.

[9] ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949, გვ. 41.

ხეხილის გამრავლება-ბოშინაურებით დაინტერესებული მეურნე ბაყილოს მოსატანად მიდის ისეთ ადგილებში, სადაც მას საკმაოდ ეგულება იგი. ასეთ ადგილად ხალხის დაკვირვებით და ბოტანიკოს სპეციალისტთა გამოკვლევით მაგ. მაყალოსა და პანტისათვის ცნობილია რცხილნარ-მუხნარი ტყის ძირები, მდინარის პირა ჭალები და სხვა. როგორც აკად. ნ. კეცხოველი აღნიშნავს—„მუხნარისა და რცხილნარის სარტყელისათვის ფრიად დამახასიათებელია ხილნარი. ველური ხილის მომცემი მცენარეები ყველაზე მეტი სწორედ ამ სარტყელშია. განსაკუთრებით ბევრია პანტა და მაყალო. ბევრგან ამ ხეხილისაგან შექმნილია უზარმაზარი ცენოზები, სადაც უხილო ქვეყნიდან მიდიოდა ხალხი და ხილს აგროვებდა ჩირის დასამზადებლად, არყის სახდელად თუ ნედლად სახმარად. ამ მხრივ განსაკუთრებით შესანიშნავია ასპინძის, თეთრიწყაროს და სხვა რაიონები, სადაც პანტიანები დიდი რაოდენობით გვხვდება"[10]. ბაყილოს მოსატანად წასვლისას მეურნეს თან მიაქვს ბარი, წალდი, ან ცული, დანა ან სასხლავი მაკრატელი, ტომარა და ბევრჯერ ხელმარხილიც კი.

ბაყილოს მოტანისას რჩეობენ ისეთივე ნიადაგის ნერგს, როგორშიაც ძისი დარგვა სურთ. მოხრობელთა გადმოცემით, იმ მიზნით, რომ ბაყილო კარგად შეეგუოს ახლად გადარგულ ნიადაგს და არ დაიჩაგროს, ამისათვის თუ შესაძლებელია ისეთი ჯურის ადგილის ნერგი უნდა შეირჩეს, როგორშიაც ის უნდა ვახეიროთ (წიკლაშვილი ალექსი მიხეილის-ძე, 95 წ-ს, სიღნაღის რ-ს სოფ. ყარაღაჯი, 1959 წ.) მათივე გადმოცემით, შავი მიწისათვის მაგ. უმჯობესია ლოთლიანი ტყის ბაყილო, ლამული მიწისათვის — მდინარისპირა ჭალების და ა. შ.

მეხილეობაში დასარგავი ნერგისათვის ნიადაგის შერჩევის აღნიშნული წესი, რომელიც ქართველ მეურნეებს ოდითგანვე უნდა სცოდნოდათ, პარალელებს ავლებს ჯერ კიდევ ძველად ცნობილი იტალიის მებაღეობასთან. იმავე ნერგის კარგად შეგუების მიზნით იტალიაში სათანადოდ ურჩევდნენ ისეთსავე ნიადაგს, როგორშიც ის იყო ან იგი შემდეგში უნდა გადაერგოთ[11].

სათანადო ნიადაგის ბაყილოსათვის შერჩევის შემდეგ, რომელიც უნდა იყოს „თამამი", გარკვეული სიდიდისა და თუ შესაძლებელია

---

[10] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 152.

[11] М. Е. Сергеенко. Очерки по сельскому хозяйству древней Италии, Москва, 1958, გვ. 96.

სწორად ნაზარდიც. იწყებენ მის ფრთხილად მოთხრას. ფესვებს დაუზიანებლად ამოღებისათვის მოთხრას აწარმოებენ ბაყილიან ასე „ორი მტკაველის“ რადიუსით, რაც მისი სიმსხო-სიდიდეზეც არის დამოკიდებული. ბაყილოს მოთხრისას შემობარვის საღრეჭე, მთხრობელთა სიტყვით თუ ვიტყვით, არ აღემატება „ერთი ბარის პირს“, რადგანაც ის მეტწილად „ზეზეა ამოსული“-ო. ხალხის დაკვირვებით, მისი შემოუბარავად ამოგლეჯა მიუღებელია, რადგანაც ფესვები უზიანდება, უმეტეს შემთხვევაში, როცა ის თესლზე კი არ არის ამოსული, არამედ „ნაბარტყია“. ამისათვის გაუფრთხილებლობის, ე. ი. შემოუბარავად ამოგლეჯისას შეიძლება მთავარი ფესვი ნიგ ციოში ჩაიხლიჩოს და ბაყილო მთლად წახდეს.

წესისამებრ მიწის შემოთხრის მერე ფესვებს ირიბად ჩაუჭრიან ფრთხილად ამოიწევენ და ამოღების შემდეგ ჩინჩლა ფესვებს „შემოუკვერცხავენ“. გამოცდილი მებაღეები ბაყილოსათვის სინესტის შენახვისა და უცხო ნიადაგში კარგად შეგუების მიზნით ამჯობინებენ ძირზე ამოყოლილი მიწის შერჩენას. ამ მიზნით ამოღებულ ბაყილოს ხავსს ან გამხმარ ფოთლებს შემოუდებენ და „სუფთა“ წვრილი წნელით კაოგად შეკრავენ. ამის შემდგომ ე. ი. ცალცალკე შეკრულ ბაყილოებს რამოდენიმეს ერთად კონად შეკრავენ, რაც ბაყილოების სიმსხო-სიდიდეზეა დამოკიდებული, რომელსაც შემდეგ ტომარაში ჩასდებენ და ზურგით ან ხელმარხილით წაიღებენ.

ბაყილოს ამოღებისას მის პირველად გასხვლას ადგილზე აწარმოებენ, რაც მხოლოდ გრძელი ტოტების „წაკვერცხვა“ — წვერების წაჭრაში მდგომარეობდა. ხალხის დაკვირვებით ამგვარი გასხვლით მსუბუქდება რა ბაყილო, ამავე დროს გზაში ტოტების დაზიანების შემთხვევაში მეურნეს შესაძლებლობა ეძლევა, რომ ის სხვა ტოტით შეცვალოს.

წლის დროის მიხედვით, როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ბაყილოს მოთხრას ამჯობინებენ გვიან შემოდგომით. როდესაც, მთხრობელთა სიტყვით თუ ვიტყვით—„საქმეები საკმარისად აქვთ მოჟმიერებული“. ამ პერიოდში ხეს „ლობო“ აქვს შემშრალი—აღარ „მუშაობს“ და გადატანისას ვერაფერს ივებს. ბაყილოებს სახლში მიტანისთანავე შემოხსნიან, კონას დაშლიან და წაწვენილი წესით მიწაში წაფლავენ, რომელიც გაზაფხულამდე ადგილზე ზამთრდება. ისეთ ადგილებში, სადაც დიდი ყინვებია მოსალოდნელი წაფლულ ბაყილოებს წელამდე ბელტებსაც მიაწყობენ. რაც კარგად იცავს ყინვისაგან.

ზემოთ აღნიშნული წესებით გამოზამთრებულ ბაყილოებს უმეტეს შემთხვევაში ამოღების შემდეგ,—„კუკური რო დაუორსულდე-

ბა“, დაამყნიან ან დაუმყნელად დარგავენ. მთხრობელთა გადმოცემით, „იმ შემთხვევაში თუ ბაყილო დასამყნელად გვინდოდა ერჩეობდით მის დარგვამდე დამყნას, რადგანაც დარგვიდან ერთ წლამდე ე. ი. სანამდე ნერგი კარგად არ დახარდება მასზე ნამყენის გაკეთება არ შეიძლებოდა, რაც ერთი წლით გვაგვიანებდა“-ო (მთხრ. დ. ჩიქლაძე 80 წ-სა, გორის რ., სოფ. ტყვიავი, 1958 წ.).

აქვე უნდა აღინიშნოს ქართველ მეურნეთა ის ღრმა ცოდნა-გაბოცდილება, რომელიც მეხილეობაში ნერგისათვის ნიადაგის შერჩევასთან ერთად თვით მისი დარგვის წესში მდგომარეობს. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს გადასარგავი ნერგისათვის ნიშნის დადების ხალხური თავისებურებანი, რათა ნერგის გადარგვისას ძველი ნადგომი მხარე არ შეცვლოდათ. გადასარგავი ნერგისათვის პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებასთან ერთად გამოცდილი მეურნეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მზის გულის ანუ „მზვარე ადგილისა და ჩრდილის“ ნარგავს, რათა მისთვის შესაფერისი ადგილი მიეჩანით, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული ნერგის კარგად „დახარება და გაზრდა“.

ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს. რომ ნერგის ის მხარე, რომელსაც მზის სხივები უფრო ფართოდ ხვდება გამოირჩევა თავისი შეფერილობით—ყერძოდ მეტი სისუფთავითა და მოწითალო ფერით. იგივე ითქმის ფესვთა სისტემაზეც, რომ თითქოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან შედარებით უფრო კარგად განვითარებული აქვს ხოლმეო. გადასარგავი ბაყილოს ამ ნამყენისათვის „ძველი ნადგომის“ სახით დარგვის მიზნით ყოფაში ხშირად მიმართავდნენ ტოტებზე და ფესვებზე ნიშნის დადების წესს, ხოლო გამოცდილი მეურნეები ნერგის პირვანდელ მხარეს მისი საერთო მოყვანილობის ფორმითაც გებულობდნენ. თუ ნერგი ოდნავ წაწვენილი ფორმით იქნებოდა ნახარდი მაშინ იტყოდნენ, „ეს ქვენა ქარის მხარეა ან ზენა ქარისა“-ო და ა. შ. ხოლო რომელი ქარი უფრო ძლიერად და ხშირად ქროდა ამა თუ იმ ადგილას, ეს რა თქმა უნდა კარგად იცოდა ადგილობრივმა მოსახლეობამ.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა პანკისის ხეობაში მ. გეგეშიძის მიერ დამოწმებული წესი, სადაც ტყიდან გადმოსარგავ ხორჩ ნერგს ადგილობრივი მოსახლეობა ამოღებამდე ნახშირით უბრალოდ ნიშანს დაადებდა, რომ დაემახსოვრებინათ მზის მხარე რომელი იყო და დარგვისას ხე ძველ ნადგომზე მოეხვეღრებინათ[12]. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ

[12] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 176.

ბაყილოებით ხეხილის მოშინაურება-მომრავლებას სათანადო პირობების მქონე საქართველოს ყველა ადგილებში მისდევდნენ და როგორც ველზე შეკრეფილი ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს რიგ სოფლებში: კოშკა, ტირძნისი, ტყვიავი (გორის რაიონი), ღვევი (თეთრი წყაროს რაიონი), ზენუბანი, ჭართალი (დუშეთის რაიონი), ბაყილოების ჩამომტანი მოხელეებიც დგინდება. მოხელეებს ტყიური ნეოგები სოფლებში ჩამოჰქონდათ ძირითადად წინასწარ დაკვეთით, რომელშიაც ღებულობდნენ, როგორც ფულს, ისე ჭირნაღულსა და პროდუქტსაო (მთხრ. ანტონ მეცხვარიაშვილი, გორის რაონი, ს. კოშკა, 1958 წ.).

ხეხილის მოშინაურებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის ძველი ხალხური რწმენა-წარმოდგენები, რაც ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ ჩვენს დრომდე შემოინახა. ხალხის დაკვირვებით ბაყილოს ამოღება და მისი დარგვა ახალ მთვარეზე მიუღებელია, რომლის მოსატანად სახლიდან გასვლისას კაცი ისე უნდა წასულიყო, რომ ცუდი თვალი არა სცემოდა. მთხრობელთა ერთი ნაწილის აზრით კი ახალ მთვარეზე მხოლოდ დარგვა შეიძლება, რადგანაც ეფრო კარგ ფესვებს გაიტანს და მთვარესავით ივსებაო (მთხრ. შაქრო მარკოზაშვილი, გორის რ-ნი სოფ. დიცი,75 წ. 1959 წ.).

ხეხილის მოშინაურება-გამრავლების მიზნით ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ფართოდ იყენებდნენ ე. წ. გამორჩევისა და ტყის გაკაფვის წესებს.

აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღესაც გვხვდება განმარტოებით, ამა თუ იმ ადგილას მდგარი კარგად მოზრდილი მსხმოიარე მაყალოს, პანტის ან სხვა გარეული ხილის ხეები, რომელზედაც დაინტერესებული ადამიანის ხელით დამყნილია კულტურული ჯიშები. ბევრი მათგანი კი დაუმყნელიცაა, რადგანაც კარგი ნაყოფის მომცემი ბუნებრივი თესლნერგი ხშირად გვხვდება საჩეხ ჭალებში და ბოლოს სრულიად მივარდნილ ადგილებშიც კი.

დაკვირვებული მეურნე, როდესაც შეამჩნევს უადგილო ადგილას ამოსულ ბუნებრივ თესლნერგს, მას გულმოდგინეთ დაათვალიერებს, თუ ჯაგებშია „შემოატიტვლებს“ და სათანადოდ გასხლავს. ამის შემდეგ შემოუბარავს, გაანოყიერებს, იმ შემთხვევაში თუ უსწორ-მასწორო ნაზარდია სარის მიდგმითა და ზედ მიბმით „აწვრთნის“ და ასე იწყება მისი თანდათანობით გაშინაურება-გაკეთილშობილება, რომელსაც ჩვენ „გამორჩევითი“ წესით ვიხსენიებთ.

ყოველივე ამის შემდეგ მას უვლის ისევე, როგორც სხვა კულტურულ ჯიშს და ხშირად უფრო მეტი დაინტერესებითაც. რადგანაც მან გამოცდილებიდან იცის, რომ ბაყილო ბევრჯერ საუკეთესო ხი-

ლის მომცემია და დამყნას აღარ საჭიროებს. როგორც მთხრ. ბესტა-ვაშვილი გადმოგვცემს (გორის რ-ნი, სოფ. ხიდისთავი) „ბევრჯერ შაგალითად მაჟალო პანტა, თესლზე ამოსული ატამი და სხვა ისეთ კარგ ნაყოფს იძლევა, რომ ნამყენისაგან ვერ გამოირჩევა. რაც მთავარია კარგი მოყვანილობის ძირი იზრდება და გაჭირვებას უფრო კარგად იტანს"-ო. ნ. კეცხოველის მტკიცებით მაგ. თესლზე ამოსული „გოგიაანთ კიტრა" (ს. ტყვიავში), „ნისკარტა" (ს. კარალეთში) შეიმჩნა ამ 50—60 წ. წინ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება შოვიყვანოთ ერთ-ერთი მთხრობელის აზრი ვაშლის—„კეხურას" გაჩენა-მოშინაურების შესახებ. ცხინვალის რაიონის სოფ. კეხვში მცხ. სანდრო იოსების ძე ზანგალაძის გადმოცემით „სოფელს ხევი კეხურა ჩამოუდის, რომელიც სათავეს დედაღვთის ეკლესიისაგან ღებულობს და როგორც ვიცი იმ ხევის წყალს ჩამოუტანია ვაშლის თესლი, საიდანაც აღნიშნული ვაშლი გამრავლებულა-ო"[13].

ხალხის დაკვირვებით, გარეული ნერგის სიძლიერე და ამტანიანობა, მის „ყვერა" ფესვზეა დამოკიდებული, რომელიც დაკუნძული სახით ძირის შუა ადგილას სწორი მიმართულებით ეზრდება.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად ხეხილის მოშინაურება-გავრცელების საქმეში ერთ-ერთ ორიგინალურ ხერხს წარმოადგენს ტყის ანუ ველის გაკაფვა-ამოძირკვა.

ახოს აღების წესით მიწის დამუშავება-ათვისება, რომელსაც ჩვენ წინა თავში ნაწილობრივ შეეხეთ. მსოფლიოს თითქმის ყველა მიწისმოქმედ ხალხს ძველთაგანვე უნდა სცოდნოდა. ხოლო რაც შეეხება მისი აღება-დამუშავების ხერხებს, იგი სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ხასიათის მატარებელია, რაც გამოწვეული უნდა იყოს გეოგრაფიული პირობებით, ამა თუ იმ კულტურის თავისებურებებით და სხვა.

ამის გამო „საქართველოს რთული და მრავალმხრივი სამიწათმოქმედო კულტურა იცნობს მიწათმოქმედების შემდეგ სისტემებს: ახოს აღების, აჩეჩვის, ბელტის გადაბრუნებისა და ღრმად ხვნას. მათ შეესატყვისება გარკვეული სახის იარაღები: ახოს აღების სისტემისათვის—თოხ-წერაქვები, კავწვერა. სახვნელი: აჩეჩვისათვის — ქართული, ფშაური და რაჭული აჩაჩა ბელტის გადაბრუნებისათვის—ჯილღა-გოგორა. ერქვანი და ღრმა ხვნისათვის ფამფალაკიანი

---

[13] გ. გასიტაშვილი, დიდი ლიხეთის ხეობაში მიელინების ანგარიში, ხელნაწერი, 1961.

დიდი გუთანი. ამის გარდა ახოს აღების სისტემა გულისხმობს ნიადაგის დამუშავებას ვაწერის წესით"[14].

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ტყის გაკაფვის წესებიდან, რომელსაც ახოსათვის მიმართავდნენ, საყურადღებოა „შეუვერვის" მეთოდი. როგორც პროფ. გ. ჩიტაია აღნიშნავს—ძველად რაჭაში ახოს აღება შემდეგნაირად სცოდნიათ: „მოახოების მიზნით წინ-წინ ხეებს შეუვერავდნენ, კანს გააცლიდნენ, შეუვერილ ხეებს გახმობის შემდეგ გადაწვავდნენ ხოლმე, ფერფლსა და ნაცარს იყენებდნენ საპოხად"[15].

ხეხილის მოშინაურების მიზნით აღმ. საქართველოს სინამდვილეში ბევრჯერ ტყისა და ჭალის გატეხვასაც აწარმოებდნენ. ამ მიზნით გამოცდილი მეურნეები ურჩევდნენ, როგორც კარგი ნიადაგის, ისე ბაყილოებით მდიდარ ადგილებს.

მიწისმოქმედების ახოს გატეხვის სისტემა ყველაზე შრომატევადი სამუშაოა, სადაც ცეცხლის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აადვილებდა მუშაობას, ანოყიერებდა ნიადაგს და წლების განმავლობაში წმენდდა სხვადასხვა სარეველა მცენარეულობისაგან.

ახოს გატეხვისას, რომელიც საქართველოს რიგ რაიონებში, ძირითადად ხვნა-თესვის მიზნით ხდებოდა, ფართოდ მიმართავდნენ ცეცხლის გამოყენებას. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მენახშირეების მიერ ტყის გაკაფვა. მენახშირეობამ გასული საუკუნის მიწურულიდან განსაკუთრებით თბილისის მიდამოებში, გაანადგურა ტყის დიდი მასივები, რასაც მოყვა ისეთი გარეული ხილის გაკაფვა როგორიც იყო: ტყემალი, შინდი, ზღმარტლი,კვრინჩხი, კოწასური, ჯანველი და სხვა. ისინი (მენახშირეები), რომელნიც ამავე დროს მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, ამისათვის ტყის გაკაფვის შემდეგ დარჩენილ ჯირკებსა და კუნძებს ცეცხლს უკიდებდნენ, რომელიც ფესვებინად იწოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაკაფვადაწვის პროცესში აკრძალული იყო საერთოდ ხეხილის და განსაკუთრებით კი პანტისა და მაჟალოს მოჭრა-დაზიანება (აღსანიშნავია, რომ ამ წესს, მხოლოდ ადგილობრივი მენახშირეები თუ იცავდნენ ხოლმე), რის გამოც დღესაც აშკარად შეიმჩნევა სახნავ-სათესში გაღანტულად მდგარი პანტის ან მაჟალოს დიდრონი ხეები (თეთრი-

---

[14] G. Čitaja, Hackenbau in Westlichen Georgien (Kolchis), Agrarethnographie, Berlin, 1957, გვ. გვ. 83, 87.

[15] გ. ჩ ი ტ ა ი ა. რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, I თბილისი, 1937, გვ. 174.

წყაროს რაიონი სოფ. პანტიანი, ორბეთი, დრე, ზირბითი, ვანეთი და სხვა), ხოლო სოფ. პანტიანში ძველთაგანვე მომდინარეობს პანტის სპეციალური ბაღები.

აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გარეული ხილის მოშინაურების მიზნით ტყის გაკაფვა-ამოძირკვას იწყებენ ჯერ გადაჩეხვის, ხოლო შემდეგ დარჩენილი ტოტებ-ლატანების გამოზიდვით. მთხრობელთა გადმოცემით, ტოტების წინასწარი გადაკაფვა საჭირო იყო იმდენად, რამდენადაც ხეს, წაქცევისას არ დაეტანა სასურველი ბაყილოები.

ფართობის ამგვარი გასუფთავების შემდეგ, სადაც ხშირად ამოუძირკავ კუნძებს ხელუხლებლადაც ტოვებდნენ, დარჩენილ ბაყილოებს „წვრთნიდნენ" (გასხლავდნენ, სარს მიუდგამდნენ, მიაკრავდნენ), დაბარავდნენ და ფეხის მოსავალს მოიყვანდნენ. ახლად გატეხილ ფართობში დარჩენილ ძირკვებს გზადაგზა ზემოთ აღნიშნული ცეცხლის ჩანთების წესით ამოსწვავდნენ ან დალპობის შემდეგ ცულით ამოყრიდნენ და მთლიანად გასუფთავებდნენ. თანდათანობითი მოახლოების აღნიშნულ ხერხს ხეხილის გამრავლება-მოშინაურების თვალსაზრისით ძირითადად სოფლის ახლო-მახლო ჭალებისა და ტყეების გაკაფვისას მიმართავდნენ, სადაც ბაყილოები სათანადო რაოდენობით იქნებოდა შენჩნეული.

აკად. ნ. კეცხოველი თავის კამოკვლევებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მცენარეთა გაკულტურების ძველ ხალხურ წესებს, რომელსაც დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მოვიყვანთ ერთ ასეთ მაგალითს: „ფოლადაურის ხეობაში (ზურტაკეტის მთების კალთები), ალგეთის ხეობაში, ქციის ხეობაში, თეთრიწყაროსთან. თუნდაც სოფ. სამღერეთის მიდამოებში და სხვაგან წიფლნარ-რცხილნარებში საკმაოდ ფრავლადაა გავრცელებული ველური ხილეული, უმთავრესად კი ვაშლი (მაჟალო), მსხალი (პანტა), ტყემალი, ზღმარტლი, ბალამწარა, აუნელი და სხვა მისთანანი, რომელნიც მრავალ ადგილას ქმნიან ტყე-ბაღებს. ეს პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: როდესაც ტყეს ჩეხავენ და ძირკვავენ, პირველ ხანებში ტოვებენ ყოველგვარ ხილეულს—უმთავრესად კი ვაშლს, პანტას, ტყემალს, ბალამწარას და ზღმარტლს. ამის შემდეგ ვიღებთ ბაღნარს, სადაც ხეები ურთიერთისაგან დაცილებულია 20—30 მეტრით. გაახოვებული ადგილი იხვნება ან იბარება და ითესება—პირველ ორ-სამ წელს კარტოფი-

ლი, შემდეგ კი ხორბლეული"[16]. ეს არის მცენარის გაკულტურების პირველი საფეხური, რომელიც უშუალოდ მაყალოსა და პანტის მოშინაურებას ეხება.

„მეორე ეტაპია—დარჩენილი ხილეულის პირველადი გადარჩევა. 2-3 წლის შემდეგ იჩეხება ისეთი ხეები, რომელნიც მწკლარტე და მწარე ნაყოფს იძლევა. ზღმარტლი „ბაღის" შუა ნაწილში იჩეხება და იძირკვება, მას მხოლოდ „ბაღის" ნაპირებზე ტოვებენ. ბალამწარა ჩვეულებრივად ან მთლიანად იჩეხება, ანდა რჩება მხოლოდ თითო-ოროლა ისეთი ხე, რომელსაც ნაყოფი შედარებით ტკბილი აქვს (ასეთი გვხვდება, მაგრამ იშვიათად). ტყემალი უმეტეს შემთხვევაში რჩება. რადგან განსაკუთრებით ხეებისაგან განთავისუფლების შემდეგ, ბარაქიანი მსხმოიარობა იცის.

მესამე ეტაპია—მეორე გადარჩევის შემდეგ დაკვირვება და ხეების შერჩევა ნაყოფის სილამაზის, გემოსა და გამძლეობის უნარის მიხედვით. ამგვარად მთავრდება ტყიდან ბაღის შექმნა, თუმცა შემდეგში მისი გაუმჯობესება მაინც წარმოებს. ისეთი ხეები, რომელთაც ნაკლები სილამაზისა და გემოს ნაყოფი აქვთ, იბელება და ძათზე ემყნობა შესაფერი ჯიშის მცენარის კვირტი ან კალამი"[17].

დასახელებული ლიტერატურიდან ნათლად ჩანს ხალხური ცოდნა-გამოცდილებანი „ტყე-ბაღების" შექმნის ირგვლივ, რომელსაც თავისი განვითარების სამი ეტაპი აქვს გავლილი და კიდევ წარმოებს მისი გაუმჯობესება მოშინაურების ცდები, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით.

მეხილეთა დაკვირვებით. ჭალების ხშირი ჩეხვა, რომელსაც ყოფაში 2-3 წელიწადში ერთხელ მიმართავდნენ (ფიჩხისა და სარის ასაღებად) ბუნებრივ თესლნერგს საშუალებას აძლევდა კარგი ზრდა-განვითარებისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო ყოფაში ხშირად ვხვდებით ჭალის ან ტყის პირებში კარგად მოვლილ-მოშინაურებულ ხეხილის ბაღებს. მათ შორის ვაშლნარების, სხალნარების, შინდნარების, თხილნარებისა და სხვათა მასივებს, როგორც გაკაფულ, ისე გაუკაფავ ტყეებში, რომელიც კარგად ჩანს ძველ ლიტერატურულ წყაროებიდანაც (ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"). ზემოთ აღნიშნული წესებით დატოვებული ანუ, მოშინაურებული ხეხილის პროცესები, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია კარგად შეუწიშნავს ოცდაათიოდე წლის წინათ ცნობილ ბოტანიკოსს ვინოგრადოვ-ნიკიტინსაც, რომლის სიტყვითაც „ამგვარ ვე-

---

[16] ნ. კეცხოველი. დასახ. შრომა. გვ. 153.

[17] იქვე. გვ. 153—154.

ლურ ნარგავებს უკავია რამოდენიმე ათეული ჰექტარი და მეორე სართულის სახითაა წარმოდგენილი ფოთლოვანი ან წიწვნარი მცენარეების ნარგავებში. მაგ., ბაკურიანისა და ციხის-ჯვრის მიდამოებში ცნობილი ყოფილა ნაძვნარის დიდი ტყეები მსხლის მეორე სართულებით"[18]. ეს პროცესი, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, კარგად წარმოგვიდგება დღესაც ვერისა და ალგეთის ხეობებში.

ყოველივე აღნიშნული ხალხური მეთოდებით დასარეპულ ხილს, ტყიური მდგომარეობიდან მისი ჩამოტანა-გადარგვისა და მოვლის მეშვეობით თავისი განვითარების გზა აქვს გავლილი. მას ნაწილობრივ დაკარგული აქვს ველური თვისებები და გაკულტურების გარდამავალ პერიოდში გვევლინება. ხალხის დაკვირვებით ეკლიანს საკმაოდ ეკარგება ეკალი, ზრდას ისრულებს, ნაყოფს იმსხვილებს და კარგ შეფერილობას იღებს. გემოსაც შედარებით იწვენდავს და სწორადაც იზრდება. ამის დამადასტურებელია ყოფაში ხმარებული რიგი ტერმინების არსებობა: „ბაღის მაჟალო", „მსხალპანტა". „ბაღური შვინდი", „ბაღური ზღმარტლი" და სხვა, რომელნიც აშკარად განსხვავდებიან ამავე ველური ჯიშების მოუვლელ სახეობებიდან.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული წესებით მიღებული ხეხილის ახალი ან უცნობი ჯიშები აღმ. საქართველოს სინამდვილეში ცნობილია მისი მომშინაურებლის ან გამმრავლებლის სახელწოდებით. მაგ. მაჟალოსაგან მიღებული სახეობებიდან აღსანიშნავია ქართლში გავრცელებული ისეთი სახელწოდებები როგორიცაა: „სოფოს ვაშლი", „ილას ვაშლი", ანუ ბაჟალო. „გენოს მაჟალო" და სხვა. სადაც ამა თუ იმ აღამიანის სახელი მხოლოდ კუთვნილებას კი არ აღნიშნავს, არამედ გარკვეული ჯიშის ვაშლსაც. ყოფაში ვხვდებით ისეთ მაგალითებსაც, როცა ამა თუ იმ ვაშლის ჯიში ატარებს სახელს იმ კაცისას ვინც იგი პირველმა მოიტანა და დანერგა ადგილზე, ან ერთ რომელიმე ადგილიდანაა გაცენებულ-გამრავლებული. მაგალითად: „კუდიანის კრინკა", „გოგიანთ კრინკა", „ოტორინე", „კეხურა". „ზერტულა". „მერეთული", „ხანდაკურა" და სხვა. ასევე ითქმის სხვა ხილეულზეც მაგ. ატამი „ბესტავაშვილი", „ხიდისთაური", „წედისური". „გორული", „ხირსული" და ა. შ.

---

[18] П. Виноградов-Никитин, Плодовые и пищевые деревья лесов Закавказья, Ленинград, 1929, გვ. 88—89.

მ ყ ნ ო ბ ა. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ბაყილოს ჩამოტანის შემდეგ, თუ ის სათანადო ნაყოფს არ მისცემდა მეურნეს, მაინ მას იყენებდა საძირედ, რომელზედაც კვირტით ან კალმით საურველ ხილს დაამყნიდა. ბაყილოს საძირედ გამოყენება ოდითგანვე მომდინარეობს, რომელიც ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ დღეანდლამდე შემოგვინახა და სათანადო სამსახური გაუწია მეხილეობაში აგრო-მეურნეობის განვითარების საქმეს. ახალი ხეხილის გამოყვანის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ბაყილოს თვისებებზეც არის დამოკიდებული, რომელსაც ყოფაში სხვადასხვა ზემოთ ხსენებული მიზეზებით სსნიან.

მყნობის საქმეში ბაყილოს ფართო გამოყენებაზე მიუთითებს ეგევსკის ცნობაც რომელიც აღნიშნავს: „საქართველოში ხეხილის ნასაშენებლად ტყეში თხრიან ახალგაზრდა ხეებს და რგავენ ჩვეულებრივად. გადარგულ საძირეს დარგვიდან მეორე წელს ამყნიან ბიწიდან 4-6 ვერშოკის სიმაღლეზე ან 1 1/2 არშინზე". მისივე ცნობით, დამყნას აწარმოებენ აგრეთვე გადაურგავ გარეულ საძირეზეც [19].

ხეხილის გაუმჯობესება-გამოყვანის საქმეში ცნობილია მყნობის მრავალგვარი ხერხი, რომელთაც კაცობრიობა ჩვენს ერამდე ექვსი ათასი წლის წინათ იყენებდა.[20] მყნობა რომ ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველესი დროიდან კარგად ჩანს რიგი ისტორიული ცნობებიდანაც. ბერძენ მწერალს ე. ი. მოლპუსს ათენში და კატონს რომში სცოდნიათ და აუწერიათ მყნობის რამდენიმე ხერხი; ხოლო პარიზის ბოტანიკური ბაღის ყოფილ დირექტორს ტუენს გასული საუკუნის ოციან წლებში აუწერია ყველა სხვადასხვა წესით მყნობის ხერხები, რომელიც ორასზე მეტს შეადგენდა. ყველა ეს მეთოდები ბას სამ მთავარ ჯგუფად ჰქონია დაყოფილი: მიდებით, კვირტით და კალმით[21].

პლინიუსის ცნობით ჩვ. წ. აღრიცხვის I საუკუნეში იტალიელმა მებაღეებმა იცოდნენ მყნობის ყველა ხერხი, რომელიც ეხლაც გამოიყენება[22]. აღსანიშნავია, რომ ცნობილი რუსი მეცნიერის ჟუკოვსკის ცნობით ხმელთაშუეთში ელინებზე უფრო ადრე მყნობა, სცოდნიათ ბასკებს, რომელთაც უსწავლიათ იბერებისაგან. რადგანაც

---

[19] В. Геевский, დასახ. შრომა, გვ. 35.

[20] ნ. ხ ო მ ი ზ ო ურ ა შ ვ ი ლ ი. ელ. ე რ ი ს თ ა ვ ი. საქართველოს ხილი, თბილისი.

[21] Э. О. Рего, Руководство к изучению садоводства и огородничества, Санкт-Петербург, 1875, გვ. 88.

[22] М. Е. Сергеенко, დასახ. შრომა, გვ. 103.

არის ვარაუდი, რომ ბასკები კავკასიასთან უნდა იყვნენ თავისი წარ-
სულით დაკავშირებულნი, შესაძლებელია მათ იქიდან შეისწავ-
ლესო. ხოლო საერთოდ მყნობის სამშობლოდ ავტორი კავკასიას
ცნობს[24].

ქართული წყაროების სიმცირის გამო, როგორც ივ. ჯავახიშვი-
ლი აღნიშნავს, XI — XII საუკუნეებში მაინც მყნობა ქარ-
თველ სოფლის მეურნეებს უნდა სცოდნოდათ[24]. რაც XII ს.
ჯრუჭის ოთხთავის მხატვრობამაც შემოგვინახა, რომელზედაც ვაზის
მყნობის პროცესია მოცემული[25].

ტერმინი „მყნა“ ძველ ქართულში იმავე სახელწოდებითა და
ნიშვნელობით ყოფილა ხმარებული, რომელზედაც სულხან საბა
ორბელიანი აღნიშნავდა: „მყნა—სიტა ხეს სხვასა შეკბას“-ო. ხოლო
ანსვენებული აკად. ი. ჯავახიშვილი „ყანობირს“ მყნობისაგან ნა-
წარმოებად მიიჩნევს. მისი მტკიცებით მყნობა ძველ ქართულში
„დამყნობა“-ს, დამაგრებას უღრის, სადაც წმინდა ნინოს შატბერ-
დისეულ ცხოვრებას იმოწმებს: „დადგა ხარისხსა ზედა თვსსა და და-
ემყნა ხეთა შეუხებლად კაცთაგან“[26]. ამასთან ერთად დასმული სა-
კითხის ირგვლივ ივ. ჯავახიშვილი საყურადღებო გარემოებად მიიჩ-
ნევს ისეთ მეგრულ ტერმინებს, როგორიცაა: დაყნირი, ჯიმაყონი-
რი„ნახევარძმა (ნამდვილად ძმად მყნობილი) და დიდაყონირი—
დედინაცვალი (ნამდვილად დედამყნობილი) მამაყონირი—მამინაც-
ვალი (ნამრავალად მამადმყნობილი) და სხვა[27].

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია
ხეხილის მყნობა-გამრავლების უამრავი ხალხური ხერხები და მეთო-
დები, რომელთაგან ჩვენ შეეხებით „ჩხირით“ ანუ -ეწრით“
ხყნობის წესს.

გამოცდილმა მებაღემ მემკვიდრეობიდან იცის, რომ ბაყილოს
თავისი ჯურის მიხედვით, უნდა „შეერჩეს“ გასამრავლებლად გან-
კუთვნილი ესა თუ ის ხეხილი. ხეხილი, რომ უეჭველად თავისივე
სახეობის ან მონათესავე სახეობაზე უნდა დაემყნოს ეს კარგად ჩანს
ძველი ხალხური გამოთქმიდანაც:

„შენ ვერ ამყნობ ხესა ხეზე,
თუ არ არის გვარი მისი“ (მთხრ. ვ. ბესტაევაშვილი).

---

[23] П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Москва, 1950, стр. 306.

[24] ივ. ჯავახიშვილი, ხელნაწ. ფონდი. № 11, გვ. 34.

[25] ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტორია, წ. II, გვ. 530.

[26] ივ. ჯავახიშვილი, ხელნაწ. ფონდი, № 11 გვ. 35.

[27] იქვე, გვ 36.

ვიდრე უშუალოდ მყნობის წესების შესწავლაზე გადავიდოდეთ ბოკლად გავეცნოთ სამყნელად განკუთვნილი „კეწრის“ შერჩევის, გამოზამთრებისა და შენახვის ხალხურ მეთოდებს.

კეწერი ძველადვე ხის ტოტის წვერის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. რომელიც საბას განმარტებით „ხეთა რტოთა წინა მწუერვალს ნიშნავს“.

დაინტერესებული მეურნე იმის მიხედვით. თუ რომელი ხილი წელიწადის რა დროს საჭიროებს მყნობას, წინასწარ შეგულულ ხეზე აკრის კეწერს. ძირითადად მისი აკრა წარმოებს ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომაზე. ხოლო გამონაკლის შემთხვევაში ე. ი. როდესაც კეწერი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანას არ ითხოულობს და იქვე უნდა იმყნოს, მაშინ მას აკრისთანავე დაამყნიან. კეწრის აკრა ხდება მჭრელი დანით. „წალდუნით“ ან სასხლავი მაკრატელით, რომელსაც სათანადო შერჩევა ესაჭიროება. ხალხის დაკვირვებით, სანამყენე კეწერი უნდა იყოს დასრულებული „მაძღარი“ და „მუშა კვირტის“ მქონე და არა „აწრიოკებული“. ძალიან თამამი, იგი უნდა შეიჭრას ძალიან ფრთხილად, ხის გარეთა და უფრო სამხრეთის მხარეზე, რადგანაც ამგვარი კეწერი ხეს მეტწილად იქ ეზრდება ხოლმე.

ზემოთ აღნიშნული წესების დაცვით შერჩეულ კეწრებს ინახავენ ბნელსა და ნესტიან ადგილებში—სარდაფებში, რომელთაც ცოცხლად შენახვის მიზნით ჩაარჭობენ სილამიწაში, ხოლო ჩვეულებრივი მიწის დაყრისას კი დროდადრო წყალს მოასხურებენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კეწრის ცოცხლად შენახვის მიზნით ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანისა და მყნობის პროცესშიაც კი გამოცდილი მეურნე მას თავისივე ნაყოფში ან რაიმე ბოსტნეულშიც არჭობს—ინახავს.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ კარგი ხეხილის გამოსაზრდელად გარდა საძირის შერჩევა-გამოყვანისა აუცილებელ პირობას კეწრის შერჩევაც წარმოადგენს. ამის გამო მეხილეები მოსავლის დაჩქარების ან ხეხილისათვის კარგი ზრდა-დასრულებისათვის არჩევენ ე. წ. „ახალსა“ „ძველს“, „თამამსა“ და „მუშა“ კეწრებს. მთხრ. გიგა მიხეილის ძე ჯოხარიძის (სიღნაღის რაიონი, სოფ. საქობო, 75 წ, 1959 წ.) სიტყვით „თუ ახალი ნაზარდი—თამამი კეწრით დაიმყნობოდა, მაშინ ნამყენი ესე 12-15 წელზე ადრე არ მოგვცემდა მოსავალს, ხოლო ძველი—მუშა კენწრით დამყნილი 7-10 წლიდან სხმაში შედიოდა“. ხალხის დაკვირვებით უმჯობესია ახალი-თამამი კეწრით მყნობა, რადგანაც ის დიდი ტანის ნამყენი იზრდება და გვიან მოსხმას არა მარტო ფარავს არამედ აჭარბებს კიდევაც.

ჩვენ მიერ დამოწმებული მყნობის სხვადასხვა ხერხებიდან საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხეხილის გამრავლებისა-თვის გამოიყენებენ მიზნით ძირითადად კეწრითა და კვირტით მყნობის წესებს მიმართავდნენ. კეწრით მყნობის ეს ძველი ხალხური წესი საქართველოს რიგ კუთხეებში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი. მაგ. ქართლში იტყვიან: ჩხირით და კალმით, რაჭაში კინწით, ქიზიყში კაწრით, კალმით, ხოლო საინგილოში და მესხეთში კალმით მყნობას და სხვა. ამასთან აღსანიშნავია, რომ თვითმცდელი მეურნე-მებაღეები მყნობისას სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ, რაც სათანადო საგოზავების მრავალფეროვნებაში და შეკვრის თავისებურ წესებში მდგომარეობდა, რაზედაც ჩვენ საგანგებოდ გვექნება საუბარი.

როგორც ცნობილია ხილეულს თავისი თვისებების მიხედვით მყნობისას სათანადო ვადები და დრო გააჩნია. იგი ძირითადად სრულდება შემოდგომა-გაზაფხულობით, თუ გამონაკლისად არ ჩავთვლით ზაფხულობით კვირტით მყნობის წესს, რომელიც თვით ხილის სიმწიფის დროსაც შეიძლება.

კეწრით ანუ ჩხირით მყნობისას საჭიროა: სასხლავი ხერხი, დანა, ხის ჩხირი, წვრილი წნელი ან ბაწარი, სუფთა თივა, ხავსი, ტილო ან თელის ქერქი და საგოზავი. მეხილეთა გადმოცემით კეწრით მყნობის ეფექტიურობა იმაშია, რომ ის ნაკლებად ცდება, რადგანაც რამდენიმე ჩხირიდან ერთი მაინც იხარებს და ამავე დროს მოსახერხებელია დიდრონი ხეების დამყნისას.

გარდა იმისა, რომ გამოცდილი მებაღეები ერიდებოდნენ სიცხესა და ავდარში ხეხილის დამყნას, ხალხის დაკვირვებით ნამყენი არ შეიძლება გაკეთდეს ახლად ამოსული მთვარის პერიოდშიც. მათი რწმენით ახალ მთვარეზე დამყნილი ჩხირი ან კვირტი ვერ იხეირებს და კიდევაც რომ იხეიროს შემდგომში მაინც დაშიანდებაო. ამავე მიზეზის გამო ახალ მთვარეზე თვით სანამყნე კეწრის აპრასაც არ ერიდებიან ხოლმე.

უნდა აღინიშნოს, რომ მყნობის ან ჩხირის აპრის პერიოდში მთვარეზე დაკვირვებას მებაღეები ოდითგანვე მიმართავდნენ, რომლის პარალელებს ძველი იტალიელი მებაღეების ცოდნა-გამოცდილებაშიც ვპოულობთ. მაგ. კატონის ცნობით გამონაკლის შემთხვევაში «Следует прививать в новолуние после полудня, когда нет южного ветра»[28].

---

[28] Катон, Варрон, Колумелла, Плиний, О сельском хозяйстве, Москва, 1957, стр. 114.

როდესაც ყოფაში დიდრონი საძირის დამყნა სურდათ პირველ რიგში მას ტოტებს გადაუკაფავდნენ, ხოლო შემდეგ სათანადო ადგილას „მომორავდნენ“ ან მსხვილი ტოტების გადაკაფულ ადგილას დასამყნობად გაამზადებდნენ. მეხილეთა გადმოცემით, მსხვილი ტოტების გადაუკაფავად გადახერხვა მიუღებელია, რადგანაც მთლიანად მოხერხვამდე გადავარდება და ნაწიბურს გაიყოლებს—ჩამოიხლიჩება. ხოლო მაჯის სიმსხომდე საძირეს კი ჩვეულებრივად გადახერხავდნენ, რომელსაც მჭრელი დანით პირს კარგად მოუსუფთავებენ. აღსანიშნავია, რომ დიდრონი ხის „წელზე“ მყნობა არ შეიძლება, რადგანაც ქერქი გახევებული აქვს მყნობაც ძნელია და ძნელადაც გვარობს. ამის გამო ყოფაში დიდრონ ხეებზე ნამყენის გაკეთებისას რჩეობენ დატოტვილი ადგილიდან მტკაველ-მტკაველ ნახევარი სიმაღლით გადაკაფვასა და დამყნობას. ამ შემთხვევაში ნამყენს რამდენიმე ტოტზე აკეთებენ და იმის მიხედვით თუ ის რა სიმსხოსია, იმდენსავე ჩხირს დაამყნიან. დაკვირვებიდან იციან, რომ ჩხირით მყნობისას უმჯობესია „თითის“ ან „მაჯის სიმსხო“ საძინე, რადგანაც ის ადვილად „იდუღებს“ დამყნობისას უფრო ღონივრად იზრდება და არ „ინაკებაო“-ო. სასურველი ხის გადაკაფვა-მომორვის შემდეგ მას მჭრელი დანით შემოასუფთავებენ, აიღებენ წინასწარ გათლილ ჩხირს, რომელიც უმჯობესია იყოს სველი შინდის ხისა და ფრთხილად ჩაატარებენ ქერქსა და გულს შუა. იმის გამო, რომ ჩხირცა არ გახეთქოს ან „ქერცლი“ არ „ჩახვეტოს“, მას უკეთებენ წამახვილებულ წვერს, რომელიც ბრტყელ ფორმას იღებს, ხოლო იმისათვის, რომ ჩხირი ზომაზე ჩაერჭოს გათლისას თავისივე „უბას“ დაუტოვენ, რომელიც მომორილს ეყრდნობა ხოლმე.

მთხრობელთა გადმოცემით „ჩხირი მძიმე-მძიმეთ უნდა ჩაერჭოს, რათა ქერქსა და გულს შუა არსებული ქერცლი ანუ „პერანგი“, (როგორც მას ხშირად უწოდებენ ხოლმე) არ ჩაიხვეტოს ქერცლის ჩახვეტვა“ მათი აზრით, იწვევს ჰაერის ჩადგომას, გაშავებას და ცუდად შედუღებას, რომელსაც ხშირად ჭიაც უჩნდება ხოლმეო. ამის გამო სამყნობ ხელსაწყოს—ჩხირს ისე გათლიდნენ, რომ უბის მხარეს ბრტყელი, ხოლო გარედან ოვალური ფორმა ჰქონებოდა მიცეძული. აღნიშნული ჩხირის საერთო სიმსხო ძირითადად ერთია, რადგანაც როგორც მსხვილს, ისე წვრილ საძირეზე თითქმის ერთნაირი კეწრების დამყნობას აწარმოებდნენ, რის გამოც ყოფაში მოხელე სპეციალისტებს, რომელთა პროფესიად მყნობა აურჩევიათ, ძვლის ჩუდმივი ჩხირებიც ჰქონიათ დამუშავებული.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, კეწრით მყნობისას აღნიშნულ ჩხირს განსაკუთრებული როლი უნდა სჭეროდა, რის გა-

მოც ყოფაში გავრცელებული ტერმინი „ჩხირით მყნობა“ შესაძლებელია მისგან იყოს ნაწარმოები.

ამრიგად, სათანადოდ გამზადებულ საძირეში ჩარჭობილ ჩხირს მანამდე იმავე ფორმით გამოთლილ კეწერს არ დაამზადებენ, შიგ ჩატოვებენ, რომლის ამოღების შემდეგ კიდევ უფრო მეტი სიფრთხილით ორ-სამ კვირტზე დაყენებულ კეწერს ჩაურჭობენ. მთხრობელთა ერთი ნაწილის მტკიცებით „წინწინ ჩარჭობა კეწრის გასაკვლევად საზიანოა, რადგანაც კეწრის გამზადებამდე შიგ ჰაერი ხვდება—შრება და შედუღებას აძნელებს, ამის გამო კეწრის გამზადება და ჩხირით გაკვლევა ერთდროულად სჯობიან“-ო.

როგორც ჩხირის გამოთლა-ჩარჭობა ისევე თვით კეწრების შერჩევა-გამზადებას ყოფაში სხვადასხვაგვარად მიმართავენ. მაგ. ზოგიერთი მეხილე სამყნობელად განკუთვნილ კეწერს უტოვებს ერთ კვირტს, ხოლო ნაწილი ორსა და სამსაც კი. მთხრ. ვანო გაბრიელის ძე წიკლაურის (81 წ. სოფ. ზირბითი, თეთრი წყაროს რ-ნი, 1961 წ.) გადმოცემით კეწერს, როდესაც ერთ კვირტს უტოვებთ ის მალეც ხეირობს და თამამიც იზრდება, ხოლო რამდენიმე კვირტის მქონე კი ინაკება-იჩაგრება ხოლმეო. მისივე ა'ხრით „რამოდენიმე კვირტის დატოვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია კარგი, როცა ერთის გაცდენისას მეორე მაინც იხეირებს, ხოლო თუ ყველამ იხეირა დროულად უნდა გადავჭრათ და ერთი ან ორი დაუტოვოთ“-ო. სწორედ ამავე მნიშვნელობით აკეთებენ თვითეულ საძირეზე რამდენიმე ჩხირსაც, სადაც საბოლოოდ ტოვებენ ერთ ან ორ კეწერს.

განსხვავებული ხერხებით ამზადებდნენ აგრეთვე კეწრის თვით წამახვილებულ ნაწილს, რომელსაც ნაწილი მოხელეებისა ყბას უკეთებდა, ნაწილი გეზად ჩაუთლიდა და ისე ჩაურჭობდა. ისევე როგორც მის გარეთა ქერქს ზოგი აცლის და მხოლოდ „გინგლს“ იგივე ქერცლს ანუ „პერანგს“ უტოვებს, ზოგი მთლიანად აშიშვლებს ან სრულებითაც არ აცლის კანს და ა. შ. ჩვენს ხელთ არსებული ენთოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ. რომ ზემოთ აღნიშნული ხერხებიდან ყოფაში ძირითადად კეწერზე ზემოთა კანის გადაცლისა და გინგლის დატოვების მყნობის წესს მიმართავდნენ.

აღსანიშნავია, რომ კეწრის გამზადებისას მოხელე ყურადღებას აქცევს ქვედა კვირტის მდებარეობას. რომელიც სათანადო სიმაღლეზე და გარეთა მხარეზე უნდა იყოს მოქცეული. იმ შემთხვევაში, როდესაც საძირე წვრილია და ჩხირის ჩატარებისას საშიშია ქერქის გასკდომა, მაშინ მას შუაზე გააპობენ, შიგ ორივე მხრიდან ყბაგაკეთებული 1 ან 2 კეწერს ჩაურჭობენ და საგოზავის

წაცხების შემდეგ კარგა მაგრად შეკრავენ. აღნიშნულ წესს ყოფაში გაპობით მყნობასაც უწოდებენ.

მთხრ. მიხა სოლომონის ძე ბეგიაშვილის (სიღნაღის რ-ნის სოფ. ძვ. ანაგა, 1959 წ.) გადმოცემით „მყნობა ორ ჯურად ხდება ტოტით იგრევე კაწრითა და კვირტითა. ტოტსა რამწავ გამააჩნდება კვირტი უკვე ვიგებთ რო მოძრაობს, მაშინ მოვჭრით, მიწაში შავინახავთ ესე ერთ-ორ კვირას, რაკი მაშინვე რო ვამყნოთ დაძრება-დაშრება. შემრე როცა კარგა ჩაუდგება წყალი ე. ი .ლოპოს რომ გაიკეთებს მაშინ ვამყნით კიდევაც. სამყნობი კინწერი რომ ადრევე არ მოვჭრათ იმათაც ეგრევე გამეეწევა კვირტი და აღარ იხეირებს. ამის მერე ქერქსა და გულს გაუპობთ საძირესა, სამყნელი ჩხირით გავფეჩამთ, გათლილ ტოტს-კინწირს ჩავდებთ და ან სანთელს წაუსვამთ ან აყალო ლაფს. ამის მერე შევახვევთ მჩვრითა და ზემოდან წნელ შემოუჭერთ, რომ სიცხემა და წვიმამ არ შიაწუხოს. ორი კვირის შემდეგ შეეტყობა, თუ კვირტი დაიძრა ნახარებია თუ არა და ძიენ ძნელად რო მერე გამოიტანოს". მისივე გადმოცემით „გახეჩვით" მყნობისას ე. ი. როდესაც პატარა-წვრილი საძირეა, მაშინ მას ჯერ დანით დაუმჩნევენ პირს, შემდეგ ხმელი ხის სოლით გაფეჩავენ-გააპობენ აქეთ-იქით ე. ი. ნაპირებში თითო კეწერს ჩაურჭობენ, მერე სოლს ამოიღებენ, ტოტები შიგ დარჩება და ესეც ისევე გადაიხურება—შეიკვრება და მიწით ამოივსება.

ჩხირით მყნობის წესის შესრულებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სათანადო საგოზავების გამზადება-წაცხებას. საგოზავებად განსაკუთრებით გამოიყენებოდა სარო ბალახის ძირისაგან გამონადენი ე. წ. „ლაბა"-წვენი, საქონლის უმარილო ქონი, ფუტკრის სანთელი, ზეთი, საქონლის ნაკელი, თიხა ან აყალო მიწა, ბალახნარევი მიწა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანის: ტალახის, ქვიშისა და ძროხის განაკლის გამოყენებას მყნობის დროს უძველესი დროიდანვე მიმართავდნენ[29].

როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, მყნობისას საგოზავების გამოყენება აუცილებელი პირობათაგანია, რადგანაც ის ხელს უწყობს შედუღების პროცესს—არ უშვებს სიცხეს, „ავდარსა" და სხვა. როგორც მთხ. გაბრო გიორგის ძე წიკლაური (ს. ძვ. ზირბითი, თეთრი წყაროს რაიონი, 1961 წ.) გადმოგვცემს „ნამყენს უფრო ვაკეთებდით კალამით ე. ი. კეწრით, რომლის მყნობისას უეჭველი იყო ფუტკრის სანთლის, ძროხის ქონისა და ზეთის ნარევი, ხოლო

---

[29] იხ. Катон, Варрон, Колумелла, Плиний, დასახ. შრომა, გვ. 114.

შემდეგ საქონლის ნეხვი. სანთელი ამაგრებს, რომ ქონი არ დადნეს, ზეთი სირბილეს აძლევს, რომ არ დასკდეს არც ქონი და არც სანთელი და არ ჩამოცვივდეს. როდესაც საგოზავს ვაკეთებთ ერთი წილი სანთელი, ერთი წილი ქონი და ნახევარი წილი ზეთი უნდა აირიოს ერთმანეთში და აზელილი შემოედოს. საგოზავის შემოდების შერე იმის გამო, რომ ჩიტებმა და თაგვმა არ შეჭამოს ნაჭერს შეაცოვადებთ და ნეხვს ან იგრე მიწას ჩავაყრით, თუ არა და უამისოდაც, როგორი ამინდიც არ უნდა დაუდგეს არ ჩამოცვივა". მისივე აზრით ჩვარის შემოხვევით და შიგ მიწის ჩაყრით ნამყენი კიდევ უფრო გრილდება და კარგად ხარობს.

კარგი, ლამაზი ნამყენის გამოყვანა მეურნეებს სასახელოდ მიაჩნდათ, რომელსაც ხალხი ქალის ტანის სილამაზის გამოსახატავადაც კი იყენებდა:

„ტანადა ჰგვეხარ ნამყენსა,
შუქი გაქვს ნათელ-მზისაო.
აეაქ, შენ ქალო ლამაზო,
ამოსულს ალვის ხისაო"[30]

გ ა დ ა წ ვ ე ნ ა. გადაწვენის წესით, როგორც ცნობილია, ძირითადად ამრავლებენ შემდეგი ჯურის ხილეულს: ლეღვს, ბროწეულს, ეაზს, ხუნწს, ხურტკმელს, თხილს, ჯონჯოლსა და სხვა. თუმცა გამონაკლისად ვსვდებით თითქმის ყოველგვარი ხილეულის აღნიშნული წესით გამრავლების ცდებსაც მაგ. მსხლის, ვაშლის, ატმის, ჭერმის, ტყემლის, ქლიავის, კომშისა და სხვათა გადაწვენასაც.

გადაწვენის ანუ გადაწიდვნის წესით ხეხილის გამრავლება ქართველ მებაღე-მევენახეებს ძველთაგანვე უნდა სცოდნოდათ. ტერმინი წიდნა საბა ორბელიანის განმარტებით ვენახის გარდაფვლას ნიშნავს.

ძველთაგანვე იმ ვაზს, რომლის ტოტსაც გადააწვენდნენ ხოლმე, დედა ვაზი ერქვა და ჰქვია ეხლაც, გადაწვენილს კი წიდნა.[31]. ეს ძველი ქართული ტერმინები — „წიდნა" და „დედა-ვაზი" ჩრდილო კავკასიის ხალხებშიც გვხვდება, რომლებიც ქაროელიდასაა გაღებული „ზიდნა"-ს და „ანავაზი"-ს სახელწოდებით. რადგანაც „ანა" ჩვენურად დედას ქვია მაშასადამე სიტყვა „ანავაზი" დედა-ვაზს წარმოადგენს[32]. რაკი ძველი მევენახეობის ირგვლივ არსებული ისტორიული მასალები მეტყველებს ქართველი ხალხის დიდ სამეურ-

---

[30] თ ა მ ა რ ო ყ რ ო შ ი ძ ე. შრომის სიმღერები. თბილისი. 1961. გვ. 184.

[31] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა. წ. II. გვ. 601.

[32] ვ. ს ი ჯ ი ნ ა ვ ა. მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1960 გვ. 128.

ნეო ცოდნა-გამოცდილებაზე. სადაც მის გასამრავლებლად სხვადასხვა ხერხებთან ერთად ძირითადად გადაწვენის წესიც იქნებოდა ცნობილი, ცხადია ამ ცოდნა-გამოცდილებას სხვა ხილეულის გამრავლების საქმეშიც გარკვეული როლი უნდა ეთამაშა.

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში გადასაწვენათ განკუთვნილ მცენარეს, რომლისთვისაც ეს მოხერხებული იყო, ერთი-ორი წლით ადრე აჩეხავდნენ, რათა თამამი და საკმაო რაოდენობის „ამონახეთქი" გამოეტანა. ამ მიზნით ბუჩქოვანისა და ხახვერად ბუჩქოვანი სეხილის ხეების გადაკაფვის შემდეგ ზემოდან ბელტებსაც მიაყრიდნენ. რომ მზეს არ „დაეწვა" და „თამამი"—ბლომად ამონახეთქი გამოეტანა და ხეც ფესვებით გაღონიერებულიყო.

მთხრობელთა დაკვირვებით გადაწვენის წესით ხეხილის გამრავლება წელიწადის ყოველ დროს შეიძლება. მაგრამ ყველაზე ეფექტურია გაზაფხულზე. ასე, რომ შემოდგომაზე გადაწვენილ ნერგს ზამთრის სიცივე აშინებს და გაზაფხულამდე ფესვის გაკეთებას სულ ერთია ვერ დაიწყებსო.

გადასაწვენად ურჩევენ კარგად მოსულ—თამამსა და ჯანსაღ ყლორტს, რომელსაც მოხერხებული მხრიდან უნდა გასთხროდა 4-5 სტკაველი სიღრმის კვალი, რომლის სიგრძე ნაზარდის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. გადასაწვენ ანუ გადასაწიდნავ ტოტს ფრთხილად დააწვენდნენ. ხის პატარა კაკების ჩარჭობით დაამაგრებდნენ, ზემოდან ოდნავ პატივნარევ ფხვიერ მიწას მიაყრიდნენ და კარგად დასტკეპნიდნენ. ამგვარ წიდნას გადაწვენიდან მეორე-მესამე წლის გაზაფხულზე დედას ჩაუჭრიან-მოაშორებენ და იმავე ან მეორე წელს სასურველ ადგილას გადარგავენ. როგორც ეთნოგრაფიული ცასალებიდან ჩანს ხეხილის უფრო სწრაფად გამრავლების მიზნით, ყოფაში ერთი დიდი ტოტის დაწვენით ერთდროულად რამდენიმე ხარგაკსაც ღებულობდნენ. ჩვენ მიერ დამოწმებული მაგალითებიდან აღსანიშნავია ფერდობ ადგილებზე ხეხილის აღნიშნული წესით გამრავლების ცდები. რაც შემდეგში მდგომარეობდა: ფერდობ ადგილებზე. სადაც დიდრონი ტოტის დაწვენა შედარებით იოლად ხერხდება. რასაც ხელს უწყობს აღმართის მხრიდან ტოტების მიწასთან სიახლოვე და ბევრჯერ ბუნებრივად ტოტების მიწაზე „გართხნა", ხალხი ასეთ ადგილებში შედარებით იოლად ამრავლებდა სასურველ ხეხილს. იმ შემთხვევაში, თუ ვაკე ადგილზე სურდათ ხეხილის დაწვენა, მაშინ სათანადო ტოტი ძირში ოდნავ ჩაჭრას თხოულობდა, რათა უფრო „მოქნილად" დაწოლილიყო. ამის გამო გადასაწვენ ტოტს ურჩევენ შედარებით დაზიანებულსა და ქვემოთა ბხრიდან ნაზარდს. სათანადო ტოტის შერჩევის შემდეგ მის დასწვ-

რივ მებაღე ერთიან ორმოს მოთხრიდა და პატარ-პატარა ყლორტებს ერთმანეთისაგან გაშლილი წესით დაამაგრებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო ყლორტები ერთმანეთთან ახლოს იქნებოდნენ დატოტვილი, მაშინ მათ ძირში გააპობდნენ და ამ წესით ტოტებს ერთმანეთისაგან დააცალცალკევებდნენ.

ისევე, როგორც ვაზის გადაწვენისას ლერწს სარი ესაჭიროებოდა, აქაც დაწვენილი ხეხილის ტოტის კენწეროს სარს მიუდგამდნენ და ზედ აკვრით გაასწორებდნენ. აღნიშნული წესით ხერხდებოდა ე. წ. პატარა „სანერგის" მოწყობა, სადაც ერთდროულად 15-20-მდე ნარგავს ღებულობდნენ, როგორც შინაური ისე ველური ხეხილიდან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გადაწვენის დროს ყოფაში ოდითგანვე დამკვიდრებული და დღევანდლამდე შემორჩენილი წიდნისადმი ხელოვნურად ჭრილობის მიყენება სასარგებლოდ არის მიჩნეული, რომელსაც მებაღეები განსხვავებული ხერხებით აწარმოებდნენ. მებაღეთა ერთი ნაწილი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ჭთავარი ტოტის დაწვენისას ძირში ნახევრობით ჩაჭრის წესს იყენებდნენ, მეორენი თვით პატარა ყლორტზე ქვემოთა მხრიდან კანის ცალით კმაყოფილდებოდნენ, ხოლო დანარჩენნი მისი შუაზე გაპობითა და შიგ პატარა ჩხირის ჩადებით ან მიწის ჩატენვის წესით აწვენდნენ და ისე ამრავლებდნენ სასურველ ნერგებს. მთხრობელთა ადმოცემით წიდნის ამგვარი გაღიზიანება აჩქარებს ფესვების გამოტანას და შედარებით ადრე ხერხდება მისი ჩაჭრა-გადარგვა. გადაწვენის შედარებით ეს რთული ხერხები ყოფაში გამოიყენებოდა უმეტესად ისეთი ხეხილის გამრავლების საქმეში, რომელიც ადვილად ვერ იტანდა წიდნას (ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი და სხვა). სოლო ადვილად გასამრავლებელი ხეხილის დაწიდვნისას არსებობდა ისეთი შედარებით მარტივი წესები, როგორიც იყო. ორმოს გაუოხრელად წიდნაზე ბელტის დაწყობა, დიდრონი ქვის დადება და სხვა.

მთხრობელთა გადმოცემით გადაწვენის წესით გამრავლებული ხეხილი ზუსტად დედის თვისებებს ინარჩუნებს და ძალიან ძნელად სცდება, იგი ადრე იძლევა მოსავალს, თუმცა დიდტანოვანი და გამძლე ხე არ იცის ხოლმეო (ვლადიმერ სოლომონის ძე ნადირაძე 79 წ. სოფ. ვალე, ახალციხის რ-ნი 1961 წ.). ამ მიზნით გამოცდილი მეხილეები ცდილობდნენ, რომ გადაწიდვნა რამდენადაც შესაძლებელი იყო იმდენად ღრმად ეწარმოებინათ. მთხრ. გენო ლუარსაბის ძე ჩიქლაძის (სოფ. ტყვიავი, გორის რ-ნი, 1957 წ.) გადმოცემით—გადა-

წვენით გამრავლება განსაკუთრებით უხდება ვაზს, ხომანდულს, ლეღეს, ჯონჯოლს, მოცხარს, ხურტკმელსა და სხვა, რადგანაც ისინი ბუჩქებივით იზრდებიან და ფესვებსაც მალე იღებენო. გარდა ზემოთ აღნიშნულისა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვხვდებით ვაშლის, მსხლისა და სხვა ხილეულის გადაწვენის ისეთ წესს, რომელსაც „ნამხრეულის წიდნას“ უწოდებენ (ნამხრეული ხის ძირზე გაჭოტანილ ნორჩ ყლორტებს ეწოდება). ნამხრეულს თითქმის ყველა ხეები იკეთებენ, რომელთაც მეურნე-მებაღეები საჭიროებისას გადასაწვენად იყენებდნენ.

ტ ო ტ ე ბ ი თ გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ა ანუ, როგორც მას ლერწით გამრავლებასაც უწოდებენ ქართველ მეურნეებს ოდითგანვე უნდა სცოდნოდათ, როგორც ყველაზე ხელმისაწვდომი ხერხი.

ისტორიული ძვრების პერიოდში მოსახლეობის აყრისა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას, რომელთაც ხშირად უნაყოფო ველებზეც უხდებოდათ დასახლება, რა თქმა უნდა, მათ თან ჩიჰქონდათ ხეხილის გასაშენებელი მასალაც: თესლი, ნერგი, ლერწი და სხვა. ამ მხრივ საყურადღებო ცნობას ვპოულობთ ირანის ისტორიაში, რომელიც ქართლ-კახეთსაც შეეხება. როგორც ცნობილია, 1614—1625 წწ. კახეთში და ქართლში შემოსევების დროს შაჰ-აბასმა 100.000-ზე მეტი ქართველი ტყვე გადაასახლა ირანში, იქ სადაც უნაყოფო ველები იყო—შირაზის ოლქში. ასეთი ავბედობის დროსაც კი ქართველ მეურნეებს არ დავიწყებიათ თავიანთ მეურნეობაზე იზრუნველობა და თან წაუღიათ ქართული ვაზის ნერგები და შირაზის ოლქში შემოუღიათ და განუვითარებიათ მევენახეობა. დასახლების ადგილის მიხედვით მისთვის „შირაზული“ ვაზი დაურქმევიათ, საიდანაც ღვინო „შირაზული“ დაუყენებიათ, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა მაშინდელ ირანში და დიდი რაოდენობით იგზავნებოდა აზიისა და ევროპის ქვეყნებში[33].

იმის გამო, რომ ვაზი ძირითადად როგორც ძველად ისე ეხლაც ყოფაში ლერწით მრავლდება, საფიქრებელია, რომ მოსახლეობას სათანადო ლერწის წაღება უფრო არ გაუძნელდებოდა ვიდრე ნერგისა, რომელიც განსაკუთრებულ სიფრთხილესა და მზრუნველობას თხოულობდა.

ლერწით გამრავლება, რომ კაცობრიობისათვის უძველესი დროიდანვე ყოფილა ცნობილი ეს კარგად ჩანს იტალიური მწერლობიდანაც, სადაც ბაღებს სხვა საშუალებებთან ერთად ამრავლებ-

---

[33] ვ. ს ი ჯ ი ნ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 113.

ენენ: გადაწვენილი, ლერწოვა და თესლით. იტალიაში ისევე, როგორც საქ. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ძველი მებაღეები დაწვენილიდან მეორე წელს წიდნას ფოდას აპრილდნენ და სათანადო ადგილზე რგავდნენ. ხოლო ლერწით გამრავლებისას თითის სიმსხო ტოტებს კვირტთან ახლოს 4-5 ვერშოკის სიგრძისას სპრიან და ერთი-ორ კვირას წყალში ამყოფებენ[31].

ხალხის დაკვირვებით ლერწის დამზადებისას, რომელსაც მარტ-აპრილის თვეებში აწარმოებენ, უმჯობესია, რომ აპრის დროს ძველი ნაზარდის ნაწილი ანუ „მუხლი" გაყვეს. რადგანაც მათ გამოცდილებიდან იციან, რომ ლერწი უმეტესად სწორედ იმ ადგილიდან ალებს ფესვებს და საკმაოდ ბევრსაც. ლერწის დამზადებას მებაღეები შემოდგომის პერიოდშიც მიმართავენ, რომელსაც საგანგებოდ გრილსა და ნესტიან ადგილას ინახავენ. ლერწის კარგად დახარების მიზნით გაზაფხულის პირიდან ერთი-ორი კვირის განმავლობაში წყალში ან ნესტიან ქვიშაში ამყოფებენ და კვირტი როცა დაეძვრის მაშინ იწყებენ მის გაშენება-ჩაყრას. აღნიშნული წესით შენახული ლერწი ადვილად ხარობს, რადგანაც ის მებაღეთა დაკვირვებით ლოპოს ადრე იკეთებს და ამავე დროს კვირტის ავკარგიანობას იმჩნევსო. გამოზამთრებული ლერწი, რომელიც სიხსტის ასაღებად ძირითადად კონებად შეკრული წესით ინახებოდა დამზადების პერიოდშივე ისხვლებოდა. მისი სიმსხო უმჯობესია, რომ ცერა თითს არ აღემატებოდეს, რადგანაც ხალხის დაკვირვებით მსხვილ ლერწს ნაკლებად აქვს დახარების უნარიო, ხოლო სიგრძით ნახევარ მეტრს არ უნდა სცდებოდეს, რაც გასამრავლებელი ხეხილის თავისებურებაზეც არის დამოკიდებული.

ისევე როგორც ხეხილის გამრავლების სხვა შემთხვევებშიაც ლერწის ჩასაყრელად განკუთვნილი ნიადაგი კარგად უნდა იყოს გაფხვიერებული, რათა ჩარეკობისას კანი არ „ჩაეხვლიწოს"-გასძვრეს. ამ მიზნით, იმ ადგილას, სადაც ლერწი უნდა ჩაეროგოს ჯერ ხვრილ პალოს—ჯოხს ჩაატარებენ და შემდეგ ლერწს, რომელსაც მაგრად მოუტკეპნიან მიწას. ლერწის ჩარგვისას მიწის ზემოთ ერთი მესამედის სიმაღლეს ტოვებენ, რომელსაც სიფრთხილისათვის სარს უდგამენ ახლად ჩაყრილ ლერწს მალ-მალე სთოხნიან და რწყავენ: რომელიც მეორე-მესამე წლიდან კიდევაც გადაირგვის ხოლმე.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ლერწით ძირითადად ამრავლებენ: ვაზს, გარეულ ხილს (ფშატს, კუნელს, ხურტკმელსა და სხვა),

---

[31] М. Е. Сергеенко, დასახელებული შრომა, გვ. 93.

რომელთაც განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ცოცხალი ღობეები და საჩეხი ჭალების გაშენების საქმეში.

ფ ე ს ვ ი ს ბ ა რ ტ ყ ო ბ ა მეტნაკლებად თითქმის ხეხილის ყველა ჯურს ახასიათებს, რომელიც ხელს უწყობს მის შემდგომ გამრავლებას. მეხილეთა გადმოცემით ნაბარტყი განსაკუთრებით იცავს ნაკლებად ნამუშევარ ნიადაგის წვრილმა და გარეულმა ხილმა, რადგანაც მათ ფესვები შედარებით ზევით-ზევით უნვითარდებათ ხოლმეო.

ნაბარტყის ამოღებას ყოფაში დიდი სიფრთხილით ეკიდებიან, რადგანაც მათ ფესვები შედარებით ზევით-ზევით უნვითარდებათ ბანვითარებული. ამის გამო მისი ძალით ამოგლეჯა მიუღებელია. საზოგადოდ გაკულტურებული ხეხილის ნაბარტყი მისი დედის პირველანდელი-ველური თვისებისა იზრდება, რომელზედაც შემდეგში საჭურველ ჯიშს დაამყნიან.

ცნობილია, რომ ბარტყობა განსაკუთრებით ნაკლებად იცის ასეთმა ხეხილმა, როგორიცაა მაგ. ვაშლი, მსხალი, თუთა და სხვა. ბაგრამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელიც მეცნიერებმა 1960 წ. აღმოაჩინეს. ტიანშანის მთაში უზბეკმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ვაშლის ხეების ტყე. ყველა ხეხილს ეხვად ესხა ერთფერი ვაშლი. შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ ტყე 600 ვაშლის ხისაგან შედგებოდა და ყველა მათგანი აღმოცენებული იყო ერთი განშტოებული ძირის ფესვებზე[35].

ფ ე ს ვ დ ა ყ ო ფ ა. ფესვდაყოფით ყოფაში ძირითადად ამრავლებენ ისეთი ჯურის ხილეულს, რომელთაც უმეტესად ბუჩქოვანი ზრდა ახასიათებთ: ხომანდული, ხურტკმელი, მოცხარი, ყოლი, ბროწეული, ლეღვი, თხილი, კოწახური და სხვა, ისე რომ ყველა ბუჩქოვან ხილს ცალცალკე ლერწებად არჩევენ და მთხრობელთა სიტყვით „საკმარისია 1-2 ძაფივით ფესვი ამოყვეს და უკვე კარგად ხეირობს“-ო.

თ ე ს ლ თ ე ს ვ ა, როგორც აღნიშნული გვქონდა ხილეულს მრავალგვარი ხერხებით ამრავლებენ, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თესლთესვის წესს.

როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, საქართველოს ბიდიდარი ბუნებრივი ნერგების გვერდით ახალი ხილის გამოყვანისათვის გამოცდილი მეხილეები ფართოდ მისდევდნენ თესლთესვის წესსაც. ყველაზე ძვირფასი სანერგე მასალა, რომელსაც დღევანდელ

---

[35] ჭუთაისის გაზეთი, 1960, 5 იანვარი.

აგროტექნიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ხეხილის გამოყვანის საქმეში. სწორედ თესლთესვის გზით ხდება. რომელიც ქართველ მიწათმოქმედთ ოდითგანვე უნდა სცოდნოდათ.

საქართველოს სინამდვილეში შემორჩენილი თესლის დამზადებისა და თესვის მდიდარი გამოცდილებანი სწორედ მის დიდ წარსულზე მიგვითითებს.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი ხილეულის სათესლე ნაყოფი კარგად უნდა იყოს შემოსული, რომელსაც ყოფაში სხვადასხვა სახელწოდებითა და მათ შორის „დაბრაწვით" ამჩნევენ. თვით სათესლე მასალის მოპოვებას სხვადასხვა ხალხური მეთოდებით აწარმოებენ, რომელთაგან ჩვენ განვიხილავთ „დაჩეჩქვის", „დაჩირვის", „დაქაჩვისა" და „დალპობის" წესებს.

დ ა ჩ ე ჩ ქ ვ ი თ თესლის გამოღებისას კარგად შემოსულ თესლოვან ხილეულს ხის ვარცლში ჩაყრიან და ხის ხვედით ან ბრტყელი ქვით დახეთქავენ-დაჩეჩქვავენ. დაჩეჩქვილს ზევით-ზევით „აჩეჩავენ"—აიღებენ და სპარაყედ ჩაყრიან. ხოლო გამორჩეულ თესლს ცხავში გაატარებენ და სიგრილეზე გააშრობენ.

დ ა ჩ ი რ ვ ი თ თესლის გამოღება ბუნებრივად ხდება, რადგანაც ჩირის დამზადება-დათლის დროს, როდესაც გულს გამოაჭრიან თან მისდევს თესლიც, რომელსაც შეჭყნობის შემდეგ გამოფშვნიდნენ ხოლმე. ისევე როგორც თესლის დამზადების სხვა შემთხვევებშიც სათესლე ხილს თავდაპირველად აქაც ცალკე გადაარჩევდნენ მისი შემოსულობისა თუ ჯიშის მიხედვით და მისგან გამოღებულ თესლს განცალკევებით ინახავდნენ.

დ ა ქ ა ჩ ვ ი თ თესლის დამზადებას როგორც ჩვენი მასალები. ან ირკვევა აწარმოებდნენ სპეციალური ხილის საწური საქაჯავებით, რომელსაც შემდგომ ხელით გამოფშვნიდნენ და ისე გააშრობდნენ. ამგვარი ხილის საწური საქაჯავები, რომელნიც თავის დროზე ყოფისათვის საკმაოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ჩვენ მიერ დამოწმებულია გორის რაიონის სოფ. ტირძნისში და ახალციხის რაიონის სოფ. უდესა და ვალეში. როგორც სათანადო აღწერილობებიდან და მთხრობელთა გადმოცემებით დგინდება. აღნიშნული საქაჯავები ძირითადად ყურძნის ჭაჭის საქაჯავების პრინციპზეა აგებული, რომელსაც. როგორც ცნობილია. ქართველი მეურნეები უძველესი დროიდანვე იყენებდნენ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხის ფონდში დაცულია ერთი ასეთი საქაჯავის ტიპი. რომელსაც სამეგრელოში „ხილში ოწერალი" ეწოდებოდა და უნდა აღინიშნოს, რომ ის შედარებით განსხვავებული ფორმითაც წარმოგვიდგება (№ 51—39/51). იგი წარ-

მოადგენს ხის ბრტყელ ფიცარს, რომლის შუაში ჩადგმულია მაღალი 4 გვერდიანი ჭურჭელი, რომელიც სამ გვერდზე გამაგრებულია ხის სალტით. ფიცრის თავში ვერტიკალურად ჩასმულია ბრტყელი სვეტი, რომლის თავი გახვრეტილია; ნახვრეტში გაყრილია ხისავე ერძელი ღერძი ასაწევ-დასაწევით: ცალ გვერდზე ფიცარი ორ ადგილას ამოღარულია სითბის სადენად; მთელი ეს ხელსაწყო შემდგარია ხის ორ ფეხზე; ხილის გაწურვის დროს სავსე ჭურჭელში ჩასდებენ ხის ხუფს, ზედ ვერტიკალურად დააყენებენ ხისავე მრგვალ ჯოხს, რომელსაც ზემოდან დააჭერენ ღერძს, დაწოლის შედეგად ხილი იწურება და წვენი ღარებით გადის ქვეშ მოქცეულ გობში; მაგრად დაწურვის მიზნით ხუფზე დასაჭერი ჯოხები იცვლება უფრო კრძელი ჯოხებით, ხილის ჩასაყრელი ჭურჭლის სიმაღლე 45 სმ; სიგანე 20 სმ; ძირის ფიცრის სიგრძე 60 სმ; სვეტის სიმაღლე 57 სმ; ღერძის სიგრძე 60 სმ. აღნიშნული საქაჯავით ხილის გამოწურვის შემდეგ დარჩენილ ჩენჩოს გააშრობდნენ, გააცხავებდნენ და თესლს სათანადო ადგილას შეინახავდნენ.

როგორც ეთნოგრაფიული მასალები ვვიჩვენებს აღნიშნული საქაჯავებით ანუ ხილის საწური ხელსაწყოებით ძირითადად ე. წ. „წვრილი ხილეულის" გამოწურვას აწარმოებდნენ, თუმცა ასალიცის რაიონის რიგ სოფლებში (უდე, ვალე) ვაშლისა და მსხლის სპეციალური ხის საქაჯავებიც დავამოწმეთ.

ადალპობით თესლის გამოღება ყველაზე ეფექტურია, რადგანაც ამ წესით ამზადებენ, როგორც თესლოვანი, ისე კურკოვანი ხეხილის თესლებს.

სათესლედ გადარჩეულ ხილს ხის კასრებში და ზოგჯერ ქვევრებში ჩაყრიდნენ და დაამქავებდნენ. ანუ როგორც იტყვიან დაალპობდნენ, რომელთაგან ზოგიერთ მათგანს (რაც ხილის ჯიშზეა დამოკიდებული) დაჩეჩქვავდნენ და ისე ჩაყრიდნენ (ვაშლი, მსხალი, კომში). ამგვარი წესით ჩაყრილ სათესლე მასალას კარგად დამქავების შემდეგ (რაც ერთ თვემდეც გრძელდებოდა ხოლმე) წყალს დაასხამდნენ ან ამოიღებდნენ და ხის ვარცლში რეცხავდნენ სანამდე მთელი სიდამპლე არ მოსცილდებოდა. აღსანიშნავია, რომ მისი პირველადი გარჩევა გარეცხვისას ხდებოდა. რომელსაც წყალზე მოგდებისაძოტიტივებისას ხდიდნენ. მთხრობელთა გადმოცემით ზემოთ მოგდებული თესლი ისევე, როგორც ხორბლის გარეცხვისას ყოველთვის „ფშიტია"—მსუბუქია და სათესლედ არ ივარგებს.

ყველა ზემოაღნიშნული სამუშაოები (რომლებიც თესლის დამზადებასთან იყო დაკავშირებული) ქალის საქმეს წარმოადგენდა, რაც ამ მხრივ საკმაოდ დახელოვნებას მოითხოვდა,

[თესლის გამოღება, გაშრობა და შენახვა დიდ სიფრთხილესა და ცოდნას თხოულობს, რათა მცენარეს აღმოცენების თვისებები არ დაეკარგოს. ხალხის დაკვირვებით სათესლე მასალის მზეზე გაშრობა მიუღებელია, რადგანაც „ასაწრაფებს, ქერქს შეუკნობს, ღუნ-ში სინესტე დარჩება და შენახვისას ობი მოეკიდება“-ო. მათივე გადმოცემით, მას ობიც, რომ არ მოეკიდოს მაინც დასათესად უვარგისი იქნება, რადგანაც გარედან მაინც „მოხალული“ იქნება. კარგი სათესლე მებაღეთა გადმოცემით მსუბუქი და ნაცრისფერისა კი არ უნდა იყვეს, არამედ „მაძღარი—გაბერილი“ და წაბლისფრად მოზინვარე-დაბრაწული“-ო, ყოველივე ამ დადებითი თვისებების მატარებელი თესლი მიიღება: კარგად შემოსული ხილისაგან, დროულად და კარგად ჩრდილში გამოშრობისა და მშრალ ჰაერზე შენახვისას. ამის გამო მის დამზადება-გამოშრობის შემდეგ დიდ ყურადღებას აქცევდნენ, როგორც ზამთრის ისე თესვის პერიოდში თესლს სათანადო სათავსოებში და გარკვეულ ადგილებში შენახვას.]

იმის გამო, რომ სხვადასხვა ხილეულის თესლეულს გარკვეული თესვის პერიოდები გააჩნია და მათი ერთმანეთში არევა მიუღებელია, ყოფაში მათი ცალ-ცალკე დამზადებასთან ერთად ცალკე სათავსოებშიც ინახავდნენ. თესლმთესველებმა გამოცდილებიდან იცი-ან, რომ ახლად დამზადებულ თესლს შედარებით ნაკლებად გააჩნია აღმოცენების უნარი. ამის გამო ცდილობენ ძველი თესლების თესვას და თესვის წინა ხანებში სათანადოდ შენახვის წესების დაცვას.

[ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის დიდი ცოდნა-გამოცდილება, რაც თესლ-თესვის, ხალხურ თავისებურ კანონებთან არის დაკავშირებული. მაგ. კურკოვანების დათესვას გამოცდილი მეურნეები შეშოდგომით აწარმოებდნენ, რომ ზამთრის პერიოდიდან დაიწყოს გაღვიძება, რადგანაც ნაკუკიანობის გამო გაზაფხულზე ნათესი, შემოდგომის პირზე ამოდის და სიცივე აფუჭებსო. ასევე ვარკვეული ვადებში თესავდნენ თესლოვანებს, რომლებიც ძირითადად გაზაფხულობით ითესებოდა.]

[საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ყოფაში თესლის ადრე გაღვიძება-გაღვივების მიზნით ფართოდ გამოიყენებოდა წყალში წინასწარი დალბობის მეთოდი. წყალში დალბობის აღნიშნულ წესზე, რომელიც ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი, თავის დროზე ფილოსოფოსი ჰუმოლტიც აღნიშნავდა[36].]

კურკოვანი თესლეულის ხალხური წესით შენახვა-გამოზამთრებიდან აღსანიშნავია მისი ქვიშაში დამარხვა, რომელსაც შემდეგ ად-

---

[36] ჟურნ. „გუთნის დედა“, № 18, 1870.

რე გაზაფხულზე თესავდნენ. ხალხის დაკვირვებით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თესლის გაზაფხულზე დათესვისას ადრე ამოსვლა სურდათ, მაშინ მას ზამთრის პერიოდში სითბოსთან ახლოს—ქვიშაში დამარხული სახით ინახავდნენ. თესლისადმი დიდ ყურადღებას მეხილეს მისი სამეურნეო მნიშვნელობა უკარნახებდა, რომლის გზითაც გამრავლებული საძირე უპირველეს ყოვლისა ნებისმიერ ნიადაგში ხრდა-განვითარებას ეჩვევა. ამის გამო მწირ ან სხვა თავისებურ ნიადაგებში გადასარგავ საძირეებს დათესვისას ისეთსაკე ადგილებს ურჩევდნენ და ბოლოს თესლზე ამოსულ ნერგს რამდენჯერმე უხდება რა გადარგვა, ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ჯანსაღი და ღონიერი საძირის გაზრდის საქმეს. იმავე მიზნით სანერგეების მოწყობისას მებაღე-სპეციალისტები უმეტესად ურწყავ ადგილს ურჩევდნენ, რათა მომავალი ნამყენი უფრო გამძლე და ამტანიანი თვისებისა გაზრდილიყო.

როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, ამის გამო თვითმცდელი ქართველი მეურნეები ხეხილის გამრავლება-გაუმჯობესების მიზნით დიდ ყურადღებას აქცევდნენ სათესლედ განკუთვნილ სპეციალური პატარა ნაკვეთების მოწყობას, რომელსაც ყოფაში „შკოლა“-ს უწოდებდნენ. შკოლად თესვის მთავარი მიზანი იყო ხეხილის გამრავლება-გაუმჯობესება, რაც იმავე ადგილზე ხდებოდა.

თესლით საძირის უხვად გამრავლების მიზნით, რომელზედაც ძოთხოვნილება განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოში, ევროპული და სხვა უცხო ხეხილის ჯიშების გასაკეთებლად დიდი როლი ითამაშა შკოლად მოწყობის წესებმა, რაც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საკმაოდ მოზრდილ კერძო საცდელ ნაკვეთებად იქცა. აღნიშნული პერიოდიდან მაგ. ქართლის სინამდვილეში ხეხილის გამრავლება-გაუმჯობესების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით; ნიკო ზაქარიას ძე კეცხოველს (გორის რაიონის სოფ. ტყვიავი), ისაია ფურცელაძეს (გორის რაიონის სოფელი მერეთი), ძმებს ფრიდონოვებს, ავსარქისოვს (გორის რაიონის სოფ. სკრა), ს. ხეთაგუროვს (სოფ. ნიქოზი), აფრიკიანს (ქ. გორი) და სხვ.

თვითმცდელი—ცნობილი მებაღის ვასილ გიორგის ძე ბესტავაშვილის (78 წ., სოფ. ხიდისთავი, გორის რაიონი) სიტყვით „ტყვიავში ძიენ კარგი ხეხილის მცოდნეთა და მებაღეთ ითვლებოდა ნიკო კეცხოველი. იმას ბევრი ნამყენი უკეთებია და როგორც ვიცი ბევრისთვისაც უსწავლებია მყნობა და ისეთი კეთილი კაცი ყოფილა, რომ ბევრს ხეხილის ნამყენს ისე აძლევდა ოღონდ გააშენეთო. ამი-

ტომ იქ ისე მეეკიდა ხალხი ხეხილის გაშენებას, რომ იმ ხანად ტყვიავმა ხილით ყველაზე ძ�en გაიწია. ამის მერე გამოჩნდა ისაია ფურცელაძე მერეთში, მერე გორში და უფრო და უფრო ინტერესი ჩაეარდა ხალხში ხეხილის გასაშენებლათა. რომელსაც ქართულ ვაზებშიაც კი აშენებდნენ ხოლმე...ო.

აღნიშნულ პერიოდში საყურადღებოა გორის რაიონის სოფ. სკრაში იმ დროისათვის კარგად ორგანიზებული სანერგე, რომელიც ძმებს გ. და მ. ფრიდონოვებს ეკუთვნოდათ.

ე. წ. ფრიდონოვების ფირმა ხეხილის ახალი და კარგი თვისების ჯიშების გამოყვანისათვის. 1899 წლიდან 1903 წლამდე სრულიად რუსეთის სხვადასხვა გამოფენებზე პეტერბურგში დაჯილდოკებული იქნა ოქროს ოთხი მედლით და საპატიო სიგელებით.

ძმები ფრიდონოვები ფართოდ ანრავლებდნენ და ყიდდნენ როგორც ქართული. ევროპული ისე ამერიკული ჯიშის 1-დან 4 წლამდე დამყნილ ხეებს, რომელთა ფასი ცალობით 30 კაპიკიდან 50 კაპიკამდე მერყეობდა[37].

ყოველივე ამის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსდება მებაღე-სპეციალისტთა მოსამზადებელი კურსები. ასეთი კურსები დაარსებული იყო მაგ. ს. ქე. ჭალაში, სადაც 17-19 წლის შრომისმოყვარე ყმაწვილებს ღებულობდნენ და წელიწადში ეხოლოდ 5 მებაღეს ამზადებდნენ[38].

ბაღის გაშენება

„მემტილეობა და მებაღეობა ისევე. როგორც მეეფეხეობა- აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი. მიწისმოქმედისაგან გეგმიან მეშაობას თხოულობდა. რომ ხეები სათანადო და გარკვეულ რიგზე ყოფილიყვნენ დარგულ-დათესილი“ [39]. მისივე სიტყვით. ბაღში სათანადო გზები და საჩრდილობლები უნდა ყოფილიყო. რაც გარკვეული გეგმის გარეშე არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

XVII საუკუნეში ე. ი. მაშინ. როდესაც შაჰ-აბაზისაგან საქართველო აოხრებული იყო. თბილისში შარდენის მოწმობით მშვენიერი ბაღები ყოფილა. ამავე საუკუნის ფრანგი მეცნიერი პოტანიკოსის აკად. ტურნეფორის ცნობითაც ბაღები საქართველოში გაცილებით უფრო უკეთესად ყოფილა გაშენებულ-მოვლილი ვიდრე ოს-

---

[37] იხ. ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების ხეხილების სანერგეები და ბაღები, თბილისი, 1905.

[38] ცენტრ. არქივი. ფონდი 215. № 14, 1907.

[39] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, წიგნი II. გვ. 117.

მალეთში, რომელიც მაშინ უდიდეს და უმდიდრეს სახელმწიფოდ ითვლებოდა[40]. თვით პოლიტიკურ-კულტურული დაქვეითების სანაშიც კი შებაღეობა აღმ. საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა, რასაც ორიგი ისტორიული ცნობებითაც ვგებულობთ:

„ეროი ბაღი და სასახლე გრემს იდგა ლევან მეფისა—
მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიეფისა;
ყოველი ყვავილი, ხეხილი გარმოცულიყო სეფისა,
განცვიფრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა"[41].

როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ ხეხილის ბაღები და ვენახებიც კი მარტო მოსავლის მოყვანისთვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ დროს ვასატარებლადაც. ამის გამო ხილეულთან ერთად ვარდ-ყვავილებსაც რგავდნენ, რაც საკმაო ცოდნა-გამოცდილებას საჭიროებდა, როგორც შოვლის ისე მისი შიგნითა განაწილება-დარგვის მიმართ. ბაღის შიდა განაწილების სურათი, რომელიც ჩვენს დრომდეა მოღწეული ეს არის XVIII ს. „ქილილა და დამანას" №—68 ხელნაწერში ილუსტრირებული დოკუმენტი (ივ. ჯავახიშვილის დასახ. შრომა, ტ. II). აღნიშნული ტიპის ბაღები ძველად ბაღ-წალკოტების სახელწოდებით იხსენიებოდა, რომელშიც ძირითადად ხეხილ-ყვავილი და სხვა მაჩრდილობელი დეკორატიული ხეებიც უნდა მდგარიყო. საბა ორბელიანის განმარტებითაც, წალკოტი ხილის ალაგი, ბაღი არის.

მეწალკოტეობა-მებაღეობა იმდენად მჭიდროდ იყო გეგმიან მუშაობასთან დაკავშირებული, რომ ამის წყალობით განსაკუთრებული ტერმინი დაწალიკებაც კი შექმნილა, რომელიც საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში მწკრივად წასვლის მნიშვნელობით აქვს განმარტებული.

იმავე რიგს განეკუთვნება ძველი ქართული ტერმინი სამოთხე, რომელიც წყაროებში ბაღის მნიშვნელობითაც იხსენიება (ცნინოსი, Опис, II, 775). ამ ცნობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ სამოთხეში ქართველ მეურნეს თავმოყრილი ჰქონია სხვადასხვა ხეები და ყვავილ-მცენარეები, რომელთაგან ზოგიერთი „საგემებლად და დამატკბობლად სასათა, ხოლო რომელიმე სასურნებლად და სურნელმყოფლად საყნოსელათ" ყოფილა განკუთვნილი[42].

---

40 ი ქ ვ ე. გვ. 113.
41 არჩილიანი. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით,
42 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ შრომა, წიგნი II, გვ. 108—110.

როგორც დღევანდელი ეთნოგრაფიული მასალებიდანაც ჩანს, პრაქტიკოსი მებაღეები ბაღის გაშენებისას გარდა იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული წესით სათანადო ნიადაგებს ურჩევდნენ ისინი მტკიცედ იცავდნენ ბაღის, როგორც გარეგნულ ფორმას, ისე ხეხილის შიგნითა განაწილების პრინციპებს. მაგ., აღმ. საქართველოს სინამდვილეში ძირითადად ბაღ-ვენახების გაშენების დაკუთხული წესია ბილებული, რაც გაპირობებულია მის მწკრივად გამრავლებისა და რწყვის სისტემის თავისებურებაზე. მაგ., ხეხილის მწკრივად გაშენება სინათლის კარგად განაწილებასა და ბაღის ადვილად დამუშავებას ემსახურება და ა. შ.

ხალხის დაკვირვებით საბაღედ მეტნაკლებად შეიძლება გამოყენებული იქნას თითქმის ყოველგვარი ნიადაგი, რომლის დამუშავება ერთი არშინის სიღრმემდე შეიძლება. საერთოდ კი კარგი ბაღის გასაშენებლად საუკეთესოა, რომ საბაღე ადგილი 12-14 ვერშოკის სიღრმეზე გადაბრუნდეს.

საზოგადოდ ბაღის გასაშენებლად უპირატესობას სწორ ან ოდნავ დაქანებულ ადგილებს არჩევდნენ. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ „ფერდა ადგილი, რომელიც მზის ამოსვლის მხარეს იცქირება უფრო მშრალია და გრილი", რომელიც სხვა ადგილებთან შედარებით მზისაგან უფრო განათებულია. მათივე დაკვირვებით შემდეგ კი უფრო კარგია ხეხილის გასაშენებლად სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთით დაქანებული ადგილები.

როგორც ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ბაღის გასაშენებლად განსაკუთრებით ნაკლებად იყენებდნენ ქვიშიან, ჭაობიან, კირიანსა და მარილიან ნიადაგებს, ხოლო დანარჩენი ნიადაგები, რომელთა დამუშავებაც მთხრობელთა გადმოცემით 12-14 ვერშოკის ანუ 75-90 სმ სიღრმეზე შეიძლება საბაღედ მეტნაკლებად არის გამოსადეგი. იმ შემთხვევაში, თუ მაგ. ნიადაგს ქვეშიდან ახლოს აქვს კლდე, მაგარი ხიხა, ქვიშა და სხვა მაშინ მეურნემ გამოცდილებიდან იცის, რომ ამგვარ ნიადაგში ხე კარგად ვერ გაიზრდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც მეურნე ხეხილის პატარა ბაღს— „ბაღჩა"-ს თავის სიამოვნებისათვის გააშენებდა, მაშინ იქ რგავდა იმ მხრისათვის დამახასიათებელ თითქმის ყოველგვარ ხილეულს, სადაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა, როგორც ნიადაგის შერჩევას ისე ხეებს შორის დაკანონებული ინტერვალის დაცვას. ხოლო ისეთი ბაღების გაშენების დროს, რომელთა ძირითადი მიზანი შემოსავლის სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება იყო, მაშინ, იქ სათანადო ჯიშების შერჩევასთან ერთად მტკიცედ იცავდნენ, როგორც ფარ-

თობის შერჩევისა და ნარგავთა შორის განსაზღვრული მანძილის დაცვას, ისე რიგი სამუშაოების დიდი სიფრთხილით ჩატარებას.

ხეხილის გაშენებისას რიგთა შორის ან ხეებს შორის მანძილის დაცვა—გასაშენებელი ხის, ნიადაგისა და თვით ადგილის მდებარეობაზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად ამისა ყოფაში საზოგადოდ ეაშლისა და მსხლის ხეების დარგვა სამი საჟენის (საჟენი ორ მეტრს უდრის) უფრო ახლო ერთიმეორისაგან არ უნდა ყოფილიყო დარგული. ხოლო დანარჩენი ხილეულის დარგვისას (ქლიავი, ალუბალი, ბალი, ატამი, კომში, ჭერამი და სხვა) კი 1—1/2—3 საჟენის დაშორებით. ამრიგად, ხეხილთა შორის ნანძილი 4—5 საჟენს მაინც უნდა უდრიდეს, ისე რომ მთხრობელთა აზრით ერთ დესეტინაზე 100—150 დიდი ხე, ხოლო 250-ზე მეტი პატარა ხე უნდა დარგულიყო. ხეხილთა შორის განსაზღვრული მანძილის დატოვება ისევე, როგორც სხვა პროცესების დაგეგმარება დიდი კულტურის ქვეყნებში ოდითგანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი, ისევე როგორც „მაღალკულტუროსანი ერი მაღალხარისხოვანი ჯიშების მოშენებას აწარმოებს“[43].

ხეებს შორის, რომ ძველადვე გარკვეული მანძილი ყოფილა დაცული კარგად ჩანს კოლუმელას ცნობიდანაც. მისი რჩევით ხეხილის შორისი ფართობი 30-40 ფუტი მაინც უნდა ყოფილიყო.[44]

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხეხილის განაშენიანების თავისებური პრინციპი იმაში მდგომარეობდა, რომ დიდი ქალაქების ახლო-მახლო მოსახლეობა უმთავრესად „წვრილი ხილის“ ვანაშენიანებით იფარგლებოდა, რასაც ახლო ბაზარი აპირობებდა. ხოლო დიდ ქალაქებიდან მოცილებული მოსახლეობა უფრო გამძლე ე. წ. „მომხო“ ხილს აშენებდა, რასაც იგივე ბაზრის მოთხოვნილება და ტრანსპორტირების ამტანიანობა განსაზღვრავდა.

როგორც ისტორიული ისე ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ XIX ს. დასასრულს და XX ს. მიჯნაზე ცალკეულად გამოყოფილი ხეხილის ბაღების მშენებლობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. მანამდე არსებული ხეხილი უმთავრესად ეზოებითა და ვენახებში გაფანტული ან მის ირგვლივ გაშენებული სახით იყო წარმოდგენილი, თუ გამონაკლისად არ მივიჩნევთ თავადაზნაურთა და ზოგიერთი დაწინაურებული გლეხის ხეხილის ბაღების არსებობას.

---

[43] ვ. სიკინავა, დასახ. შრომა, გვ. 112.
[44] М. Сергеенко, დასახ. შრომა, გვ. 99.

„ცალკე გამოყოფილი ხეხილის ბაღები—აღნიშნულია გასული საუკუნის ერთ-ერთ ცნობაში—(კავკასიაში) იშვიათად გვხვდება, რის გამოც იგი ძირითადად ვენახთან ერთად შიგ არის გაფანტული, ხოლო ხშირად ვენახის ირგვლივაც არის შემორტყმული[45]. მეხილეობა-მევენახეობით დაინტერესებულმა მეურნეებმა შემდგომში იწყეს მათი განცალკევება, რადგანაც მათ გამოცდილებიდან იცოდნენ, რომ ეს ორივე კულტურა ერთმანეთში შერეული სახით განსაკუთრებით ვნებდა ვენახს. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით აშკარად შეიმჩნეოდა აღმ. საქართველოს ქართლის სინამდვილეში: ატენის ხეობა, ხიდისთავი, ახალქალაქი, მეტეხი (თეძმის ხეობა); ძველი ბალა. მეჯვ-რისხევი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების რიგ სოფლებში და ა. შ., სადაც ხილმა ან მოსპო ქართული ვაზი ან საგრძნობლად შეამცირა.

ზემოთ აღნიშნულიდან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მიწათმოქმედებაში ძველად ცალკე გამოყოფილი ბაღ-ვენახები არ არსებობდა, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. რიგი ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით დგინდება საქართველოში მიწათმოქმედების მაღალი და უძველესი კულტურის არსებობა. იმავე ისტორიული ცნობებით ვგებულობთ, რომ მიწათმოქმედების რიგი დარგები ისტორიულ დაქვეითებაღორძინების ხანას განიცდიდა. ერთ-ერთ ასეთ აღორძინების ხანას მიეკუთვნება X საუკუნის მიწურული. „საქართველოში ადრე ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის დამთავრების შემდეგ, როდესაც ქვეყანა ფეოდალური განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე შედგა, ინტენსიური გახდა სოფლის მეურნეობაც. რასაც მოწმობს დიდი სარწყავი არხები და რთული რუსხმულები, ისტატურად ნაგები წყალსადენები, დიდი ცოდნა-გამოცდილებით შემუშავებული ზვარ-ვენახები... ხეხილისა და თუთის ბაღები. გაჩნდნენ სოფლიდან-სოფლად ან ქვეყნიდან-ქვეყნად მიმომავალი ხელოსნები... ბაღ-ვენახის მშენებლები. სეზონური მუშები“[46].

ცნობილია, რომ ხეხილის ბაღების მშენებლობა დიდ შრომასა და მოთმინებას მოითხოვდა, რის გამოც უცხო დამპყრობთაგან ხეხილის გაკაფვა-განადგურების შემდეგ, მისი ერთბაშად აღორძინება საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა. სწორედ აღნიშნული მიზე-

---

[45] Н. Н. Спешнев. Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае, Горийский уезд, Тифлис, 1895, стр. 78.

[46] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1958, გვ. 137.

ზების გამო ერთ დროს ცნობილი ხეხილის ბაღები მოსახლეობასთან ერთადაც კი უკაცრიელი და გავერანებული რჩებოდა, რომლის სანაცვლოდ დღევანდელმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოგვინახა ტერმინები: „ხილნარი", „პანტნარი" „თუთნარი", „ნიგვზნარი", „ნაწალვარი", „ნავენახარი", „ვაშლოვანი", „პანტიანი", „ლეღოვანი", „თხილოვანი" და სხვა გეოგრაფიული სახელები, რაც მეურნეობის ამ დარგს შეეხება.

ცნობილია, რომ ძველ საქართველოში ისევე, როგორც სახნავ-სათესი მიწები, ბაღ-ვენახებიც ეკლესია-მონასტრების, მემამულეებისა და მოქალაქეთა ხელში იყო, რომლებსაც გამოცდილი მეურნეები ამუშავებდნენ. ამისათვის მებაღეობას კისრულობდა ის ვისაც შეეძლო მისი გაშენება-დამუშავება. მუშახელის რიცხვი განსაკუთრებით მატულობს XIX ს. მეორე ნახევრიდან კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებასთან ერთად. ამ პერიოდში მუშახელთა რიცხვში ადგილობრივთან ერთად ვხვდებით აღმ. საქართველოში ჩამოსულ მეგრელებს, იმერლებს, რაჭველებს, გურულებს, ლეკებსა და სხვა. როგორც ადგილობრივი ისე ჩამოსული მუშები დღიურ და სანარდო სამუშაოებთან ერთად მიწებსაც ქირაობდნენ, რომელთაგან აღსანიშნავია: „იჯარით აღება". „მიწის დაგირავება", „სანახევრო", „სამწილადი", „მიწის დამუშავება ოთხწილად" ე. ი. ამსაბაგით დამუშავება, მიწის ბაღნარად გაშენება, რომელიც „მონაშენობის" სახელწოდებითაა ცნობილი და სხვა.

მთხრობელთა გადმოცემით მონაშენობისას მიწის მფლობელი წინასწარი მორიგებით აძლევდა მებაღეს და დაუთქვამდა, თუ რამდენი წლის მერე უნდა გაეყოთ გაშენებული ბაღი. ბაღის გაყოფამდე „ფეხის" მოსავალი („კახეთში ხელის მოსავალი"—ლობიო, სიმინდი ,ბოსტნეული) ორ ნაწილად იყოფოდა, რაც წინასწარ მორიგებაზეც იყო დამოკიდებული. იმ შემთხვევაში თუ მიწის მფლობელი დათქმულ დროზე ადრე მოისურვებდა გაშენებული ბაღის გაყოფას, მაშინ ის ნახევარზე ნაკლებს მიიღებდა, ხოლო კარგად სსმაში შესული ბაღის დროს კი ნახევარს. რადგანაც მანამდე ნაკრეფი ხილი ე. ი. „ნიშანი" და „ნაქარი" მებაღეს ეკუთვნოდა. მებაღეთა გადმოცემით სოფლიდან დაშორებული მიწები უფრო მებაღის სასარგებლოდ „სწყდებოდა"—იყოფოდა, ვიდრე „ნაფუზრები". რადგანაც ახლო მიწები—ნაფუზრები უფრო ძვირად ფასობდა ისე რომ თუ მაგ. მინდვრის მიწები—აღნ. მთხრ. ს. პავლიაშვილი (67 წ. სოფ. ტყვიავი. გორის რაიონი, 1957 წ.) დღიური 20—25 მანეთი ღირდა კარის მამულები ათ თუმნამდეც კი ადიოდა და გასაყიდად მაინც ძნელად თუ. იმეტებდნენ ხოლმე".

ბაღის მონაშენობა ისევე, როგორც მინის დამუშავების სხვა ფორმებიც წერილობით ფორმდებოდა. „წერილობითი იჯარის ვადის გასვლამდე—წერს პროფ. პაატა გუგუშვილი—მონაშენე მემამულეს აძლევდა მარცვლიდან მიღებული მოსავლის მეექვსედს (იშვიათად მესამედსაც), ხოლო ყურძენი და ხილი მთლიანად მონაშენეს ეკუთვნოდა. ვადის გასვლისას თუ აღმოჩნდებოდა, რომ მონაშენემ ვალდებულება ჯეროვნად ვერ შეასრულა ე. ი. ვენახი (ან ხილი—დ. ბ.) ვერ გააშენა იგი უნდა ჩამოცილებოდა ნაკვეთს. და პირობის შეკვეთის დროს მემამულისათვის გადახდილი ფული, ისევე როგორც ნაკვეთზე გაწეული შრომაც, მას ეკარგებოდა. თუ მონაშენე ვალდებულებას დროზე და ჯეროვნად შეასრულებდა, მაშინ, ნაკვეთი ვენახი (ან ხილი—დ. ბ.) რჩებოდა მის სარგებლობაში ანუსაზღვრელი ვადით, მოიჯარე ამიერიდანაც საკუთარი საშუალებით ეწეოდა ყოველგვარ მუშაობას და მიღებული მოსავლის, ღვინის, ხეხილის ნახევარს უხდიდა მემამულეს, ბაბა მოიჯარეს, მონაშენეს რჩებოდა—ისევე ხეხილი და მხოლოდ მას ეკუთვნოდა მასში ჩათესილი მარცვლეული თუ ბოსტნეული"[47].

მიწების გაქირავების ფორმებიდან აღსანიშნავია თვით გამეწებული ბაღ-ვენახების „იჯარით" გაცემის წესი. ისევე, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ამ შემთხვევაშიც ორივე მხარის მოლაპარაკება საბუთით ფორმდებოდა. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულ ერთ-ერთ საბუთში, რომელიც ივანე ალექსანდრეს ძე ამილახვარისაგან არის გაცემული, აღნიშნულია, რომ—ქვემო ბაღაში (გორის მაზრა) მდებარე თავის მამულს ,ბაღ-ვენახს იგი აძლევს ბოფ. გორაკელ გლეხებს ხუბაშვილსა და მუზაშვილს ხუთი წლის ვადით, სადაც გლეხები ვალდებულებას კისრულობდნენ ნატურით ეხადათ ხილი და ყურძნის მოსავლის ნახევარი, ბოსტნეულის ორი მესამედი. მოსავლის აღებისას ამილახვარი ვალდებული იყო დროულად აენაზღაურებინა გასამრჯელო. მებაღეებს უფლება ჰქონდათ ეცხოვრათ მარანში, რომელიც იმავე ბაღში იყო აშენებული და იქვე უნდა დაებინავებინათ მოსავალიც. მათივე მოვალეობას შეადგენდა ბაღ-ვენახის ყარაულობა და ამავე დროს თავიანთი ხარჯებით უნდა გაეშენებინათ ყოველ წელიწადს თითოს ასი ძირი ახალი ვაზი და დახმარებოდნენ თავად ამილახვარს ახალ-ახალი ხეხილის დარგვაში. ამავე დროს მებაღეები ვალდებულები იყვნენ მთელი ბაღის

---

[47] ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. საქართ. და-კავკას. ეკონომიური განვითარება. XIX—XX სს. ტ. II, თბილისი, 1956. გვ. 680.

ცოცხალი ღობე ნახევროპით თავიანთი ხარჯებით გაეშენებინათ, ხოლო ნახევარი კი მეპატრონის ვალი იყო.[48]

როგორც ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს ბაღ-ვენახების გაშენება განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი „საინხეილოდ" ანუ „საიხეილოდ", რომელიც იგივე სანახევროს ან სახიაროს ფორმას უნდა უდრიდეს. როგორც მთხრ. გიგუცა ლუარსაბის ძე ხმიადაშვილი მოგვითხრობს: „ცხინვალს იყო ერთი იმერელი პებაღე ალექსა ერქვა, რომელმაც საიხეილოთ მებო ხუციშვილისაგან 10—12 დღიური ზვარი გააშენა. ზვარი ქვემო ნიქოზის მხარეს მდებარეობდა და იქ მუშით, ხან დღიურად, ხან ნარდათ ვმუშაობდი. თითონ ალექსამ ხეხილის მყნობა კი არ იცოდა, სულ სხვებს ამუშავებდა, ისე რომ ის მარტო ხელმძღვანელობდა და ამაში ნახევარ წილში უდგა მიწის პატრონსა"-ო.

ხეხილის გაშენებისა და საერთოდ მიწით სარგებლობისა და დამუშავების ირგვლივ მრავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მაგალითების მოყვანა შეიძლება, რომელზედაც ჩვენ აღარ შევჩერდებით.

ზოგადად ჩვენ შევეხეთ ბაღების გაშენების ფორმებს, ახლა გადავიდეთ უშუალოდ ხეხილის გაშენება-განაწილებაზე თვით ბაღების შიგნით.

თუკი ქართველი მეურნე დახელოვნებული იყო ხეხილისათვის ნიადაგის შერჩევაში, მისი გამრავლების წესებში, ბაღების დაგეგმარებასა და სხვა ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებში, რასაკვირველია ხეხილის თვითეულ ნერგს მისი დამახასიათებელი ბუნებრივი თვისების შესაბამისად სათანადო ადგილსაც მიუჩენდა.

უძველესი დროიდანვე უკვე ებრაელთა მწერლობა (დაბადებაბიბლია) მცენარეულობას ორ ჯგუფად იხსენიებდა: „თესლის გამომღები და ხე ნაყოფიერი". ივ. ჯავახიშვილის განმარტებით მცენარის მიერ დაყვავილების შემდგომ გამოღებულსა და მოსხმულს ნაყოფი და ხილი ეწოდებოდა, მაგრამ უძველეს ხანაშივე — განაგრძობს ავტორი — ტერმინს „ნაყოფს" ზოგადი მნიშვნელობის გარდა თავისი სპეციალური მნიშვნელობაც ჰქონდა. „ნაყოფი" და „ხილი" იმით განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, რომ ნაყოფს ველის უმერქნო მცენარე იძლეოდა, ხილს კი ხე[49].

საბა ორბელიანის განმარტებით „ხილი ეწოდება წალკოტთა მყოფთა ხილთა ხეზედ სხმულთა ქერქრბილთა, ვითარცა ვაშლთა.

---

[48] ცენტრ. არქივი, ფონდი 215. № 14. გვ. 20.

[49] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 284—285.

ბროწეულთა, ყურძენთა, ლიმოხთა და მისთანათა—ხოლო ხული ჭერქმაგართა, ვითარცა ნუშთა, ნიგოზთა, წაბლთა, ნაჟუთა და მისთანათა.—ხოლო ხმილი ბალახთა ზედა ბმულთა— ‹ხოლო ხიჩატელი ველურთა ტყეთა შიგან უმუშავოთ მოსულთა ხის ნაყოფთა“[30], აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ყველა შინაურ ხილს თვინიერსაც უწოდებს. ამრიგად, ძველ ქართულში ხის ნაყოფი ძირითადად ორ ნაწილად ყოფილა დაყოფილი, ესენი: ხილი და ხმილი. ხილი, რომელიც ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, საბა ორბელიანის განმარტებით, ეწოდება „წალკოტთა მყოფთა ხილთა ტეზედ სხმულთა, ვითარცა ვაშლთა, ბროწეულთა, ყურძენთა, ლიმონთა და მისთანათა, ხოლო ხმილი ბალახთა ზედა ბმულთა —ნესვთა, მელსაპეპონთა, კიტრთა, მარწყუთა და მისთანათა“. ყოფაში ნაყოფის თავისებურების წყალობით ხილეულსაც ძირითად ჯგუფად არის დაყოფილი: თესლოვანები, კურკოვანები და კაკლოვან-ნაპუქიანები. აღნიშნული დაყოფის გვერდით ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხშირად ხილეულის ზოგადი დაყოფისას ყველა კურკოვანებსა და შემოდგომამდე ე. წ. „მოსალევ“ ხილს წვრილ ხილსაც უწოდებენ (ბალი, ქლიავი, ტყემალი, ჭერამი, შვინდი, ნუში, მოცხარი, ყოლო და სხვა).

ნაყოფის მიხედვით ხეხილის დაყოფასთან ერთად და მისი ზრდის თვისებების მხრივ ყოფაში არჩევენ: ბუჩქებს, ნახევრად ხეებსა და დიდრონ ხეებს. მაგ. ბუჩქოვან ხილეულში თვლიან: ხურტკმელს, ყოლოს, ბროწეულს, მოცხარს, თხილს, კვრინჩხს, კოწახურს, ხომანდულს, კუნელს, ასკილს, ჯახველსა და სხვა. ნახევრად ხეებში კი ნუშს, ლეღვს, ზეთის ხილს, ატამს, ხღმარტლს, ალუბალს, ტყემალს, ქლიავს, შინდს, კომშს, და სხვა, ხოლო ხეებში: ვაშლს, მსხალს, კაკალს, თუთას, ბალს, ჭერამს, ფშატს აპრყენას და ა. შ.

როგორც ჩანს, ქართველი მეურნე კარგად ერკვეოდა ხეხილის ტანისა და ნაყოფის დამახასიათებელ თვისებებში, რომელიც თავის დროზე სათანადოდ ჰქონია დაყოფილი და კლასიფიცირებული. ამის გამო მებაღე თვითეული ჯურის ხეხილის დარგვისას შესაფერის ადგილს ურჩევს. ყოველივე ამას თავისებური ცოდნა-გამოცდილება ესაჭიროებოდა, რისთვისაც ბაღ-ვენახის მშენებელი მოხელე სპეციალისტები სოფლიდან სოფლად ან ქვეყნიდან ქვეყნად მიმოდი-

---

[30] საბა ორბელიანი, ლექსიკონი, იხ. ხიჩატელი.

ოდნენ. ამის გამო XIX ს. 80-90 წლებში საქართველოში სხვა ხელოსანთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა მებაღე-მევენახე ხელოსანთა რიცხვიც. მაგ. ქ. გორში ამ ხანად ხელოსნებს შორის მებაღე-მევენახეთა რიცხვი 43 ითვლიდა, რომელთაც 5 შეგირდიც ჰყავდათ ე. ი. სულ 48[51].

მებაღე-მშენებლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ადგილობრივი მოხელეები, რადგანაც უცხო მებაღეები ადგილობრივ პირობებს სათანადოდ ვერ აფასებდნენ. ამის გამო ქართველი მებაღეები ხშირად სინანულითაც აღნიშნავდნენ ხოლმე, რომ „ბაღების მშენებლობა დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანეს და ეს იმიტომ, რომ მეტწილად (განსაკუთრებით XIX ს. 90-იან წლებში), უცხოელები იყვნენ მებაღეები და ყველა პირობებს-ადგილებს კარგად არ იცნობდნენ"-ო[52].

ძველად საქართველოში მეფე-დიდებულების სასახლეებს, როგორც ცნობილია გარს ეკრათ დასასვენებელი და თვალთა საამებელი ბაღები, რომელთაც „მტილ-სამოთხენი" ეწოდებოდა, სადაც ბოსტან-ხილეულთან ერთად, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ყვავილებიც ყოფილა გაშენებული. ამის გამო იქ მომუშავესა და მომვლელს „მემტილე" ეწოდებოდა, რაც საბა ორბელიანის განმარტებით ბაღაღეს ნიშნავდა. ამის გამო ძველ საქართველოში ტერმინის მებაღის ნაცვლად მემტილე იხსენიებოდა.

მემტილეს ანუ მებაღეს ევალებოდა ბაღის ყოველგვარი სამუშაოების შესრულება მოსავლის საბოლოო დაბინავების ჩათვლით, რაც დიდ შრომასა და ბაღიდან გამოუსვლელობას მოითხოვდა. ამისათვის ბაღში მომუშავეს ძველი დროიდანვე „სახლაკი მცირე"[53] სდგმია მტილ-სამოთხეში, რომელსაც ჯერ კიდევ ბაღის გაშენებამდე აკეთებდნენ. ბაღ-ვენახებში მცირე სახლაკის მოწყობა მებაღისათვის, თავშესაფარი და მოსავლის დასაბინავებელი ადგილი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რომელმაც ჩვენს დრომდე „მარანისა"[54] და „მებაღის ქოხის"[55] სახელწოდებით მოაღწია. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში სპეციალური ტერმინი „ხილსაცავი"-ც ხმარებულა, რომელიც საბა ორბელიანს მეხილის ქოხად აქვს განმარტებული, ბაღ-ვენახებში სათანადო მცირე სახლაკების მოწყობა

---

[51] დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბილისი, 1954, გვ. 125.
[52] ბაღოსნობის შესახებ, გაზ. მეურნე, 1890. № 5.
[53] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, წ. II, გვ. 116.
[54] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი № 215, № 14.
[55] ჯ. სონღულაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 167.

ძველთაგანვე ტრადიციულად მომდინარეობს. რომელიც ძველი იტალიის მებაღეებსაც ბაღების შემოღობვისთანავე უკეთებიათ[56].

ამავე თავის წინა ნაწილში ჩვენ აღნიშნული გვქონდა საბაღე ადგილის დამუშავების ხალხური მეთოდები და ხეხილთა შორის საჭანადო მანძილის დაცვა. ახლა გადავიდეთ თვით ხეხილის დარგვის ხალხურ მეთოდებზე.

საბაღედ განკუთვნილ ნიადაგს, რომელსაც ჯერ კიდევ შემოდგომით ხნავენ ადრე გაზაფხულზე ორმოების მოსათხრელად ამზადებენ—ფარცხავენ, ხის სამკუთხედი ფორმის ხელსაწყოთი ზომავენ და პალოების დარჭობით ორმოს მოსათხრელ ადგილს ინიშნავენ. იმისათვის, რომ ხეხილის მწკრივი სწორად იქნეს გაშენებული თავდაპირველად ნაკვეთის ერთ მხარეზე თოკს სწორად გაიბამენ და ერთი ბოლოდან იწყებენ წინასწარ ზომაზე დაყენებული ხის სამკუთხედით გადაზომვას. რომლის ერთი კუთხე თოკის დასაწყისში იდება და ამრიგად ინიშნება სამი წერტილი, სადაც ორმო უნდა იქნეს მოთხრილი.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვიდრე ხეხილის დარგვის დრო დადგებოდეს, გამოცდილი მებაღეები მისთვის საჭირო ორმოებს 3—4 კვირით ადრე თხრიან. ორმოების სიფართოვე დამოკიდებულია თვით ნიადაგის შედგენილობაზე. მაგ., თუ ნიადაგი ფხვიერი და ღონიერია ხალხის დაკვირვებით ის ერთი არშინი სიგანეზე და ნახევარი არშინის სიღრმეზე უნდა მოთხრილიყო. ხოლო უღონო და ქვაღორღიან ნიადაგს ორი არშინის სიგანეზე და არშინამდე სიღრმეზე ამოთხრიდნენ, რათა მაგარ ნიადაგში ხეს ფესვების გადგმა-გახარება არ გასჭირვებოდა. ორმოს სიდიდე განსაზღვრული იყო აგრეთვე „გადაბრუნებული და ჩვეულებრივად ნამუშევარი ნიადაგისათვისაც, სადაც ამ უკანასკნელის დროს ორმო შედარებით ღრმად უნდა ამოთხრილიყო. ხალხის გადმოცემით ორმო რამდენადაც ადრე ამოითხრება, იმდენად დიდად უნდა მიწის ამოღება, რომ დარგვის დრომდე ხელშეორედ მოთხრა არ დასჭირებოდა. მათივე გადმოცემით ადრევე მოთხრილ ორმოს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ქარისა და წვიმისაგან ფხვიერდება ანუ „იქარება“ და ნერგისათვის ძალიან სასარგებლოა.

---

[56] М. Е. Сергеенко, დასახ. შრომა, გვ. 92.

ორმოების მოთხრისას გამოცდილი მებაღე ძირითა ანუ „უძრავ“ მიწას ერთ მხარეს დაყრიდა, ხოლო ზემოთას—„დამწვარს“ მეორე მხარეს. რომელთაც ნერგის დარგვისას ცალ-ცალკე მიაყრიდა ისე, რომ უძრავი მიწა ზემოდან მოქცეოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ორმოების წინასწარ ამოთხრა ვერ მოხერხდა, მაშინ გამოცდილი მეურნე შედარებით დიდ ორმოს ამოთხრის, შიგ ჩაყრის ზევით-ზევით აღებულ დამძრალებულ მიწას, ხის ნაცარს და ჩარგვის შემდეგაც იმავე მიწისა და ნაცრის ნარევს მიაყრის. ორ მოს გამოქარვის მიზნით, როდესაც მას წინასწარ ვერ თხრიდნენ მებაღეები თავისებურ მეთოდებს იყენებდნენ: ბაღში მოგროვილ ნარჩენებს (ბოსტნეულის, სიმინდისა და სხვა) გაზაფხულობით ახლად ამოთხრილ ორმოებში აგროვებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, ამ მეთოდით მიწის ხელოვნურ გამოწვასა და ამავე დროს ნაცრით გაჯოყიერებას აწარმოებდნენ. ნაცრის გამოყენებას ქართველი მიწის მოქმედნი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ოდითგანვე მისდევდნენ. მეხილეობაში მას ფართოდ იყენებდნენ ხის სხვადასხვა დაავადებებისა და განოყიერების თვალსაზრისით, ნაცრით განოყიერება ხალხის დაკვირვებით განსაკუთრებით უხდება ლეღვს, ბროწეულს ატამს და სხვა.

ორმოების წინასწარ ამოთხრას ან ხელოვნურად გამოწვას მთხრობელთა გადმოცემით ძირითადად დიდრონი ხეების (განსაკუთრებით ვაშლის, მსხლის, კაკლის) გაშენების დროს მიმართავდნენ. თუმცა, მათივე გადმოცემით, ის ყოველგვარ ხილეულს რგებდა.

ხეხილის ჩარგვისას მიწას მიუტკეპნიან, რომ შიგ ღია ადგილები არ დარჩეს, სადაც წყალი დგება იქ ნერგი ავადმყოფდება და ხმება. გამოცდილი მებაღე ჩარგვის წინ ნერგს, როგორც ტოტებს ისე ფესვებს გაუხლავს ე. ი. დაზიანებულ ან მომხმარ ფესვებს წააჭრის, ტოტებს „შეუთხელებს“ და იმ მიზნით, რომ ახლად დარგულს პატივი „სწვამს“ მას „წუნწუხში“—პატივიან წყალში, (სადაც აყალრ[57] მიწაც არის გახსნილი) ამოვლების შემდეგ ჩარგავდნენ. ახლად ჩარგულ ნერგს სწორად ზრდისა და კარგად დახარების მიზნით აუცილებლად საჭიროებს სარი, რომელზედაც ნარგავს მიაკრავენ, ხოლო იმისათვის, რომ მიწის „დაჯდომის“—დაწევის მერე ნერგი სარს არ ჩამოკიდებოდა ამ უკანასკნელს პირველადვე უფრო ღრმად ჩაარჭობდნენ. თუმცა მთხრობელთა გარკვეული ნაწილი ნერგისა და სარის ერთდროულად დარგვას ამჯობინებენ, რომ „ერთად ჩარგვი-

---

[57] მთხრ. გადმოცემით აყალო მიწაში ნარევი ჟიეო უფრო კარგად ეკვრის ფესვებსაო.

ლას ნერგიცა და სარიც ერთად მისდევენ მიწასა"-ო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო ნერგის დარგვისას მებაღეები დიდ ყურადღებას აქცევენ მის თავდაპირველ ნარგაობაზე, თუ რა სიღრმეზე იყო დარგული და ახლად დარგვისას ორი ვერშოკით უფრო ღრმად რგავენ. ხოლო რაც შეეხება გრძელი ფესვების წაჭრას, მას იმ მიზნით აწარმოებენ, რომ ჩარგვისას ცუდად არ მოიკეცოს და დამახინჯებულად არ განვითარდეს. ძველ. ალექსი მიქელაძე ძე წიკლაშვილის (95 წ., სოფ. ყარაღაჯი, სიღნაღის ოლქი, 1960 წ.) გადმოცემით „მოკეცილად ჩაყოლებულმა ფესვმა დაკუნძულებულად იცის გაზრდა და სხვა ფესვებსაც უშლის ხელსა"-ო. მისივე აზრით ასეთმა უსწორმასწორო ფესვებმა ხეხილის გაზრდაც თანაბრად არ იცის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველივე ახლად გადარგულ ოცენარეულობას, როგორც ბოსტნეულს, იმე ხეხილს მანამდე ის „გაცოცხლდებოდეს" ანუ დახარდებოდეს განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს. როგორც ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა ამ მიზნით მეტადრე იცავდნენ პირველ რიგში ახლად გადარგული ნერგის წყლით უზრუნველყოფის წესს. ამის გამო ახლად დარგულ ხეხილს „ირგვლივ მცირედ ჩადაბლებული მიწისაგან რკალი გაუკეთდებოდა. რასაც კახეთში გუბეს უწოდებენ. ქიზიყში (და ქართლში—დ. ბ.) კი ამ ცვლების შესატყვისად კალო იხმარებოდა. ეს იმიტომ უკეთდებოდა, რომ აუცილებელი იყო დარგული ხისთვის წყლის დასხმა. წყლის დასხმა ხანგამოშვებით ხდებოდა და იგი გრძელდებოდა მანამდე, სანამ ხე გაიხარებდა"[68]. როგორც მთხრობელი შაქრო გიორგის ძე გელდიაშვილი (82 წ., ქარელის რ-ნი. ს. რუისი, 1959 წ.) გადმოგვცემს „ახლად დარგულ ხეხილს დარგვის დღიდანვე უნდა წყლის დასხმა მანამ კარგად არ გაცოცხლდება. დასხმული წყალი სხვაგან რომ არ გაქცეულიყო, ამისათვის მიწას მოუკალოვებდით, სადაც წყალი გუბდებოდა და ნელა-ნელა ნერგის ფესვებში იღლინთებოდა. თორემ ახალი ნარგავის მიწა ისე იყო ხმელ მიტკეპნილი, რომ ერთბაშად დასხმით ეკოე ოლად წყალი ფესვებამდე ვერ გაატანდა"-ო.

ხალხის რწმენით კარგი ხეხილის გასაშენებლად ნერგი ახალ ნთვარეზე უნდა ჩარგულიყო, ხოლო კარგად დახარების და „მეწლეულობის" საწინააღმდეგოდ კი ის დარგვისას ორივე ხელით უნდა სჭეროდათ.

---

[68] მ. გ ე ბ ე შ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 178.

აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „სათაკი-თაო“ ადგილებში ზამთრის ხილს აშენებდნენ, რომელთა მწკრივებ-შიც სხვადასხვა წვრილ ხილს ურიგებდნენ (ხომანდული, ზღმარტ-ლი, ატამი, გარგარი, მოცხარი, ხურტკმელი და სხვა), ხოლო დანარ-ჩენ წვრილ ხილს ძირითადად მიჯნის ნაპირებზე რგავდნენ. აღსანიშ-ნავია, რომ წვრილი და საერთოდ ნაადრევი ხეხილის ბაღ-ვენახების შუა ადგილებში გაშენებას ერიდებიან, რადგანაც მათ გამოცდილე-ბიდან იციან, რომ იქ ხშირად ადამიანის ფეხი ხვდება და მამული ფუჭდება. ამის გამო ყოფაში ზაფხულ-შემოდგომის ხილეულს, რო-გორც აღნიშნული გვქონდა, ბაღ-ვენახების ნაპირა მიჯნებს ური-გებდნენ, რომლებიც ამავე დროს ღობის დანიშნულებითაც გამოი-ყენებოდა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ბაღ-ვენა-ხები ძირითადად ოთხკუთხა ფორმით იყო წარმოდგენილი, რომელ-შიც თავისი მხრივ შიდა ფართობის განაწილებაც თავისებური კანონ-ზომიერებით მიმდინარეობდა. ერთი მთლიანი ფართობი დანაწილე-ბულია შიდა ნაკვეთებად, რომელნიც ერთმანეთისაგან მიჯნებით გა-ნიყოფებიან. სათანადო მიჯნებით გამოიყოფა ბოსტანი, ვენახი, ხეხილი და სახნავ-სათესი. მიჯნის სიგანე ერთიდან ორ მეტრამდეც კი აღწევს ხოლმე.

აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში არჩევენ ოთხი სა-ხის მიჯნას: ვერდი, შუა, თავისა და ბოლოს. ვერდი მიჯნა, რომელიც შედარებით ფართო განიერია ხოლმე მასზე აშენებენ, რო-გორც საკაფ ხეებს, ისე ნახევრად მოზარდი ხეხილის ხეებს, როგო-რიცაა მაგ. ჯონჯოლი და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიდრონი ხეხილის ჯიშებს განსაკუთრებით ფართობის იმ მხარეს ურჩევენ, რომელსაც ჩრდილი მხოლოდ მზის „გადაწვერვისას“ მო-აქვს. გარდა ნაკვეთის დანაწევრებისა თვითეულ მიჯნას თავისი სპე-ციფიკური მნიშვნელობაც აქვს. მაგ. თავის მიჯნა ძირითადად რწყვის დროს სასიარულოდ გამოიყენება, რომელიც ამავე დროს აყამირებს-ამაგრებს მთავარ სარწყავ კვალს: ბოლო მიჯნა ნაყურე-ბის მარეგულირებელია, შუა მიჯნა წყალგამყოფი და სხვა. ყო-ველი მათგანი ყველა შემთხვევაში ფეხით სასიარულოდაც გამოი-ყენება. მიჯნა, რომელსაც მთავარი სარწყავი კვალი ჩამოუდიოდა, როგორც ითქვა, შედარებით განიერი უნდა ყოფილიყო, რასაც წყლის საგანგებო ბილიკის აუცილებლობა მოითხოვდა[59]. შუა მიჯ-

---

[59] აღნიშნულ საკითხზე იხ. მ. გ ე გ ე შ ი ძ ი ს დასახ. შრომა, გვ. 65.

ნა შედარებით ვიწროა და ხეხილის გასაშენებლადაც ნაკლებად გამოსადეგია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხუნწის, ხურტკმელის და სხვა ბუჩქოვანი ხეხილისა და მანეულის განაშენიანებას).

მიჯნით მიწის შიდა დანაწილებულ თვითეულ ნაკვეთს ყოფაში „ეტი“ ეწოდებოდა. ეტის გამომყოფია მიჯნა თავისი სარწყავი კვალით — ეტით. საბას განმარტებით, — ეტი არაკალია და ვენახის ეტს უწოდებენო.[60] ის ეტი, რომელიც „მამულის“ თავში მდებარეობდა და პირველად ირწყვოდა იქ, ხეხილის გაშენებას რჩებოდნენ. მოხრ. გადმოცემით „თავის მამული მალე ღარიბდება და ირეცხება, რასაც ბოსტანთან შედარებით ხეხილი უფრო ადვილად ერტანს“-ო. იმის გამო, რომ მიჯნებზე ხეხილის ნარგავებია გაშენებული ერთი შეხედვით მიწა, რომელიც შერწყმული კულტურებით ხასიათდება, ერთი მთლიანი ბაღის შთაბეჭდილებას ტოვებს, რის გამოც ყოფაში ხმარებული ერთი მთლიანი ტერმინის—ბაღის არსებობა ამით უნდა იყოს გამართლებული.

ხ ე ხ ი ლ ი ს მ ო ვ ლ ა

ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, როდესაც ადამიანი მივიდა იმ დასკვნამდე. რომ ხილი ყოველთვის სასარგებლოა მისთვის. მაშინ დაიწყო მისი მოშინაურება და ამასთან ერთად მოვლაც. ისიც ცნობილია, რომ ყოველი ხილის ჯიში. რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია და ხალხი თავის სასარგებლოდ იყენებს ერთ დროს ტყის გაველურებულ ნარგავებს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა პირვანდელ—ველურად მდგარ ხეხილს ახლანდელი ხილის გემო და ლაზათი არ გააჩნდა. რომელიც შეჯვარებისა და მოვლის წყალობით არის მიღებული. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვხვდებით ოდესღაც კულტურული ხეხილის ჯიშებს ძველ ნამოსახლარებთან. რომელთაც მოუვლელობის შედეგად პირვანდელი—გარეული თვისებები აქვთ დაბრუნებული. ისე. რომ „თუ ხილს არ მოუარე უკანუკან მიდის და თაღის წინაპარს ემსგავსება“[61].

ხეხილის ჯიშთა თვისებები რომ ნიადაგის. ჰავისა და მოვლის პირობების წყალობით შესაძლებელია შეიცვალოს. ქართველ ხალხს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათვე უნდა შეემჩნია. რაზედაც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი მდიდარი ტერმინოლოგიაც მეტყველებს. კერძოდ აღმ. საქართველოს სინამდვილეში დღესაც ხმა-

---

[60] ს ულ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, გვ. 16 და 111.

[61] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, ბაღის მიწასაც მოვლა უნდა, თბილისი, 1926,გვ. 2.

რებაშია ტერმინები „გადაჯიშება“, „გადაგვარება“ და სხვა, რაც ხეხილის პირვანდელი თვისების შეცვლის შემთხვევაშიაც არის ხმარებული. ხეხილის გადაჯიშებისას, რომელიც ნიადაგის გამოცვლის კლიმატისა ან სხვა პირობების შემთხვევაშიაც კი ხდება ხოლმე, ხშირად ესა თუ ის კულტურა ყოფაში ახალ სახელწოდებასაც კი ღებულობს.

სიტყვა გადაჯიშებას ხალხი მაშინ მიმართავს, როცა ესა თუ ის ხეხილი ადგილის გამოცვლით ან სხვა ხელისშეწყობ ნიადაგზე სხვა თვისებებს იძენს. გადაგვარებულს იტყვიან მაშინ. როდესაც ერთ დროს მსხმოიარე ხეს ნაყოფის მოცემის თვისება დაუკარგავს, ხოლო „უშვილო“ კი თავიდანვე—დარგვიდან ნაყოფს არ იძლევა და სპეციალისტების მტკიცებით მამრობით ეგზემპლიარებს წარმოადგენს.

გ ა ს ხ ვ ლ ა. ბაღ-ვენახების გასხვლა საქართველოში ძველთაგანვე უნდა სცოდნოდათ, როგორც მეურნეობის იმ დარგებით დაწინაურებულ ქვეყანას, რომელთა გასხვლის გარეშე დღევანდლამდე შემორჩენა შეუძლებელიც კი იქნებოდა. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალებს. რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ბრინჯაოს თავისებური, წვერმოკაუჭებული ცული, პროტოტიპი თანამედროვე დასავლურ-ქართული წალდისა, რომელიც ბუჩქნარის გამოსაჩეხად და ტყის მაღლარი ვენახების სასხლავად იხმარებოდა[62].

ისტორიული წყაროების სიმცირის მიუხედავად, შესაძლებლობა გვაქვს ზოგიერთი ცნობები მოვიშველიოთ, რომელნიც უშუალოდ ვაზის სხვლასთან არიან დაკავშირებული და წარმოდგენას გვაძლევენ მებაღეობა-მევენახეობის ამ სამუშაოს პროცესზე (სტრაბონისა და შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ).

საკითხის შესასწავლად არანაკლებ საყურადღებოა ჩვენ მიერ ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ მდიდარი ხალხური წეს-ჩვეულებების შესახებ. რაც მეურნეობის ამ დარგთან არის დაკავშირებული.

საქართველოს სინამდვილეში ხეხილის გასხვლას დარგვიდანვე იწყებდნენ. რათა ხისათვის გარკვეული ფორმა და კარგად დახარების საშუალება მიეცათ. იმის გამო, რომ ზამთარში ყინვამ არ შეაწუხოს ხეხილს მეტწილად ნაადრევ გაზაფხულზე სხლავენ. გასხვლი-

---

[62] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, კავკასიაში ქართული კულტურის უძველესი ფესვების საკითხისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XII-B, თბილისი, 1944.

ასას მეურნე მხედველობაში იღებს ამა თუ იმ ხის ბუნებრივი ზრდის თავისებურებას და იმისდა მიხედვით თუ როგორი ტანის ზრდა ახასიათებს, თავისებურ ფორმას უტოვებს. გამოცდილება მეპაღეს კარგად იცის, რომ ყველა ხე მეტ-ნაკლებად კონუსის ფორმისა იზრდება, რის გამოც პატარა ნერგის გასხვლის დროს ქვედა ტოტებს შედარებით განზე აჭრიან. ისე, რომ მას თავიდანვე კონუსის ფორმას აძლევენ, რათა უფრო მეტი მოსავალი მიიღონ.

მებაღეთა გადმოცემით. ხეხილის გასხვლა აუცილებელიც კი არის, რადგანაც ხეს შნო და ლაზათი ეძლევა. ხე თავისუფლად იზრდება, ღონიერდება და ამასთან ერთად ახალი ტოტები ემატებაო.

ყოფაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ახლად დარგული ხეხილის გასხვლას—„დაყენებას", რომელსაც აწარმოებდნენ, როგორც დარგვამდე ისე დარგვის შემდეგ. ძმების ფრიდონოვების რჩევით „დარგვის დამთავრების შემდეგ საჭიროა ტოტების გასხვლა. ჩვენში ტოტები უნდა გაისხლას ერთ მესამედზე. ან უნდა დარჩეს ერთი მესამედი თუ ერთი მეოთხედი სიგრძის. ამასთანავე ქვეშოთა ტოტები ორი ან სამი კვირტით უფრო გრძლად უნდა იქნან დატოვებულნი, ვიდრე ზემო ტოტები. უმთავრესი მწვერვალი ტოტი უნდა დატოვებული იქნას გვერდის ტოტებზე უფრო გრძლად. ტოვებენ დაახლოვებით ათ კვირტამდე. გადაჭრა ყოველთვის საჭიროა გარეთა კვირტზე და გადაჭრილი ადგილი უნდა დაფისოთ"[63].

ხეხილის გასხვლას საზოგადოდ წელიწადის სამ პერიოდში აწარმოებენ: შემოდგომით, გაზაფხულობით და ზაფხულში. ბეხილეთა დაკვირვებით გაზაფხულის პერიოდში ისეთი ხე ისხვლის. რომელიც ჩვეულებრივი ნაზარდია, ე. ი. არც ძალიან ღონიერია და არც უღონო. ხეხილის სხვლა, რომელიც ძირითადად შემოდგომა-გაზაფხულობით მიმდინარეობს, საყოველთაოდაა აღიარებული. თუმცა ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ზოგ შემთხვევაში ე. წ. „შერჩევითი სხვლა" ზაფხულობითაც კი სასარგებლოა ხოლმე. როგორც მთხრ. გიგა მიხეილის ძე ჯოხარიძე (სიღნაღის რ-ნი. სოფ. საქობო, 1959 წ.) აღნიშნავს: „ზაფხულობით ხეს მაშინ გავსხლავთ, როცა ის თანაბრად არ იზრდება. ე. ი. როდესაც რომელიმე ტოტი იჩაგრება მაშინ ნამხრეულებს — ანუ ბარტყებს გავაცლით. რომელსაც შეფურთვნასაც უწოდებთ. იმავე ზაფხულის პერიოდშივე ხდება

---

[63] ხეხილის სანერგეები და ბაღები, ძმ. ფ. და მ. ფრიდონოვებისა, თბილისი, 1905, გვ. 13.

აგრეთვე თამამი ხის შეჩერება—წვერების წაკრა. ხოლო შემოდგომის პერიოდში დაზიანებული ტოტებისაგან ხის გასუფთავება".

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის გაუსხლაობით ხეხილი არ იღუპება, არ ხმება, რასაც განსაკუთრებით ვერ იტანს ვაზის კულტურა, გამოცდილი მებაღე ხეხილის ხეებს ორ წელიწადში ერთხელ მაინც უეჭველად სხლავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალგაზრდა ნამსრეულების წელიწადის ყოველი დროის განმავლობაში დანით და პატარა ხერხით შეცლას.

გასხვლის მნიშვნელობა უაღრესად დიდია, რადგანაც მისი მეშვეობით ხეს ნებისმიერად ზრდიან ან აჩერებენ მის ზრდა-განვითარებას, ადიდებენ მოსავალს, იცავენ სხვადასხვა უამინდობის შემთხვევისაგან და სხვა. გასხვლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დაბერებული ხეების „გადახალისების" საქმეში, რაზედაც ჩვენ მომდევნო თავში შევჩერდებით.

დიდრონი ხეხილის გასხვლისას მებაღეები სხვა პირობებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტოტების შინა განაწილებას, რაც ტანის შიდა ნაწილის ჰაერიანობას ემსახურება. ამ მიზნით გამოცდილი მებაღე ისე გასხლავს ხეებს, რომ შიგნითა ტოტებში ცუდად „გაბრუდებულსა" და ნაზარდ ტოტს არ გააჩერებს, რომელსაც გაასწორებს ან მოჭრის. მთხრობელთა გადმოცემით ხე ისე უნდა იყოს გასხლული, რომ შიგნით ჰაერი თავისუფლად ტრიალებდეს და ტოტები ერთმანეთს არ ეხახუნებოდესო, რადგანაც ამგვარად „დაყენებული" ხე კარგ ნაყოფსაც „იღებს" და მოსავალსაც კარგად ინარჩუნებს ბოლომდეო.

ხეხილის უდროოდ გასხვლას ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ერიდებოდნენ, რადგანაც ხე იჩაგრებოდა და ცუდი ამინდების შემთხვევაში გახმობის მიზეზიც კი ხდებოდა. ამის გამო, როდესაც დიდი ტოტი გამრუდებას იწყებდა და მისი მოჭრა დროის ან საჭიროების შემთხვევაში არ შეიძლებოდა, მაშინ მას კავების დახმარებით აკასწორებდნენ. ამისათვის გამოთლიდნენ კარგ „ლონიერ" ლატანს, რომელსაც სასურველი იყო თავ-ბოლოში კავი ქონებოდა, რათა ტოტს უფრო საიმედოდ მოსდებოდა. როდესაც გასასწორებლად ან „ჩახლეჩილ"-დაზიანებულ ტოტს კავს გამოსდებდნენ იქ, სადაც კავი უნდა მოსდებოდა ან მიბმულიყო მის შიგნითა მხრიდან—„იღლიაში". წინასწარ წმინდა თივას, ხავსს, ან რაიმე ჩვრებს ჩაუგებდნენ და წნელით მიაბამდნენ, რათა ხის მერქანი არ დაზიანებულიყო. იმ შემთხვევაში კი თუ საკმაოდ დიდი ტოტის გასწორება სურდათ, მაშინ მას ძირიდან მოზრდილ ხეს—ბოწკინტს შეუყენებდნენ და იგივე

თივის ჩაგების წესით ე. ი. იმის მიხედვით თუ როგორ შეიდუღებდა ან გასწორდებოდა, მერე გამოაცლიდნენ. იმავე წესს იყენებენ მსხმოიარე ხეხილის ტოტების დამტვრევისაგან დაცვის მიზნითაც.

გასხვლა თავის გარკვეულ წესებს და სათანადო ხელსაწყო იარაღებს საჭიროებს. ცუდი გასხვლის შედეგად მაგ. თუ ტოტი ჩამოიხლიჩა ან პირდაპირ გადაიხერხა, მაშინ ის წვიმის წყალს დაიყენებს, სოკოს ან ხავსს გაიჩენს და გულში სიდამპლე შეეპარება.

აღმ. საქართველოს სამეურნეო ყოფაში სასხლავ იარაღებად გამოიყენება: წალდი, ხერხი (გრძელწვერა, წვრილი ხერხი), დანა და ვაზის მაკრატელი. ამათგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და რაზედაც არქეოლოგიური მონაცემები მეტყველებს, ყველაზე უძველესი რაღი გასხვლის საქმეში არის წალდი.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ვაზის გასასხლავად განკუთვნილი იარაღის სახელად საქართველოში სულ ოთხი სიტყვა არსებობდა: სავაზე, სასხლავი, წალდი და ბურჭული"[64]. საბა ორბელიანის განმარტებით, წალდი „ფიჩხის საკაფი" იარაღია და ბუნებრივია, რომ ის ძველი დროიდანვე ხეხილის გასხვლის საქმეშიც გამოიყენებოდა.

როგორც ნ. რეხვიაშვილი აღნიშნავს სასხლავი იარაღი „წალდუხა წალდისაგან არა მარტო თავისი ყურწიანი სატარეთი განირჩევა. არამედ ფუნქციითაც. პირველი ძირითადად საწალდავი იარაღია, მეორე—გამსხლავი. უკანასკნელი თავისი მოქმედების სიძლიერით და ინტენსიობით წალდს ვერ შეედრება. საამისოდ არც ტარი და არც სატარე არ არგია... ამჟამად მისი გავრცელების არეს, უმთავრესად ბარის ზოლი შეადგენს. მთის ზოლში მისი იშვიათობა, საფიქრებელია, იმით აიხსნება, რომ იგი ძირითადად საბაღოსნო ხასიათის იარაღია"[65].

აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიული მასალებით დგინდება, რომ საკვლევ რაიონებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული დღევანდელი წალდის შემცირებული ფორმის სასხლავი იარაღი, რომელსაც „წალდუნა" ეწოდებოდა. წალდუნა თავისი მოყვანილობით, რომელსაც „ნიღრი", პირთან აქვს გაერთიანებული. პარალელს წარმოადგენს ყოფაში ცნობილი „ნამყენი დანის" პირისას. რო-

---

[64] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, ტ. II. გვ. 331.
[65] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, მეედლობა რაჭაში, თბილისი, 1953, გვ. 153.

ვორც მთხრობლები გადმოგვცემენ, სანამდე სასხლავი მაკრატელი შემოვიდოდა, ქართული ვაზი სულ ზემოთ აღნიშნული წალდუნით ისხვლებოდა ხოლმეო.

ხეხილის გასხვლისას მებაღე დიდი სიფრთხილით ეკიდება როგორც ტოტის მოჭრას, ისე მის მოცილებას, რომ ხეს კვირტები არ დაუზიანოს. ხოლო გადახერხვა-გადაჭრას აწარმოებს ირიბად, რათა წყალი არ გაიჩეროს და სიდამპლე არ შეეპაროს. ამ მიზნით გამოცდილი მებაღე ხეს მოჭრილ ადგილას იმავე საგოზავებს წაუსვამს, რომელიც მყნობის პროცესში გამოიყენებოდა და სათანადო ადგილას გვქონდა აღნიშნული. საგოზავების გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლო და აუცილებელია ტოტის უდროოდ მოჭრის ან ხის ტანის დაზიანების შემთხვევაში.

ბ ა ღ ი ს ბ ა რ ვ ა. ძველმა ქართულმა ხელნაწერებმა ნაწილობრივ შემოგვინახა ხეხილის დამუშავების რიგი საილუსტრაციო მასალა, რომელნიც მეურნეობის სხვა პროცესებთან ერთად ბაღის ან ვენახის ბარვასაც ასახავენ. ერთ ამგვარ საბუთად შეგვიძლია დავასახელოთ XII ს. ჯრუჭის ოთხთავში წარმოდგენილი მინიატურა, საღაც ბაღ-ვენახის ბარვის პროცესია წარმოდგენილი და ასევე XVII ს. ვეფხვის ტყაოსნის ხელნაწერის მხატვრობაში ასახული ბაღის ბარვა და მებაღე (აკად. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონ. ისტორია ტ. II, გვ. 108, 530).

ხეხილის ბაღების ნიადაგის დამუშავება-ბარვა საყოველთაოდ ცნობილია შემოდგომის მიწურულსა და ნაადრევ გაზაფხულზე. შემოდგომის პერიოდში განსაკუთრებით ამჯობინებდნენ ახალგაზრდა ხეხილის ბაღის დამუშავებას, რომელსაც შედარებით „ზევით-ზევით“ ბარავენ, რათა ძირი არ შეურყიონ. მებაღეთა დაკვირვებით ახლად გაშენებული ხეხილის ბაღის დამუშავება მეორე წლიდანვე იწყება, რომელსაც ჯერ თოხნიან, ხოლო დარგვიდან მესამე წელს კი ბარავენ. შემოდგომის პერიოდში ბარვა, მთხრობელთა გადმოცემით, სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ის მალე მზრალდება, პატივივით შეერგება და ამავე დროს ჩვილი მიწა კარგად იკავებს ყინვასაო.

ხეხილის ბაღში ბარვა თავისებურ სიფრთხილეს თხოულობს, რადგანაც ბარის „გამეტებით ჩარტყმით“ შესაძლებელია ფესვი დაზიანდეს. ამისათვის გამოცდილი მებაღე ძველ ნაყამირალს შედარებით ნაკლები სიღრმით ბარავს, რადგანაც მან გამოცდილებიდან იცის, რომ რაც უფრო დაუმუშავებელია ნიადაგი ნარგავებს ფესვები მით უფრო ზევით-ზევით უნვითარდებათ. ამის გამო ყოფაში ხეხილის ბაღის დამუშავებისას ბრტყელპირა და მოკლეტარიანი ბარი იხმარება. მოკლეტარიანი ბარი განსაკუთრებით გამოიყენება დაბ-

ლად დაყენებული ტოტებით განვითარებულ ხეხილში, სადაც შედარებით ბარის დაწვენილი წესით ბარვას მიმართავენ. მიუხედავად აგროტექნიკის დიდი მიღწევებისა, სადაც მთელი რიგი სამუშაოები მექანიზაციის წესით სრულდება, ბარის როლი ხეხილის დამუშავების საქმეში ჯერ კიდევ დიდია.

ხეხილის ბაღის დამუშავებას მექანიზაციის ძალით, მხოლოდ მწკრივთა შორის მიმართავენ. ხოლო თვით ხეხილის ძირებს—მწკრივებს, ბარის მეშვეობით. ბარზე მუშაობა, რომელიც მთხრობელთა გადმოცემით უკან-უკან მოძრაობასა და დიდი სიმძიმის აწევას თხოულობს უბარაქო სამუშაოა, ამისათვის აქ განსაკუთრებით მიღებული იყო,როგორც ნაცვალგარდის წესი ისე დაქირავებული მუშახელის გამოყენება[66].

აღმ. საქართველოში ხეხილის ნიადაგს განსხვავებული წესებით ამუშავებდნენ. მაგ. თუ ახლად გაშენებულ ბაღს 8-10 წლამდე (ქართლში) ყოველ წელიწადს ბარავდნენ, ძველ ხეხილს ორ-სამ წელიწადში ერთხელ, მაშინ როდესაც კახეთში და განსაკუთრებით კოიულეთში და მესხეთში ან 4-5-ჯერ დაბარავდნენ ან სრულიად დაუბარავად დააგდებდნენ.

ცნობილია, რომ ნიადაგის დამუშავებას ყველა ხეხილი თხოულობს, თუმცა მას შერჩევითი წესითაც ამუშავებენ ხოლმე, რადგანაც წვრილი ხილის უმეტესი ნაწილი ისეთ ადგილებში ირგვის (მიჯნებზე, ღობეებში და სხვა), რომ მიუწვდომელია მისი ბარვათოხნა. ამისათვის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ქალაქების ახლო-მახლო ცხოვრობდა და მისი ყოველგვარი ხილეული საბაზრო დანიშნულებით გამოიყენებოდა იქ წვრილი ხილის საგანგებო დამუშავებას-ბარვას ოდითგანვე დიდი ყურადღება უნდა ჰქონოდა დათმობილი. როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ქართველმა მეურნემ გამოცდილებიდან იცის, თუ რომელი ჯურის ხეხილს შეუძლია ცოტა თუ ბევრად შეეგუოს დაუმუშავებელ ნიადაგს, რომელს საჭიროებს ყოველწლიური დამუშავება და სხვა. მათი სიტყვით ნიადაგის დამუშავებას განსაკუთრებით თხოულობს: ატამი, ჭერამი, ვაშლი, მსხალი, ნუში, ქლიავები და სხვა, ხოლო უამისოდ დიდხანს ძლებს კაკალი, თხილი, თუთა, ეოლო, ბროწეული, ლეღვი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ფერდობ ადგილებში, იქ სადაც ხეხილია გაშენებული ნიადაგების დამუშავებას სრულიადაც არ მიმართავენ

---

[66] ჯ. სონღულაშვილი, დასახ. შრომა, 1959, გვ. 23.

ხოლმე. დუშეთის რაიონის სოფელ ჩაბარუხში მცხოვრებ შაქრო გიგოლიას-ძე ქავთარაძის (1960 წ., 80 წლის) გადმოცემით: „დაქახებულ ბაღებში რომ მიწა ვბაროთ ნიადაგი მოხლვავდება და ხეები გადაიქცევა. ამისათვის დაბეგებულ-დაყამირებულ მიწას პირს არ გაუხსნით, სამაგიეროდ ორ წელიწადში ერთხელ მაინც ხეების ძირებში ნეხვს მოუფენთ ხოლმე". ნეხვი იმავე მთხრობელის გადმოცემით ნიადაგს აფუებს, სინესტეს უნარჩუნებს და მაღალ ბალახსაც იკეთებს, რომელსაც წელიწადში 2-3-ჯერ გამოვთიბავთ ხოლმეო. ხოლო რაც შეეხება აღმ. საქართველოს ბარს, აქ ხეხილის ბაღებში ფართოდ ბოყავთ „ფეხის მოსავალი": სიმინდი, ლობიო, ციტრი, პამიდორი და სხვა. ამის გამო ბაღები დაბარვასთან ერთად წელიწადში რამდენიმეჯერაც ითოხნება ხოლმე. მეურნეთა დაკვირვებით ბაღ-ვენახების თოხნა „ფეხის მოსავლის" გარეშეც სასარგებლოა, რადგანაც ნიადაგი გრილდება, ფხვიერდება და ბალახეულობისაგან იწმინდება. იმ შემთხვევაში თუ ხეხილის ბაღის დაბარვა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ მას წელიწადში ორჯერ—ადრე გაზაფხულზე და ზაფხულის პერიოდში ღრმად დაჩერკნიდნენ.

ხეხილის ბაღში კარგი მეურნე გუთანს არ „გააჭაჭანებდა-არ მოუკიდებდა", რადგანაც ნარგავს ფესვები ეგლეჯებოდა. გუთნით მოხვნისას იმ დროს მართლაც დაზიანდებოდა ფესვთა სისტემა, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველად ე. ი. გასაბჭოებამდე საქართველოში ხეხილის გაშენებისას მწკრივთა და ნარგავთა შორის მანძილი თითქმის ერთიორად მცირე იყო... ახლა როდესაც თვითეული ნარგავი (თუ წვრილ ხილს არ მივიღებთ მხედველობაში, 10—12 მეტრით არის ერთმანეთისაგან დაცილებული, ბუნებრივია მისი რიგთა შორის გუთნით დამუშავება ფესვებს არ დააზიანებს.

 განოყიერება. ცნობილია, რომ ნიადაგი დროთა განმავლობაში თავის ძალას კარგავს—ირეცხება და მეტ-ნაკლებად ადგილის მიხედვით იფიტება კიდეც. ამის გამო მიწათმოქმედებაში ოდითგანვე ცნობილი იყო ნიადაგების განოყიერების სხვადასხვა ხალხური წესები.

როდესაც პირველყოფილმა ადამიანმა ველურ ცხოვრებას თავი დაანება და ხელოვნურად მცენარეულობის მოყვანას მიჰყო ხელი, იმ დროისათვის მას უკვე ჰყავდა შეჩვეული პირუტყვი-საქონელი და მუდამ ჰქონდა შემთხვევა, რომ შეემჩნია საქონლის განავლის გავლენა მიწაზე.

ვიდრე უშუალოდ ხეხილის გაპატივებაზე გადავიდოდეთ მოკლედ შევეხებით ნიადაგის დასვენების წესებს, რომელსაც ქართვე-

ლი მებაღეები ადრევე მიმართავდნენ. „იმასთან დაკავშირებით თუ მოხვნის შემდეგ მიწა რამდენ ხანს ისვენებდა, შემუშავებული იყო შესატყვისი ტერმინები: ნარბილი, რცხალი, ყამირი, კორდი, ნასვენები, ანეული, მზრალი და სხვა“[67].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირობებში ნიადაგის დასვენებას სხვადასხვა დროისა და წესების დაცვით მიმართავდნენ. მაგ. გურჯაანში ვენახის სამ წელიწადს ზედიზედ ბარავდნენ და თოხნიდნენ, შემდეგ მარტო თოხნიდნენ. ახაშენში 2-6 წლამდეც კი ტოვებდნენ მოუთოხნავს და ა. შ[68]. ხოლო ქართლის პირობებში კი ვენახს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ბარავდნენ და წელიწადში 3-4-ჯერ თოხნიდნენ. იგივე ითქმის ხეხილის მიწის დასვენების ირგვლივ, სადაც ნიადაგს 2-3 წლით ასვენებდნენ ხოლმე. მართალია ქართველ მეურნეს კარგად ესმოდა ნიადაგის ხანგრძლივი დროით დასვენების სარგებლიანობა, რასაც ფართოდ იყენებდა კიდევაც მევინდვრეობის სისტემაში, მაგრამ მან გამოცდილებიდან ისიც კარგად იცოდა, რომ დიდი ხნით უმუშევრად „ნაგდები“ ბაღი „გადაგვარდებოდა“ და ხმებოდა. ამის გამო ქართლის სინამდვილეში, სადაც ხშირად ბაღებს 5-6 წლითაც ასვენებდნენ ანუ აყამირებდნენ, ორ წელიწადში ერთხელ თვით ნარგავის ძირებს დაახლოებით ორი მეტრის რადიუსით უბარავდნენ ხოლმე.

ხეხილის მეტ-ნაკლები ვადით დაყამირებას ყოფაში სისტემატიურად მიმართავდნენ, რადგანაც გარდა იმისა, რომ ნიადაგი ისვენებს—კეთდება, თვით ნასვენი მიწის ხილის მოსავალი კარგი გემოვნებით, გამძლეობითა და შეფერილობით ხასიათდება. ამ მიზნით დასასვენებლად დაგდებულ ხეხილის ბაღში წინა წლის შემოდგომის პირზე ბალახს (იონჯას ან სამყურას) ანეულის სახით დათესავენ და დაჩერკნიდნენ. ბალახეულობით მიწის დასვენება-გაპატივება ძველთაგანვე მომდინარეობს, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით ქსენოფონტეს დროს ნიადაგის პატივით გაპოხიერების გარდა „ბალახ-ნაბჯიანი მიწის გადაბრუნებითაც ცდილობდნენ ხოლმე სახნავის განოყიერებას“[69].

მთხრ. გენო ლუარსაბის ძე ჩიქლაძის (75 წ., გორის რ-ნის სოფ. ტყვიავი ,1958 წ.) გადმოცემით „ღვინოცა და ხილიც ყამირისა ჯობიან, ნაყოფი კარგი იცის და ესე გასინჯე ხილით მოვაპრე ბაყლებიც ძიენ ეტანებოდნენ ხოლმე, რომელნიც გვეტყოდნენ: ე ფეხის

---

[67] გ. ჯალაბაძე, დასახ. შრომა, გვ. 140.
[68] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, წ. II, გვ. 365.
[69] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, წიგნი I, გვ. 382.

გასავლის გულისათვის ხილს ნუ აფუჭებთ და მაგი ფასს ჩვენ გადა-
გიხდით ხოლმეო".

მეცილეობაში ბაღების გაყამირებასთან ერთად ფართოდ იყენებ-
დნენ გაპატივების წესებს, რაც კარგად ჩანს წერილობითი წყაროებიდანაც. „XVII ს. ერთ ძეგლში (ვახტანგ VI „დასტურამალი", ეგ. 45) აღნიშნულია, რომ კავთისხევის ზვარს ყოველწლიურად 69 ჯინი ნეხვი სჭირდებოდა, რომ ამ სოფლის თვითეული 23 საჩასო გლეხთაგანი 3 ჯინს ნეხვს იხდიდა და სხვა"[70].

ხეხილის ბაღში ნეხვის გატანა ხდება ზამთრის პერიოდში მარხილების საშუალებით, რომელზეც (უმთავრესად თხილის) წნელისაგან მოწნული ჯინია გამართული. ჯინი საბა ორბელიანის განმარტებითაც გოდორ-მარსილს ნიშნავს, რომელსაც ყოფაში სასიმინდედაც სწნავენ და „ძარსაც" უწოდებენ. ჭელძარი კი საბას განმარტებით „ხელის ჯინი საზიდარია. ჯინში ანუ ძარში 10—15 ფუთამდე ნეხვი ჩადის. აკად. ივ. ჯავახიშვილს ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ჯინის საშუალო ტევადობა ათ ფუთამდე აქვს განსაზღვრული[71].

მთხრობელთა გადმოცემით, „თითო კარგად მოზრდილ ძირს ერთი ჯინი ნეხვი კარგად ყოფნიდა, ხოლო წვრილ ხილს იგრე ვარაუდით მოუფენდით ხოლმე"-ო. „ნაკელის დაყრის რაოდენობა დამოკიდებული იყო აგრეთვე გლეხის შეძლებაზე. დღიურზე საშუალოდ აყრიდნენ 100—150 ჯინს. ისე როგორც პროფ. გ. ჩიტაიას მასალებიდან ირკვევა ნაკელი მიწაზე ვერშოკნახევარი სისქით უნდა მოეფინათ"[72]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაკელის დაყრა თვით ხეხილის წლოვანობაზეც იყო დამოკიდებული.

მებაღეთა დაკვირვებით ახალგაზრდა დაახლოებით 15-20 წლის ხეს 5-8 ფუთი ნეხვი ყოფნის საშუალო გამწეობის მიწაში, რომელიც 4-5 წელიწადს უნარჩუნებს სინოყივრეს, ხოლო დაბერებულ ხეებს 10-15 ფუთი, რადგანაც გვიან იგებს სინოყივრეს და ფესვებიც განზე აქვს გადგმული. ამ მიზნით გამოცდილი მებაღეები ძირიღან დაახლოებით ორი არშინის მოშორებით 1—2 არშინის სიგრძის არხებს გაუჭრიდნენ და ნეხვით ამოავსებდნენ. აღნიშნული წესით ხეხილის გაპატივებისას მებაღეები ხელს უწყობდნენ ბებერ ხეებს, რათა დამატებით გამოეღოთ ახალი—ჩინჩლა ფესვები და გაღონიერებულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბებერი ხე, როგორც აღნიშ-

---

[70] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, წიგნი, II. 365.
[71] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, წიგნი II, გვ. 366.
[72] გ. ჯალაბაძე, დასახ. შრომა. გვ. 143.

ნული გვქონდა, გვიან იგებდა რა გაპატივებას, მას უგვიანდებოდა ახალი ფესვების გამოტანა და ხმობას იწყებდა. ცნობილია, რომ გაპატივება უმჯობესია დამწვარი ნაკელით, რადგანაც ხე მალე ითვისებს, ხოლო გამძლეობის ე. ი. ნიადაგის სინოყიერის დიდი ხსით შენარჩუნების მიზნით კი ახალი ნაკელი უჯობს.

აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნიადაგების გასანოყიერებლად იყენებდნენ: საქონლის, ცხვრის, ცხენის, ღორის. ფრინველისა და ადამიანის ანუ ე. წ. „ღამის ოქროს“ სასუქებს, რონელნიც ნიადაგების მიხედვით გამოიყენებოდა. მაგ. მაგარი და გრილი ნიადაგებისათვის მისი გაფიცხებისა და გამსუბუქების მიზნით აყენებდნენ ცხენისა და ვირის ნეხვს, ანუ „ჩონჩორიკს“. ფიცხი და ცხვიერი ადგილებისათვის სასურველია ღორის ნეხვი ანუ „ჩხრონკელი“ (საბა, ლექსიკონი), რომელიც შედარებით დაბალი ღირსებისაა. ხოლო საქონლის ნეხვი ყოველგვარი ნიადაგების გასანოყიერებლად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ დახელოვნებული მეურნეები კარგად ამჩნევენ რა ზემოთ აღნიშნულ სასუქებს იმის მიხედვით მათ გამძლეობასაც განსაზღვრავდნენ: ძროხის ნეხვი ხალხის დაკვირვებით მაგარ და გრილ ნიადაგებში 5—6 წლამდე ძლებს, ხოლო ფხვიერსა და მსუბუქ ნიადაგებში 3-4 წლამდე. ცხვრის ნეხვი ანუ „დრემლა“ (საბას განმარტებით—„დენგრა“), სხვა სასუქებზე ღონიერია, მაგრამ მალე კარგავს თავის თვისებას. ამისათვის კარგია მაგარი და გრილი ნიადაგებისათვის. ყოფაში კარგად არჩევენ აგრეთვე ნეხვის ღირსებას საქონლის ასაკის მიხედვითაც, რომ „ბებერი საქონლის ნეხვი კარგია, ხოლო ახალგაზრდასი შედარებით უღონოა და ამისათვის ერთმანეთში ვურევთ და ნიადაგში ისე შეგვაქ ხოლმე“-ო (მთხრ. ჯირკვალაიშვილი 70 წ., სოფ. მარანა, გორის რ-ნი, 1958 წ.).

ახალგაზრდა საქონლის ნეხვის შედარებით მდარე თვისებები აღნიშნულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ გაზეთშიც, სადაც ვკითხულობთ: „თუ პირუტყვი ახალი გაზრდილი ანუ მაკეა იგი მძიმდება და ამ დროს განავალს ნაკლებად მისდევს სასარგებლო ნივთიერება მიწისათვის“[75].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოფაში ხეხილის გაპატივებისას, როდესაც ნიადაგის დამუშავების დროს ვერ ასწრებენ პატივის „მოშლას“ და ჩაბარვას, ასეთ შემთხვევაში იყენებდნენ „ჟიჟო“-ს გაკეთებას. ჟიჟოს მოსაწყობად ბაღ-ვენახების თავში რამოდენიმე საკმაოდ მოზრდილ ორმოს მოთხრიდნენ, შიგ ახალ პატივს

[75] მიწის გაპატივება, გაზ. მეურნე, თბილისი, 1888, № 33.

ჩაყრიდნენ და წყალს მიუგდებდნენ. ორმოში წყლის ჩასვლასთან ერთად მას დროდადრო ამოურევდნენ ე. ი. წყალში გახსნიდნენ და ამ წესით რწყავდნენ „ნაკადელის“ ბოლოში გასვლამდე. გაპატიების იგივე პრინციპი ფართოდ გამოიყენებოდა საქართველოს რიგ ადგილებში, რომელიც „მონეხვწყლის“ სახელწოდებითაც არის ცნობილი[74]

რ წ ყ ვ ა. ძველად საქართველოში სარწყავი სისტემის მოგვარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, რადგანაც ის ითვლებოდა დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ.

ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეებში სოფლის მეურნეობის დაწინაურებაზე, რაც ბევრად იყო დამოკიდებული სარწყავი არხების სისტემაზე, მოწმობს საქართველოს მიწათმოქმედების მაღალ კულტურაზე. კეოძოდ „სარწყავი არხები, რომლებიც ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, შიგნით კახეთში და გაღმა მხარში იქნა გაყვანილი XII საუკუნეში“[75].

ძველი დროიდანვე სარწყავი არხების გაყვანა ძირითადად ბაღ-ვენახებისა და ბოსტნეულის მოსაყვანად იქნებოდა განკუთვნილი, რადგანაც ეთნოგრაფიული მასალების დამოწმებით იქ, სადაც წყალი მცირე რაოდენობით გააჩნდათ ხოლმე პირველ რიგში ბოსტნებისა და ბაღ-ვენახების მოსარწყავად იყენებდნენ, ხოლო მეორე რიგში სახნავ-სათესი მიწებისათვის[76]. აღნიშნული წესი ისე იყო დაცული და დაკანონებული, რომ ხელს თვით მეფეც კი აწერდა [77].

ყოველივე ამის გამო, რასაკვირველია, ხეხილის გასაშენებლად რსეთი ნაკვეთი ირჩეოდა, რომელსაც წყალი მიუდგებოდა. საბაღე მიწაში სარწყავი სისტემის მოწყობა ხეხილის გაშენებამდე ბარვისას ხდება, რადგანაც მწკრივთა განაწილება მასზეა დამოკიდებული და ისე დაკვალავენ, რომ თვითეულ მწკრივზე ერთი კვალი „მოვიდეს“. დაკვალვის სისტემა დამოკიდებულია ნიადაგის შედგენილობა-თვისებაზეც, მაგალითად ღონიერსა და ფხვიერ—„გადაბრუნებულ“ მიწაში სარწყავ კვლებს ზოგჯერ ერთმანეთისაგან 10 მეტრის დაშორებითაც ავლებენ, ხოლო თიხნარსა და საერთოდ მაგარ მიწებში ახლო-ახლო, 3-5 მეტრის დაცილებით.

---

[74] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე. დასახ. შრომა, გვ. 144.

[75] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 170.

[76] ვ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, ძველი და ახალი რწყვის სისტემა გორის რაიონში, 1954, ხელნაწერი, გვ. 5.

[77] საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბილისი, 1909, გვ. 308.

მიუხედავად იმისა, რომ ხეხილის მორწყვისას (თუ ის ტერასებზე ან ფერდობებზე არ არის გაშენებული) ჩახრამვა ნაკლებად არის ძოსალოდნელი, ყოფაში მას თავისებური სიფრთხილით ეკიდებიან. მებაღეს კარგად ესმის, რომ დიდი წყლის მიცემის შემთხვევაში „მამული გადაირეცხება—ბოლოში გაიტანს“ და ამავე დროს მიწის ზემოდან გადავლისას „წაკირავს“, რაც თავის მხრივ ცუდი დასამუშავებელია და ნარგავს „პირს უკრავს“ — აწუხებსო.

ამის გამო, გამოცდილი მებაღეები იმასთან ერთად, რომ პატარა წყალს მიუგდებენ, ამჯობინებენ ბაღ-ვენახის ღამით რწყვას. მთხრ. შიო გორგიშელის (გორის რაიონის სოფ. მერეთი 86 წ-სა, 1958 წ.) გადმოცემით „რაკი საღამოობით წყალი თითონ მატულობს, ამისათვის როცა კარგად დაუნაკადლებთ, სათავეში წყალს ზომაზე დაკაყენებთ, კარგი ყამირის ბელტს ან ქვას ჩაუდებ რომ წყალმა არ გადაჭამოს და ნება-ნება მოვრწყამთ“. მისივე სიტყვით—ღამე მორწყვა „მამულს დედი რძეს�ეფ შეერგება, რადგანაც მიწაც გრილია, წყალიცა და ყველაფერს ქონივით უჯდება“.

აღმოსავლეთ საქართველოში ხეხილი ხშირ რწყვას არ საჭიროებს, თუ გამონაკლისად არ ჩავთვლით გვალვიან ამინდებსა და ნაწილობრივ ნიადაგის შედგენილობას. მთხრობელთა სიტყვით, გვალვიან წელიწადში ხეხილის ბაღს ზოგჯერ 4-5 ჯერაც საჭიროებს მორწყვა, თუმცა ხალხის დაკვირვებით, მალ-ბალე რწყვამ შეჩვევაც იცის და არ ვარგაო. ამის გამო, რწყვას თავისი კანონზომიერება გააჩნია, როგორც სახნავ-სათესში ისე ბაღ-ვენახის მორწყვისას. ხალხის დაკვირვებით, როგორც მომეტებული რწყვა ავნებს-აყვითლებს და ახმობს ხეხილს, ისე უწყლობა, რის გამოც ამ უკანასკნელის დროს ხშირად ხდება ხოლმე ხეხილის გადაგვარება.

სარწყავი სისტემის მოწესრიგებისას ახლად გაშენებულ ბაღებში შედარებით ხშირ დაკვალვას აწარმოებენ, რადგანაც ახალ ნერგს პატარა ფესვების გამო წყალი კარგად უნდა მიუდგეს. წყლის ნაკლებობისას მთხრობელთა გადმოცემით ნიადაგმა „ყაშა-ყაშა“ დასკდომა, ხოლო ნარგავის ფოთოლმა კი ძირს დაშვება და მოკალვა იცის.

მეურნე-მებაღეთა დაკვირვებით ხეხილის დროულად მორწყვას ეადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ისე მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ქაროველმა მებაღემ გამოცდილებიდან კარგად იცის, რომ ხშირ რწყვას ნაჩვევი ბაღი მალე მეჩხერდება, გაჯირვებას ნაკლებად იტანს და მოსავალსაც შედარებით მდარე ხარისხისას იძლევა.

ხილის ბაღისათვის მორწყვა. აღნიშნავს მთხრ. ლადო სოლომონის ძე სახვაძე (62 წ., გორის რ-ნის სოფ. ფხვენისი, 1958 წ.), განსაკუთრებით საშიშია ხეხილის ყვავილობაში. რადგანაც მეტი წყალი აჩქარებს დაყვავილებას და ბევრი სანაყოფე კვირტი სცდებაო. ამ მიზნით ხეხილის რწყვის პერიოდი დაახლოებით ნაყოფის კარგად „გამონასკვის" შემდეგ იწყება. რაც აგრეთვე ზამთრის ტენიანობაზეც არის დამოკიდებული. იგივე ითქმის რწყვის დაგვიანების შემთხვევის დროსაც, როდესაც ნაყოფი დასრულების პერიოდშია და წყალი მოაკლდება ნაყოფი ჭკნება. ჭიანდება. დროზე ადრე შემოდის, „ნაქარს" იმატებს, „ხორციან" ნაყოფს არ იძლევა და სხვა. ისე რომ წყლის დროული და გარკვეული წესებით მორწყვას მეხილეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაც ხეხილი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს. „ხშირად მორწყული ხეხილი თამამად და ღონივრად იზრდება, მაგრამ სამაგიეროდ მომეტებული მორწყვა ხეხილს ავნებს, რადგან ნორჩი ხეები მორწყვას ეჩვევიან, ნოტიო მიწაზეღა გვარობენ და ხმელ მიწაზე გადარგვისას ის ძალიან ძნელად იტანს სიმშრალესა და ბევრიც ხმება"[78].

ხეხილის დაავადებები და მისი მკურნალობის ხალხური წესები

ხეხილს მრავალგვარი დაავადებები უჩნდება, რომელთა უმეტესობას გამოცდილი მებაღეები თავისებური მეთოდებით მკურნალობენ.

როდესაც ხეს ფოთოლი უყვითლდება და რომელიმე ტოტის წვერი ხმობას იწყებს ამგვარ ხეს ყოფაში პირველ რიგში ფესვების ავკარგიანობას შეუმოწმებენ. იმ შემთხვევაში თუ ფესვს სიდამპლე აქვს შეპარული, მაშინ მას ფრთხილად მოსჭრიან იმ ადგილას, სადაც სიდამპლე თავდება. ჩაჭრა ხდება ირიბად. ისე რომ ჭრილობა დაბლა მხარეს მოექცეს. შემდეგ ჩაუყრიან წინასწარ დამბალ ქერს და ცხვრის დრემლას, რომელსაც ზემოდან ახალ მიწას მიაყრიან. მეთხრობელთა დაკვირვებით, დამბალი ქერი თავისი სიმხურვალით ხელს უწყობს მოჭრილი ფესვის შეხორცებას და ახალი ფესვების გამოტანას. ხეხილის დაავადებისას ძველად იტალიელი მებაღეები თითქმის იმავე მეთოდებით მკურნალობდნენ, სადაც ხეხილის, როგორც სწრაფად ზრდისა და მსხმოიარობის დაჩქარებისათვის, ისე სამკურნალო დანიშნულებისათვის გარკვეული რაოდენობის თხის ნაკელსა და ნაცარს იყენებდნენ[79].

---

[78] არჩ. დარეჯანაშვილი, მოკლე დარიგება ხეხილის გამრავლებაზე, თბილისი. 1889, გვ. 4.

[79] М. Е. Сергеенко, დასახ. შრომა, გვ. 100.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, ხშირად ხეს არავითარი დაავადება არ ემჩნევა. მაგრამ მისი ზრდა-განვითარება ქალზე ნელა მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში მებაღე ფესვებში მიწას გამოუცვლის ე. ი. დამწვარ პატივში გარეულ დამძრალებულ მიწას მიაყრის და მორწყავს. დახიანებული ფესვების დროულად ჩაჭრის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სიდამპლემ ხის ტანის გულამდე არ შეაღწიოს და ამავე დროს ფესვები „გაუხალისდეს" ე. ი. იმ ადგილას ახალი ფესვები გამოიტანოს.

ხეხილის ქერქის ავადმყოფობიდან აღსანიშნავია მატლის გაჩენა. ხავსის ან ობის, სოკოს ან ფითრის „მოკიდება" და სხვა. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ქერქის მატლის გაჩენის მიზეზები არ დაგვიდასტურებია, ხოლო ხავსის, სოკოსა და ფითრის გაჩენის მიზეზს ყოფაში ნიადაგის მომეტებული ტენიანობითა და ჩრდილიანი ადგილებით ხსნიან.

იმისათვის, რომ ხეხილმა ხავსი და მატლი ანუ როგორც ყოფაში იტყვიან—ჭია არ გაიჩინოს შემოდგომით ან ნაადრევ გაზაფხულზე „წელზე" (ტანზე) კარგად გაფხეკის შემდეგ ნაცარწყალს ან კირწყალს წაუსვამენ. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ. „ხე ისე უნდა გასუფთავდეს, რომ ვერაფერმა ვერ მოიკიდოს ფეხი"-ო. ამ მიზნით ხის ტანის გაფხეკას ყოფაში აწარმოებდნენ მოზრდილი დანით ან სპეციალურად გაკეთებული რკინის სამკუთხედით, რომელსაც 20-30 სანტიმეტრამდე ხის ტარი აქვს დაგებული. ხეხილის ტანის ერთი ასეთი საფხეკი იარაღი დაცულია საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ლითონის ფონდში № 37—56/1.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ ცნობაში ვკითხულობთ: „შემოდგომას ანუ ნესტიანი ზამთრის შემდეგ ხეხილის ღეროებს ედება ბლომად ხავსი და ობი, რომელშიაც ადვილად იკეთებენ ბუდეს მავნებელი მწერნი. წყალი დგება და სოკო ჩნდება ნამეტნავად ბებერი ხეების ძირებზე. ამის მოსაშორებლად წყალში ხსნიან 3 გირვანქა კირს. ნახევარ გირვანქა გოგირდს, 2 გირვანქა დანაყულ წენგოს. ურევენ კარგად და წაუსვამენ. ამისათვის ყველაზე კარგი დროა გაზაფხული და თვითონ ჩამოსცვივა"[80].

ხეხილს არა ნაკლებ ზიანს აყენებს ქერქის მატლი, რომელიც ბოთეთრო ფერისაა და ხალხში „ცხვირა-ჭია"-ს სახელით არის ცნობილი. ცხვირა-ჭია, როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ უმეტესად ხეხილის ახალგაზრდა—თამაში ტოტის ან ტანის ქერქს უჩნ-

---

[80] „გუთნის დედა", 1863, № 9, გვ. 119.

დება. აღსანიშნავია, რომ ცხვირა-ჭია ქერქში ძირითადად ქვევიდან ზევით მოძრაობს, რომელიც ქერქის შიგნითა—ცილის ნაწილს აზიანებს როდესაც ხეს ცხვირა-ჭია გაჩნდება მეურნე მას ამჩნევს ჟანგის ფერად გამონადენ ნახერხის მაგვარ ნაკუწებზე, რომელთაც ხის წვენიც მოსდევს ხოლმე. ასეთ შემთხვევაში გამოცდილი მებაღე ჭიის ნაკვალევში ნავთში დასველებულ ჯოხს შეუყრის და ისე ეოკლავს, ხოლო დაზიანებულ ქერქს სუფთად ჩამოათლის და საგოზავის წასმის შემდეგ კარგად შეკრავს.

ხეხილის მავნებლებთა შორის დიდი ზიანი მოაქვს ფოთლის ჭიასაც, რომელსაც აღმ. საქართველოს სინამდვილეში „ბუხუნძელა ჭიის" ან „ოქროკუდას" სახელწოდებით არის ცნობილი. ბუხუნძელა ჭია ბალნიანია, რომელიც ძალიან სწრაფად მრავლდება. იგი განსაკუთრებით ფართოდ იყო გამრავლებული 1940—1945 წლებში. რომელმაც დიდი ზიანიც მიაყენა მეურნეობის თითქმის ყველა ტარგს. მის გასანადგურებლად აგროღონისძიებებთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა ხალხური მეთოდებიც. რომელთაგან აღსანიშნავია:" „მოტუსვით", „გარხევით", „ხელით სრესით", „ტაოტის წასმით მკურნალობა.

მოტუსვისა და ხელით სრესის წესით „ბუხუნძელას" ხოცვა დილით ნამიანზე უნდა მომსდარიყო, რადგანაც ამ დროისათვის ჭიას რამდენიმე ადგილას შეგროვილი სახით ძინავს. ჭია ყოველთვის პუდობდა ხის ტოტების, როგორც მსხვილი ისე წვრილი განტოტების ადგილას. სადაც „მაშხალას" მიუნთებდნენ ხოლმე. მაშხალა წარმოადგენდა გრძელ ჯოხზე დახვეულ ძონძმანძებს. რომელიც ნავთში ან მაზუთში იყო ამოვლებული და კარგად ეკიდებოდა ცეცხლი. მაშხალის მუერი კაცი „მარჯვეთ და სწრაფად მოძრავი" უნდა ყოფილიყო, რადგანაც მისი დიდი ხნით ხის ტოტებში გაჩერება ხეს დააზიანებდა.

არანაკლებ საინტერესოა ჭიის გაცლა შერხევის წესით, რომელიც მეურნეთა მიერ იყო დანერგილი. ამ მიზნით დასარხევ ხეს ძირიდან მტკაველ-მტკაველნახევარ სიმაღლეზე ტაოტიან ქაღალდს შემოაკრავდნენ და კარგად რომ დაცხებოდა და ჭია ხეზე გაიფინებოდა ხეს მაგრად შეარხევდნენ, რის შემდეგაც ჩამოცვინული ჭია ტაოტის დახმარებით ხეზე ვეღარ ადიოდა.

ყოფაში ფართოდ არის ცნობილი „კოკორის ჭია" (წვრილი თეთრი მატლია). რომელიც ხეხილს (უმეტესად ვაშლს, მსხალს, კომშს) ყვავილობის პროცესში უჩნდება. მისი წარმოშობის გზები ეთნოგრაფიული შესწავლით არ დაგვიდასტურებია, ხოლო მისი მოქმედე-

ბის პერიოდი მთხრობელთა გადმოცემით ხილის „გამონასკვამდეა“ ე. ი. ნაყოფის გამოჩენა-გამაგრებამდე. გარდა აგრომეთოდებისა ხალხურ მეხილეობაში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ მისი მოსპობის რაიმე საშუალებებს. მათი გადმოცემით, იმისათვის, რომ ხეხილმა კარგად დაიყვავილოს ამ პერიოდში მშრალი და ცხელი ამინდებია საჭირო, რათა მალე მოასწროს გამოფოთქვა. ისე რომ „კოკრი ჭიას“ (როგორც მას ყოფაში უწოდებენ) მოქმედება, მხოლოდ ჯერ კიდევ გაუშლელ კოკორში ხდება, რომელიც გაფოთქვისთანავე იღუპება. სწორედ ამ მიზეზით არის შემორჩენილი ხალხური გამოთქმაც: „აღდგომა ჯობს ნამიანი, ამაღლება დარიანი“, რადგანაც ძირითადად სწორედ ერთ-ერთი ხალხური დღესასწაულის დროს — ამაღლებას ყვავის ხეხილი.

ბ ა ღ ე ბ ი ს დ ა ც ვ ა. ძველი წერილობითი წყაროებიდან ნათლად ჩანს ბაღ-ვენახების შემოზღუდვის მნიშვნელობა. ლეკვნაცვაზის გაჩენის შესახებ ამ საკითხის ამოხსნაშიც გვეხმარება. სადაც ნათქვამია: „...დათესე ისინი ბაღის ერთ კუთხეში და კარგად შემოზღუდე ეს ადგილი ისე. რომ არც ოთხფეხმა შეაღწიოს შიგ და არც რომელიმე ფრინველმა შესძლოს მისი დაზიანება. დროდადრო მოიახსენე ხოლომე ნათესის მდგომარეობა“[81].

შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხოვრების ავტორის მოთხრობიდან ჩანს, რომ მე-IV ს-ში მეფის სასახლესთან მდებარე ბაღსაც, რომელსაც მაშინდელი ქართული ტერმინოლოგიით „სამოთხე ეწოდებოდა“, გალავანი თუ არა, ღობე მაინც უნდა ჰქონოდა. მას ჰქონია „კარი სამოთხისაი“ და განსაკუთრებული მცველიც ჰყოლია, რომელსაც „სამოთხის მცველი“ ეწოდებოდა“[82].

ბაღ-ვენახების შემოზღუდვა რომ ერთი აუცილებელი პირობათაგანია და ქართველი მეურნე უძველესი დროიდანვე იცნობდა და საჭიროებისამებრ იყენებდა, ამაზე ეთნოგრაფიულ ყოფაში ღობეების უამრავი სახეების შემორჩენაც მეტყველებს. აღმ. საქართველოს სინამდვილეში დამოწმებულია შემდეგი სახის ღობეები: „ქვის ღობე“, „ბელტის ღობე“, „ჩაწნული ანუ წნულის ღობე“. „ძეძვის ღობე“, „ცოცხალი ღობე“ (ბროწეულის. ლიმონის. ეკალხუნცის და სხვა), „ლამპრის ღობე“, „მარგილის ანუ სარის ღობე“. „ლასტის ღობე“, „ფიცრის ღობე“, „ეკლიანი მავთულის ღობე“ და სხვა.

თვითეული სახეობის ღობის განხილვას ჩვენ არ შევუდგებო-

---

[81] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 115.

[82] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 93.

რადგანაც ზოგიერთი მათგანი ეთნოგრაფიულად შესწავლილია (იხ. ჯ. სონღულაშვილის დასახ. შრომა).

ქვის ღობე აღმ. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, როგორც ეს ეს ... ტერმინებით გვხვდება: „მშრალი ქვის ღობე". (მესხეთ-ჯავახეთი), „ტყლეშული ღობე", (საინგილო), „ქვიტკირის ღობე", „კედლის ღობე", „გალავანი", „ყორე" (კახეთი, ქართლი). და სხვ. ქვის ღობე ძირითადად სახლის ახლო-მახლო ბაღ-ვენახებისა და ეზოკარმიდამოს შემოსაზღუდავად შენდებოდა. ხოლო როგორც ახალციხის რ-ს სოფ. აწყურის მკვიდრი აკაკი გერასიმეს ძე ბახათაძე (74 წ.) გადმოგვცემს „აქაური ხალხი ბაღებს მსხვილი ქვის კედლებით ღობამდნენ, რომელსაც მშრალი წყობით აშენებდნენ. კედლის სიგანე ერთი არშინის სიგანის და არშინნახევარი-ორი არშინის სიმაღლისა მაინც უნდა ყოფილიყო, რაც მის ადგილმდებარეობაზეც იყო დამოკიდებული". კედლის ღობეები აქ განსაკუთრებით გამოიყენებოდა, რადგანაც აქაური რელიეფი, რომელიც ძირითადად ტერასული მეურნეობით ხასიათდებოდა, კედლის ღობე საიმედო საყრდენსა და ამავე დროს კარგ ზღუდესაც წარმოადგენდა.

ქვის ღობე სხვადასხვა ზომისა და ფორმისა შენდებოდა, რაც პატრონის შეძლებაზეც იყო დამოკიდებული, რადგანაც ის საკმაო ხარჯებს თხოულობდა. მაგ. მშრალად ნაგები ღობე შედარებით ქვიტკირის ღობესთან განიერი და უმეტეს შემთხვევაში დაბალია, ხოლო ქვიტკირისა კი პირიქით, რომელსაც თავი იმისათვის, რომ წვიმა არ დაიყენოს, ამობურცული სახით აქვს ამოყვანილი.

ძეძვის ღობეს ყოფაში სხვადასხვა წესებით აკეთებენ: კონებად, „ზეზე" ანუ „ფეხად ჩაყრით" და შეუკონავად. იგი კარგსა და შეუვალ ღობეთ ითვლება და ძალზე გავრცელებული იყო განსაკუთრებით, „გარეთა მამულების" შეღობვის საქმეში. ძეძვის დამზადება და შეღობვა არც თუ ისე იოლი საქმე იყო, რის გამოც მისი დამამზადებლები მოხელეებადაც გვევლინებიან. მოხელეები ძეძვს ყიდდნენ. როგორც კონებად, ისე შეუკონავადაც, როგორც ნატურით ისე შრომის ანაზღაურებით

XVIII საუკუნის ერთ საბუთში, სადაც ბაღის გაშენების ხარჯთაღრიცხვაა წარმოდგენილი ეკითხულობთ... „ძეძვი ვიყიდე ღობისათვის ურემი 1, ფასი ორი აბაზი; ძეძვი ვიყიდე კიდევ ზურგი 14, ზურგი შაურნახევარი (ერთი მინალთუნი და ერთი შაური)"...[83].

---

[83] მასალეი საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნ. ბერძენიშვილის გამოცემით, თბილისი, 1935, გვ. 38.

საქართველოს სამეურნეო ყოფაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული „ჯალჯის ლობე" (ლეკვის, ქაცვის, ყვრინჩხის, კუნელის მოჭრილი ბუჩქები). რის გამოც ეველ სიკელებში სპეციალური „საჯალჯე" ადგილებიც იხსენიება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ლობეს სეზონური ხასიათი არ ქონდეს (ხშირად ყოფაში მაგ. ფიჩხისა და ლატნის ლობეს მოსავლის აღების შემდეგ იღებენ), ამისათვის ყველაზე სასარგებლო და საბოლოოა ცოცხალი ლობის გაშენება. ცოცხალი ლობე ხშირად სხვადასხვა ხილნარებითაც არის ხოლმე წარმოდგენილი, რომელიც ამავე დროს ქარსაფარის როლსაც ასრულებს. იმისათვის, რომ ლობე უფრო გაუვალი იყოს, მას აშენებენ შემდეგი მასალისაგან: „ქრისტეს გვირგვინი, კუნელი, ფშატი, კოწახური, ზღმარტლი, კვრინჩხი, ლობიოს ხე, ქაცვი, ძეძვი, მაყვალი" და სხვა[84].

აღნიშნული მცენარეულობის შოვნა ადვილი და ხელმისაწვდომი იყო მაგ., „საბურთალოს მინდორზე — აღნიშავს ივ. როსტომაშვილი — 10 დესეტინას გაუკეთე ასეთი ცოცხალი ლობე და ღამიჯდა თითო კაპიკი ძირი"[84].

ცოცხალი ლობეებისა და ქარსაცავების დიდ სარგებლიანობაზე და მისი შერჩევითი განაშენიანების ირგვლივ ფართოდ აქვს აღნიშნული ნ. კეცხოველს თავის ფუნდამენტალურ შრომებში („კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, 1957 წ.; საქართველოს მცენარეული საფარი, 1960 წ).

გარდა იმისა, რომ ყოფაში ბაღ-ვენახების შემოზღუდვას აწარმოებდნენ, ენთოგრაფიული მასალებიდან დგინდება თვით ცალკეული ნარგავების შემოფარგვლა-დაცვის სხვადასხვა ხერხები და ამავე დროს ნაყოფის დაცვის მიზნით საფრთხობელების მოწყობის თავისებურებანი. ცალკეულ ნარგავთა დაცვის მიზნით აღსანიშნავია: „ასარვით" შემოზღუდვა, „ეკლის შემოდება", „გოდრის მოწვნა" და სხვა.

ასარვის წესით ახლად დარგული ნერგის დაცვისას, ირგვლივ ერთი-მეორისაგან 2-3 თითის დადების დაშორებით სარებს ჩაურჭობდნენ და თავს წნელით შეუკრავდნენ, რომ უფრო საიმედოდ ყოფილიყო დაცული. უნდა აღინიშნოს, რომ სარების თავში წნელის მოჭერის შემთხვევაში, რომელიც კონუსის ფორმას იღებს, მებაღეები ცდილობენ სარების შედარებით განა-განზე ჩარჭობას. მთხრობელთა გადმოცემით, „ნარგავი ისე უნდა იყოს დაცული, რომ მზეცა და ჰაერს მოკლებული არ იყვეს"-ო. აღნიშნული წესით ნარგავის

---

[84] ა რ ჩ. დ ა რ ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საუნჯე მებაღისა,თბილისი, 1903, გვ. 13.

დაცვას განსაკუთრებით სახლის კარ-მიდამოზე ხეხილის დახარების დროს მიმართავენ ხოლმე. იმავე დანიშნულებისამებრ იყენებენ გოდორის მოწვნის წესსაც, რომელსაც შედარებით მსხვილი „მანების“ შემორიგების შემდეგ წნელით თხლად წნავდნენ. მისი სიმაღლე მეტრ-მეტრნახევრამდეც აღწევდა, რომელსაც ზემოთა პირი ღიად უნდა ჰქონდა დატოვებული.

ბაღ-ბოსტნების დასაცავად საფრთხობელების მოწყობა ქართველ მეურნეებს ძველადვე უნდა ცოდნოდათ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „როგორც ჩანს ...ფრინველებისაგან მტილსამოთხის დასაცავად ძველადვე მათი საფრხობლებით დაშინება ყოფილა მიღებული. ამიტომ ფრინველის შესაშინებლად და ხეხილის დასაცავად მტილში „საფრთხოლი“ კეთდებოდა“...[85].

გარდა ზემოაღნიშნულისა, სიმწიფეში შესულ (უმეტესად წვრილი) ხილის დაცვის მიზნით ყოფაში ძეძვის ეკლის გამოყენებასაც მიმართავდნენ. ძეძვის ეკალს ხეზე ამაგრებდნენ, როგორც შეკონილი, ისე შეუკონავი სახით, რაც მიუვალს ხდიდა ერთეულ ნარგავთან მისასვლელად. ამავე ძეძვის ან სხვა რომელიმე ეკლის ძეშეეობით იცავენ „დაკმურტნისაგან“ ახლად დარგულ ან მოზარდ ნარგავებს ტყის პირად გაშენებულ ბაღებში, რომელსაც განსაკუთრებით აფუჭებს, როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველები (კურდღელი, თხა, ცხვარი და სხვა საქონელი). ამ მიზნით თვითეულ ნარგავს ძირში შეუკონავად ძეძვის ტოტებს შემოადებენ-მიუწყობენ ხოლმე.

ბაღ-ვენახებისა და ბოსტნების დასაცავად ხალხი არანაკლებად იყენებდა სხვადასხვა სახის საფრთხობელებს, რომელნიც ხმაურის ან თვალსაჩინოების პრინციპზე იყო აგებული, რის გამოც ყოფაში ორი სახის საფრთხობელას არჩევენ: გარეულ ნადირთათვის— ხმაურის პრინციპზე აგებული და თვალსაჩინოებისას, რომელიც ფრინველთაგან ხეხილის დაცვას ემსახურებოდა. აკადემიკოს ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხის ფონდში დაცულია ერთი ე. წ. „დათვის საფრთხობელა“, რომელიც მოძრაობაში მოდის წყლის დახმარებით და გამოსცემს ხმაურს. აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში აღნიშნული საფრთხობელების მოწყობას ეხლაც ვხვდებით და მათ შორის ვენახებში და ხეედ ხეხილზე გამართული სახით, რომელიც გრძელ—ჯვარედინ ხარზე ძველი ტანსაცმელის ჩაცმით კეთდება და ადამიანს მოგვაგონებს. ეს საფრთხობელა ისეა მოწყობილი, რომ ნიავის დროს მოძ-

---

[85] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, წიგნი II, გვ. 117.

რაობაში მოდის და ფრინველს აშინებს. ამ მიზნით მასზე ხშირად ცრძელ ჯოხს ან ცოცხსაც მიამაგრებენ ხოლმე.

თავი მესამე

ხეხილის მოსავლიანობის გადიდების, ხილის კრეფისა და შენახვის ხალხური წესები

მეხილეობის განვითარების დონეს, ზემოთ აღნიშნულ ჩვეულებათან ერთად, სათანადო ნათელს ფენს მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული ძველი ხალხური წესები ხილის მოსავლიანობის გადიდებისა და მისი შენახვა-გამოზამთრების ირგვლივ.

აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ხეხილის მოსავლიანობის გადიდების მხრივ შემდეგი სახის ღონისძიებები დავადგინოთ: ნიადაგის გაკორდება ანუ გაყამირება, ნიადაგის გაპატიჟება, რწყვა, ხეხილის სხვლა, დასერვა, გადახალისება ანუ გაახალგაზრდავება, ჭიაკოკონას დართება და სხვა.

ნ ი ა დ ა გ ი ს გ ა ყ ა მ ი რ ე ბ ა-გ ა კ ო რ დ ე ბ ა. ჩვენ ჯერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები მეტყველებს აღმოსავლეთ საქართველოს, როგორც ბარის ისე მთიანი ზოლის მეხილეობაში ბაღების გაყამირება-გაკორდების წესების ფართო გამოყენებაზე.

ნიადაგის გაყამირებისას ხეხილის ფესვები, როგორც წინა თავშიც გვქონდა აღნიშნული, ზევით-ზევით იწყებს ზრდა-განვითარებას და დამატებით ფესვების გამოტანას. ცნობილია, რომ გაყამირებისას ნიადაგის შედგენილობა მასში მორეული ბალახეულობის წყალობით მდიდრდება, რასაც ხეხილის ბაღებში თვით ხის ფოთლების სინოყივრეც ემატება. ყოველივე ამის გამო ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნების მიზნით გამოცდილი მეურნეები ხეხილის ბაღების გაყამირებას და გაკორდების წესებს მიმართავდნენ.

ხეხილის ბაღების გაყამირებას, იმის მიხედვით, თუ ხეხილი როგორი შედგენილობის ნიადაგში იქნებოდა გაშენებული, გაყამირებას 10-12 წლის შემდეგ აწარმოებდნენ. ხოლო მთლიანად გაკორღებას კი უფრო მოგვიანებით—20-25 წლიდან, რადგანაც ხე ამ პეროიდში ძირითადად „ტანშეყრილი და დამდგარი" ანუ ზრდადასრულებულია.

მთხრობელთა გადმოცემით, რადგანაც ხეხილი ღრმად გადაბრუნებულ ნიადაგში ირგვის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ

ხელახლად იბარება და ამავე დროს 3-4 წელიწადში ნარგავის ძირებში ნაკელსაც უყრით, ამისათვის ნიადაგი ნაკლებად უღონოდება, ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. 10—12 წლამდე ნარგავი კარგად თამამდება, რის შედეგადაც შესაძლებელია მისი გაყამირებით განოყიერებაო.

მეხილეთა დაკვირვებით გარდა იმისა, რომ გაყამირება-გაკორდება ნიადაგს ანოყიერებს და მოსავლიანობას ზრდის, ის ამავე დროს საუკეთესო თვისების ხეხილსაც იძლევა. როგორც მთხრ. მიხა სოლომონის ძე აღლემაშვილი (ახალციხის რაიონი, სოფ. უდე, 1961 წ.) გადმოგვცემს, „სანამ ბაღი გახდება ხეხილს ყოველ წელიწადსაც კი ვბარამთ და როცა ნიშანს მოგვცემს, მერე გავაყამირებთ, ხოლო კარგა სხმაში რომ შევა, მაშინ სულ გავაკორდამთ". მისივე გადმოცემით, რადგანაც თავისით ამოსული ბალახი „კურცხალი"— თხელი და „ფუქსავატია", ამისათვის ხეხილში ბალახეულობის სპეციალურ თესვასაც აწარმოებენ ხოლმე[1].

აღმოსავლეთ საქართველოს მებაღეობაში მიმართავდნენ როგორც მუდმივი ისე დროებითი დაკორდების წესებს. ის, ვინც ხეხილის ბაღს მეტი და კარგი მოსავლისათვის მუდმივად აკორდებდა, ნარგავის ძირებში 4-5 წელიწადში ერთხელ დამატებით ნაკელით ანოყიერებდა. ეს პროცესი განსაკუთრებით შეიმჩნევა ახალციხისა და მთიულეთის მეხილეთა ყოფაში, სადაც კერძო მფლობელთა ნაკვეთების უმეტესი ნაწილი მუდმივად არის დაკორდებული. აქ რამდენიმე წელიწადში ერთხელ (სოფ. ვალე, არალი, უდე, აწყური) თითო ხეს 2-3 ხელძარ პატივს, მხოლოდ ზემოდან მოუფენენ და პატივის წვენს ფესვებს მორწყვის საშუალებით აწვდიან. მეურნეთა გადმოცემით, აღნიშნული წესით მოყვანილი ხილი თავისი სისუფთავით, შეფერილობითა და გამძლეობით გამოირჩევა.

ხეხილის ბაღების ნაწილობრივი დაკორდება, რომელსაც იგივე პრინციპისათვის მიმართავენ, მდგომარეობს ბაღების მთლიანი ფართობის გაყამირებაში, სადაც 5-6 წელიწადში ერთხელ თვითეულ ხეს „ძირის კალთებს" უბარავენ ხოლმე.

როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, ნიადაგის დაკორდებით—„გასანოყიერებლად დაგდება" განსაკუთრებით ხელმისაწვდომში და სასარგებლოა ფერდობებში და დიდრონი ხეხილის ბაღებში. მათი დაკვირვებით, „დაკორდებული ბაღი ფერდობზე საშიში არ

---

[1] ხეხილის ბაღში ბალახეულობის თესვის მნიშვნელობის შესახებ. იხ. პ. კაპარაძეს ნაშრომი: ნიადაგის დამუშავების წესები ხეხილის ბაღში, თბილისი, 1948.

არის მიწის „მოზღვავებისაგან და ამავე დროს ჩრდილში ფეხის მოსავლის მაგივრობას თივა გვინაზღაურებს“-ო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაყამირება-გაკორდების წესით ნიადაგის სტრუქტურის აღდგენა გარკვეულ პერიოდებსა და ვადებში უნდა მომხდარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ხეხილი ხმობა-გაჯანდაკებას იწყებდა, რაც კარგად იცოდნენ მასში მომუშავე მებაღეებმა. ამის გამო ყოფაში ზემოთ აღნიშნულ, კერძოდ ორგანული სასუქის დამატებით მიცემას და 3-4 წელიწადში ერთხელ ძირების შემობარვას აწარმოებდნენ.

მეურნეთა დაკვირვებით გაყამირებულ ან გაკორდებულ ბაღებს განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდებათ წყლით მომარაგების მხრივაც. მამული, რომელიც ყოველ წელიწადს იბარება და ითოხნება, აღნიშნავენ მთხრობლები, ის შედარებით დიდხანს ინარჩუნებს სიგრილეს, ხოლო უმუშევარი კი უფრო ადრე ფიცხდება და მეტ წყალს თხოულობსო.

ხეხილის ზრდისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნიადაგის პატივით განოყიერებას, რომელიც ჩვენ წინა თავში გვქონდა აღნიშნული. ხეხილის ეოვლა-მოშენებასთან დაკავშირებით გვქონდა აგრეთვე რწყვის მოწესრიგება-სარგებლიანობაც. ახლა ჩვენ შევეხებით მხოლოდ მორწყვის ისეთ პერიოდებს, რომელნიც უშუალოდ მოსავლიანობის გადიდებისაკენ არის მიმართული.

ცნობილია, რომ გამოცდილი მებაღეები სანაყოფე კვირტის კარგად გამოტანის მიზნით ხეხილისათვის ნაკელის მიცემას ზაფხულ-შემოდგომის პერიოდებშიც მიმართავდნენ. ამავე მიზნით ხალხის დაკვირვებით, შემოდგომით (მოკრეფის დაწყებამდე) ხეხილის მორწყვისას გარდა იმისა, რომ ხე ნაყოფს „ისრულებს და სრულდება“, ის მომავალი წლის კვირტსაც იმარაგებსო. ხოლო იმისათვის, რომ ზამთრის პერიოდში ხეხილი დაზღვეული ყოფილიყო სიმშრალისაგან, ყოფაში მას შემოდგომით რწყავდნენ, რითაც ნიადაგში ხეხილის მავნებლებსაც სპობდნენ. ხეხილის მოსავლიანობის გადიდების მიზნით რწყვას არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადრე გაზაფხულობით, რაც კვირტის „სიმაძღრის“—კარგად „გამოწევისათვის“ იყო საჭირო.

როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ ხეხილის მორწყვა გაზაფხულის იმ პერიოდში უნდა მოხდეს, რომ ყვავილობის დროს ხეს მომეტებული სინესტე არ ჰქონდეს. რადგანაც მათი დაკვირვებით ყვავილში შესულ ხეხილს სიცხე საჭიროებს და წყალი ამ შემთხვევაში აგრილებს და დაყვავილებას ხელს უშლისო.

ხეხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის მებაღეები არა ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თვით ხის დროულ და წესიერ გასვლას. მართალია ხეხილის ყოველგვარი მოვლა-გაზრდა მეტი მოსავლის მიღებისათვის წარმოებს, მაგრამ ხეხილისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგიერთი ისეთი სამუშაოების ჩატარებას, რომელთა გარეშეც ხე ზრდას კარგად ისრულებდა, თუმცა მოსავალს შედარებით ნაკლებსა და მდარე ღირსებისას იძლეოდა. ერთ ასეთ წესად უნდა ჩაითვალოს ხეხილისათვის წვერების წაჭრის ანუ „წაკვერცხვის" მეთოდი.

ხეხილისათვის წვერების წაჭრას ანუ წაკვერცხვას ძირითადად დიდრონი ხეებისათვის „საგაისო-მუშა კვირტის" გამოსატანად აწარმოებდნენ. წაკვერცხვის წესით გამოცდილი მებაღეები ხეს კონუსისებურ ფორმას აძლევდნენ, რითაც ზემოთ აღნიშნულთან ერთად ნაყოფს დიდი ქარებისაგანაც იცავდნენ.

როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, მართლაც ხეებისათვის წვერების წაჭრა-წაკვერცხვა განსაკუთრებით გამოყენებული ყოფილა მეხილეობის ისეთ ადგილებში, სადაც ხშირი ქარები იცის. წაკვერცხვის წესის გამოყენებაზე მიგვითითებს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობაც, სადაც მაგალითისათვის მოყვანილია გორის მაზრაში ერთი სანაქებო ხეხილის ბაღი, რომელიც დესეტინას მოიცავდა და 1871 წელს ყოფილა გაშენებული. აღნიშნული ბაღის პატრონი „ხეებს პირამიდის ფორმას აძლევდა მაღლითა, გვერდითი ტოტების წაჭრით, რითაც ქარისაგან კარგად იცავდა ხეების ტოტებს დამტვრევისაგან და ნაყოფსაც კარგად ირჩენდა"[2].

დ ა ს ე რ ვ ა. მეურნეთა დაკვირვებით ხეხილის მოსავლიანობის გადიდების ერთი სახეობაა ხის ტანის ან ტოტის დასერვა ანუ დაკოდვა, რაც მოზარდი ხეებისათვის დანით ჭრილობის მიყენებაში გამოიხატებოდა. დაკოდვის წესს, რომელსაც უმეტესად ე. წ. „აწრიოკებული"-თამამად და წვრილად ნაზარდი ხეებისათვის მიმართავდნენ ხის დამსხვილებისა და მსხმოიარობის დაჩქარებისათვის იყენებდნენ. დაკოდვის წესი მეხილეობაში განსაკუთრებით გამოიყენებოდა ვაშლის, მსხლის, კომშის, კაკლისა და სხვა ხეხილის მსხმოიარობის დაჩქარებისათვის, თუმცა ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა მემინდვრეობა-მებოსტნეობა-მევენახეობაშიც, რომელთა-

---

[2] ი. უ თ უ რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 138.

ვან აღსანიშნავია პურეული კულტურების მაღალი მოსავლისათვის სათესლე მარცვლის შერჩევის „თავთავის დაკოდვის“ მეთოდი[3].

დაკოდვის ჩატარებას მეხილეობაში თავისი ჯადები და გარკვეული გამოცდილება ესაჭიროებოდა, რომელიც წელში მოხრილი წვერიანი და მჭრელი დანით უნდა შესრულებულიყო.

როგორც ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, დასერვა ანუ დაკოდვა ადრე გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო. მთხრ. სიმონ იოსების ძე პავლიაშვილის (გორის რ-ნის სოფ. ტყეიავი, 1957 წ., 66 წლის) ცნობით, დასერვა მაშინ ხდება, როდესაც ხეში წყალი დგება და სიგრილეა, სადაც კარგი მჭრელი ნამყვნის დანაა საჭირო და ძირიდან ტოტების მიმართულებით უნდა ამოსეროსო. მისივე გადმოცემით, დასერვა ისე უნდა მომხდარიყო, რომ ცილა არ გაჭრილ-ჩახვეტილიყო, რადგანაც წინაალმდეგ შემთხვევაში გულამდე ჰაერი და წყალი ჩავიდოდა, გაშავდებოდა და ქერი კარგად აღარ შედუღდებოდა. დასერვის ადგილი და რაოდენობა, თვით ხის აგებულება-წლოვანებაზე იყო დამოკიდებული. შედარებით პატარა ხე თვით ტანზევე 2-3 ხაზით ისერებოდა, ხოლო მოზრდილი და უფრო მსხვილი ტოტებიანი ხე მთელ სიგრძეზე, რომელსაც ამავე დროს მეტი ხაზი—ჭრილობა უკეთდებოდა.

როგორც მასალებიდან ირკვევა, დასერვა განსაკუთრებით საჭიროებს აგრეთვე „ნაპატივარ“ ხეს, რადგანაც დაჩარებული ზრდის დროს ქერქი უსწორმასწოროდ უსკდება და შედუღებისას „ნაწიბურებს“—შეუდუღებელ ადგილებს ირჩენს. ამ შემთხვევაში დასერვა ეხმარება ხეს ტანის სწრაფად დასხვილებაში. რაც ამავე დროს, ბეხილეთა დაკვირვებით, მოსავლის ადრე მოცემასაც აჩქარებს.

მთხრობელთა აზრით, დასერვა, რომ ხეს შედარებით მუშასა და ნაყოფმომცემს ხდის, ეს კარგად ჩანს სეტყვის შემდგომი წლის დაკვირვებიდან, როდესაც დაკოდილი, სეტყვისაგან ნაკეკნი ტოტების კვირტები იშვიათად თუ გასცდება ხოლმეო.

გ ა ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ვ ე ბ ა. აგროლიტერატურიდან და ყოველდღიურ პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ხეხილს თავისი განვითარების პერიოდები გააჩნია, კერძოდ: ზრდის, ზრდის დასრულებისა და დაბერვეითების ანუ სიბერის. ისიც ცნობილია, რომ ხეხილის უმეტესობას „შიგადა-შიგ“ ტოტების ხმობის წინა პერიოდიდან ახალი ამონაყრები ანუ „ნამხრეულები“ ეზრდება, რამაც, საფიქრებელია მებაღეები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მისი „დაბელება“—გაახალგაზოდავება ეწარმოებინათ.

---

[3] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 154.

„ხეხილის გაახალგაზრდავება—აღნიშნავს აგრონომი მ. დედაბრიშვილი, არ არის ახალი და უცნობი ღონისძიება, ის დიდი ხანია ცნობილია და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხერხი ყოფილა გამოყენებული ხეხილის გაახალგაზრდავებისათვის, მისი მსხმოიარობის უნარის გაგრძელებისათვის: გადამყნობა, ბუჩქის დაყოფა, ფესვთა სისტემის გამრავლება და კიდევ ბევრი სხვა ხერხი, რომლებიც დღესაც თითქმის ყოველდღიურად გვხვდება მებაღეობის პრაქტიკაში"[1].

თვითმცდელი ქართველი მეურნეები სხვადასხვა ხეხილის თავისებური მეთოდებით აახალგაზრდავებდნენ ანუ ანედლებდნენ. მათ დაკვირვებიდან იცოდნენ, რომ ზოგიერთ ხეს ტანს ზევით — ტოტების დაბელება-გადაკაფვა უხდებოდა და ახალი ყლორტების ამოტანის უნარი ჰქონდა, ხოლო ზოგიერთ მათგანს მიწისპირად უჯობდა გადაკაფვა და სხვა. ამისათვის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით აღმ. საქართველოს სინამდვილეში ხეების განედლება-გაახალგაზრდავების სამი ფორმა დავადგინეთ: 1. გამხმარი ან „ხმობა-შეპარებული" ტოტის წვერების წაჭრა, 2. ხის მთლიანად გადაკაფვა ანუ „დაბელება" დატოტვიდან 1-2 მტკაველზე და 3. მიწისპირად გადაკაფვა.

აღნიშნული მეთოდებით ხეხილის განედლებას იმავე ხელსაწყო-იარაღებით აწარმოებდნენ, რომელიც გასხვლის პროცესში გამოიყენებოდა. მსხვილი ტოტების ან თვით ტანის გადაკაფვისას მიღებული იყო ირიბად გადაჭრა და ზედ სხვადასხვა საგოზავების წასმა, რაც ჭრილობის კარგად შედუღების მიზანს ემსახურებოდა.

ხეხილის განედლებისას, ე. ი. ახლად ამოტანილ ყლორტებს მომდევნო წელს გასხვლა ესაჭიროება, რომელთაც ხის „სითამამის" —ამტანიანობის მიხედვით იმდენ ტოტებს დაუტოვდნენ, რომ არ „დანაკულიყო". ამ მიზნით გადაბერებული ხეების კარგად განედლებისათვის მას ფესვებიდან მიწას გამოუღებდნენ და დამწვარ მიწანარევ ძველ პატივსა და სილამიწას ჩაუყრიდნენ. იმავე დანიშნულებისათვის გამოცდილი მეხილეები ხეებს ირგვლივ 3-4 ნაბიჯის მოშორებით ღრმა კვალს უთხრიდნენ, ფესვებს უჭრიდნენ და იმ ადგილას დამბალ ქერსა და მიწანარევ პატივს მიუყრიდნენ.

საკითხის ირგვლივ საინტერესოა ხალხის რწმენა-წარმოდგენებში შემორჩენილი „დაშინების" მეთოდი, რომელიც, მთიანეთ გადმოცემით, ხეხილის მოსავლიანობასთან არის დაკავშირებული. „როდესაც ხე არ ისხამდა—აღნიშნავს მთხრ. გიგა ჯოხარიძე (სოფ. საქო-

---

[1] მ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, ხეხილის გაახალგაზრდავება, თბილისი, 1948, გვ. 9—10.

ბო. სიღნაღის რ-ნი. 73 წ., 1959 წ.) მაშინ რომელიმე ტოტს შე-ვაჭრიდით და ერთ ადგილას ცულს ჩავარტყამდით და თან დავატან-დით, თუ არ მოისხამ მოგჭრი"-ო. ხეხილის დაშინების აღნიშნული წესი ძველთაგანვე უნდა მომდინარეობდეს, რომელიც სამეგრელო-ში გასული საუკუნის მიწურულში თ. სახოკიასაც აქვს დამოწმე-ბული[5].

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრა-ფიულ სინამდვილეში ხეხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის სხვა ხალხურ დაკვირვება-რწმენიდან საყურადღებოა აგრეთვე „ხარის ძირა"-ს (ბალახია) გამოყენება, რომელიც უნაყოფო ხეხილის ფესვის გახვრეტასა და შიგ აღნიშნული ბალახის გაყრაში მდგომარე-ობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ხარის ძირას" გამოყენება ჩვენ მიერ დამოწმებულია საქონლის სიმსივნეებისა და პურის ცომის „ღვარძლის" მოსაგროვებლადაც (სიღნაღის რაიონის სს. ძე. ანა-გა, ყარაღაჯი, წნორი).

ხარის ძირა ბალახის აღნიშნული თვალსაზრისით გამოყენებაზე მიუთითებს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობა, რომელზეც ერთ-ერთი უცხოელი სპეციალისტი შენიშნავს: „1858 წელს მე ვნახე ვაშლის ასეთი უნაყოფო ხე და რაც ეს ოპერაცია (ხა-რის ძირა ბალახი—დ. პ.) გაუკეთეს, ძლიერ ბევრს ისხამს ყოველ-წლიურადო. ასევე გაუკეთეს კაკლის ხეებს და ვნახოთ რას იზამს ამ წელსა"-ო[6].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა ძველმა ხალხურმა მეთოდებმა სათანადო ადგილი დაიკავა საბჭოთა აგროტექნიკაშიც. კერძოდ ხე-ხილის მოსავლიანობის გადიდების საკითხის პრაქტიკულად შესწავ-ლისათვის 1941 წელს აკად. ნ. ხომიზურაშვილის მიერ გორის რაი-ონში საცდელად შერჩეულმა ხეხილმა „მიმდინარე" და „ძლიერი" წესებით გაახალგაზრდავებისას თავისი შედეგი გამოიღო[7].

მეხილეობის ირგვლივ ხალხური ცოდნა-დაკვირვებიდან ხეხი-ლის მოსავლიანობის გადიდებისათვის აღსანიშნავია ცეცხლის — უფრო სწორად ბოლის გამოყენება, რომელიც ყოფაში „ჰიაკოკო-ნა-ს" სახელწოდებით არის ცნობილი.

საკვლევი ობიექტის რიგ მიკრო-რაიონებში (ახალციხის, გო-რის, ცხინვალის, ქარელის, დუშეთის, კასპის) ცივი კლიმატური პი-რობების გამო ხშირად ადრე გაზაფხულობით „გამოწეულ"—გაფოთ-

---

[5] თ. სახოკია, ახალწელიწადი სამეგრელოში, მოამბე, 1897, № 1, გვ. 97.
[6] ა. დეიჩმანი, „გუთნის დედა", 1863, № 24, გვ. 207.
[7] მ. დედაბრიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

ქილ ხეხილს სპობს „რთვილი“. აღნიშნულ პერიოდში მთხრობელთა თქმით „ხეხილის კოკორი ან გაფოთქვის პროცესშია ან გამოსასკულია“ (ახალი დაყვავილებულია), რომელიც ძალზე „მალალი“—ნაზია და ცოტა სიცივეც აფუჭებს. ამის გამო აღნიშნულ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა სწორედ ე. წ. „მალალი“ ყვავილის ან დაყვავილებული ნაყოფის მოვლას, რომელის შესარჩენადაც ყოფაში ფართოდ იყენებდნენ ბოლის ღრჩოლვის მეთოდს.

რთვილის მოსვლას, ან როგორც ყოფაში იტყვიან „რთვილის ბაგდებას“ გამოცდილი მებაღეები მაშინ ელოდებიან, როდესაც ახლო-მახლო მთის კალთებზე თოვლია ჩამოსული და საღამო ხანს ცაზე „მოიწმინდავს“. ამისათვის ბაღებში გაჰქონდათ ბზის, ხმელი ნაკელის, თივის, ჩალის ფოთლების, კაჭაჭების და ნახერხის ნესტიანი ნარჩენები, რომელთაც ხეხილის „გულებში“ რამდენიმე ადგილას მოაგროვებდნენ. ყოველივე ამის შემდეგ გათენების ხანს, ე. ი. როდესაც რთვილი იყო მოსალოდნელი—მთხრობელთა სიტყვით „მამალი რომ მესამედ დაიყივლებდა“, ცეცხლს მაშინ მოუკიდებდნენ. რადგანაც ნესტიანი „ბუნჩო“ უალოდ იწვის, ის დიდი რაოდენობით იკეთებს ბოლს, რომელიც თავის მხრივ სითბოს ატრიალებს ხეხილის ბაღებში.

ბუნჩო ხეხილის ბაღში გარკვეულ ადგილებსა და ახლო-ახლო უნდა დაყრილიყო, რათა ბოლი ყველგან მიწვდენოდა. მაგ. მეურნეს დაკვირვებიდან იცის, რომ თავის ხეხილის ბაღს ქარი უმეტესად რომელი მხრიდან ხვდება. ამისათვის „ჭიაკოკონას“ ისე დაუნთებდა, რომ ბოლი თავის ბაღს არ ასცდენოდა. ამდენად ბევრჯერ, ე. ი. ნიავის დროს, მისი მოწყობა-დანთება მხოლოდ ერთ მწკრივზე და ახლო-ახლო კიდურებზე—მიჯნებზე წარმოებდა, საიდანაც ნიავის საშუალებით ბოლი მთელ ბაღს მოედებოდა ხოლმე.

აღსანიშნავია, რომ ხალხის რწმენით ჭიაკოკონას დანთება, რომელიც ბევრჯერ აღდგომას ემთხვეოდა, უფრო სასარგებლოდ იყო ჩიჩნეული. მათი წარმოდგენით ამ დროს ჭიაკოკონის ბაღში დანთება, რომელსაც სახლის ეზოებშიც აწყობდნენ და ზედ გადახტომისას იძახდნენ „არული კუდიანებსა“-ო, სასარგებლო იყო იმითაც, რომ ბაღს „ეშმაკები და ავიფუზი არ დაპატრონებოდა“ (მთხრ. პეტრე მალვენის ძე ხითარაშვილი, 81 წ. (სოფ. ვალე, ახალციხის რ-ნი, 1961 წ.).

რთვილის საწინააღმდეგო ბოლის გამოყენების ეს საინტერესო წესი სომხეთში ბამბის პლანტაციების გადასარჩენადაც ყოფილა გა-

ოყენეული, ასევე, ძველი იტალიის მებაღეებს პლინიუსი ნიადაგისა და ჰაერის გათბობის მიზნით უჩევდა იმავე ცეცხლის დახთების მეთოდს[8].

ხ ი ლ ი ს კ რ ე ფ ა. ხილეულის კრეფას რაიმე განსაზღვრული წესები და ზუსტად დადგენილი ვადები არ გააჩნია. მისი კრეფის დრო დამოკიდებულია ამინდზე, ბაღის მდებარეობაზე, მოსავლიანობაზე, რაც აგრეთვე დიდად არის დამოკიდებული ნიადაგების თავისებურებაზე. ამაზე მეტყველებს ბაგ.. ის გარემოებაც, რომ ... ქ, სადაც ხილი შედარებით ფიცხელ და ურწყავ ადგილებშია გაშენებული, ის მალეც შემოდის.

ხალხის დაკვირვებით შედარებით ადრე შემოდის ხილი აგრეთვე ბაქნებზე გაშენებისასაც. ბაქნებზე ანუ ფერდობზე გაშენებული ხილი სიცივესაც ადვილად „სცდება", რადგანაც მათივე დაკვირვებით „მთის წვერის სიცივე უმეტესად დაბლობში სცემს ხოლო ფერდობი კალთაშია შეფარებული"-ო.

იმის გამო, რომ ბაქნებად მოსწორებისას, როგორც სათანადო ადგილასაც გვქონდა აღნიშნული, მშრალად ნაგები ქვის ყორე-კედელი კეთდებოდა, ეს გარემოება ერთის მხრივ აჩქარებდა ხილის მოსავლის შედარებით ადრე შემოსვლასაც. აღნიშნული მიწების ხილი იმავე მხარის სხვა ადგილებთან შედარებით, თავისი გამძლეობითა და კარგი შეფერილობით გამოირჩეოდა(სიღნაღი, ბორჯომის, ლუშეთის და ახალციხის რაიონები). ბაქნების ერთულად მოწყობისას, ე. ი. ერთიმეორის მიყოლებით კედლის ქვების სიმხურვალე ... ბთხრ. გადმოცემით, ნიადაგს აფიცხებდა და გვალვიანი წელიწადიც რომ არ ყოფილიყო, მაინც ხშირად უჭირდა წყალი (მახათაძე აკაკი, გოგოლაძე გიორგი, სოფ. აწყური, ახალციხის რ-ნი).

შესაძლებელია, რომ აღნიშნული წესით ბაქნების მოწყობა და ... ზე ხეხილის გაშენება ძველად ცნობილი „მზიური ბაღების" ანალოგიას წარმოადგენდეს. რადგანაც „მზიური ბაღების" მოწყობის წესი ძველი იტალიის მებაღეობაში ქვის მაღალი კედლების აგებით, ... ქარებისაგან დაცვისა და ქვის გაცხელებისაგან მოსავლიანობის დაჩქარების პრინციპზე იყო აგებული[9].

ხალხური მეურნეობა იცნობს ხილეულისათვის მთელი წლით ... ადრე მოსავლიანობა-მოუსავლიანობის შეტყობის სხვადასხვა ხერხებს. მათ შორის კვირტით, ფოთლის ფერით, ახლად ნაზარდი ულორტებისა და სხვა მეთოდებს.

---

[8] „გუთნისდედა", 1865 წ., № 7. გვ. 100.
[9] М. Е. Сергеенко. დასახელებული შრომა, გვ. 93.

გამოცდილი მეურნე ჯერ კიდევ შემოდგომის პერიოდში არ-ჩევს მომავალი წლის მსხმოიარობას, როდესაც ხეს „საგაისო კვირ-ტი დასრულებული აქვს". მთხრობელთა გადმოცემით, სანაყოფე კვირტს „თვალდათვალ ემჩნევა", რადგანაც ის „ბოკოტა"—მსხვილი და მრგვალი თავის მქონეა, რომელსაც ნაცრისფერიც „დაკრავსო". აქვე აღნიშნავენ, რომ ჩვეულებრივი „ნაზარდის კვირტი" შედარებით წვრილია, მოგრძო და წვერიანი, რომელსაც წაბლისფერი დაჰ-კრავს. თვით ზაფხულის პერიოდშიც კი, როდესაც ხეხილი მთხრო-ბელთა სიტყვით „ლურჯათ იცქირება", ე. ი. კარგი, ღონიერი, მუქი მწვანე ფერის ფოთოლი აქვს—საგაისო კვირტს კარგად ისრულებს. ასევე იტყვიან თამამად ნაზარდი ყლორტების დროსაც—„ხე ზრდა-ში მიდის და მუშა კვირტს ნაკლებად გაიკეთებს"-ო და ა. შ.

ყოველივე აღნიშნული ხერხებიდან ყოფაში სხვადასხვა ჯურის ხეხილს მოსავლიანობა-მოუსავლიანობის შეტყობის თავისი წესი აქვს. მათ შორის ორი უკანასკნელი განსაკუთრებით წვრილი ხილის ნაყოფიერებას განსაზღვრავს, „ბოკოტა" და „ნაცრის" ფერი კვირტი უფრო მსხვილი ხეხილის მოსავლიანობას და ა. შ. როგორც ჩანს, ქართველი მეურნე დახელოვნებული იყო იმ საკმაოდ რთულ ცოდ-ნას, რაც ხეხილის მოსავლიანობის წინასწარი შეტყობის ზოგიერთ საკითხებს შეეხებოდა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს მეხილეთა ის მდიდარი ცოდნა-გამოცდილება, რაც ხილის კრეფის ვადების შეტყობა-გამოცნობასაც შეეხება. მართალია, ხეხილის კრეფის ვა-დების დიდი ხნით ადრე დადგენა ზემოთ აღნიშნულის გამო შეუ-ძლებელია, მაგრამ სირთულე, რომელიც უამრავი ჯურის ხილის კრეფის ვადების შეტყობაშია, ხალხის მიერ ნაწილობრივ თავისებუ-რად არის ამოხსნილი.

ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ხილე-ულის კრეფის ვადების დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა: ნაყოფის შეფერილობას, გულის ან თესლის დასრულებას, ბის გემოვნებას, ხელით შეხებას, ნაყოფის ნაქარს და სხვა.

კურკოვანი ხილეულის კრეფის ვადების შეტყობას მეურნეები შედარებით იოლად ამჩნევენ, რადგანაც მისი ნაყოფის უმრავლესო-ბა, ფერის შეცვლასა და სირბილესთან ერთად „ძირს ჩამოდის", მაგრამ შედარებით ისეთი ხილი, რომელიც ხსენებულ თვისებებს მოკლებულია, უფრო მეტ დაკვირვება-ცოდნას მოითხოვს (ვაშლი, მსხალი, კომში, ზღმარტლი და სხვა).

ცნობილია, რომ საქართველოს კლიმატური პირობებში ხილე-ულის შემოსვლა გაზაფხულიდანვე იწყება და ზამთრის დადგომამ-დე გრძელდება, რაც თავის მხრივ უფრო მეტ ცოდნა-გამოცდილე-

ბას თხოულობს მისი მოვლის, მოკრეფისა და დაბინავების მხრივ. იმის მიხედვით თუ ხეხილის ესა თუ ის ჯიში წელიწადის რომელ დროს შემოდიოდა და მისი გამძლეობის პერიოდი როდემდე გრძელდებოდა, ყოფაში მას სათანადო ჯგუფს მიაწერდნენ. ხეხილის დაჯგუფება ძირითადად სამი სახითაა წარმოდგენილი: ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, მეხილეები ზაფხულის ჯიშების მოკრეფას ვადამდე ერთი კვირით ადრე რჩებოდნენ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი შედარებით მეტი ხნით შენახვა. მთხრობელთა გადმოცემით, ადრე დაკრეფილი ზაფხულის ხილი (ვაშლი, მსხალი, ატამი და სხვა) ჯერ ჭკნება, მერე ისევ „სუქდება" და ბევრჯერ უფრო კარგი გემოვნებისა ხდება. ყოველივე ამას გარკვეული დრო ესაჭიროება და შედარებით გვიანობამდეც ძლებდა ხოლმე. ხოლო მათივე დაკვირვებით ზაფხულის ჯიშის ხილს დაგვიანებით კრეფისას კანი და გული თანაბრად აქვს დასრულებული და ამისათვის „თავსაც დიდხანს ვერ იქერს"-ო.

მეურნეთა დაკვირვებით ადრე დაკრეფა ხილს განსაკუთრებით უხდება გვალვიან წელიწადს, რადგანაც მისი ყუნწი ადრე შრება, რასაც ხელით შეხებისას ამჩნევენ. გვალვიან წელიწადს—აღნიშნავს მთხრ. იოსებ როსტომის ძე ბუდედიშვილი (გორის რ-ნის სოფ. კარალეთი, 71 წ .. 1958 წ.) ხილი ადრე ჭიანდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის უკვე შემოსულია და რომ წავეტანებით ხელში თითონ მოგვდევს ხოლმეო.

უნდა აღინიშნოს, რომ ხილის კრეფისას ყოფაში განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ ზამთრის ჯიშების მიმართ, რაც ბუნებრივია მისი დიდი ხნით გაძლეობისაკენ იყო მიმართული. ზამთრის ჯიშების ხეხილისათვის კრეფის ვადების დადგენა საკმაო სიძნელესაც წარმოადგენდა, მისი მარტო შეფერილობით, გულის გასინჯვით და გამძლეობის პერიოდებს დიდი მონდომებით აკვირდებოდნენ. წლების მანძილზე ამგვარმა დაკვირვებებმა თავისი შედეგი გამოიღო და დღეს მეურნე მამაპაპური გამოცდილების გადმოცემის შედეგად კარგად ამჩნევს ისეთი ხეხილის მოკრეფის დროსაც, როგორიცაა: კომში, ზღმარტლი, ვაშლისა და მსხლის ზოგიერთი სახეობანი. ნაგ. ქართველი მეურნე კომშს მხოლოდ მაშინ დაკრეფს, როდესაც მას „რთვილი აქვს ნაპამი", ზღმარტლსა და კვრინჩხს მაშინ დაკრეფს, როდესაც მისავე ხეს ფოთოლი აქვს გაცვენილი, ჯახველის ტოტებს მანამდე არ დაამტვრევს, სანამ თოვლს არ ჩამოყრის და ა. შ. რადგანაც მან გამოცდილებიდან იცის, რომ ხილეულის ზოგი-

ერთი ჯიში, მხოლოდ მოკრეფისა და სათანადოდ შენახვის შემდეგ იძენს გემოვნებას. ყოველივე ზემოთ ზსენებულ დაკვირვება-გამოცდილებებს თავისი გარკვეული გზები აქვს გავლილი, რაც ოდითგანვე უნდა მომდინარეობდეს.

ვიდრე ხილის კრეფის პროცესებს განვიხილავდეთ, მოკლედ შევეხებით სათანადო საკრეფი ხელსაწყოების აღწერილობას, რომელთაგან ზოგიერთს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხილეულის მოსაკრეფად ძირითადად გამოიყენებოდა შემდეგი ხელსაწყო იარაღები: კიბე, კალათა, ხოკერა, სანცარევი, თოკი, კავი და ლოდორი ან ყუთი.

კ ი ბ ე აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა სახისა გვხვდება, რომელთაგან აღსანიშნავია „ტანტრა“ ანუ გასაშლელი კიბე და „ლატანი“ იგივე (მესხეთში) „მერდევანი“. „ლატანი“ ანუ „მერდევანი“ წარმოადგენს გრძელსა და მეტწილ შემთხვევაში ოდნავ დაკუთხულ ლატანს, რომლის სიგრძე ბევრჯერ 6—8 მეტრამდეც აღწევს. ლატანი—გრძელი ხე, რომლის ტანი თანდათან ვიწროვდება. ბოლო ნაწილით ჩასმულია დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძის ხეში, რაც საყრდენს წარმოადგენს. „ლატანს“ ჩვეულებრივ კიბესთან შედარებით საფეხურები ახლო-ახლო აქვს განლაგებული. ის გასაშლელ კიბესთან შედარებით მსუბუქია და ხეზე ყველგან ადვილად ეყრდება. უნდა აღინიშნოს, რომ „ლატანი“, რომელიც უშუალოდ ხეხილის კრეფისათვის არის შექმნილი და საქართველოს მეხილეობის თითქმის ყველა კუთხეებში გამოიყენებოდა, დღეს მხოლოდ მესხეთისა და ბორჯომის ხეობის ყოფისათვისღა არის დამახასიათებელი.

კ ა ლ ა თ ა ხეხილის საკრეფად ძველთაგან სპეციალურად იწნოდა, მისი მოყვანილობა უეჭველად პირამიდის ფორმისა უნდა ყოფილიყო, რომელიც „სუფთად წვრილი წნელით“ იწნოდა. მთხრობელთა გადმოცემით ხილის კალათა ძირვიწრო და პირგადაშლილი იყო, რომელსაც თავსა და ბოლოზე ნაწნავის მსგავსი გრეხილი წნული უკეთდებოდა. ამგვარი წნული, აღნიშნავენ მთხრობელები, ნაწნავს კარგადაც ინახავდა, უფრო მკვიდრი გამოდიოდა და კარგადაც იდგმოდაო. როგორც მთხრ. გენო ლუარსაბის ძე ჩიქილაძე (სოფ. ტყვიავი, გორის რ-ნი) გადმოგვცემს, „ხილის საკრეფი ბაყლის კალათა, ძირვიწრო უნდოდა, რათა ჩამოწოდებისას ტოტებში ადვი-

ლად გამომძერალიყო". მისივე გადმოცემით, აღნიშნულ კალათებზე ისეთი დიდი მოთხოვნილება ყოფილა (1920 წლამდე), რომ „ოფე-ბი" — სომხებიც კი ჩამოდიოდნენ, წნავდნენ ან იქიდანვე ჩამოქონ-დათ და ყიდდნენო.

აღსანიშნავია, რომ „ლატნის" ხმარებასთან ერთად ახალციხის რაიონის მეხილეობით განვითარებულ რიგ სოფლებში ფართოდ გამოიყენება პირამიდის ფორმის ბოლომახვილიანი კალათა. იგი წარმოადგენს ერთ დატოტვილ წნელს 3-5 კაპით, რომელზედაც წნავენ და თანდათან უმატებენ ახალ-ახალ „მანებს"—შედარებით მსხვილ წნელებს. თავისი დაწნისა და ფორმის მიხედვით ამგვარი კალათები აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სხვაგან არსად დაგვიმოწმებია, რომელიც მხოლოდ აღნიშნული მხარის დამახასიათებელს უნდა წარმოადგენდეს.

ზევით განხილული კალათების ტევადობა 8—16 კგ აღწევდა. რომელთაც კრეფის დროს ძირში სუფთა თივას უდებდნენ, ხოლო ბურზე ხის კავებს აბამდნენ, და ხიდან თოკის საშუალებით ჩამოაწვდიდნენ ხოლმე.

აღმოსავლეთ საქართველოს მეორე რიგის საკრეფლებიდან აღსანიშნავია ე. წ. წვრილი ხილის (ბალი, მაყვალი, ხურტკმელი, მოცხარი, მარწყვი და სხვა) საკრეფი პატარა ზომის კალათები და ხოკერები. აღნიშნული ხილის საკრეფად განკუთვნილ ჭურჭელს ძირითადად ხის ქერქისგან (ბალამწარის, წაბლის, რცხილის, თელისა და სხვა) აკეთებდნენ, რომელნიც უმეტესად პატარა ზომის კუთხეებიდა და წელზე შემორტყმული წესით ატარებდნენ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხის ფონდებში დაცულია ხილის საკრეფად და „სანცვრევად" განკუთვნილი საინტერესო ხელსაწყო იარაღები, რომელთა ილუსტრაცია ამჯერად ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული საკმაოდ მაღალი ლატნების გამოყენებისა, ხეხილის კრეფისას ხშირად რჩებოდა მოსაკრეფად მიუწვდომელი ადგილები. ამ მიზნით ყოფაში ფართოდ იყენებდნენ თავიანთივე შექმნილ ე. წ. „სანცვრევ" ხელსაწყოებს, რომელნიც სხვადასხვა მასალისა და ფორმით არიან წარმოდგენილნი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სახის საკრეფელებს იგივე ხრიკებს რაჭაშიც ხმარობდნენ (საბას განმარტებით ხრიკა—მაჯის შესაკრავ კავს ქვიან).

ხ ი ლ ი ს კ რ ე ფ ა. ძველ ქართულში ხილეულის ნაყოფის მოკრეფის აღსანიშნავად, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ორი ტერმინი არსებობდა: მოსთულაჲ და მოწილვაჲ. მისივე აზრით,

პირველი ტერმინი ძეგლებში ხშირად გვხვდება და ჩვეულებრივი სიტყვა იყო, მეორე კი მხოლოდ უძველეს ძეგლებში გვხვდება და მისი კვალი ოდნავ-ღა არის გადარჩენილი[10].

მოსთულაჲ ძველ ქართულში ზოგადად ნაყოფის მეკრებასა და მოკრეფას ნიშნავდა. მაგალითად (დაბადება) ლევიტელთა 26-ში წერია „თუ ჩემი მცნებანი აასრულეთ, ქუეყანამან გამოსცეს ნაყოფი თვისი და ხეთაი ველისათა მოსცენ ხილი მათი და მოიწიოს სალეწავი თქუენი ვიდრე სთულებადმდე და სთუელი მოიწიოს თესვამდე“-ო[11].

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „მოწილვა“ ქართულ სამწერლო ენაში „მოსთულაზე“ უძველესი ხანის ტერმინი ყოფილა.

V—VII სს-ში მოწილვა თუმცა არსებობს, მაგრამ ამ ხანაში უკვე მოსთულა-ს ჰქონია უპირატესობა მოპოვებული[12]. ამის დამადასტურებელია აგრეთვე გიორგი მთაწმინდელის ცნობაც: „ოდესაც რაიმე საერთოი საქმე არნ მონასტრისაჲ, თვნიერ უცილოებისა თანავე გავიდის გინა თუ ნავისა გამოზიდვისა გინა თუ ნავი მოვიდის ხუაოტლითა გინა თუ ვენაკთა ასრვისა გინათუ აჯოჯვისა გინა თუ სთულებასა“-ო[13].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანას, როდესაც ხილ-ბოსტნეული პირველად შემოვიდოდა, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „ახლობლობა“ ეწოდებოდა, რაც დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ბლობის“ სახელწოდებით იხსენიება. ხოლო იმ ხანას, როდესაც გამოლევის გამო ძნელი საშოვნელი იყო „ყურძნობა“-ს ეძახდნენ[14].

ზემოთ აღნიშნულის ირგვლივ არსებული სხვა წყარილებითა და ისტორიულ წყაროებთან ერთად საყურადღებოა ქალაქის მოურავისათვის ხილის მირთმევა დაკანონებულ პერიოდებში, სადაც აღნიშნული იყო: „ქალაქის მოურავს ქალაქის მებაღეებმა უნდა მოართვან, რომ მოურავის კაცი უნდა წავიდეს და საპალნეებით ხილი უნდა მოუკრიფოს და მოართვას, ერთი ახალბალობას, რაც იმ დროს ხილი იქნება. ერთი ყურძნობას უნდა მოიკრიფოს საპალნეებით, რაც იმ

---

[10] ივ. ჯავახიშვილის, ხელნაწერთა ფონდი, გვ. 12.

[11] იქვე, გვ. 13—14.

[12] იქვე, გვ. 19.

[13] გ. მთაწმინდელის ენა, იოანეს და ეკვთიმეს ცხოვრების მიხედვით, თბილისი, 1946, ივ. ჯავახიშვილის გამოცემით, გვ. 42.

[14] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. მრომა, II, გვ. 146.

ლოს არის. ყოველის ნივთისაგან დაუკლებლად უნდა მოერთვას ქოვლის ბალებიდამ"-ო[15].

აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო ყოფაში ხილის კრეფის გარკვეული წესებია დამკვიდრებული. კრეფის ხალხური ტექნიკა ხველა ჯურის ხილისათვის იყო გამოყენებული. ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ მებაღეები ხილის კრეფას ხის ქვედა ტოტებიდან იწყებდნენ. რადგანაც კიბით ან ზედ ასვლით კრეფისას აღნიშნული ტოტებიდან ნაყოფი ჩამოსცვიოდა. კრეფის დროს გამოცდილი მეხილეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ხეხილის ყუნწიანად მოწყვეტას და ისე ფრთხილად ჩაწყობას კალათებსა და სხვა საჭირო საკრეფლებში, რომ ნაყოფის კანი არ „გატეხილიყო" არ „დაქეჭილიყო". ამ მიზნით ყოველგვარ საკრეფელებში წმინდა თივას ჩაუდებდნენ ან ტილოს გამოაკრავდნენ ხოლმე.

მთხრობელთა გადმოცემით უყუნწოდ მოწყვეტილი ან გატეხილი ნაყოფი თავს დიდხანს ვერ იჭერს, რადგანაც წვენი დენას იწყებს და ჩქარა ლპებოდა. ამისათვის ყოფაში ძირითადად არჩევენ ნაყოფის ორი სახის დაზიანებას: „მშრალსა" და „სველს". შესანახად უვარგისი ე. წ. მშრალი ნაყოფი მთხრობელთა გადმოცემით არის ჭიანი, მზისგან ან სეტყვისაგან გახეთქილი და შეხორცებული, ან ნაწილობრივ დაჟეჟილი. ხოლო სველი სახით დაზიანებული ნაყოფი არის უყუნწოდ ნაკრეფი, „ხოროც ნაჩხვლეტი", დახეთქილი და ახლად დაჭიანებული, რომელთაც ჯერ კიდევ წვენი არ შეშრობიათ.

ხილის კრეფისას ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ამინდს, რადგანაც გამოცდილებიდან იცოდნენ, რომ თუ ნაყოფს სისველე შეჰყვებოდა, ეს „ჩახურებას" იწყებდა და მალე ლპებოდა.

თვით კრეფის ხალხური ტექნიკიდან აღსანიშნავია ნაყოფის ფრთხილად გვერდზე გადაწევის წესი, ფრჩხილების სუფთად დაჭრა და ხეზე ასვლისას მხოლოდ ქალამანის ჩაცმა. თუ როგორ უფრთხილობდნენ კრეფისას ხეხილის პატრონები, ეს კარგად ჩანს თვით ხალხის გადმოცემიდანაც. ამის შესახებ სოფ. ტირძნისის (გორის რ-ნი) მკვიდრი გიგუცა ლუარსაბისძე ხბიადაშვილი შემდეგს აღნიშნავს: -ბაღის პატრონები ისე უფრთხილდებოდნენ ნარგავსაცა და ხილსაც, რომ როცა იმათთან ქირითა ვმუშაობდით ხოლმე, ბიჭებს[16] წინ პატარა ფართუკები უნდა გვქონოდა შემოკრული,

---

[15] საქართველოს სიძველენი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1909, ტ. II, გვ. 54.

[16] ბაყლის ბიჭებად ეთნოგრაფიულ ყოფაში იხსენიებოდა „ბაყლის" ხილით მოვაჭრეთაგან დაქირავებული მუშები. ბაყლების სახელთან არის დაკავ-

ღერჩხილები პირში დაჭრილი და ფეხზე რბილი ფეხსაცმელი ქალამანი უნდა გვცმოდა. რაკი ქალამანი ხეზე ძალიან ცურაობდა, ამისათვის სულ წინდების სიმარა ვკრეფდით ხოლმე და ტოტი რო მოგვტეხოდა ხო სულაც ვაგვაგდებდა სამუშაოდანაო". აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მსხმოიარე ხეხილის ტოტების ჩამომტვრევისაგან დასაცავად კაპიანი ლატანების ან ბოძების მიდგმას აწარმოებენ, რომელსაც „ჯინჯიბახი" ან „ბოწკინტი" ეწოდებოდა. ჯინჯიბახი საბა ორბელიანის განმარტებით არის—ორი ლატანი გაოდაბმული დიდის ძალის ასაწევად.

ხილი რომ „შეთვალდებოდა" და ნაქარს გაიჩენდა, ბაღის პატრონს დღედაღამ ბაღში უნდა ეტრიალა, რადგანაც უამისოდ ის საქრეებს თავს ვერ გაართმევდა. ამ პერიოდიდან იწყება, როგორც ფეხის მოსავალისაგან გასუფთავება ისე ნაქარის აკრეფა-ჩირვა, საადრეო ჯიშების კრეფა, გოდორ-კალათებისა და ლასტების წვნა, საჩირეების მოწყობა და სხვა. ამ მიზნით ისევე, როგორც მეურნეობის სხვა დარგებში, აქაც დაქირავებული მუშახელიც იყო გამოყენებული, რომელნიც სოფლიდან-სოფლად ან საქართველოს სხვა კუთხეებიდან მიმოდიოდნენ.

„ბერძნებსა და კრუებს—აღნიშნავს მთხრ. გიორგი გოგიაშვილი (სოფ. კარალეთი, გორის რ-ნი, 80 წ-სა, 1958 წ.) ხეხილის კრეფაში რას გავაკარებდით—ისინი ნაქარს უვლიდნენ, კალათებს სწნავდნენ და აწევ-დაწევაში გვეხმარებოდნენ"-ო.

იმასთან დაკავშირებით, რომ ხეხილის ბაღი თავიდანვე ზრუნვაშოვლას საჭიროებდა და განსაკუთრებით შემოდგომის პერიოდიდან შიგ გამუდმებით „ტრიალს" მოითხოვდა. ბაღებში სათანადო „ხილსაცავი" შენდებოდა. ხილსაცავები ანუ მებაღის ქოხები გამოიყენებოდა, როგორც დასაძინებლად, ისე სამეურნეო იარაღისა და თვით ხილის დროებით შენახვის მიზნით. მებაღის ქოხი, რომელიც ქვიტკირის ან ფიჩხის წნულის სამეურნეო ნაგებობას წარმოადგენდა, სრულყოფილი სახით ვერ დავამოწმეთ, რის გამოც მისი, ამ ნაგებობის სრული აღწერილობა, სამწუხაროდ არ მოხერხდა

როგორც ველზე შეკრებილი მასალებიდან ჩანს, იმ შემთხვევაში, თუ ბაღის პატრონი გაზაფხულიდანვე ნარდად გაყიდიდა მომავალ მოსავალს, მაშინ მყიდველი თვით პატრონს უჩიჭდებოდა მისი თვალყურის დაჭერისა და პოვლისათვის. ხოლო წინააღმდეგ შემთ-

---

შირებული აგრეთვე „ბაყლის კალათა", „ბაყლის გოდორი", „ბაყლის კიბე"—გასაშლელი კიბე ანუ ტანტრა და სხვა.

ხვევაში ის „მებაღეს“ ქირაობდა. ბაღების მყიდველებად მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებამდე ქალაქიდან ჩასული ვაჭრები და ბაყლები გვევლინებიან.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წესით დაქირავებულ მებაღეს ხშირ შემთხვევაში მდიდარი ცოდნა-გამოცდილებისა და კარგი მოვლა-პატრონობის გამომჟღავნების შემდეგ ბაღის პატრონი ან დროებითი მფლობელი, მას „ამხანაგად“ — მეწილეად კი გაიხდიდა ხოლმე.

ხილის კრეფისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შემოდგომა-ზამთრის ჯიშების სიფრთხილით კრეფას, რაც მისი დიდი ხნით შენახვასთან იყო დაკავშირებული. ამ მიზნით მოკრეფილ ხილს (ვაშლი, მსხალი, კომში) ადგილზევე, ერთ ადგილას „დააწყობდნენ“, რომელიც იქ 8-10 დღის განმავლობაში უნდა ყოფილიყო. მთხრობელთა გადმოცემით, უმჯობესი იყო ხილი ისეთ ადგილას—გადაფარებულში დაეყარათ, რომ ცის ნამი არ მოხვედროდა და კარგად გამომშრალიყო. ამ პერიოდში ნაყოფი ზედმეტ სისველეს იშრობდა, კატეხილს, დაჟეჟილსა და ჭიანს კარგად იმჩნევდა და მისი გადარჩევა გვიადვილდებოდაო. აღნიშნულ მეთოდს ე. ი. ხილის ([illegible]) ადგილზე დაყრას ეთნოგრაფიულ ყოფაში „ოფლის მოხდის“ წესს უწოდებენ, რომელსაც სპეციალისტები დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებენ[17].

აღსანიშნავია, რომ აღმ. საქართველოს ზოგიერთ ადგილებში (კახეთი), ხილის კარგად გამოშრობა-გამოღეობა (დანიშნულებით ([illegible])ზამთრებამდე (თუ ეს შესაძლებელია), ბაღში ან სხვენზე გაშლილი სახითაც ინახავენ ხოლმე[18].

ყოველივე ამის შემდეგ ოფლმოხდილ ხილს კარგად გადაარჩევდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ „მშრალი ჭიანი“ ცალკე ინახებოდა, რადგანაც ის შედარებით გვიან ლპება, „სველი ჭიანი“ და „ნაჟეჟი“ კი საჩირედ და საარაყედ იყრებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილი მებაღე ზოგიერთი ჯიშის დაჟეჟილ ან გატეხილ ნაყოფს „სუფთა“ ხილშიც მიაყოლებს, რადგანაც მან გამოცდილებიდან იცის, რომ ისეთი ჯიშის, მაგ. ვაშლი, როგორიცაა კიტრა, ზერტულა, კეხურა და სხვა მცირე ნაჩხვლეტსა და ნაჟეჟს კარგად იშრობს, იხორცებს და ჩვეულებრივად ძლებს.

---

[17] ს. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, ხილის მოკრეფა, დახარისხება და ჩაწყობა, თბილისი, 1926. ნ. ხომიზურაშვილი, ვ. ჭიპაშვილი, მეხილეობა, თბილისი. 1956.

[18] საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში დაცული შინამრეწველობის მასალები, მეხილეობა, გვ. 969—973.

ველზე მოპოვებული მასალების საფუძველზე დგინდება ხილის დაუზიანებლად ტრანსპორტირება, რომელიც პირგადაშლილი გოდრების პირქვე დამხობით ხდებოდა. აღნიშნულ გოდრებში, სადაც 8—10 ფუთი (ვაშლი, მსხალი, კომში) ჩადიოდა ძირში და გვერდებზე სუფთა თივას უშლიდნენ, რომელსაც ზემოდან თივის სქლად მოფენის შემდეგ თავს წნელებით გადაუკრავდნენ და ურმით ან მარხილით მიიტანდნენ. მთხრობელთა გადმოცემით მარხილის ხმარება სიმშრალეში, მართალია საქონელს უჭირდა, მაგრამ ამ წესით მოზიდული ხილი უნაკლო იყო ხოლმეო. მათივე გადმოცემით, პირგანიერი გოდრის „მომხობით" გადატანისას თავზე ნაყოფი ნაკლებად აწევება ერთმანეთს და ძირსაც გრძლად წაპრილი გოდრის „მანები" არ უშვებს მთლიანად დადების ადგილზე შეხებასაო.

აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში ხილის ნედლათ შენახვის შემდეგი წესები დავამოწმეთ: ტოტებით, აჯაგვნით, ცვილში, თათარაში, წყალში, ბზეში, გოდორში, ორმოში, მარანში, ქვევრებში, მიწაზე დაყრის, ლასტებზე ანუ ტახტებზე დაწყობის და სხვა.

ხილის როგორც ნედლად ანუ ცოცხლად, ისე ხმელად (ჩირად, კერკად, ტყლაპად და სხვა) შენახვა ქართველ ხალხს ოდითგანვე უნდა სცოდნოდა. ნედლად ხილის დიდი ხნით (10 თვემდეც შენახვა) განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ცოდნა-გამოცდილებას საჭიროებდა, რაც კარგად ჩანს ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებიდან.

ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად იხსენიება, როგორც ნედლი, ისე ხმელი ხილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს წინაპრებს წელიწადის თითქმის ყოველ დროს უნდა ჰქონოდათ: საამებელად და საჭმელების შესანელებლად, სხვადასხვა წესჩვეულებებისა და რიტუალური დანიშნულებისათვის, სამკურნალოდ და სხვა.

შუასაუკუნეების ერთ ნაწარმოებში ვკითხულობთ: „თახჩები მოწყობილი იყო ყოვლის კაი ხილითა... სულ ხილი ეიდვა ყოვლიფერი, ნედლი თუ ხმელი... თუ ნედლი ხილი არ ვარგა, ხმელი მაშინც ბევრი კარგია და ამაო საჭმელი და შესაქცევი... ყუთები გავხსენ. ხმელი ხილი ყველა იმ დღეს ჩაწყობილსა გვანდა" და ა. შ.[19]

აღმოსავლეთ საქართველოს ყოფისათვის დამახასიათებელი იყო ხილის ტოტებიანად და აჯაგვნის წესით შენახვა, რომელიც სხვენში და მარანში იკიდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით ტოტებიანად ან ყუნწით დაკიდული ხილი შედარებით დიდი ხნის განმავ-

---

[19] რუსუდანიანი, ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, თბილისი, 1957, გვ. 451—452.

ლობაში ინახება, რადგანაც ჰაერი ყოველმხრივ კარგად უდგება. ტოტებითა და აჯაგვნის წესით ხილის შენახვის ოდითგანვე არსებობაზე მიუთითებს ტერმინები: „აკიდო“, „ჯაგანი“ (საბა, ლექსიკონი) „ჩხა“, „კუნწულა“ და სხვ. რომელთა გამოსახულება კარგად შემოგვინახა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებმაც (იხ. სურათი ივ. ჯავახიშვილის ეკონ. ისტორია, ტ. II). აღსანიშნავია, რომ ყოფაში შედარებით მცირე რაოდენობით ხილის კონსერვაციას ცვილითა[20] და თათარათიც აწარმოებდნენ. რაც ცოცხლად და დიდი ხნით ინახავდა მათში „ამოვლებულ“ ამა თუ იმ ხილის ნაყოფს.

ხილის ცოცხლად შენახვის წესთა შორის თავისი სიძველით უნდა გამოირჩეოდეს წყალში და ორმოში ჩაყრის წესები.

როგორც ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დგინდება, წყალში ხილის შენახვის ორი ხერხი არსებობდა, მარილით და უმარილოდ. მარილით შეგემებული წყალში შენახული ხილი, რომელიც იგივე „ხილის წნილს“ წარმოადგენდა, მისთვის განსაკუთრებით „მომზო“—ზომეაო გემოს ხილს არჩევდნენ. უმარილო წყალში კი ყოველგვარი გემოვნების ხილის ჩაყრა შეიძლებოდა, რომელიც შეტწილად ტყიდან ჩამოჰქონდათ ხოლმე (ბორჯომის ხეობა და მთიულეთ-გუდამაყარი, ალგეთის ხეობა). როგორც მთხრ. შაქრო გიგოლას ძე ქავთარაძე (80 წ. სოფ. ჩაბარუხი დუშეთის რაიონი, 1960 წ.) გადმოგვცემს „ხილი (ვაშლი, მსხალი, მსხალპანტა, ზღმარტლი) განსაკუთრებით კარგად ინახება ჩვეულებრივ წყალში, რომელსაც ხის კასრებსა და გობებში ვყრიდით ხოლმე და წვენსაც გაზაფხულობით სიცხეში ისე ვსვამდით, როგორც ლუდსა“-ო. აღსანიშნავია, რომ სამწნილე ხილს მარილწყალში ჩაყრამდე დაჩხვლეტავდნენ და მალე დამყავების მიზნით შედარებით თბილ ადგილზე გააჩერებდნენ, ხოლო ცოცხლად შესანახავ ხილს, რომელიც „უმანკო“-სუფთა უნდა ყოფილიყო, ჩვეულებრივ წყალში ჩაყრით გარეთ„სიცივეში, დახურული წესით ინახავდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში იყენებდნენ და იყენებენ ხილის (განსაკუთრებით მსხლის) ქვევრებში მშრალად შენახვის ხალხურ წესებს, რომელიც კარგად აქვს აღწერილი განსვენებულ თ. სახოკიას[21].

ხორბლეულის ორმოებში შენახვა საქართველოში ძველთაგანვე უნდა სცოდნოდათ, რომელმაც ჩვენს საუკუნემდე მოაღწია. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „მიწაში ამოთხრილ ორმოს სინ-

---

[20] ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960 გვ. 131.

[21] თ. სახოკია, დასახელებული შრომა, გვ. 316.

ტივისაგან დასაცავად ჩალით და ბზით მოფენდნენ ხოლმე და შემდეგ შიგ მარცვლეულს ჰყრიდნენ და ზემოთგან ჰხურავდნენ"[22].

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ტიპის ორმოებში. საქართველოს სინამდვილეში ხილსაც (უმეტესად ვაშლს. ხოლო ნაწილობრივ მსხალსა და კომშსაც) ინახავდნენ. ხორბლის ჩაყრისაგან განსხვავებით სახილე ორმოებში გარკვეული რაოდენობის ხილის ჩაყრის შემდეგ ფენებად თივას უგებდნენ. საფიქრებელია, რომ ხილის ძიწაში შენახვა პურის შესანახი ორმოდან ანუ ხაროდან უნდა გამომდინარეობდეს, რომელსაც ყოფაში ეზოებსა და სხვადასხვა სამეურნო-საცხოვრებელი ნაგებობების ქვეშაც აწყობდნენ.

ორმოში შესანახავ ხილს საგანგებოდ გადაარჩევდნენ, და უმეტესად მაგარ-გამძლე ჯიშს შეურჩევდნენ (ვაშლებიდან მაგ. ზერტულა, კიტრა, თურაშაული, კეხურა და სხვა). მათი ორმოში შენახვა გვიან შემოდგომას ხდებოდა, ამოღება კი მაის-ივლისის გასულს.

აღმ. საქართველოში გამოყენებულ ორმოებში ხილის გამოზამთრების ზემოთ აღნიშნული წესის პარალელურად რაჭაში ბზისა და თივის დახმარებით საწნახელში ხილის შენახვის წესიც არის დამოწმებული[23].

მიწაში ანუ ორმოებში ხილის გამოზამთრების დადებითი თვისება, მთხრობელთა გადმოცემით, მისი ცოცხლად და დიდი ხნით „გაუშრობელად"—უკლებლად შენახვაში მდგომარეობს. მათივე გადმოცემით „ორმოში ნამყოფი ხილი ხორციანია, ახალ მოკრეფილსა გავს და ესე გასინჯე იგი ახლად მოკრეფილთან შედარებით უფრო კარგი შეფერილობისაც კი გამოდის ხოლმე"-ო.

გარდა აღნიშნულისა, დაუმწიფებელი ხილის (უმეტესად მსხალი, ვაშლი, ატამი) ადრე დამწიფების მიზნით ბაღებში „სახელდახელო" მცირე ორმოებსაც თხრიდნენ. ამგვარ ორმოებში „ჩაფლული" ხილი 4-6 დღეში მწიფდებოდა და საამო საჭმელი იყო. აღსანიშნავია, რომ ხილის ორმოში შენახვის ამ წესს უმეტესად ბავშვებს მიმართავდნენ.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ნათლად ჩანს მიწის ზეგავლენა ხილის კარგად გამოზამთრება-დამწიფებაში, როგორც მიწაში, ისე მასზე დაყრის გზით. ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოდ წარმოგვიდგება ყოფაში დღემდე შემორჩენილი ხილის მიწაზე დაყრის

---

[22] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 95.

[23] ცნობა მომაწოდა ეთნოგრაფმა ლ. ფრუიძემ.

ხალხური მეთოდი, რომელსაც განსაკუთრებით ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის სანახებში მიმართავდნენ. იმისათვის, რომ ხილი (ვაშლი, შხალი, კომში და სხვა) დიდი ხნითა და ცოცხლად შენახულიყო, გამოცდილი მეურნეები საცხოვრებელი საგებობის იმ ნაწილში, სადაც მის დაყრას აპირებდნენ სამი-ოთხი თითის დადებით სილამიწასაც მოუფენდნენ ხოლმე (სოფ. ვალე, უდე. თმოგვი ახალციხის რ-ნი).

აღსანიშნავია, რომ მიწაში ან მიწაზე სილის განსაზღვრული დროით და გარკვეული ჯიშების დაყრის დადებით თვისებებს ბოტანიკოსი სპეციალისტებიც აღნიშნავენ[24], რაც პირველ რიგში ითქმის შედარებით ადრე ნაკრეფი ხილეულის კარგად შემოსვლის—დამწიფებისა და კარგად გამოზამთრების მიმართ.

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩვენ მიგვარ ხილის გამოზამთრების სხვა მეთოდებიც იქნა დამოწმებული. მათ შორის საცხოვრებელი ნაგებობის თავზე—„კალოზე" (მთიულეთ-აუდამაყარი) ხილის გოდრებით, ხოკერებით, ჩვეულებრივად დაყრილ ის ხალხური წესები, სადაც ხილის სიცივისგან დაცვის მიზნით ზეზოდან თივის ან ბზის ზვინის დადგმას აწარმოებდნენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად ქართველი ხალხი არანაკლები ყურადღებით ეკიდებოდა ხილის ხმელად დამზადება-შენახვის საქმეს. ამზადებდნენ შემდეგი სახის პროდუქტებს: ჩირს, კერკს, ჩურჩას, ტყლაპს, მაშარაფს და სხვა.

ხმელი ხილის ოდითგანვე შენახვა-გამოყენებაზე მრავალი ისტორიული მასალები მოწმობენ. საბა ორბელიანის განმარტებით ხმელი ხილი ჩირს ნიშნავს. ხოლო ზოგადად ხმელი ხილის ქვეშ ჩირთან ერთად ყოფაში ნაგულისხმევია ხილისაგან დამზადებული ისეთი საკვები პროდუქტები, რომლებიც ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

ხმელი ხილი, ძირითადად მზისა ან ცეცხლის დახმარებით მზადდებოდა და ფართოდ გამოიყენებოდა როგორც საამებელად და საკვებად, ისე სამკურნალო დანიშნულებისათვის. როგორც წინა ნაწილში გვქონდა აღნიშნული ქართველი პურს ისე არ შეჭამდა, რომ ზედ ხილი ან ხილისაგან დამზადებული პროდუქტი არ დაეყოლებინა. ამისათვის ხალხში ასეთი გამოთქმაც არსებობდა: „სადილს ეკან ხილობაო არის გვარიშვილობა"-ო (აღლემაშვილი მიხა, სოფ. უდე. ახალციხის რ-ნი, 1961).

ხილისა და უმეტესად ხმელი ხილის ფართო გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქარავნო მიმოსვლისა და მომთაბა-

---

[24] П. Виноградов-Никитин, დასახ. შრომა, გვ. 20.

რე მეურნეობის დროს. ხილის პროდუქტები უაღრესად დიდმნიშვნელოვანი იყო ადამიანთა კვების ამ პერიოდში, როდესაც ხალხის რწმენით ხორცისა და მისგან დამზადებული საჭმელების გარკვეული ხნით ჭამა არ შეიძლებოდა. სწორედ ამ პერიოდში, რომელსაც ქართველი ხალხი დიდმარხვას უწოდებდა, საჭმელების ძირითადი ნაწილი ზეთისა და ხილის პროდუქტებისაგან „იკაზმებოდა". აღნიშნული საკითხის სინამდვილეს ისტორიული წყაროებიდანაც ვგებულობთ, რომელთაგან აღსანიშნავია გიორგი მთაწმინდელის ნათქვამი. რომ „დიდმარხვას მონასტრის ძმათათვის დაეგოს... პური და ჩირისა წუენი და მწნილი, ანუ სხუაი რაიმე ესე ვითარი (საჭმლისათვის და სასმელთა)"[25]. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საჭმელად იყენებდნენ, როგორც „შემგბარ" ანუ მოხარშულ ისე „უმგბარ"-ბოუხარშავ მხალეულსა[26] და ხილეულის პროდუქტებს.

ქართველ ხალხსა და მის წინაპრებს უძველესი დროიდანვე რომ ჰქონიათ შეგნებული ხილის ხმელი სახით შენახვის სხვადასხვა ხერხები ამაზე ბერძნული წყაროებიც მიგვითითებს. ქსენოფონტეს (ნობით, ხალიბები სახლის სახურავზე ახმობდნენ წაბლსა და მოხარშული სახით ან მისი ფქვილისაგან ნამცხვრებს აცხობდნენ[27].

„უმგბარ" ხილად აღმოსავლეთ საქართველოში ახმობდნენ: ყურძენს, თუთას, კვრინჩხს, შინდს, ჭანჭურს, ღოღნოშოს, ალუბალსა და სხვა. ჩირად აკეთებდნენ: ვაშლს, მსხალს, ქლიავს, ატამს, ლეღვს, ხოლო ვაშლის, მსხალის, ტყემლის, თუთის, ჭანჭურის, ქლიავის და სხვა ხილეულისაგან ტყლაპებს. მაშარაფს, ბურახს და ღვინოსაც კი. აქვე უნდა ითქვას, რომ ძველი ხალხური წესებით დამზადებული გამხმარი ხილი და ხილის პროდუქტები დიდი რაოდენობით ინარჩუნებდა ადამიანისათვის სასარგებლო ნივთიერებებს. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ხილის ხმელად გახმობის ისეთი წესები, რომელიც არქაულ ელემენტებსაც შეიცავს: გახურებულ ქვაზე, სახლის სახურავზე, ლასტზე, ცხელ ნაცარში გაშრობა-გახმობა და სხვა.

საყოველთაოდ ყოველგვარი ხმელი ხილის დამზადებისას ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ხალხი ნაყოფის კარგად შემოსულობასა და მზეზე ნებით გამხმარ პროცესს მიიჩნევდა. ამ მიზნით ყოფაში საამისოდ გაწყობილ ხილს სათანადოდ ვადაარჩევდნენ და სპეციალურ ე. წ. საჩირეებზე ახმობდნენ.

---

[25] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 146.
[26] იქვე.
[27] Ксенофонт, დასახ. შრომა, გვ. 138.

როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს აღმ. საქართველოს სინამდვილეში ჩირის გახმობას (ვაშლის, მსხლის, ჭანჭურის, ატმის, კერკის და სხვა) ძირითადად ლასტებზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში წნელზე ან კანაფზე ასხმული სახითაც მიმართავდნენ. საჩირეები იმართებოდა მზისგულ ადგილებში, როგორც ეზოებში, ისე ბაღებსა და სხვენებზეც კი, რომლებიც ისე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომ „წვრილ ფეხი" (შინაური ფრინველები) არ მისდგომოდა. ლასტის (სანირტყეზე დაწნული წნელი) დადებითი მხარე ჩირის გახმობის საქმე იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან ჰაერის კარგი გამტარობით ხასიათდება. როგორც მთხრობელები აღნიშნავენ ლასტზე ჩირი უმზეოთაც კი კარგად სმებოდა, რადგანაც ჰაერი ქვემოდან „ქურასავით უბეოავდა" ხოლმე. მათივე გადმოცემით, ჩირს კარგ ცხელ დღეში ერთხელ უნდა უბრუნო პირი და 3 დღეში აიკრიფება. აღსანიშნავია, რომ სმელი ხილის დამზადების ყველა სამუშაოები ქალის საქმეს წარმოადგენდა, რაც ქართველ ქალს სხვა სამეურნეო სამუშაოებთან ერთად დიდ ჯაფად აწვა.

ხილის ხმელად გაკეთებას აღმ. საქართველოს პირობებში ივნის-ივლისიდან იწყებდნენ, რომელიც შემოდგომის გასულამდე გრძელდებოდა. ხმელად ხილის დამზადებისას სხვა სირთულესთან ერთად, რასაც ხილის უამრავი სახეობის თავისებურება და სათანადოდ დამუშავება მოითხოვდა, ქალს დიდ ცოდნა-გამოცდილებას აღალებდა. მაგალითად, მსხლის ჩირის დამზადებისას საჭირო იყო გათუთქვა, წყალში ერთი ზოდუღება და გაუფცქვნელად დაყრა და ბაშლა; ჭანჭურის ჩირის გახმობისას კურკის გამოღება და გადაშლილი სახით დაწყობა, მისი კურკიანად გახმობისას ანუ „ხაზულათ" შენახვისათვის დანით დასერვა (მესხეთ-ჯავახეთი), პანტის გახმობისათვის მისი ცხელ ნაცარში შეყრა ან ცეცხლზე მოხალვა (ბორჯომის ხეობა, მთიულეთ-გუდამაყარი), ლეღვის ჩირის გაკეთებისას „ჩხებით" თონეში ჩადგმა, შემდეგ ლასტზე გაშრობა და წნელზე აბმა (კახეთი), ატმის ჩირის—„გორგო-მიჭელას" გასაკეთებლად ქართული ატმის გაფცქვნა შიგ მთელი ლებანის—ნიგვზის ჩადება და ძაფზე აბმა (ქართლი), ზოგიერთი ჩირის კრიალა ფერის მისაცემად მარილიან ან შაბიან წყალში გავლება, ჩირის სიტკბოს მიცემისა და კარგად შენახვის მიზნით ბადაგში (ყურძნის წვენის ნადუღში) ამოვლება (ქართლ-კახეთი) და სხვა მრავალი, რომელთაც ცალ-ცალკე მომდევნო თავში განვიხილავთ.

ხილეულები და მათი გამოყენება

მეხილეობიდან კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის თვალსაზრისით განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ხილის პროდუქტების მოხმარების საკითხი.

საქართველოში რომ ხილს სხვა პროდუქტებთან ერთად გლეხის ცხოვრებაში ფართო მნიშვნელობა ენიჭებოდა კარგად ჩანს ხალხური კამოთქმიდანაც: „თუ პური არ მოვა—ღვინო დაგვიხსნის გაჭირვებისაგან, თუ არც ღვინო მოვა—ხილის მოსავალი გვიშველის, თუ არც ეს იქნება სხვა რომელიმე მცენარე, პირუტყვი, საქონელი, აბრეშუმის ჭია, ფუტკარი ან კიდევ სხვა რამ მაინც შეგვიწყობს ხელს და იოლად წაგვიყვანს“-ო[1].

გარდა ამისა, რომ ხილი ნედლი და ხმელი სახით იხმარებოდა, მისგან და მისი პროდუქტების დახმარებით საქართველოში ძველთაგანვე მზადდებოდა საგანგებო საშმელ-სასმელები, სამკურნალო წამლები და ქიმიური საღებავები. სამეურნეო მნიშვნელობასთან ერთად, როგორც ხეხილის მასალას, ისე ნაყოფს ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა სარიტუალო ცერემონიალის შესრულებისას და სხვ.

ვ ა შ ლ ი. ყველა სხვა საკვებ ხილეულთან შედარებით განსაკუთრებულად ფართოდ არის გავრცელებული ვაშლი, რომელიც, პ. ქუცოვსკის სიტყვით რომ ვსთქვათ, საერთოდ პირველ ადგილზეა, როგორც ფართობის, ისე მოსავლიანობისა და მოხმარების მხრივ.

ვაშლის ხეს ევროპაში უძველესი დროიდანვე აშენებდნენ, რაც ნათლად ჩანს საბერძნეთისა და რომის მწერლობაში (ვარონი, კატონი, კოლუმელა, პლინიუსი და სხვა).

ძველ ქართულ მწერლობაში ვაშლი მოხსენებულია დაბადების ქართულ თარგმანში[2]. ტერმინი ვაშლი ნახმარი აქვს ქსენოფონტესაც: „რომელიც მეომარი ხალიბების იარაღის (შუბის) მხატვრულად აღწერისას იყენებს“[3].

---

[1] ბალონობის შესახებ, მეურნე № 5, 1890.

[2] საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდი, № 11, გვ. 156.

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1960, გვ. 29.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით საქართველოში ვაშლის ფართოდ გავრცელების ერთი მანიშნებელი ისიცაა, რომ იგი გეოგრაფიულ სახელებში მრავლად მოიპოვება: მაგ. ვაშლოვანი, ვაშლიეთი, ვაშლიანი, ვაშლები, ვაშლობით[4] და სხვა.

ვაშლის ხისა და თესლის უძველესი ნაშთები ნეეგს, დიროვან ნაშენობათა უკვე ქვის ხანის ნაშთებში აქვს აღმოჩენილი.[5] უძველესი რომაელი მწერლები იხსენიებენ ვაშლის 26 ჯიშს; 178 წ. ჩვ. ერამდე კატონი ურჩევს მებაღეებს, რათა გაეშენებინათ ვაშლი „მუსტეუმი"; ასი წლის შემდეგ ვაროონი კიდევ ოო ჯიშზე მიუთითებს. შემდეგ მათ დაემატათ კიდევ—6, ხოლო ჩვ. წელთაღრიცხვის 79 წელს პლინიუსმა აღწერა კიდევ 13 ჯიში[6].

ძველმა ქართულმა მწერლობამ ჩვენს დრომდე ვერ შემოგვინახა ხილეულის, მათ შორის, ვაშლის ჯიშობრივი მრავალფეროვნება, რაც საკმაო მდიდრად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და მიწათმოქმედების დიდი კულტურის ქვეყნის წყალობით.

ვაშლის სიუხვეზე და მრავალჯიშიანობაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ხილეულის ჩამოთვლისას აღნიშნავს: „ვაშლი მრავალგვარი"-ო[7]. ამასვე აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი: „ვაშლნი სხვადასხვა გვარნი"-ო.[8] და ა. შ. რაც აშკარად მეტყველებს ძველ საქართველოში ვაშლის ჯიშობრივ სიჭრელეზე.

ვაშლის ჯიშობრივი სიჭრელე დღითიდღე მატულობდა და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისათვის ამ დარგის სპეციალისტები უკვე ექვსასამდე სხვადასხვა ჯიშს ითვლიდნენ[9].

ბოტანიკოს-სპეციალისტების მიერ დამტკიცებულია, რომ ვაშლის წინაპარი არის ტყის გარეული—წვრილი ვაშლი, ე. წ., მაჟალო, რომელიც კავკასიასა და კერძოდ საქართველოს ტყეებში ძველთაგანვე ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი ათას ორას—ათას ოთხასი მეტრის სიმაღლეზე[10]. მათივე აზრით, იქ, სადაც ამა თუ იმ ხილის წინაპარი გარეული სახით უხვადაა წარმოდგენილი, მისი წარმოშო-

---

[4] ივ. ჯავახიშვილის ხელნაწ. ფონდი, № 11.

[5] იქვე.

[6] ვ. ბიბილაშვილი, საქართველოს ხილი, თბილისი, 1931, გვ. 23.

[7] ვახუშტი ბატონიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 29.

[8] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა" ტ. II, თბილისი, 1903, გვ. 218.

[9] არჩ. დარეჯანიშვილი, საუნჯე მებაღისა, თბილისი, 1903 გვ.

[10] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957, გვ. 318.

ბის კერად არის აღიარებული (ჟუკოვსკი, ნ. კეცხოველი, ნ. ხომიზურაშვილი).

აღმ. საქართველოში ვაშლის გამოყენების უამრავი წესები მოწმდება. ვაშლის ნაყოფისაგან ძირითადად ამზადებდნენ: ჩირს, ტყლაპს, ტკბილ წვენს, ხდიდნენ არაყს, დებდნენ წნილად, იყენებდნენ საახალწლო ტაბლაზე, გვერგვაზე, ჩიჩილაკზე, ქორწილში, ხალხურ მედიცინაში და სხვა.

როგორც XV საუკ. მეორე ნახევრის ლიტერატურიდან ჩანს „გამოზრდილი—მწნილი—შაქრით შენახული ხილები... თაფლში ან მარილწყალში, რომელ შემწიფდენ და მერმე გამოიღო მარილწყლისაგან და ჩასხრე წყალსა წმიდასა... მერე ჩასდვა თაფლსა“ და ა. შ.[11] მოწმობს ძველ საქართველოში საერთოდ ხილეულის სამკურნალო ანიშნულებით ფართო გამოყენებაზე და მათ შორის ვაშლისაც.

იმავე წიგნიდან ვგებულობთ: „ერგების სტომაქსა გარ(ყ)უნილსა, რომელნი საჭამადსა ვერა ჭამდენ და გული ემალოდეს... სტომაქსა შიგან ქარი შე(ე)ქმნებოდის... აიღო... ვაშლი ტკბილი კე(ე)ლია თუალივით ასი დასჭრა და ბურკისაგან განასწმიდო, დანაყო და გამოსწურო წყალი, თანგირაგთა ჩა(ა)სსა იგი ვაშლისა წყალი და ადუღო ვირემ თაფლისა ზომად შესქელდეს და პერულმოკდილი თაფლი თანა ჩაურთო“[12]... აქვეა აღწერილი ვაშლის ნაყოფისა და ფოთლისაგან სხვადასხვაგვარი წესით წამლების დამზადება-გამოყენების უამრავი მეთოდები (გვ. 254, 255, 260).

ვაშლის ჩირი ისევე, როგორც სხვა საკვები პროდუქტები ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული სალაშქრო და საქარავნო მოგზაურობისას, როგორც მოხარშული, ისე მოუხარშავი სახით. ვაშლის ჩირი იხმარებოდა ჩაის მაგივრადაც (ცეცხლზე მოხალვის შემდეგ), მისგან აკეთებდნენ ჩურჩხელებს; თითქმის იმავე დანიშნულებით გამოიყენებოდა მისგან დამზადებული ტყლაპი და სხვა.

ვაშლის გამოწურულ წვენს რომ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა ამაზე მეტყველებს ჩვენ მიერ დამოწმებული, სათანადო ადგილას უკვე ხსენებული საქაჯავი. ვაშლის წვენისაგან ამზადებდნენ ე. წ. ტკბილ წვენს, რომელიც გამოიყენებოდა სასმელად, როგორც ტკბილი, ისე შემაჭრებული სახით. ახლად გამოწურული წვენი იხმარებოდა აგრეთვე თათარის მოსადუღებლად, რომელსაც ფქვილით აზავებდნენ და ჩურჩხლების ამოსავლებად იყენებდნენ. იმავე წვენი-

---

[11] ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო კარაბადინი, თბილისი, 1959, გვ. 29—30.

[12] ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, დასახ. შრომა, გვ. 252.

დან აკეთებდნენ ტყლაპებს. როგორც სამზარეულო დანიშნულებისათვის (მკავეს). ისე ხილად (ტკბილს). ხოლო ყელის ტკივილის და ხველების დროს კი ყოფაში „უებარ" წამლად მიიჩნევენ შემწვარ ვაშლს.

ვაშლისაგან ხარშავენ მურაბას: ურჩევენ მკავე. მაგარ და შედარებით წვრილს. ხოლო ძირითადად სამურაბე მასალად იყენებენ სპეციალურად სამურაბე ჯიშს—„მურაბის" ანუ „სამოთხის ვაშლს"[13].

ყოფაში ვაშლის გამოყენების მხრივ არა ნაკლებ საინტერესოა მისი მწნილად ჩადება: შერჩეულ ხილს ქვევრებსა და კასრებში ჩასხმულ მარილით შეზავებულ წყალში ყრიან. ვაშლისხაირი სახით გამოყენებისას საკვლევ რაიონში სხვა ხილთან ერთად. მას ძირითადად ახარისხებდნენ გამძლეობისა და გემოვნების მიხედვით. ვაშლის უამრავი ჯიშის მრავალფეროვნების წყალობით მეურნე არჩევს: მკავე. ტკბილი. „მწკლატე". „მაგარი". „ქაშა". „ფატარი", „თხელკანა" და სხვა დამახასიათებელი თვისებების მქონე ვაშლის ჯიშებს. რის მიხედვითაც ხდება მისი გამოყენება. მაგ. მკავე ჯიშის ვაშლებს ძირითადად სამზარეულო და სამკურნალო დანიშნულებისათვის იყენებდნენ. ტკბილსა და ქაშას ნედლად სახმარად. ტყლაპათ. მაჭრად და ა. შ. ისევე. როგორც თხელკანასა და რბილ ვაშლს ჩვილ ბავშვთა და მოხუცთა საჭმელად ინახავდნენ.

გარდა იმისა, რომ ვაშლი ქართული სუფრის მშვენება და ლაზათი იყო. მას ქართველი ხალხი ღვინისსმასთან დაკავშირებით კარკვეულ მიზნითაც იყენებდა. იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში" ღნიშნული აქვს: „უკეთუ ვისმე ნებავს. რომ წავიდეს სადმე სტუმრად. და ეშინის მუნ დათრობისა. დილა უზმას ერთი მკავე ვაშლი შეკამოს და ზედ ერთი თასი. ანუ სტაქანი ცივი წყალი შესვეს: როდესაც ამ ღონისძიებას იხმარებს. მას ღღეს იმ კაცსა ნეღარ ეშინის მას მეჯილისსა შინა. რომე დაათვროს ვინმე გინდ რაოდენი ღვინო მიიღოს"[14].

განსაკუთრებული სიცოცხლით არის წარმოდგენილი ვაშლის მნიშვნელობა ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში. გადმოცემებში. ფოლკლორულ მასალებსა და ხელოვნების სიყვარულსა ძეგლებზე.

---

[13] ა. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი. 1961. გვ. 27.

[14] იოანე ბატონიშვილი. დასახ. შრომა. ტომი I. თბილისი. 1936. გვ. 260.

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, ვაშლის ნაყოფი ხალხის რწმენით ნაყოფიერებისა და დოვლათიანობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ქართულ ქორწილს ისე არ გადაიხდიდნენ, თუ „ნეფე-დედოფალს“ წინ „ჯვრის პურს“ არ დაუდგამდნენ, რომელზეც სამი ცალი წითელი ვაშლისაგან ჯვარი იყო გამოსახული. კახეთის სინამდვილეში ქორწილის დროს ნეფე-დედოფალი „მეჯვარეების“ თანსლებით ოჯახის კერას სამჯერ შემოუვლიდნენ. შემოვლისას მეჯვარეები და „მაყრები“ ხანჯლის წვერებით ან ხმლებით ლედაბოძიდან ან ჭერიდან წინასწარ ჩამოკიდებული ხილის ჯაგნებს (უმეტესად ვაშლის დ. პ.) ჩამოაგდებდნენ. ამ ცერემონიალის დროს, რომელიც დედოფლის ოჯახში ეწყობოდა თან სიმღერას დასძახებდნენ „ჯვარი წინა, ჯვარი უკანა“-ო.

ამავე დანიშნულებისაა მოხევური „კარაჩხა“-ც, რომელიც ქორწილის დროს ეწყობა. როგორც ვ. ითონიშვილი წერს, „ის გარემოება, რომ კარაჩხაის შედარებით მსხვილ ტასზე ვაშლითა და ხილეულ-ტკბილეულით შემკობილი მრავალი უფრო წვრილი ტოტი კეთდებოდა და ამ სახით ნეფის ტაბლაზე იდგებოდა გვაფიქრებინებს, რომ კარაჩხა ახლად შეუღლებულთა ტკბილად შებერებისა და გამრავლების ხელშემწყობ საშუალებად, ანუ დალოცვისა თუ მათდამი ამ სურვილის გამოთქმის ერთგვარ ხერხად ყოფილიყო გამოყენებული. ჩვენი აზრით, კარაჩხაის ტანი თვით შთამომავლობის მომცემ წყვილს უნდა გულისხმობდეს, ხოლო ხილეულით მორთული ტოტები მათი ნაყოფის სიმბოლიურ გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. ე. ი. ნაძვის ხის სახით წარმოსახული და ხისავე ნაყოფით (ვაშლით, მსხალით) მორთული მოხეური კარაჩხა სიცოცხლისა და ნაყოფირების მომნიჭებელ საგნად წარმოგვიდგება და არა მარტო სუფრის ლაზათად, როგორც ამას ჩვენი მთხრობლები გვაუწყებენ“[15].

საინგილოში ქორწილის დროს, როდესაც დედოფლის კარებს მაყრიონი მიადგებოდა „წინ გრძელი ალატი (ხე—დ. პ.) ერჭო, რომლის წვერზეც ვაშლი იყო წამოცმული და მაყრიონს კარებს მაშინ გაუხსნიდნენ, როცა ისინი თოფით ჩამოაგდებდნენ ვაშლს“[16]. საფიქრებელია, რომ აღნიშნული წესი პარალელს უნდა პოულობდეს

---

[15] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 276—277.

[16] ძველი საქართველო ტ. II საქ. საისტ. საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, თბილისი. 1911—13, გვ. 146.

XVII ს-ის იტალიელი მხატვრის (კასტელის) მიერ შესრულებული ნახატის შინაარსთან, სადაც მხედრები მშვილდისრით ცდილობენ ჯოხიდან ვაშლის ჩამოგდებას. ამ მხრივ საინტერესოა ძველი ქართული ყაბახის—საასპარეზოს მოწყობა, სადაც თეიმურაზის თქმით: „როდის იქნება ქორწილი ან სხვა დღეობა კარგიო, ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის იყოს, ვარგიო“[17]...

აღსანიშნავია საახალწლო „გვერგვის“-ს, „ჩიჩილაკი“-სა და „ტაბლი“-ს გაკეთების პროცესი, რომლის აუცილებელ ელემენტს ვაშლი წარმოადგენდა. ახალ წელიწადს ლეჩხუმსა და რაჭაში ე. წ. გვერგვის გაკეთებისას თხილის ჯოხების წვერებზე წითელი ვაშლები უნდა ყოფილიყო ჩამოცმული. ამავე დანიშნულებით თურმე ჩიჩილაკის ორ წვერზე ბროწეულის ან ვაშლის ნაყოფს ჩამოაცმევდნენ[18].

იანვრის 5 რიცხვი ხევსურეთში განცხადების დღედ იყო გამოცხადებული: ამ დღეს კაცები შინ შემოიტანდნენ ორ „მყოვან“ ჯოხს ვაშლისა და მსხლისას, რომლებზედაც ვაჟები შესხდებოდნენ და ზედ ეკიანთ ბედის კვერებს გასტეხდნენ. ამ ჯოხებს შემდეგ კერის ცეცხლს დაუდებდნენ[19]. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ წინათ ხევსურები მიცვალებულს საფლავში ვარეული ვაშლისა და ბაკლის ნაყოფს ატანდნენ[20].

მიცვალებულთან ხილის ჩატანების აღნიშნული წესი დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში არ დაგვიდასტურებია. კახეთის მასალებით თუ ვიმსჯელებთ შეიძლება კავშირი ჰქონდეს „აბრამის ტაბლა“-ს, ხილის ჭურჭლიანად მიწაში ჩამარხვის წესის შესრულებას ზემოთ აღნიშნულთან (სოფ. ქვ. მაჩხაანი, დარჩიაშვილი ზაქარია აბრამის ძე, 80 წ., 1959 წ.).

აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ვაშლის ერთ-ერთი ჯიში—„ღვთის ვაშლი“ (შინამრეწველობის მასალები), საფიქრებელია ზემოთ აღნიშნული რწმენა-წარმოდგენების ნიადაგზე წარმოშობილ ტერმინად იყოს მიჩნეული.

ძველ საქართველოში ვაშლი რომ ყოველმხრივ საუკეთესო ხილად ყოფილა მიღებული. კარგად ჩანს გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქებიდანაც“:

---

[17] თეიმურაზ მეორე, თხზულებანი, თბილისი, 1939, გვ. 73.

[18] ე. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი უძველესი სარწმუნოების ისტორიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ) თბილისი, 1941, გვ. 71—72.

[19] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, თბილისი, 1935, გვ. 225.

[20] Р а д д е, Хевсурия и хевсуры, Тифлис, 1881, ст. 85.

„ვაშლამან უთხრა: შვენებითა თქვენ ყერა ხართ ჩემი დარი,
ეარ ყოველთა უტურფესი ხილი ბრძენთა საქებარი,
სალხინო და სანადიმო სუფრაზედაც სადებარი,
გულის ჭირის უკუ მყრელი. ვისაცა სწვავს ცეცხლის ზარი"[21].

რ. ერისთავს ვაშლის შემდეგი ჯიშები აქვს დასახელებული: თურაშაული, მჟაველა, რევაზბეგი, სირმა, ქაშა, ყარყარა, შაქარ-ვაშლი, ძუძუვაშლი და ხომანდული.[22] ხოლო გეევსკისა და შარრეს შიდა ქართლში შემდეგი ჯიშები აქვთ დამოწმებული: თურაშაული, აბელაური, სუგმა ვაშლი, რევაზბეგი, კიტრა-ვაშლი, ყარყარა, ხომანდული, ხევაშლი, ზერტული. სანანაური და ბორავაშლი[23].

ივ. ჯავახიშვილი ვაშლის ქართულ ჯიშებში ჩამოთვლის: აბელაური, ხომანდული. კიტრა-ვაშლი მწვანე, კიტრა ვაშლი ყვითელი, რაკრაკა, ნისკარტა, ზერტული, ბორა, სირმა, ნაბადა, წითელა, კეხურა, თურაშაული, მეფის ვაშლი, ქაშა ვაშლი, ყარამფილა და ხე ვაშლი[24].

სპეციალისტების გამოკვლევებით და დღევანდელი ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დამოწმებულია ვაშლის შემდეგი ადგილობრივი ჯიშები ქართლისათვის: აბილაური, ბორა, თეთრი ადრეული, ქართული სინაპი, გოგიაანთ კიტრა, ნისკარტა, კიტრა, ყვითელი კიტრა. ქაშა კიტრა. რაკრაკა კიტრა, მჟავე კიტრა, ძუძუ-ქალა, ზერტული. ხანდაკურა. კეხურა. ყირიმული, თურაშაული. გორული სინაპი. ქაშავაშლი. სირმა ლურჯი, მერეთული, წითელი ვაშლი, ყრუალა, მესხურ ჯიშებში: წითელი შაქარვაშლა, შაქარა, თეთრი შაქარა, რძე ვაშლი. ბოსტანა. რაკრაკა. მეფის ვაშლი, კოპრუზული. კურკის შაქარვაშლა. კურკის ვაშლი. ლამაზო. თეთრი სობა, წითელი სობა, ბონავაშლი, ქალაქურა. მამულო, მესხური თურაშაული. როკეთული, თეთრავაშლი. ზოლიანი თეთრი ვაშლი, ყარანფილა, ყარანფილა ოეთრი. ჯორის ცხვირა. მსუქანა მესხური, შაქარნაბადა, მახარა, უდირი საგვიანო. ახალციხური კიტრა. კახურ ჯიშებში შედის: კახური თურაშაული, რევაზბეგი, ლაგოდეხის რენეტი. ძუძუვაშლა და სხვა,[25] რაც ნათლად მეტყველებს საბჭოთა პერიოდის საქართველოში სეხილის სწრაფ განვითარებაზე.

---

[21] ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. II, თბილისი, 1928, გვ. 65, ტაეპი 18.

[22] რ. ერისთავი, ლექსიკონი.

[23] Краткий очерк садоводства Закавказья. Тбилиси. 1886,ст, 90—91.

[24] ივ. ჯავახიშვილი. ხელნაწ ფონდი, № 11.

[25] ნ. კეცხოველი, დასახ. შრომა, გვ. 318—319.

მ ს ხ ა ლ ი. ისევე როგორც ვაშლი ძველ საქართველოში მსხალი საუცხოო ხილად იყო მიჩნეული. გროსჰეიმი მსხლის სამშობლოდ აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად საქართველოსაც მიჩნევს, მისი მტკიცებით კავკასიაში გავრცელებულ 27 სახეობიდან საქართველოში 15-ია[26].

საქართველოს ტერიტორიაზე ეთნოლოგიური გათხრების შედეგად, სხვა მცენარეულთან ერთად აღმოჩენილია მსხლის ნაშთებიც, რაც იმას მოწმობს, რომ ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში ადგილობრივი მცხოვრებნი იცნობდნენ და თავიანთ საჭირველად იყენებდნენ. როგორც მის ნაყოფს, ისე მასალას[27]

ეს კულტურა ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში და ძველ სპარსეთში ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე. ძველ რომში კატონი იხსენიებს მსხლის 5 ჯიშს, პლინიუსი უმატებს მათ კიდევ 35-ს, რომელთაგან განთქმული იყო კრუსტეუმის მსხალი. ძველ გერმანიაში ვალერი კორფუსი იხსენიებს და აღწერს მსხლის 50-მდე ჯიშს, რომელთა სახელწოდებები დღემდეა შემოსახული (ვ. ბიბილაშვილი, დასახ. შრომა. გვ. 92). უძველესი ბერძნული ჯუნჭტები, მათ შორის მეტაპონტი და ტერენტი ცნობილნი იყვნენ მეხილეობის განვითარებით. რაც ნათლად ჩანს მეტაპონტის ფულის ჩოსახულებიდანაც. ჩვენს ერამდე IV საუკუნის მეტაპონტის ფულზე, ქვეყნის სიმდიდრის გამოსახატავად გამოსახული იყო ბერის თავთავი და მსხალი[28].

საქართველოს ველური ხილით მდიდარ ტყეებში ფართოდ ეხვდებით დღევანდელი კულტურული მსხლის წინაპარს. რომელიც ჩვენში პანტის სახელწოდებით არის ცნობილი (ნ. კეცხოველი).

ფრანგი ბოტანიკოსის ცნობებით, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწეობდა და იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში — მათ შორის საქართველოშიაც, აღნიშნავდა, რომ თბილისს „ბაზარზე განსაკუთრებით ბევრია ქლიავი და საუცხოო მსხალი“-ო[29]

ვახუშტი ბატონიშვილს საქართველოს ხილეულის ჩამოთვლისას აღნიშნული აქვს: „მსხალი და ვაშლი მრავალგვარი“-ო.

---

[26] А. А. Гроссгейм, Растительный покров Кавказа. Изд. Московского общ. испыт. природы. М., 1948, გვ. 152.

[27] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. ქვის ხანის ადამიანი საქართველოს გამოქვაბული. თბილისი, 1953. გვ. 27.

[28] М. Е. Сергеенко, Очерки по сельскому хозяйству деревней Италии. Москва-Ленинград, 1958, ст. 84.

[29] მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, და გ. ნ ა თ ა ძ ე, ძველი თბილისი, 1929. გვ. 29.

XIX საუკ-ნის მიწურულისათვის, ნ. სპეშნევს მარტო გორ.ის მაზრაში აღწერილი აქვს მსხლის 12 ჯიში, რომელთაგან ყველაზე ძალიან გავრცელებული ყოფილა: გულაბი, ხეპეპური, თავრიზული, გვერწითელი, მილახული, შავი მსხალი, თაფლმსხალი, ბორბალა, კალოს მსხალი" და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილ მსხლების ჯიშებს რ. ერისთავი თავის ლექსიკონში უმატებს: ძალაჩინს, მკათათვის, უბაწითელს, ვაზისძირას, კაცისთავას, საივანობოს, სესელოს, საყვითლიას და სხვა, რომელშიც საქ. სხვა კუთხეებში გავრცელებული მსხლის ჯიშებიც შედის.

მსხლის ჯიშთა სიმდიდრით განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს რაიონები, სადაც თ. სახოკიას აღწერილი აქვს 40-მდე სახეობა[31]. ამავე ავტორის ცნობით მსხალი „ხეპეპურა რთველის დროს მოდის და საზამთროდ ეურში ინახავენ. საიდანაც სახელიც ხეპეპურა შეურქმევიათ"-ო[32].

აღსანიშნავია, რომ მსხალს უყვარს ვაშლთან შედარებით ნესტიანი ადგილი და შესაძლებელია მისი ფართოდ გამრავლება დას. საქართველოს რაიონებში ამითაც იყოს გამოწვეული.

ცნობილია, რომ ვაშლის შემდეგ, როგორც გამრავლების ისე ჯურთა სიჭრელით მეორე ადგილზე მსხლის კულტურაა. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის ცნობებით მსხლის 40-ზე მეტ სხვადასხვა ჯურს ითვლიდნენ[33].

ძველ საქართველოში მსხლის კულტურის მოწმეა 20-ზე მეტი ეთნოგრაფიული სახელწოდება, რაც მის სახელთან არის დაკავშირებული: „პანტიანი", „მსხლიანი", „მსხლები"[34] და სხვა.

როგორც მსხლის ხე, ისე მისი ნაყოფი განსაკუთრებული მრავალფეროვნებითაა გამოყენებული. პანტისაგან ხდიან ცნობილ „პანტის არაყს", ახმობენ ჩირს, ხალავდნენ და ფქვავენ ფქვილად, რისგანაც აკეთებენ -ჩირხალს", მსხლის ნაყოფისაგან ამზადებენ ჯემს, სდებენ წნილად, შემწვარს იყენებ ხალხურ—მედიცინაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სარიტუალო დანიშნულებით და ა. შ.

პანტის არაყს, რომელიც თავისი გემოვნებით გამოირჩევა განსაკუთრებით ფართოდ ხდიდა მთის მოსახლეობა. საინტერესოა, რომ

---

[30] Сборник сведений по плодоводству в Зак. крае, Горского уезда, Тифлис, 1895, გვ. 75.

[31] თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950, გვ. 316.

[32] იქვე.

[33] არჩ. დარეჯანაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 7.

[34] ნ. კეცხოველი, გარეული ხილი, თბილისი, 1950, გვ. 4.

ყოფაში ანწლის არაყის გამოხდისას, იმის გამო, რომ არაყს სიმაგრე და სურნელება ჰქონოდა, გარკვეული რაოდენობის პანტას ან მაჟალოს ურევდნენ. ბოტანიკოს ვინოგრადოვ-ნიკიტინის ცნობით გარეული მსხლის — პანტისაგან ბორჯომ-ახალციხის მიდამოებში ხდიდნენ ბურახსა და მაჭარს", ისეთივე წესით. როგორც ვაშლის წვენის დამზადებისას იქცეოდნენ ხოლმე.

როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები მეტყველებენ მსხლის და განსაკუთრებით კი პანტის ჩირს ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში ოდითგანვე გარკვეული ადგილი უნდა ჰქონოდა. პანტას, რომელსაც დიდი რაოდენობით ნახულობდნენ და აგროვებდნენ ახლომახლო ტყეებსა და ჭალებში, გახსაკუთრებული წესებით ახმობდნენ და იბანავდნენ. საქართველოს (უმეტესად მთის ზოლის) ბოსახლეობა პანტის ჩირს მეტწილად პურის საცობ ღუმელებში ახმობდნენ, რომელსაც პევრჯერ ცხელ ნაცარსაც წააყრიდნენ ხოლმე და შემდეგ ძაფზე ასმული წესით მშრალ ადგილას ინახავდნენ. იგი უებარ წამლად ითვლებოდა კუჭის აშლილობის პროცესში, რის გამოც „დედოფალს" მზითევში სხვა ნივთებთან ერთად ევალებოდა „ნეფის" ოჯახში პანტის ჩირის მიტანაც, რომელიც ი. გრიშაშვილს აქვს აღწერილი: „ერთი ასხმა პანტის ჩირი,—თუ მეფე მუცელში გაიხსნას, უებარი წამალია"-ო[36].

გამხმარი სახით მსხლის გამოყენებიდან აღსანიშნავია მთელად ან დაპრილი სახით ღუმელში ან ცეცხლზე მოხალვის შემდეგ ძმისი ფქვილისაგან ე. წ. „ჩირხალი"-ს დამზადება. ჩირხალის გაკეთება ჩვენ მიერ დამოწმებულია მთიულეთ-გუდამაყარში და ბორჯომისა და ციერის სეობებში. როგორც თვით სახელწოდება „ჩირხალი" გვიჩვენებს იგი სიტყვა ჩირის-ა და ხალისაგან უნდა იყოს ნაწარმოები, რაც მის პირდაპირ რაობას ასახავს—ჩირის-ხილი.

ჩირხალს ძველ ქართულ საქმელებში თავის დროზე სათანადო ადგილი უნდა სჭეროდა. რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა მომთაბარე მეურნეობის დროს. როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს ჩირხალი დღესაც საუკეთესო საკვებად ითვლება მომთაბარე მწყემსების კვების კომპლექსში, რომელშიც ურევენ ხორბლის, სიმინდისა და ქვრის ფქვილსაც. ჩირხლის სხვა ღადებით თვისებებთან ერთად, რომელიც კუჭ-ნაწლავის კარგი წამალია და ხი-

---

[36] П. Виноградов-Никитин, დასახ. შრომა, გვ. 28—29.

[36] ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, სახელგამი, 1927. გვ. 63.

ლის მაგივრობასაც სწევს, მგზავრობის ან დაძველებისას არ ფუჭდება და გამომცხვარ პურსაც სცვლის.

მსხლის ნაყოფის ფართო გამოყენებას ხალხის ცხოვრებაში გარკვეული ხნის ისტორია აქვს, რომლის წვენისაგანაც შემზადებული წამლები: ვაშლის, ბროწეულის, ისრიმის (დაუმწიფებელი ყურძნის წვენი), კოწახურისა და სხვა, ხილეულის წვენთან ერთად შერეული. უებარ წამლად ითვლებოდა გულის აჩქარებული მუშაობისა და წყურვილის მოკვლის შემთხვევაში[37].

განსაკუთრებით აღსანიშნავია მსხლის როგორც ხის ისე ნაყოფის მნიშვნელობა ხალხის რწმენა-წარმოდგენების თვალსაზრისით. როგორც „წმინდა ხე". მსხლის ხეს ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ტომები ჯოგის მფარველადაც მიიჩნევდნენ: „Сеосерес—большой любитель путешествий и ему подчиняются ветры и воды, его особенно почитают шапсуги и натухаджи. Его образ — молодое грушевое дерево, срубленное в лесу, которое несут отрубив ветки и оставив только суки к себе домой для того, чтобы поклонятся ему как божеству—покровителю стад"[38].

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხშირად ვხვდებით ისეთ „წმინდა ადგილებს", რომელიც მსხლის ხეებით არის ხოლმე გალამაზებული, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მის ძირებში „ნიშნები"-ც არის ნოწყობილი და თვით ხეზე ჯვარიც არის ხოლმე ამოკვეთილი (სოფ. ძანტიანი, თეთრი წყაროს რაიონი). აქვე უნდა აღინიშნოს ის გარეგნობა, რომ ხევსურეთში სახატო ადგილებში მდგარი პანტის ნაყოფის ჭამა სასტიკად არის აკრძალული.

განსაკუთრებული დანიშნულებით იყენებდნენ მსხლის ხის მასალას, რომელიც თავისი სისუფთავითა და მასთან ერთად სიმაგრითაც გამოირჩევა. ყოფაში დამოწმებულია ხით ხუროობის უამრავი ნიმუშები, რომელნიც მსხლის ხისაგან არის ნაკეთები. საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხის ფონდში დაცული კოლექციებიდან აღსანიშნავია მისგან დამზადებული საჩითავი ყალიბები (ქსოვილებისათვის) საქსოვი დაზგებისა და ხელსაწყოების ნაწილები. ღვინისა და წყლის სასმისები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა. რომელთა სრულად ჩამოთვლა შორს წაგიყვანდა.

---

37 ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. დასახ. შრომა, გვ.241

38 ф. Дюбуа де Монперэ, Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937, ст. 55.

მსხალი, როგორც საუცხოო ხილი, ძველ საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომელიც სიტყვაკაზმულ ლიტერატურაშიც გვხვდება:

„სხალი იკადრებს ქებასა, ვერ ხარ ხაქები ენისა,
ჩემებრივ ქვეყანაზედა ხილი ვერავინ ეძებენისა,
უტეტრფესი ვარ ყოველთა, ნაქები ბრძენთა ბრძენისა,
საყუარელი ვარ საჰმელად, მერმე მეურნალი სენისა"[39].

ახალი მონაცემებით აღმ. საქართველოში მსხლის შემდეგი ჯიშებია დამოწმებული: ბორბალა, გულაბი, თბილისური, ხეკეკური, შავი მსხალი, გოხა მსხალი, გორშამა, კალოს მსხალი, ნესვა, რევაზიანთ მსხალი, სუნიანი მსხალი, ადრეული ,ავკალური, ადრეული დიღმური, მილახური ,ადრეული, სანთელა, პანტა მსხალი, მსხალ პანტა, გვერდწითელა დიღმური, ლიმონა, ორთაკალური, გრძელი მსხალი, ბებიას მსხალი, თავრიზული, კახური გულაბი, ლაგოდეხური გულაბი, თაფლა მსხალი, კახური გოხა და სხვა.

კომში. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ხილია. ველური სახით გვხვდება ჭალებსა და ვაკის ტყეებში, რომელიც 1200 მ სიმაღლემდე ხარობს[10]. კომშს უყვარს ცხელი ქვეყნები მისი პირველი დაწინაურების ქვეყანად პ. ჟუკოვსკი საქართველოს მიიჩნევს, საიდანაც სხვა ქვეყნებში იქნა გატანილი[41]. იგი უძველესი კულტურაა; ჯერ კიდეც ბერძნები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ ხეხილს და მისი ნაყოფი მიჰქონდათ ძღვნად შესაწირავად ვენერასთან[42].

აღმ. საქართველოში კომშს ორი სახელწოდებით იხსენიებენ, ტყეში ველურად მდგარს, ბიას უწოდებენ, ხოლო მოშინაურებულს —ბაღურს. ჩვენ მიერ დამოწმებულია კომშის შემდეგი ჯიშები: ნაბადა, მალაჩინა, ქართული, ვირკომშა, მახჩობელა. ზაფხულის, ვაშლაკომშა, მურაბის კომში, ღობის კომში და სხვა.

აკად. ნ. კეცხოველი საქართველოში გავრცელებულ კომშის ჯიშებს ორ მთავარ ჯგუფად, კახურად და ქართლურად ყოფს: კახური—შილდური, ახალსოფლური, ლაგოდეხური, კელის თავა, სანავარდო კავშირული, ყვარული, ფორე, ქართლური—მეჯვრისხეური

---

[39] ანთოლოგია, ტ. II, გვ. 65, ტაეპი 18.
[40] ნ. კეცხოველი, კულტ. მც. ზონები საქართველოში. თბილისი, 1957, გვ. 319.
[41] П. Жуковский, Происхождение культурных растений, Москва, 1960, გვ. 18.
[42] ვ. ბიბილაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 94.

მჟავე, ტინიხიდური ტკბილი, ქართული, ჩადუხელის კომბი, მალაჩი-ხი, ‘ძილდური ‘ჟავე, ‘ბსლისებრი და სხვა[43].

მთხრობელთა გადმოცემით, კომში იზრდება როგორც ბუჩქად, ისე დიდრონ ხედ, რომელსაც ლეღვის მსგავსად განსაკუთრებით უყვარს ნაცრით გაპატივება.

კომშს ნაყოფთა თვისებების მიხედვით, ყოფაში ძირითადად არჩევენ სამი სახისას: მჟავე, მალა და ტკბილი. მჟავე კომშს განსაკუთრებით იყენებენ სამკურნალო დანიშნულებით, რომელიც მთხრობელთა თქმით „შემწვარი უებარი წამალია ხველებისა და ყელის ტკივილების დროს“. მალა კომშებს, რომელნიც მოტკბომომჟავო გემოვნებით ხასიათდება იყენებენ სამურაბედ და საჩირედ, რომელსაც ჩაისათვის ამზადებდნენ, ხოლო ტკბილ კომშებს, ძირითადად, ნედლად სახმარად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, რომელიც დიდხანს არ ინახება.

ზემოთ ჩამოთვლილი კომშის ჯიშებიდან ყოფაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ‘ქართულ კომშს. მთხრობელთა დახმარებით მისი აღწერილობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება—იგი ყველაზე ფერიანია „ღაჟღაჟა“—ცალი ლოყა უწითლდება, ღია ყვითელი ფერისაა, საშუალოზე მეტი სიმსხოსი, ‘ურნელოვანი და ყველაზე გამძლეს. მოკრეფის პროცესში მას მომწვანო ფერი დაჰკრავს, ‘ბაგარია და ‘ჟავე, ხოლო ზამთარში ღია ყვითელი ფერისა ხდება, გემო უწმინდავდება და წყლიანობას ისარჩუნებს. მოყვანილობით ‘რგვალია, კუნწის ადგილი უმეტესად ოდნავ ჩაბრუნებული აქვს, ხოლო თვით კუნწი იცის „ბოკოტა“—დაკოჟრილი. განსაკუთრებით კარგად ძლებს გვიან მოკრეფილი — რთვილნაკამი და დაკიდულიაჯანგული წესით შენახული. დაკიდული წესით კომშისა და საერთოდ ხილის შენახვა ძველთაგანვე ცნობილი იყო გამოცდილ ‘ებაღეთათვის, რომელსაც იტალიის ძველი მოსახლეობაც იყენებდა[44].

მთხრობელთა გადმოცემით გვიან გაზაფხულამდე შენახულ კომშს „შირიმი“ უჩნდება ე. ი. შავდება, მაგრდება და წვენი უშრება (შირიმი საბას განმარტებით ბუშტისა და თირკმელის ქვას ნიშნავს).

გარეული კომშებიდან აღსანიშნავია „ვირკომშა“, რომელიც, მთხრობელთა გადმოცემით, შედარებით წვრილი და დაღარულია. ‘ვირკომშა დღესაც ფართოდ გვხვდება ძველ ნამოსახლარებთან, რომელსაც მოსახლეობა ძირითადად ხილის, სულადისა და ‘ჟაჟის არა-

---

[43] ნ. კეცხოველი, დასახ. შრომა, გვ. 320.

[44] М. Е. Сергеенко, დასახ. შრომა, გვ. 121.

ყის გამოხდისას იყენებს. ვირკომშას საარაყეში გარეკით, როგორც ბთხრობელები გადმოგვცემენ, არაყი სურნელოვანი და გემოწმინდა ამოდის. გარდა თვით კომშის ნაყოფისა, მის ფოთოლსაც არანაკლები მნიშვნელობით იყენებენ: წნილების გაკეთებისას, სამზარეულოში, რომელშიაც ახვევენ ხორცს, ხოლო კახეთში მისი დახმარებით ღვინის დაყენებასაც მიმართავდნენ. კომშის ფოთოლი—აღნიშნავს ბთხრობელი წიკლაშვილი ალექსი მიხეილის ძე (95 წ. სოფ. ყარალაჯი სიღნაღის რ-ნი. 1959 წ.) ღვინოს აძლევს კარგ შეფერილობასა და სურნელებას, რის გამოც ქვევრების გარეცხვისას კარგია თუ საბოლოოდ ერთ პირს კომშის ფოთლების კონით ამოვავლებო.

კომშის ხმელი ფოთლის ნახარში, რომელსაც ყოფაში ჩაის მაგივრად იყენებდნენ განსაკუთრებით სასარგებლოა კუჭის აშლილობისას. თვით კომშის გულისაგან მიღებულ „ლორწოს“ ხალხურ მედიცინაში ხმარობენ თვალის მკურნალობისას, რომელსაც გარედან ადებენ ხოლმე. იმავე წებოს იყენებენ თმის ცვენის პროცესის შესაჩერებლადაც. მისი გულის ანუ კურკისაგან აკეთებენ ხველების წამალსაც, რომელშიც სხვადასხვა მინარევებთან ერთად ნუშის ზეთსაც ურევდნენ[46].

აღმ. საქართველოს სინამდვილეში კომში ფართოდ გამოიყენება წითელი ლობიოს „შესაკაზმავად“—შესანელებლად, ხოლო ახლად გამოფოთქილი კოკორის ფოთლებს ბავშვები განსაკუთრებით წვიმიანი ამინდის შემდეგ კარგად შეექცევიან ხოლმე.

ძველ საქართველოში კომშის სხვა ღირსებებთან ერთად მასზე განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო, როგორც ერთ-ერთ სურნელოვან ხილთაგანზე. კომშის კარგი სურნელების გამო ქართველი დიასახლისი მას იყენებდა ქადის გამოცხობისას. ამ მიზნით ის წინასწარ საქადე ფქვილში კომშს ჩაფლავდა და გამოცხობილი ქადა საამო სურნელებას ღებულობდა (მესხეთ-ჯავახეთი). იგი იყო ქართული სუფრის სურნელება, მშვენება და საუმეტესად „მახაროში“ ჩომქაო, რომელსაც ყელის „ჩასაწმენდად“ ხმარობდნენ. თეიმურაზ II თავის ხილთა ბაასში კომშს ასე ათქმევინებს:

„მოისმინეთ, თე რას ვიტყვი ჩემს ქებასა:
ხესა თეთრად ავაყვავებ. ბამბას მოვართმევ ღიდასა.
რო გავყვითლდები. სუნი მაქვს, მე მუშ-აბარი შბერავსა,
სანუკვარი ვარ სუფრის, ყოველი მსმელი მხედავსა“[46].

---

[45] ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, დასახ. შრომა, გვ. 149, 252.

[46] თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1939, გვ. 111, ტაეპი 24.

ლ ე ღ ვ ი საქართველოში ფართოდ გავრცელებული მცენარეა. იგი განსაკუთრებით ფართოდ გვხვდება აღმ. საქართველოს სანახებში. ლეღვს უყვარს თბილი ქვეყნები, რის გამოც მისი წარმოშობის კერებად შუა და მცირე აზიას მიიჩნევენ. აკად. ნ. კეცხოველის აზრით „საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი ლეღვის ჯიში თავის სათავეს უეჭველად ჩვენში გაველურებული ჯიშებისაგან იღებს"[47].

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა—სპეციალისტების მიერ დამტკიცებულია, რომ ლეღვის კულტურა საბერძნეთში ქვისა და ბრინჯაოს ხანაშიაც და 1400 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდეც ყოფილა. ხოლო პლინიუსის დროს მისი ჯიშთა სიმრავლე 97-მდეც აღწევდა[48].

საქართველოს ტერიტორიაზე ლეღვის კულტურა უძველესი ეროიდანვე უნდა ყოფილიყო, რომელსაც ხალხი უამრავი დანიშნულებისამებრ იყენებდა. ძველი საქართველოს ტერიტორიაზე, რომ ლეღვის კულტურა ფრიად გავრცელებული ხილი იყო კარგად ჩანს სტრაბონის ცნობითაც. რომელსაც ჰომეროსის სიტყვებით პონტოსა და ეგვიპტის აღწერისას აღნიშნული აქვს „ის ნთქამდა ზღვის მარილიან წყალს, მე კი ავედი მაღლა დიდ ლეღვის ხეზე და მივეწებეშას როგორც ღამურა"-ო.[49] ლეღვის ფართო გამოყენებაზე მეტყველებს სხვა ისტორიული ცნობებიც, მათ შორის ხელმწიფის კარის კარიგებაში ნათქვამია: „გარეჯის უდაბნოს მეფისათვის სანახავი ძღვენის მირთმევა წესად იყო. სადაც უეჭველად უნდა ყოფილიყო ლეღვი კეოტსა ზედა დაცმული, ჩურჩხელა, ნუში, თუთიბო, ბროწეული"[50].

იოანე ბატონიშვილის ცნობით „ქვეყანა ესე მოსავლიანი... როცელ მრავლობით მოდის ყურძენი, ლეღვი, ბროწეული..."[51], ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი ხილის ჩამოთვლისას ლეღვსაც იხსენიებს. სამკურნალო წიგნში—ხშირად არის ნახსენები, როგორც ლეღვის ნაყოფის, ისევე ქერქის გამოყენება ძველ ხალხურ მედიცინაში[52].

---

[47] 5. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი. დასახ. შრომა, გვ. 309.

[48] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ხელნაწ. ფონდი, გვ. 69.

[49] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 69.

[50] ხელმწიფის კარის გარიგება, ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1920 გვ. 15.

[51] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. კალმასობა, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 218.

[52] ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი-ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 211, 215, 245.

ძველად საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ღელვის ადრეულ ჯიშს „ლელვმსთუალი“ ეწოდებოდა. ფიქრობენ, რომ ადრეულ ლელვად წვრილი ზამთრის ლელვი უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რომელსაც ქებათა-ქებათასში პაგგიმი ეწოდებოდა, რომელიც ზაფხულში დამწიფებას ვერ ასწრებდა და შეორე გაზაფხულზე ადრე მწიფდებოდა[53].

გვიანი შემოდგომით გამოტანილი ლელვის ნაყოფი, რომელიც დამწიფებას ვერ ასწრებს და გაზაფხულის პერიოდში მწიფდება კახეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „გუდალელვის“ სახელწოდებით არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში თუთის განმარტებისას „ლელვსულელი“ აქვს აღნიშნული, რომ ეს არის ყოლა-ო[54], მაგრამ ტერმინი ლელვსულელი რადგანაც დღევანდელმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ სრულყოფილად ვერ შემოგვინახა, ამისათვის საფიქრებელია, რომ ის ყოლას ერთ-ერთი სახეობათაგანი უნდა იყოს და არა უდროოდ დამწიფებული ლელვის ნაყოფი, რომელსაც ზოგიერთი მთხრობელი მიაწერს.

ლელვის ზოგიერთი ჯიში, მთხრობელთა გადმოცემით, ნაყოცს ანუ, როგორც მას ხშირად კაკრასაც უწოდებენ ხოლმე, წელიწადში ოჯერ „იღებს“. პირველ კაკრას თიბათვე-მკათათვეში, სოლო მეორე კაკრას შემოდგომაზე ისხამს.

ლელვს მრავალგვარი დანიშნულებით იყენებენ. მისგან აკეთებენ მურაბას, ჯემს, ხდიან არაყს, ახმობენ ჩირს და სხვა. ლელვისაგან განსაკუთრებით ახმობენ ჩირს, რომელიც დიდი რაოდენობით მზადდება ხოლმე. ჩირი ხმება გაფცქვნილი სახით, რომელსაც ქერქს ფრჩხილებით აცლიან. იმ შემთხვევაში, თუ კარგად არ არის დამწიფებული, მაშინ კანს დანითაც აცლიან. რადგანაც მთხრობელთა სიტყვით რომ ვთქვათ „დუტკოს გვიჩენს ფრჩხილებში“-ო. დაფცქვნილ ლელვს „აასხამენ ჩხებზე და ნახურებელ“ თონეში ჩააკუდებენ. იმ შემთხვევაში თუ თონე ძალიან ცხელია, მაშინ მას ძირში თავისავე ფოთლებს მოუფენდნენ, რომელიც ამავე დროს შემთხვევით ჩავარდნილ ლელვს იცავდა სისუფთაობისა და დაწვისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლელვის ფოთლების ნახარშს კახეთში შალეულის ქსოვილების დასარეცხადაც ხმარობდნენ. ჩხების ჩაწყობის შემდეგ თონეზე ლასტს დაიფარებენ. რომელზედაც აგრეთვე ჩირია ხოლმე გაფენილი. მთხრობელთა დაკვირვებით ჩირი მზეზე

---

[53] ივ. ჯავახიშვილი. ხელნაწერთა ფონდი, გვ. 68.
[54] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, გვ. 185.

გამხმარი ჯობია, რადგანაც ნება-ნება შრება, მაგრამ იმის გამო, რომ შემოდგომის მზეზე ის ძალიან გვიან ხმება, ამისათვის თონეში გახმობის წესს მიმართავენ. თონიდან ჩირის ამოღების შემდეგ თითეზით გააბრტყელებენ და ლასტზე გაშლილს ორი-სამი დღის განმავლობაში მზეზე ამყოფებენ. ამის შემდეგ ე. ი. გამხმარ ჩირს წნელზე ან ძაფზე „აასხამენ“ და დაკიდული წესით შეინახავენ. აღსანიშნავია, რომ ჩირის დიდხანს შენახვისა და სიტკბოს შენარჩუნების მიზნით, კახეთში მას ყურძნის წვენის ნადუღში—ტკბილში ამოავლებდნენ ხოლმე. ლეღვის ჩირის კარგად შენახვის მიზნით თურქეთში, სადაც ლეღვის კულტურა საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი, სპეციალური ტომრებიც კი ჰქონიათ, რომელთაც ცხენის ძუისაგან ქსოვდნენ[55].

კარგად გამხმარი ჩირი პატარა კვერებს წააგავს, რის გამოც საბა ორბელიანს „ლეღვის კვერი“ ასხმული ჩირის აღმნიშვნელად მიაჩნდა, რითაც ირკვევა, რომ ლეღვის გახმობა ძველადვე ჩხებზე ხდებოდა.

ლეღვის ჩირი ფართოდ ყოფილა გამოყენებული ძველ საბერძნეთშიაც. „საჯარო სუფრასთან“, სადაც თხუთმეტი და მეტი კაცი იკრიბებოდა, თვითეულ მონაწილეს ყოველთვიურად მიიკონდა: მედიმნი ქერი, ფქვილად, რვა ტოლჩა ღვინო, 5 მნა ყველი, ხუთნაკევარი მნა ლეღვის ჩირი“ და სხვა[56].

1933 წლის ცნობებით, მსოფლიოში ლეღვის მოყვანის მხრივ 1—5 ადგილს იტალია, ესპანეთი, ალჟირი, პორტუგალია და თურქეთი იკავებდა, რომელთაც გამხმარი ჩირი სხვადასხვა ქვეყნებში გაჰყონდათ[57]. საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც აღნიშნეთ ოდითგანვე არსებობდა ლეღვის კულტურა, რის გამოც ჩვენს დრომდე მოაღწია მისმა უამრავმა სახეობებმა. რაფ. ერისათვს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ლეღვის შემდეგი ჯიშები: შავი ლეღვი, გაზაფხულის ლეღვი, თეთრი ლეღვი, შემოდგომის ლეღვი, ბუშტა ლეღვი და ტყის ლეღვი. აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩვენ მიერ ლეღვის შემდეგი ჯიშებია დამოწმებული: ყარფუზა, თეთრი, მწვანე, ბაკურციხული, კუმური, იმერული, ქალაქურა, კვირისტავა, ბროლა, წვნიანი ლეღვი, ძუძულეღვი, ღვინა ლეღვი, შა-

---

[55] П. М. Жуковский, Земледельческая Турция, Москва. 1933, стр. 653.

[56] ბ. ლეტარქე. თბილისი, 1957 გვ. 27 (ბერძნულიდან ნათარგმნი აკაკი ურიოშაძის მიერ).

[57] П. М. Жуковский, იხ. შრომა, გვ. 653.

ძალაკი, ბუერა ანუ ბურთა ლეღვი, შავი ლეღვი, ტაბაკა ლეღვი, გუდა ლეღვი და სხვა.

ლეღვების ჯურთა სიჭრელეზე მეტყველებს ხალხურ მკურნალობაში გამოყენებული ლეღვის შემდეგი ჯიშები „ლეღვი თეთრი, ბეკელ(ი)ა ან ლეღუ(ი) შავი მსუქანი"[58].

ლეღვის ხეს უხდება ნაცრით გაპატივება, რომელიც ზამთარში სითბოს, ხოლო ზაფხულში სინოყივრეს იძლევა.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ლეღვის მოშენება-დანერგვის საშუალებით ძველადვე წარმოებდა, რაც კარგად ჩანს იგავთ 27-შიაც, სადაც აღნიშნულია „რომელმან დანერგოს ლეღვ, ჭამოს ნაყოფი მისი"-ო[59].

ძველ საქართველოში ლეღვს ხილთა შორის რომ განსაკუთრებული ადგილი სჭერია და ყოველთვის მეფისათვის მისართმევ ძღვენს ამშვენებდა, მხატვრულად კარგად აქვს გადმოცემული გარსევან ჩოლოყაშვილს:

ლეღვი იკადრებს: „ვაყოფილვარ მჯობი ყოველსა ხისაო,
წვრილად გიამბო მართალი, ამბავი სამოთხისაო,
ენკენის თუესა მოგართვა ხილი ყოველსა დღისაო,
ძღვენი ვყოფილვარ ნიადაგ ძეფთა დარბაზისაო"[60].

ატამი საქართველოში გარეული სახით არ არის ცნობილი და სპეციალისტების აზრით უცხო ქვეყნიდან უნდა იყოს შემოტანილი, მებაღე დარეჯანაშვილის ცნობით, იგი ასამდე სხვადასხვა ჯურისაა, რომელნიც ირჩევიან: ნაყოფით, ფერით, გემოვნებით, სიმსხოთი, სიმწიფის დროით, საპობია თუ სახრავი ფოთლებით, თვით მცენარის გარეგნული აგებულებით და სხვა. ატამს უყვარს ცხელი ქვეყნები და თითქმის ყველა ნიადაგზე გვარობს. რის გამოც ატამმა ჩვენში მეორე სამშობლო პოვა, უფრო მეტიც „საერთოდ, ქართული ატმის ჯიშები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშებად ითვლება"[61].

სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისაგან შესწავლილია, რომ „უხსოვარი დროიდან საქართველოში გადმონერგილი კულტურებიდან ცნობილი უნდა იქნეს ის კულტურები, რომელთა გარეული სახეობანი და მათი ფორმათა სიუხვე ჩვენში არ გეხვდება. მაგრამ რო-

---

[58] ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ა ი ტ ე ლ ი-ი ი ც ი შ ვ ი ლ ი. კარაბადინი. გვ. 173.

[59] ივ. ჯ ა ვ ა ხ შ ვ ი ლ ი. ხელნაწ. ფონდი, № 11. [illegible] 6რ.

[60] ანთოლოგია. გვ. 66, ტაეი 2?

[61] ბ. [illegible] ბ. [illegible] ბ. [illegible

მელთა გადმოტანის შემდეგ ჩვენში წარმოიშვა მრავალი კულტურული ადგილობრივი ჯიში, მათ შორის: ატამი, გარგარი და სხვა[62]. საქართველოსთვის და ნისი მეზობელი ქვეყნებისათვის ატმის კულტურა უძველესი დროიდანი ყოფილა შემოტანილი, რაც არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი კურკითაც მტკიცდება. „В западную Европу он проник в начале нашей эры в так называемое римское время. Наша находка показывает, что распостранение культуры персика в передней Азии и, в частности, в Азербайджане приурочено к значительно более раннему периоду, чем в Западной Европе“[63].

აგრონომ ვ. ბიბილაშვილის ცნობით, სანამ უცხოურ ჯიშებს შემოიტანდნენ ჩვენში არსებობდა მისი მრავალგვარი ჯიში, მაგრამ ადრეულა „ატმები ცოტა იყო. მაგალითად, სიმწიფის ვადის მიხედვით კასპის სანერგეში, რომელიც ს. ხეთაგურს ეკუთვნოდა შემდეგი სახელწოდებების ატმები იყო: საივნისო-საივლისო, საივლისო-სააგვისტო, სააგვისტო-სასექტემბრო, სასექტემბრო-საოქტომბრო და ა. შ. მარტო ქართლიდან—ხიდისთავიდან 1915 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში ჩამოტანილია ატმის შემდეგი ჯიშები: წითელი გვიანი, მოლოზანის, ბერების ატამი, ლიმონის ატამი, ატენური გიანტი, წითელი საოქტომბრო, საპობი და ხიდისთაური, ხოლო დას. საქართველოდან: ადგილობრივი, წითელი ატამი, თეთრი ატამი და სამარიობო ატამი.[64] დღეისათვის სპეციალისტების აზრით 40-მდე ადგილობრივი ჯიშია. ხალხურ მეხილეობაში ჩვენ მიერ აღმ. საქართველოში დამოწმებულია: ქართული სახლეჩი ანუ საპობი, ქართული სახრავი, ყვითელი ატამი, შემოდგომის ატამი, სამარიობო, თიბათვის, ვაშლ-ატამა ანუ „ეშმაკი ატამი“ და ზოგგან „მაიმუნის ატამი“, ხიდისთაური, ბესტავაშვილი, წედისური, სიღნაღური ატამი, ხირსული ატამი, შადინოვი და სხვა. აღსანიშნავია, რომ კახეთში ერთ დროს თითქმის გავრცელებული ყოფილა არაბული ატამიც[65], რომელიც, ჩვენი აზრით, იგივე ვაშლ-ატამა უნდა იყოს.

---

[62] ნ. ხომიზურაშვილი, ე. ერისთავი. საქართველოს ხილი, თბილისი. 1939, შესავალი.

[63] Гумель Я. И., К проблеме археоботаники Закавказья, Сообщ. АН Груз. ССР, т. 1-2, Тбилиси, 1941, стр. 750.

[64] Труды Бот. сада, Тбилиси, 1915, XIV, стр. 94.

[65] ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნ. განყ. დაცული შინაარსეწვ. მასალები. გვ. 956—959.

ატამი პროდუქტიული კულტურაა, რისგანაც ყოფაში ამზადებენ: მურაბას, ყელეს, ხდიან არაყს, სასმელებს, დებენ წნილად. ახმობენ ჩირად; მის ტკბილ კურკას იყენებენ ჩურჩხელის გასაკეთებლად და ნედლად საჭმელად, ხოლო მწარეს ღორების საკვებად და სხვა. აღსანიშნავია, რომ აკვანში ჩაწოლილი ბავშვის გასართობად სხვა სათამაშოებთან ერთად ძველად მიღებული ყოფილა ატმის კურკის „ჩანჩხურა"... „ზედ უბია ჩანჩხურაი, იავ-ნანინაო"[66]. ატმის ფოთლის ნახშირში, როგორც მთხრ. გადმოგვცემს, კარგია საქონლის განსაკურნავად თურქულით დაავადების დროს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ატმის ჩირისაგან გორგომიჭელას ბაკეთება, რომელიც წინა თავში გვქონდა აღწერილი. წვრილი საბრავი ატამის ჩირად გაკეთებისას გაფცქვნიან, დასერავენ და მზეზე გაახმობენ, ხოლო დათლილსა და გამშრალს წნელზე ან კანაფზე ასხმის მერე თონეში ჩაპკიდებენ. მწიფე ატმისაგან აზავებენ ღვინოს, რომელსაც სასიამოვნო სასმელად ხდის და ა. შ.

ატამს ამრავლებენ თესლით—კურკით, რომელსაც შემდეგში ამყნიან, თუმცა მთხრობელთა გადმოცემით, ბევრგან კურკაზე ამოსული ჯობს, განსაკუთრებით კი ცივ ადგილებში, რადგანაც გადარჩენულ ნამყენთან შედარებით ეს ღრმად იდგამს ფესვებს და კარგად იტანს სიცივესაო.

ატამი აყვავების ღროს სასარგებლოა ფუტკრისა და ადამიანისათვის, რომელსაც საამო სურნელება აქვს, თუმცა ძველად ზოგიერთი ავადმყოფობის გადამდებადაც თვლიდნენ. გარს. ჩოლოყაშვილი წერს:

„ატამმა უთხრა: „ვიკადრო საქმე ჩემისა თავისა,
უტრფესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავისა,
შეყრა უხარის ყოველთა ტურფისა სანახავისა.
მე და ნესვი ვართ ნიადაგ ამშლელი სენის თავისა"[67].

ატმის ირგვლივ, რომელიც საუკეთესო გემოვნების ხილად ითვლება, სხვა მრავალი საინტერესო ხალხური ლექსები და გადმოცემებიც გვხვდება, რომლებზედაც ჩვენ აღარ შევჩერდებით.

ჭ ე რ ა მ ი და გ ა რ გ ა რ ი გარეული სახით საქართველოს ტერიტორიაზე არ გვხვდება. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, მისი სამშობლო შუა აზია უნდა იყოს, საიდანაც გადავიდა სპარსეთს,

---

[66] ვ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I. თბილისი. 1937. გვ. 202.

[67] ანთოლოგია, გვ. 65.

სომხეთს და ამ გზით ჩვენამდე მოაღწია. ვ. ბიბილაშვილის მტკიცებით, იგი აღნიშნული გზით გავრცელდა იტალიაში, სადაც მას „სომხის ვაშლს" უწოდებენ, ხოლო აქედან—საფრანგეთში.[68] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კუთხეებში ჭერამი ნაირი სახელწოდებებით არის წარმოდგენილი: ქიზიყში და თუშეთში—ჭერემი; მესხეთ-ჯავახეთში—წირანი; ინგილოებში—ერიგ და სხვა"[69].

ჭერამსა და გარგარს უყვარს თბილი ხირხატ-კირიანი ადგილები, ნესტიანსა და გაპატივებულ ნიადაგში ის კარგად ვერ გვარობს. საქართველოში დიდი ხნის შემოტანილი კულტურაა და დღეისათვის გავრცელებულია მრავალნაირი ჯიში, რომელთაგან აღსანიშნავია: აღჯანაბადი, ყვითელი ჭერამი, ლოყაწითელა და ატამა, ხოლო ურიდონოვების კატალოგში მოხსენებულია: აღჯანაბადი, თეთრი შაქრის ყინული, თეთრი სამეფო, ბრედა, დიდი ყვითელი ჭერამი, ლოყა წითელა, რობერტის მოგონება, ატმისებური, შირაზული, საბეფო საგვინო, ოვერნინ დიდება და ანანასური[70].

ჩვენს ქვეყანაში მის დიდიხნის ისტორიაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ხილთა ჩამოთვლისას ძველ საქართველოს ხილეულში ჭერმისა და ყაისის რამდენიმე ჯიშს გულისხმობენ. მაგ. „ყაისი, ჭერამი"[71]; „ჭერამნი და ყაისნი"[72] და ა. შ.

ჭერამი ძირითადად წვრილი და მწარე კურკიანია, ხოლო გარგარი მსხვილი, სუფთა და ტკბილკურკიანი. მისგან ამზადებენ: მუღაბას, ჯემს, ხდიან არაყს, ახმობენ ჩირად, ხოლო მის ტკბილ გულს ციგვზის მაგივრად ხმარობენ ჩურჩხელისათვის; მწარე კურკას ღორების საკვებად იყენებენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ზეთსაც ადიდნენ[73].

ჭერამისაგან ახმობენ როგორც გათლილსა და კურკაგამოცლილ ჩირს, ისე კურკიანსაც, როგორც ატმის ჩირის დამზადების დროს იქცევიან ხოლმე. ჭერმის ტკბილ კურკას, რაც მეტად იშვიათია, ინახავენ და ზამთარში შეექცევიან ხოლმე. მთხრობელთა გადმოცემით ტკბილი კურკა ახასიათებს ყაისს, რომელიც მოთეთრო ფერისაა და ადვილად იხლიჩება.

---

[68] ვ. ბიბილაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 111.

[69] ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961; გვ. 95.

[70] ძმ. ფრიდონოვების დასახ. შრომა, გვ. 41 — 42.

[71] ვახ. ბატონიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 29.

[72] იოანე ბატონიშვილი, დასახ. შრომა, 218.

[73] კ. კეკელიძის. სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდი, № 19.

როგორც ირკვევა, საქართველოს პირობებისათვის ძველად დაახასიათებელი ყოფილა ჭერმის ერთ-ერთი სახეობა „დარანდო," რომელიც საბა ორბელიანის განმარტებით კურკატბილი (ხე) არისო[73]. მთხრობელთა გადმოცემით ჭერმის კურკათაფლთან ერთად აზელილი, უებარი წამალია მუცლის ჭიის მოსაცილებლად ისევე, როგორც მოხალული გოგრის თესლიო. ჭერმის გული რომ მარილაც სხვა დაავადებათა სამკურნალო დანიშნულებისათვისაც გამოიყენებოდა კარგად ჩანს ვინოგრადოვ-ნიკიტანის ცნობიდანაც, რომელიც აღნიშნავს მის სამკურნალო თვისებებს გულის ავადმყოფობასთან დაკავშირებით[74].

ისევე როგორც სხვა ხილეულის ჩირი, ჭერმისა და გარგარის ჩირზეც დიდი მოთხოვნილება ყოფილა ძველ საქართველოში. სხვებთან შედარებით ჭერმის, გარგარისა და ყაისის ჩირი განსაკუთრებულ სიტკბოს შემცველია, რის გამოც ფართოდ იყენებდნენ საქარავნო მიმოსვლისას და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი „ფინიკის" ნაყოფის შემცვლელად ითვლებოდა[75].

ჭერამისა და გარგარის ხე მაგარია, თუმცა გახმობისას დასკდომა და გამრუდება იცის, რის გამოც კახეთის სინამდვილეში მას „მერქნებად" (სარებად და მარგილებად) ხმარობენ.

კურკაზე ამოსული ჭერამი გვხვდება სხვადასხვა სახისა, როგორც გემოვნებით, ისე შეფერილობითა და მოყვანილობით, რომელთა უმეტესი ნაწილი კარგად დამწიფებამდე უგემურია, რაც არ ითქმის, მაგალითად, გარგარისა და ყაისის უმრავლესობაზე. თეიმურაზ II-ს თავის ხილთა ბაასში ჭერამი კარგ ხილად აქვს დახასიათებული:

„ჭერამი იტყვის. თქვენ ჩემსა ვერ იტყვით ვერას ძვირსაო.
ჩემი ხე თეთრად აყვავდეს, მსმელნი სხდეს მისსა ძირსაო.
როდესაც თვალი შეერთვის, მოინდომებენ ჭირსაო,
კაცი მჭამს — ჭირსა შეიცრის, მერმე მაგონებს ფირსაო" [76].

ნ უ შ ი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი ხილთაგანია, რომლის მრავალგვარი ჯიშები ყოფაში დღესაც ფართოდ არის წარმოდგენილი.

---

[74] П. Виноградов-Никитин, დასახ. შრომა, გვ. 30.

[75] П. М. Жуковский, Земледельческая Турция, გვ. 668.

[76] ანთოლოგია, გვ. 111, ტაეპი 17.

საქართველოში ველურად იზრდება ქართული ნაგალა ნუში, რომელიც გვხვდება ველის ბუჩქნარებისა და ჯაგ-ეკლიანების ფორმაციებში[77]. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ხილის ნარჩენები—კერძოდ ნუშის, ატმის კურკისა... და სხვათა,[78], მოწმობენ აღნიშნული კულტურების სიძველეზე. ხოლო შემდგომი ისტორიული ცნობები მის ფართო გავრცელებაზე. ზემოთ აღნიშნული წყაროებიდან აღსანიშნავია: „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომლის მიხედვითაც გარეჯულ ძღვენში, სხვა ხილთან ერთად აუცილებელს წარმოადგენდა ნუშის ჩირთმევაც[79]; იოანე და ვახუშტი ბატონიშვილების ცნობები ნუშის ფართო გავრცელებაზე მიგვითითებს საქართველოში; ფრანგი ორიენტალისტი კლაპროტი 1807—8 წლებში წერს, რომ: „თბილისის ახლომახლო ბლომად არის ნუშის ხე, მაგრამ რაკი მკვახე ნუში არ იჭმევა, ამიტომ სპარსულ ნუშს ამჯობინებენ“-ო[80]. მსოფლიოში მისი მწარმოებელია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები: თურქეთი, ირანი[81].

ნუშს უყვარს ცხელი ქვეყნები და კარგად გვარობს ხრიოკ ადგილებში. მისი პირველი მტერია ნაადრევ გაზაფხულზე ყვავილობის დროს ნაგვიანევი ყინვები, თუმცა მისი ზოგიერთი ჯიში გვიან ყვავილობს და ამიტომ ყინვებს სცდება.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნუშის კულტურა განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული კახეთისა და თბილისის სანახებში. მისი ფართოდ გამრავლება ბუნებრივ პირობებთან ერთად განაპირობა ნუშის მაღალმა პროდუქტიულობამ, რომლისგანაც ამზადებენ: ზეთს, გოზინაყს, ხმარობენ ფლავში, ჩურჩხელაში, ჭაშენ დახალულს, საწებელაში ნიორთან ერთად. იყენებენ კოსმეტიკაჟილობს და ამიტომ ყინვებს ცდება.

ნუშის, როგორც საკვები, ისე სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებას დიდი ხნის წარსული აქვს. იგი მარტო ძველ ხალხურ მედიცინაში უამრავი წამლების შემზადების პროდუქტად იყო გამოყენებული. ამ მხრივ აღსანიშნავია „მწარე ნუშის გომიზი“-ს. ჩვეულებრივი „მწარე ნუშის“, „ნუშის ზეთის“, „ტკბილი ნუშისა“ და

---

[77] ნ. კეცხოველი, დასახ. შრომა, გვ. 312

[78] Я. И. Гумель დასახ. შრომა. გვ. 750.

[79] ხელმწიფის კარის გარიგება. პროფ. ექეთ. თაყაიშვილის გამოცემით, თბილისი, 1920, გვ. 15.

[80] მ. პოლიევქტოვი. გ. ნათაძე, ძველი თბილისი. 1929, გვ. 29.

[81] ბ. ივანოვი, პ. კაპარაკა, გ. კვაჭაძე, ალ. კობერიძე, ვ. ქანთარია. ვ. ჭიპაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 348.

ხვათა გამოყენება ჯერ კიდევ XV საუკუნეში, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა[82].

ახალი ეთნოგრაფიული მასალებით თუ ვიმსჯელებთ ნუშის ფქვილი—ქატო გამოიყენება სახის კანისათვის, ავადმყოფი ან დასუსტებული ადამიანისათვის, ხოლო ხველების დროს იხმარება მისგან შემზადებული რძე. მთხრ. ანიკო ალექსის ასული ჯანიკაშვილის (68 წ. გურჯანის რ-ნის სოფ. ბაკურციხე) გადმოცემით, მწარე ნუშს ახმობენ. დაარჩევენ, ჩაყრიან წყალში და როდესაც წყალი გათეთრდება კუჭში ამლილ ავადმყოფს ფაალევინებენ. მისივე გადმოცემით, აღნიშნულ წვენს „სიცხის დასაწევად და კუჭის გასაგრილებლადაც ხმარობენ. თუ ნუში არ ფეექნება მაშინ სუფთად დარჩეულ ხორბალს ქილაში ცოტა წყალს შეშოუყენებთ და ერთი კვირის შემდეგ დამბალ ხორბალს გამოვხდით ხელით და გამოხდილ წყალს ცალკე შევინახავთ, რომელიც შემდეგ დაილექავს თეთრად და გადაწურვის შემდეგ ყველის კვერივით გახდება“. ამ დანალექს — ხმარობენ, როგორც წამლად, ისე სახამებლადაც.

ნუშის დაუმწიფებელ ნაყოფს ე. ი. „ჟეინტლი“ გულის დროს, რომელსაც ქართლში „წაკულაკ“-ს უწოდებენ, ბავშვების საჭმელადაც იყენებენ.

აღმ. საქართველოში ნუშის ჯიშებიდან ჩვენ მიერ დამოწმებულია: ქაღალბადამი—თხელკანა, გრძელი და ბრტყელი, ქაღალბადამი წვრილი, მაგარკანა, მწარე ნუში, ვირნუშა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ა. მაყაშვილს თავის ბოტანიკურ ლექსიკონში შეტანილი აქვს ქართული ნუშის ჯიში, რომელიც გარეკახეთში ატამას და ნუშ ატამას, ხოლო ქართლში თაგვის ნუშის სახელწოდებით არის ცნობილი[83]. ხოლო ძმ. ფრიდონოვების ხეხილის სანერგეების გასასყიდ ნარგავთა შორის მოხსენებულია ნუშის ჯიშები: „თავადის ქალი“ და „სუდაკური ტყუბები“.[84].

მის ფართო გამოყენება საკვებ-სამკურნალო დანიშნულებით ძველ საქართველოში მხატვრულ სიტყვა-თქმიდანაც ჩანს, სადაც ვარს. ჩოლოყაშვილი ნუშს ათქმევინებს·

---

[82] ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. სამკურნალო წიგნი ყარაბადინი. თბილისი, 1959. გვ. 100. 132. 134. 140. 150 და სხვა.

[83] ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი. გვ. 72.

[84] ძმ. ფრიდონოვების დასახ. კატალოგი. გვ. 46. 47.

„ეგ არ შეხსენებთ, ოქვენა ხართ თავთა მქონელი.
სახატრელი ვარ მეფეთა საჭმლისა შემამკობელი.
უტურფესი ვარ ყოველთა, ოქროი სახმარებელი.
მკურნალი ყოველის სენისა, ღვიძლისა გაგრილებელი“ [85].

ტ ყ ე მ ა ლ ი გარეული სახით აღმ. საქართველოს ჭალისა და ეაკის ტყეებში ფართოდ გვხვდება, იგი დიდი ხნის მოშინაურებული ბცენარეა, რომელიც დღესაც ჩამოაქვთ ტყიდან და საკარმიდამო ნაკვეთებზე რგავენ. მას ქიზიყში ეწოდება ტყიმალი, ინგილოებში ტყიმალ, ჭანურად ცომური; მეგრულად ცომური, ომური; სვანურად ბაწრყვენ, ბაწრყენ და სხვ [86].

ხელმწიფის კარის გარიგებაში აღნიშნულია: „სიგელი ვისაცა ებოძოს მეჯამეთ-უხუცესისა ხელისა არის ნიგოზი ზეთი, საწებელი, ბუზატერი, წველა, მეკირე, ხმელი თევზი, მუხუდო, ტყემალი და სხვა“ [87]. ტყემლის ხეს საქართველოში ძირითადად ბაღ-ვენახებისა და კარმიდამოს ღობის ძირებში აშენებენ, რადგანაც ის კარგად იტანს ყოველგვარ ნიადაგსა და დაუმუშავებლადაც კარგად ცოცხლობს.

გარეული ტყემლის ხეს ფართოდ იყენებენ ნამყენის საძირედ, რომელზედაც განსაკუთრებით ამყნიან ქლიავის კულტურულ ჯიშებს, კარგ ტყემლებს—მათ შორის ალუჩას და ატამსაც კი. იგი საქართველოს ენდემურ მცენარედ ითვლება. [88] ; ტყემალი და ალუჩა ქართველი ხალხის ყოფაში ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი; ვახუშტი ბატონიშვილს ისინი ცალ-ცალკე აქვს მოხსენებული. საბა ორბელიანს შინაური ტყემლის ქართულ შესატყვისად „შუშტყემალი“ აქვს ნახმარი, ხოლო ალუჩას სპარსული უხმობენო.

ქართველი ხალხისათვის ტყემალი განსაკუთრებულად საყვარელი ხილია და მისი ფართო გამოყენება სხვადასხვა საჭმელებში და ხალხურ მკურნალობაში უდაოდ მის დიდ წარსულზე მეტყველებს.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არჩევენ ტყემლის ორ სახეობას: ყვითელი და წითელი, რომელნიც თავის მხრივ იყოფიან თავისი მოყვანილობით და სიმწიფის ვადებით. აღმ. საქართველოს სინამდვილეში დამოწმებულია: ჭანჭურა ტყემალი, ალუჩა ტყემალი, სამურაბე ტყემალი, ყვითელი ტყემალი, თეთრი ტყემალი და სხვა.

ტყემლის ფართოდ გამოყენება ყოფაში მისი სიმჟავიანობით აიხსნება. ტყემლისაგან ამზადებდნენ: „ტყემლის შეჭამანდს“

---

[85] ანთოლოგია, გვ. 65, ტაეპი 15.

[86] ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ლექსიკონი, გვ. 66.

[87] ხელმწიფის კარის გარიგება, ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბილისი. 1920, გვ. 5.

[88] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 321.

ტყლაპს, ტყემლის „წუას“, სხვადასხვა საწებელებს, მურაბას, კერკს, ხოლო კურკას ინახავენ და ზამთარში მის გულსაც შეექცევიან. აღსანიშნავია, რომ ტყემლის ნაყოფით ან მისგან შემზადებული ტყლაპის საშუალებით მთიულეთისა და ვერის ხეობის მოსახლეობა ყველის ამოსაღებ ე. წ. „დვრიტა“-საც ამზადებს. ხილეულისაგან შემზადებული საკმელებით განსაკუთრებით სარგებლობდნენ ე. წ. მარტვის პერიოდში, როდესაც ხორცის ჭამა წესის დარღვევად იყო მიჩნეული. ტყემლისაგან წვნიანი საკმელების დამზადება დღევანდლამდე ტრადიციულად მომდინარეობს, რომელიც ძველადაც სუფრის დამამშვენებელი იყო. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“-ში ვკითხულობთ: „საკმელნი: შინდის ჩურჩა ანუ ტყემალთა წვნიანი“-ო[89]. ტყემლის შეჭამანდს აკეთებენ, როგორც ტყლაპისა და კერკის, ისე მოდუღებული ტყემლის საწებლის—ქართლში წუად წოდებულისაგან, რომელიც სხვადასხვა მწვანილეულობითაა შეკაზმული. „ჩათუთქული“—მოხარშული ტყემლის გახეხვის შემდგომ დარჩენილ სველ ნაწილობრივ ჩენჩოიან კურკას ჯიხურის—სასიმინდის წნულ კედელზე გააჩრავენ და ზამთარში ან გაზაფხულზე ამტვრევენ და ჭამენ. ჯერ კიდევ მწვანე-შემოუსვლელი ტყემლისაგან აკეთებენ მწვანილებით სახელდახელოდ შემზადებულ ე. წ. „ჭრიანტელს“.

ტყემლის ტყლაპს, რომელსაც აზერბაიჯანში „ლავაშს“ უწოდებენ, ქართულ ხალხურ მედიცინაში გარკვეული ადგილი უჭირავს. სოფ. ბაკურციხის მცხრ. სიკო მიხეილისძე ბეჟაშვილის (78 წ.) გადმოცემით, ტყემლის ტყლაპი განსაკუთრებით კარგია ყელის ტკივილისას, რომელსაც უცეცხლო თაფლს წავუსვამთ და ისე შემოვადებთო. მტკივნეული ადგილების მოსარჩენად ტყემლის ტყლაპის გამოყენების ზემოთ აღნიშნული წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიაც არის დამოწმებული და მათ შორის მთიულეთშიც[90].

აღსანიშნავია, რომ ტყემლის ხე მთიულეთში წმინდა ხედ არის მიჩნეული, რადგანაც მისი ნახშირი ფართოდ იყო გამოყენებული „წველა-დღვების საქმეში, რათა „ავი თოლი“ არ სცემოდა და ბარაქიანი ამოსავალი ქონებოდათ. „ავი თოლისა“ ,და „ავი ქარი“-საგან დასაცავად იგივე ტყემლის ჯოხს ბავშვის აღზრდის დროსაც იყენებ-

---

[89] იოანე ბატონიშვილი, დასახ. შრომა, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 225.

[90] აღ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960, გვ. 119.

ლნენ, როძელსაც აკვანზე შეაბამდნენ და „აკვნის დამასვილება“ ეწოდებოდა[91].

ქ ლ ი ა ვ ი საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ჯურისა გვხვდება, მათ შორის ბევრია როგორც გარეული ისე კულტურული ჯიშები. პ. ჟუკოვსკი კულტურულ ქლიავის სამშობლოდ კავკასიას მიიჩნევს. ძველ საქართველოში მის ჯურთა სიჭრელეზე მიუთითებს ვახუშტი, რომელიც აღნიშნავს: „ქლიავი მრავალგვარი“-ო[92].

როგორც ვ. ბიბილაშვილი აღნიშნავს „პირველად ქლიავს იხსენიებს თეოფრასტი 400 წ. წინათ ჩვ. წ. აღრიცხვამდე“[93].

აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ქლიავის შემადგენლობაში თვლიან სხვადასხვა ჯურის ჭანჭურებს, რომელთაც თავთავიანთი ცალკე სახელწოდებებიც გააჩნიათ: დამასხს, ოტურს, არიქელას, ღოღნოშოს, ალიბუხარსა და სხვა. თვით ქლიავის სახეობიდან აღსანიშნავია: ღორქლიავა, ყვითელი ქლიავი, თეთრი ქლიავი. შავქლიავა, შაბქლიავა, ჭანჭურა ქლიავი, მურაკა ქლიავი, კორკიძელა (საბას განმარტებით—ხე), ერევნის ქლიავი, ლენკოტი და სხვა, ხოლო საინგილოში ძველი ცნობებით ქლიავის შემდეგ ჯიშებს იცნობდნენ: „წითელაი. ვაშლაი, იისფერი, ცომაი, ტყემლაი, ჩურჩაი“[94].

საბა ორბელიანს ქლიავი თავის ლექსიკონში არ აქვს განმარტებული, მაგრამ იგი კაკვინარს დამასხქლიავად განმარტავს. ქლიავი ისევე როგორც ტყემალი, საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გამოიყენება. მისგან ამზადებენ სხვადასხვა საწებლებს, ტყლაპს, მურაბას, ჟელეს, ახმობენ ჩირად, კერკად და ხდიან ძრაყს. მათი გამხმარი ნაყოფი ჩირის, კერკის, ტყლაპისა და სხვათა სახით ჩვენში იმდენი რაოდენობით მზადდებოდა, რომ საზღვარგარეთ ქვეყნებშიაც გაჰქონდათ[95].

ქლიავის ნაწარმი, მათ შორის კურკაც, ფართოდ გამოიყენებოდა და გამოიყენება როგორც სამზარეულო, ისე სამკურნალო მნიშვნელობით (ყარაბადინი, გვ. 172, 173, 174. 245).

ძველ ქართულ მწერლობაში ქლიავის სილამაზე შემდეგნაირად ძრის აღწერილი:

---

[91] ე. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ბავშვის მოვლა-აღზრდის წესები მთიულეთში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX — A, XIX — B. 1957, გვ. 73.

[92] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გ. 29.

[93] ვ. ბ ი ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 94.

[95] ა რ ჩ. დ ა რ ე ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 20.

„ქლიავნან ეთხრა: არა ხართ ჩემი ვა
ცოტასა ხანის სიცოცხლე ოა თქვენი საკეკლი
ყველი შეა ოი შეეფილბართ, ცალი გაქვს სუბალია,
უფრო ეფერეარ ყოველი.. ეარ ვიდი ანდაკარია“ [96].

ქლიავს წინაპარი თვით გარეული ქლიავია. რომელიც გავრცელებულია საქართველოს ტყეებში. თუმცა ზოგიერთი ქლიავის ჯგუფში შემავალი ხილი თავისი ფორმითაც განსხვავებულია და თავისი წარმოშობის გზა აქვს გავლილი.

კ ვ რ ი ნ ჩ ხ ი. სპეციალისტების მტკიცებით, ზოგიერთი ქლიავის ჯიშის მაგ. ღოღნოშოს წინაპარი არის კვრინჩხი, რომელსაც ყოფაში ხუგბარ ხილად, ხოლო მის მასალას სხვადასხვა სამეურნეო მნიშვნელობით იყენებენ. კვრინჩხი რომ ნამდვილად ღოღნოშოს წინაპარია ეს კარგად ჩანს ეთნოგრაფიული ყოფიდანაც. რადგანაც მესხეთში დღესაც ღოღნოშოს კვრინჩხად იხსენიებენ. კვრინჩხის საკვებად გამოყენების თვალსაზრისით აღსანიშნავია მისგან „შეკამანდის“ გაკეთება. მთხრ. ოლა ხვთისოს ასულ პატიაშვილის (1959 წ.. ს. გრეში. 75 წ.) გადმოცემით, „რთვილნაკრავი — რთვილნაკამი კვრინჩხი— მურაკი ძალიან კარგი საკმელია. რადგანაც სიმწკლატეს ცოტას ინარჩუნებს, მარახოში საკმელია და ყელს სასიამოვნოდ შაბამს“. მისივე გადმოცემით, მას დიდი რაოდენობით კრეფენ. თუთქამენ ან ისე ახმობენ და ინახავენ მშრალ ადგილებში, რომელსაც კვრინჩხის კერკს უწოდებენ. კვრინჩხის კერკისაგან. რომელსაც აზავებენ ცხიმით, ხახვით, საფანლითა და ხმელი მწვანილით, ამზადებენ ქართულ ნაციონალურ საკმელს — ე. წ. „კვრინჩხის შეკამანდს“, რომელიც ამავე დროს უებარ წამლად ითვლება კუკ-ნაწლავის დაავადებისას, ხოლო მისი მასალა გამოიყენება ყაყარჯნებისა და აგრეთვე ცოცხალი ლობის გაშენების საქმეში.

კვრინჩხის ფართო გამოყენება, როგორც საკვები და სამკურნალო დანიშნულების ხილი კარგად ჩანს ძველი ქართული მწერლობის ნიმუშიდანაც:

„კვრინჩხი იტყვის: შენ რას ამბობ? შავი ვარ და მარგებელი,
ჩემს ხეზედა ბულბული ზის, შენ მოგძებნის ყოველი მელი.
ავადმყოფსა მოეხვეები, და კაცი მეკამს მერმე მთელი,
სიმდაბლითა ნუ მიწუნებ. მე არა ვარ აგრებელი“ [97].

კვრინჩხს ანუ „მურაკს“. როგორც მას კახეთში უწოდებენ, ინახავენ როგორც გათუთქულს ისე გაუთუთქავს—კერკად, ტოტებია-

[96] ანთოლოგია. გვ. 64. ტაეპი 7.

[97] ანთოლოგია, გვ. 112, ტაეპი 30.

ნად დაკიდული წესით. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს ხმაროობენ კისელის მოსახარშავადაც.

ბ რ ო წ ე უ ლ ი . უძველესი კულტურაა, რომელსაც უყვარს ცხელი ქვეყნები. საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით გავრცელებულია საქართველოსა და აზერბაიჯანში. საქართველოში გავრცელებული ბროწეულები გარეული ბროწეულებიდანაა წარმოშობილი, რომლის მოშინაურებასაც დიდი ხნის ისტორია აქვს გაელილი. ამიერკავკასიაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ამის საუკეთესო დამადასტურებელია, სადაც 2000 წ. წინათ ჩვენს ერამდე სხვა მცენარეთა თესლებთან ერთად ბროწეულის თესლსაც პოულობენ[98].

„ბროწეული“ ანუ „მრეწეული“ (ქებათა-ქება) ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ვიორგი მონაზონის ხრონოგროფიის თარგმანში, არსენი იყალთოელს დედანის.. (ბერძნ. წარწ.) „ხენი ბროწეულისაგან უთარგმნია“-ო[99] ივ. ჯავახიშვილისავე აზრით, კარგი ბროწეული გარეჯის უდაბნოს ჰქონია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ამ საეკანეს მეფისათვის მისართმევ ძღვნად სხვათაშორის „ალარდენი და ბროწეულიც“ ჰქონდა დაკისრებული.[100] ამისათვის წელიწადის ყოველ დროს ბროწეულის შენახვა სავალდებულოც იყო. რომელსაც მეტწილ შემთხვევაში აკიდოების სახით ან ტოტებიანად სხვენში კიდებდნენ (სოფ. ძვ. ანაგა, ყარაღაჯი, დიღომი). „გაჩეხილ ბროწეულებს—აღნ. მთხრ. ალექსი მიხეილის ძე ბეგიაშვილი (სოფ. ძვ. ანაგა, 70 წ., 1959 წ.) წინა რიგზე ვკიდებდით ან ვაწყობდით, რომ ეზადაეზა გვეხარჯა, ხოლო საღებს უკანა მხარეს და ზამთარში კიდეც რომ გაიყინოს გაზაფხულობით თითონ გამოდის“-ო.

ზემოთ აღნიშნული ცნობა იმითაცაა საინტერესო, რომ ძველ საქართველოში ბროწეულის კერკად შენახვა სცოდნიათ ისევე, როგორც ძველ იტალიაში, პლინიუსის ცნობით „гранат втыкали черенками в песок“[101].

ძველად საქართველოში, რომ ბროწეულის კერკად შენახვა სცოდნიათ ეს საბას ლექსიკონიდანაც ირკვევა, სადაც აღნიშნულია „ალერდენი ბროწეულის გერკი“-ა.

---

[98] ნ. კეცხოველი, დასახ. შრომა, გვ. 313.
[99] ი. ჯავახიშვილი, ხელნაწ. ფონდი. გვ. 62
[100] ხელშწიფის კარის გარიგება. გვ. 15.
[101] М. Сергеенко, დასახ. შრომა, გვ. 121.

XVII ს-შიც კი, როდესაც საქართველო, წინანდელთან შედარებით, სხვადასხვა შემოსევების ნიადაგზე ეკონომიურად ჩამოქვეითებული იყო, მეხილეობა თანახმად შარდენის ცნობისა, მაინც მაღალ დონეზე მდგარა: ხილიც ძალიან კარგი იცის, ყოველგვარი ხილეულობა მოდის. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი; აზიაშიც არსად არ მოდის უკეთესი ბროწეული"[102]

ბროწეული მრავალგვარი ჯურისაა, რომელნიც ერთმანეთისაგან განირჩევიან გემოვნებით, სიმსხოთი, ფერით, დამწიფების დროით და მცენარის აგებულებით.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბროწეულს გემოვნების მიხედვით არჩევენ შემდეგი სახისას: მჟავე, მალა—მოტკბო-მომჟაო, ტკბილი და წილიანი. წილიან ბროწეულს უწოდებენ თეთრ მარცვალს, როდესაც დაუმწიფებელია. სოფ. ძვ. ანაგის მცხრ. მიხა სოლომ. ძე ბეგიაშვილის (98 წ., 1959 წ.) გადმოცემით, „ხირხატ ადგილზე რო დაიცხება და ვეღარ შემოვა მაშინ იცის თეთრი და წვრილი მარცვალი, ამიტომაც წილიან ბროწეულს ვეძახით"-ო. მისივე გადმოცემით, „ნამუშევარ ადგილას ბროწეული უფრო მსხვილსა და გემოწმინდას ისხამს—ნამეტნავად კი მაშინ თუ ვრილ პატივს ჩაუყრით"-ო. აღნიშნული წესით სასურველი გემოვნებისა და მოცულობის ნაყოფის მიღების დამოწმება (ძველი ანაგა, ყარაღაჯი, ბაკურციხე) მით უფრო საინტერესოა, რომ იგი ძველ რომში ცნობილ წესს უკავშირდება. სადაც ვარონს რჩევით თუ ბროწეული მჟავეს ისხამს მაშინ ურჩევდა მისთვის ფესვებში ჩაეყარათ ღორის პატივი, ან ადამიანის განავლიანი წყლით წელიწადში ოთხჯერ ნოერწყოთ, რის შემდეგაც იმავე წელს მოისხამს ღვინის გემოსას, ხოლო მომავალი წლიდან კი ტკბილს[103].

ბროწეულის პროდუქტიულობა ყოფაში მეტად მდიდრად წარმოგვიდგება. მისგან ამზადებენ ჟელეს, სხვადასხვა სასმელებს; ნაყოფის ქერქს ხმარობდნენ ძაფებისა და კვერცხების შესაღებავად. ხალხურ მედიცინაში მის წვენს იყენებდნენ გულის რევისა და ყელის ტკივილის დროს: ნაყოფის დანაყულ ქერქს ცოცხ-ცხელების, ცუქის აშლილობისა და მუცლის ჭიის საწინააღმდეგოდ; ხოლო ტოტების ქერქს დაბახანებში ტყავების შავად გამოსაყვანად და ა. შ.

---

[102] ე. შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1935, 82.

[103] К а т о н. В а р р о н. К о л у м е л л а. П л и н и й, О сельском хозяйстве, Москва, 1957, стр. 262.

აღსანიშნავია, რომ ბროწეულის ყერქს იმდენად დიდი გამოყენება ქონდა, რომ ძველად პატარძლის სამზითვო სიაში თავის ტკივილის წამლად განსაზღვრული რაოდენობის ბროწეულის ქერქიც შედიოდა[104]. ძველი სამკურნალო წამლებიდან ჩანს, რომ მისი გული ალარდენი თირკმელის ტკივილის დროსაც გამოიყენებოდა: — „ალარდენი მჟავისა ბროწეულისა და ქუნჯითი გაქურცნილი... ნუშის ზეთითა და თაფლით შეზელილი-"ო. ასევე გამოიყენებოდა მისი ყვავილები და ა. შ[105].

სამკურნალო დანიშნულებისათვის განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ მჟავე ბროწეულს, რომელსაც მთხრ. გადმოცემით „ყელის ტკივილასას შევწვავთ მერე დავხეჩამთ და ისე შემოვადებო. ინგულს გამოვაცლით გავშლით ტაფაზე, გავათბობთ და ნაჭერზე გაშლილს შემოვადებთ ყელზე და ამავე დროს იგრე მარცვლებსაც ვაყლაპებთ"-ო. მათივე გადმოცემით, „ტიტიბს"—ბროწეულის ქერქს, ბარდა საღებავისა იყენებენ კუჭის ტკივილისას, რომელსაც „ვხარშავთ წითელ ღვინოში და მოხარშულ წვენს ვასმევთ".

მკურნალობის ძველი ხერხებიდან რამდენიმე მათგანი დღევანდელმა ეთნოგრაფიულმა ყოფამაც შემოგვინახა, სადაც უნდა აღინიშნოს მისი ქერქის—აღმ. საქართველოში „ტიტიბად" ცნობილ ხახარშში შეშის სუფთა ნაცარის და ქალის რძეში არეული წამლის ნიცემა ძუძუთა ბავშვის მუცლის გვრემის დროს.

ბროწეულის ფართოდ გამოყენება საქართველოში უძველესი დროიდანვე უნდა მომდინარეობდეს და საფიქრებელია, რომ სტრაბონის ცნობა მცენარეული საღებავების შესახებ ტიტიბსაც უნდა გულისხმობდეს[106].

ბროწეულის ნაყოფის წვენის ფართოდ გამოყენებაზე მიუთითებს დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი ხის მასალისაგან დამზადებული სპეციალური საქაჯავები, რომლებიც საქართველოს სინამდვილეშია დამოწმებული. მის გამონადენ წვენს მოდუღებული სახით ინახავენ, როგორც ტკბილს—სასმელად, ისე ძმავეს—სამზარეულოდ, რომელსაც მაშარაფს უწოდებენ. აღსანიშნავია ბროწეულის წვენის ღვინო, რომელზეც სპარტულად არის გამოთქმული ხალხურ ლექსებშიც:

---

[104] ი. გრიშაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 63.

[105] ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, დას. შრომა, გვ. 112. 116, 189, 149, 191, 213.

[106] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1953 გვ. 156.

უნდა ლორკ. გაკეთ.
მოზეთის მოგაკარეო.
ბროწეულის ღვინო გასვი.
წელი ეო მოგაკარეო[107].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბროწეულის როლი ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში, რომლის ნაყოფსა და ჩეს სხვადასხვა რიტუალური დანიშნულებისამებრ იყენებდნენ. კახეთის სინამდვილეში დამოწმებულია, რომ „ყველიერში აღდგომის წინა დღეს, როცა მარხვა გაიხსნებოდა, ახალგაზრდები თაგო-თაგოს გავიდოდნენ. სადაც ასკილის ან ბროწეულის ჯოხზე ჩამოცმული უნდა ყოფილიყო პური, ქადა, ყველი და სხვა. რომლითაც შეიოურბენდნენ ჯერ ოჯახის კარმიდამოს და მერე ეზოდან მოცილებით გაიტანდნენ და იქ დაარჭობდნენ. რამდენიმე დღის მერე გავიდოდნენ. ნახავდნენ და თუ პური შეჭმული იყო იტყოდნენ თაგვები გამოსულანო". მთიელობელთა გადმოცემით, შობა-ალილოობას ახალგაზრდები, რომ დადიოდნენ. ხელში ბროწეულის ხისაგან გაძოთლილი „ჭეჭეთეები"—ჯოხები უნდა სჭეროდათ, რომელიც აჭრელებულები იყო ხოლმეო. მათივე გადმოცემით, ბროწეულის ხისაგან უნდა ყოფილიყო გამოთლილი სადღეგრძელის „შუშუტა"—საჰაერო-ოადგანაც წმინდა და პარაქანი ხეაო.

„ჩიჩილაკი", რომელსაც ქართველი ხალხი საახალწლო ცერემონიალის დროს აწყობდა. მრავალტანიანი ხის მსგავსი საგანია და წარმოადგენს ბედნიერების, კეთილდღეობისა და დოვლათიანობის სიმბოლურ გამოსახულებას[108]. ჩიჩილაკზე ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით, პირველ რიგში ხილეულიდან აუცილებლად უნდა ყოფილიყო ბროწეული[109].

როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს „ბროწეულს მეგრელები ახალ წელიწადს ერთმანეთს ულოცავდნენ. ამ ხეხილის ნაყოფითა და ტოტებით შემკულია ჩვირად ქართული ძველი ტაძრების ჩუქურთმები და ხატები, ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბროწეულის ხეც მზის ღვთაების საკუთრებას შეადგენს და მის წმინდა ხეი-

---

107 ჯ. სონღულაშვილი. ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები, თბილისი. 1955, ტ. I. გვ. 137.

108 ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარი — ბაბარ). თბილისი, 1941. გვ. 74.

109 **В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, стр. 76.**

ვახს ამშვენებს"[110]. მისივე სიტყვით ბროწეულს ძველ აღმოსავლეთში, სირია-ელამში (ძ'ხის) ასტრას სწირავდნენ, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს.

გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა ბროწეულს ქართველი ხალხი დიდად აფასებდა, როგორც ყვავილის მხრივ ბაღ-წალკოტების დასამშვენებლად, ისე ნაყოფისათვის, რაც კარგად აქვს გადმოცემული გარს. ჩოლოყაშვილსაც:

„ბროწეულმა სთქვა: ვერ უბნობთ მართლითა სამართალითა,
ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა,
მე ჩემსა ხესა მოეკაზმავ, უცხოდ შევ(ბ)კობ ხალითა,
სუფრას ავავსებ ნიადაგ იაგუნდითა, ლალითა" [111].

ბ ა ლ ი დ ა ა ლ უ ბ ა ლ ი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში ძველთაგანვე საკმაოდ გავრცელებული იყო, რადგანაც ხვრილხილთა შორის ყველაზე ხელმისაწვდომია, როგორც გამრავლებით, ისე ყოველწლიური მოსავლიანობის მხრივ. გარდა ამისა მას ბიწების განსაკუთრებული ადგილები არ უნდოდა, როგორც ვაშლისა და მსხლის ხეს, რომლებიც ძირითადად მემამულეებს ხელში იყო თავმოყრილი.

საქართველოში ბალი ფართოდაა გავრცელებული, რომელიც გარეული სახით „ბალამწარის" სახელწოდებით გვხვდება. როგორც ყოფაშია დამოწმებული, მას ბალამწარს იმისათვის უწოდებდნენ, რომ ის ძირითადად მწარე გემოსია.

ვ. ბიბილაშვილის მტკიცებით ბალი პირველად მოხსენებული აქვს IV ს-ში ჩვ. ერამდე თეოფრასტეს[112], ხოლო ძველი ნოვგოროდის (რსრ) გათხრისას (10—13 სს.) ნაპოვნია ბლის კურკა და სხვადასხვა თესლეული[113], რაც მის ძველ წარსულზე მიგვითითებს.

ბლითა და ალუბლით მდიდარ ქვეყნად მიიჩნევენ აგრეთვე თურქეთს, სადაც მარტო გარეული სახის 8 ჯიშია დამოწმებული[114].

ქართულ ჯიშებში ივ. ჯავახიშვილი ჩამოთვლის: გოგრა ბალი, შავი ბალი, ადრეული, გვიანა[115]. ხოლო საინგილოს ჯიშებიდან ზე-

---

110 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ახალწელიწადი საქართველოში, თბილისი, 1927, გვ. 38.

111 ანთოლოგია, გვ. 65, ტაეპი 16.

112 ვ. ბ ი ბ ი ლ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 111.

113 БСЭ, том 33, стр. 267 (1955).

114 П. М. Жуковский, Земледельческая Турция, Москва, 1933, стр. 664.

115 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ხელნაწ. ფონდი, გვ. 37.

მოთ ჩამოთვლილს ემატება ქალღა ბალი. ბალდუნჯი ანუ ბალღი-ჯი, თეთრი ბალი და სხვა[116].

აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩვენ მიერ დამოწმებულია ბლის შემდეგი ჯიშები: ალუბალი, გოგრა ბალი, შავი ბალი. მაისის ბალი, გვიანა ბალი, თეთრი სპანწკი, წითელი სპანწკი, ბროღა ბალი. ჭოპორტულა (ნ. კეცხოველი). ჭანჭურა, ყაჭა მბალი (შინამრეწ. მასალები), ქვიშნა მბალი (დიღომი. სამეგრელო) და სხვა.

საქართველოში ბლის კულტურა რომ ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა კარგად ჩანს, როგორც გეოგრაფიულ სახელწოდებებიდან, ისე რიგ ტერმინოლოგიიდან, მაგ. „ახალბალობა" ხეხილის პირველად შემოსვლის დროის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა და ა. შ.

ბლის ჯიშებიდან ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ალუბლის გამოყენებას. ალუბალი თავის მხრივ მისი გემოვნებისა და შეხედულობის წყალობით იყოფა რამდენიმე ჯურად, რომელსაც გამოცდილი მებაღეები ამჩნევენ. ალუბლის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე იყო გამრავლებული. ლუკულუსმა, რომელიც მითრიდატეს წინააღმდეგ ომობდა შავი ზღვის სანაპიროდან თავის ქვეყანაში წაიღო ალუბლის ერთ-ერთი ჯიში[117].

ბლებისა და ალუბლისაგან ეთნოგრაფიულ ყოფაში ძზადდება: აერკი, მურაბა, „ჭრიანტელი"; ხოლო მისი ტოტების, ფოთლებისა და ქერქის მეშვეობით რეცხავენ ქვევრებს, სდებენ წნილებში და ა. შ. ამათგან აღსანიშნავია ქართულ სამზარეულოში ალუბლის გამოყენების ერთი წესთაგანი, რომელსაც შემზადების შემდეგ „ჭრიანტელი" ეწოდება. ამ მიზნით მწიფე ალუბალს გამოჭყლეტავენ, კურკასა და ჩენჩოს გამოაცლიან (რისთვისაც საცერში გახეხავენ ხოლმე), შემდეგ ქონდრის ტოტებში გაატარებენ და წვრილად დაჭრილი ხახვით, ნიორით, კამით, ქინძით, პიტნით, რეჰანით, კიტრითა და მარილით შეაზავებენ.

ბლის კურკისაგან ზამთარში და გაზაფხულზე აკეთებენ კისელს, რომელიც ამავე დროს სამკურნალო დანიშნულებითაც გამოიყენება; ხოლო ბალამწარის ქერქისაგან ხილის და მატყლის შესანახავად ფართოდ ამზადებდნენ ხოკერებს, აკეთებენ ქვევრის სარეცხებსა და სხვა.

---

[116] საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული ტ. II. ექვთ. თაყაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1911—13. გვ. 102.

[117] М. Е. Сергеенко, დ.სახ. ნაშრომი. გვ. 87.

ძველ ხალხურ მედიცინაში სხვა ხილეულთან ერთად, ავი სისხლისა და ღვიძლის ტკივილის მკურნალობისას, ბლის პროდუქტიც გამოიყენებოდა[118].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმ. საქართველოს მთიანეთში ეწარე ბლის—ბალამწარის ქერქს ფართოდ იყენებდნენ ცეცხლის ასანთებად. რომელსაც მთიულეთ-გუდამაყარში „ჩრაქვს“ უწოდებენ და კვარის მაგივრობას სწევს.

გარსევან ჩოლოყაშვილი თავის ხილთა ქებაში ბალს ათქმევინებს:

„ამხანაგო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა,
ხესა ტურფად ავაყუავებ. დავაშვენებ ჩემსა ძირსა.
თავსა მსოლოდ გადავაქცევ, ლალისფერად შიგნით ჭკირსა.
შაქრის მსგავსად ვარდავიქცევ, რა ჩამიდებს კაცი პირსა“[119].

თუთა საბა ორბელიანის განმარტებით სხვათა ენაა, ქართულად ჟოლა ჰქვიანო, რომელიც დაბადების ქართულ თარგმანშიც ეხვდება „ვითარცა ჟოლა რომელია ველთა ზედა სიმრავლით“[120].

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით ჟოლისა და თუთის ძველი ქართული სახელი ყოფილა „ნეკვი“, რომელიც XVI ს. უხმარიათ. მისივე აზრით „ნაკვი გარეჯის უდაბნოს ჰქონია ძღვნად დადებული და ცნობილია ძველად კახეთის თუთით სიმდიდრე“-ო[121]. ისტორიულ წყაროებიდან ვიცით ჯერ კიდევ XVI ს-ში, კახეთი განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო; შაჰ-აბასის არაერთგზის შემოსევამ ძირფესვიანად გაანადგურა და უკაცრიელი გახადა დასახლებული სოფლები. ამ შემოსევების დროს „გაიკაფა ბაღ-ვენახები, ერთი ხნით მოისპო თუთისა და კაკლის ხეები, გაწყდა ოთხფეხი საქონელი“[122] და სხვა. თუთა ანუ ჟოლა, რომელსაც გურია იმერეთში ბჟოლოს, ხოლო ქართლ-კახეთში ფურცლითუთას, მჭადას, მრეში ღურცელს, ქიზიყში კი ჯალღას უწოდებენ ველური სახით, განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ჩიხეთში და მისი პირველი გა-

---

[118] ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი-ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 164, 175.

[119] ანთოლოგია. გვ. 64, ტაეპი, 4.

[120] დაბადება (ბიბლია), თბილისი, 1884, გვ. 885.

[121] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ხელნაწ. ფონდი, № 11, გვ. 72.

[122] ვ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, დასახელებული შრომა, გვ. 293.

ჩენის ადგილად სპეციალისტები იმავე ქვეყანას მიიჩნევენ. მაგრამ ის იმდენად სასარგებლო მცენარეა, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ—სწრაფად გავრცელებულა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ვ. ჰენის აზრით, თუთის ხე აღმოსავლური წარმოშობისაა. რომელიც ძალიან ადრე გავრცელდა დასავლეთში[123].

საქართველოს ჭალისა და ვაკის ტყეებში თუთა ველური სახითაც გვხვდება, რომელსაც ბოტანიკოსი სპეციალისტები კულტურულიდან გაგარეულებულად მიიჩნევენ[124].

თუთა ყველგან კარგად ხარობს გარდა ცივი ადგილებისა; უყვარს მყუდრო და ხმელი ნიადაგები, ნესტიან ნიადაგს ვერ იტანს.

აღმ. საქართველოში ცნობილია თეთრი თუთა, რომელსაც ჯალიასაც უწოდებენ (კახეთი), ჭროღა ანუ მრეში. შავი, წითელი და ხართუთის ჯიშები; ხოლო ნაყოფმომცემიანობის თვალსაზრისით ყოფაში არჩევენ: „უშვილო“ — უნაყოფო (ქართლი) და მამალ (კახეთი) იგივე უნაყოფო თუთის ჯიშებს, რომელსაც ქართლ-კახეთში შეადა ფურცელსაც უწოდებენ (მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი). თუთის კულტურის ფართო გამრავლების მიზეზი ძველ საქართველოში მისი ნაყოფის, ხის მასალისა და რაც მთავარია ფოთლის აბრეშუმის ჭიისათვის საკვებად გამოყენება იყო. აბრეშუმის ჭიის საკვებად საქართველოში განსაკუთრებით ამჯობინებდნენ დაუმყნელ თეთრ თუთას, რომელსაც „ქართულს“ (კახეთი). „ძველებურს“, „ჩვენებურს“ (გურია-იმერეთი, სამეგრელო) უწოდებდნენ[125]. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, რომ თეთრი თუთის ჯიშები უფრო ფართოდაა გამრავლებული ვიდრე შავი თუთისა.

თუთის ნაყოფისაგან საქართველოში აკეთებენ: კერკს, რომელსაც ახმობენ, ფქვავენ და ტკბილ კვერებს აცხობენ. ხარშავენ ტკბილს (ბადაგს), ბაქმაზს, აკეთებენ თათარას, ხდიან არაყს, სჭამენ ნედლად, კვებავენ წვრილფეხს და ა. შ. კარგად შეზავებული მაშარაფის—ხართუთის ბაქმაზი,—აღნ. მთხრ. ნატა სონღულაშვილი (ს. დიღომი) უებარი წამალია ყელის ტკივილის დროს. რომელიც ასუფთავებს სიმსივნისაგანაო. მის სამკურნალო თვისებებზე ზაზა

---

[123] В. Ген, Культурные растения и домашние животные в их переходе из Азии в Грецию и Италию, а также в остальную Европу. СПБ, 1872, стр. 221.

[124] ნ. კეცხოველი, დასახ. შრომა, გვ. 315.

[125] ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბილისი, 1957, გვ. 21.

ფანასკერტელ-ციციშვილს აღნიშნული აქვს. „ტუტისა შარაბისა ხალიათი ერგების ტკივილსა ყოისასა და სიმსივნესა მისისა და ხუნაულსა მარჩობელისა სარგებელია—აიღე ტუტა შავი მწიფე და გამოსწურე და წასწურო მისგან 10 ლიტრა წყალი... ცეცხლზე შეასქელე"[126].

თუთის მასალა ძვირფასია სხვადასხვა მუსიკალურ საკრავების, სასმისების, ხის დასამუშავებელი იარაღებისა და ავეჯის დასამზადებლად. თუთის ხე როგორც გამძლე მასალა გამოიყენებოდა აგოეთვე ციხე-გალავნებისა და ბაღ-ვენახების შემოსაზღუდავად, რაც კარგად ჩანს ძველი ხალხური ზეპირსიტყვიერებიდანაც:

„იასე მეფე მობრძანდა. დაჯდა ქალაქის პირსაო,
ბარს გალავანი მოიღო გათლილი თუთის ხისაო.
შიგ ბაღი-ბაღსა ჩაყარა. სულ არჩეული ხისაო"[127].

ქართველ ხალხში თუთის ხისადმი თაყვანისცემა, როგორც წმინდა ხისადმი, ოდითგანვე მომდინარეობს, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენებსა და ეზო-კარმიდამოებზე მისი დარჩენის აუცილებლობით.

ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით, ქართული სიმღერის „ნანას" ზოგი ნაწილის მიხედვით, „ბატონები" ცხოვრობენ იების და ვარდების ბაღში ან თეთრი თუთის ხეზე[128], რაც ნათლად ჩანს ხალხური იავნანის ტექსტიდანაც:

„ბატონების ბაღშიაო, იავ-ნანინაო,
თეთრი თუთა ასხიაო, იავ-ნანინაო"[129].

ს. მაკალათიას გამოკვლევით კი თუთის ხის ყლორტები ძველად საახალწლო ცერემონიალის დროს ერთ-ერთი მისალოცი ყოფილა[130].

თუთის ნაყოფის პროდუქტიდან აღსანიშნავია ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ტკბილი წვენის — ბადაგის მოდულებისა და ტყლაპის გაკეთების წესი. მთხრობელთა გადმოცემით

---

[126] ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. დასახ. შრომა. გვ. 263.
[127] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. ნაწ. I, თბილისი, 1937, გვ. 95.
[128] В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинск. племен, Тбилиси, 1957, стр. 79.
[129] ან. ერისთავი-ხოშტარია, მოთხრობები, თბილისი, 1934, გვ. 6.
[130] ს. მაკალათია. დასახ. შრომა. გვ. 17.

სუფთად დარბეულ-..დაქანებულ" თუთას ჩაყრიდნენ ტომარაში, ტომარას ჩადებდნენ ხის ვაოცლში, ზემოდან ფიცრებს დააწყობდნენ და დიდ ქვებს დაალაგებდნენ. ამ წესით გამოწურულ წვენს ძერე სუფთად გადასწურავენ ქვაბში, პირველი ადუღების შემდეგ ქაფს ბოხდიდნენ და ჭურჭელში პირმოკრულად ბეისახავდნენ. მათივე გადმოცემით „ცუდი ნადუღი ერთ თვემდე, ხოლო კარგი ნადუღი ერთ წელსაც სძლებს"-ო. თუთის გამოსაწურავად, როგორც წინა ნაწილშიც გვქონდა აღნიშნული სპეციალური ხილის საწური ხელსაწყოებიც იყო გამოყენებული. თუთის წვენში მეხხები თითქმის ყველა ხილის ჩირს ავლებდნენ, რაც მათი გადმოცემით აძლევს სიტკბოს, არ უჩენს ეატლსა და კარგად ინახავს. როგორც გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობიდანაც ჩანს, თუთისაგან ბაქმაზისა და ტყლაპის დამზადებას ზეთთ აღნიშნული წესის მსგავსად მესხეთ-ჯავახეთში ფართოდ მისდევდნენ.[131]

თუთის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებისას ყოფაში არჩევენ ხართუთის ბაქმაზს, რომელიც გახსაკუთრებით კარგ წამალს წარმოადგენს ყელის ტკივილის დროს. ხოლო ძის ქერქსა და ფესვებს ხმარობდნენ ხალხურ მედიცინაში ბრტყელი ჭიის წინააღმდეგ, რომელთაც ხარშავდნენ წყალში და გაციებული ნახარშის წვენს ავადმყოფს უზმოზე დაალევინებდნენ. ამ მიზნით დილით უზმოზე სასარგებლოა აგრეთვე თუთის ნედლად ჭამაც. ამის გამო. აღიშნავენ მთხრობელები—„თითო-ოროლა მაშარაფის ხე ყველას გვედგა და რაკი ისე დიდი იზრდება, რომ ვერც კი ვლევდით. მისგან არაფსაც კი ვხდიდით ხოლმე"-ო (სოფ. დიღომი). მათივე გადმოცემით „მაშარაფი[132] ანუ ხართუთა ძველად ძალიან გამრავლებული ყოფილა და მართალია ის ცოტა გვიან შემოდიოდა. მაგრამ გვიან შემოდგომამდეც არ ილეოდა და თუ კარგად არ დაშავდებოდა ხელითაც კი ვერ მოგლეჯამდი"-ო. თუთისა და ხართუთის ფართო გამრავლებაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილიც. რომელსაც თუთა და სართუთა ცალ-ცალკე აქვს მოხსენებული.

ზ ღ მ ა რ ტ ლ ი. სიტყვა განმარტებით იგივე ხუთგულაა, რომელიც ძველ ქართულში ხმარებულა. საქართველოში ის ფართოდაა გავრცელებული, როგორც ველური ისე კულტურული სახით. ზღმარტლის კულტურა ჩვენი ქვეყნის ფლორისათვის უძველესი დროი-

---

[131] Х. А. Вермишев, МИЭБГКЗК. I-III, Ахалцихский и Ахалкалакский уезды, 1886, стр. 135.

[132] მაშარაფი-მაშარაბი. ხილის წვენი მოდუღებული. ძველი საქართველო. ტ. II. გვ. 14.

დანვე ყოფილა დამახასიათებელი და როგორც პ. ჟუკოვსკი აღნიშნავს „შორეულ წარსულში კავკასიის ხალხთაგან იგი უბრალოდ „მოშინაურებული იყო“ [33].

როგორც აღმ. ისე დასავლ. საქართველოს ტყეებში და განსაკუთრებით ტყის პირებში, გარეული ზღმარტლისაგან გაუვალი ბუჩქები და ხეებია შექმნილი, რაც უდავოდ მისი დიდი ხნის წარსულზე მიგვითითებს.

იმის მიხედვით, რომ ძველთაგანვე ჩვენში იცნობდნენ, როგორც გარეულ ისე მოშინაურებულ ზღმარტლს, ყოფაში არჩევენ ტყიურსა და ბაღურს, რომელნიც აშკარად განირჩევიან ერთმანეთისაგან. მთხრობელთა გადმოცემით ბაღური ზღმარტლი მსხვილია, პირგადაშლილი და უფრო ბრტყელი, რომლის ხეც ღონიერი, დიდ ფოთოლაა, ხოლო ტყისა წვრილია. მისი ნაყოფი „ცერათითს არ ასცდება“, წვეტიანია, პირდახურული, შედარებით მწკლატე, თვით ხემ იცის ეკლები და წვრილი ფოთოლი.

ზღმარტლი გვარობს ყველგან, ყველა ნიადაგზე. ჰაეს არ ეშინია სიცხე-სიცივის. დამწიფებამდე ნაყოფი იცის ბუსუსიანი, რომელსაც აცივებისთანავე კარგავს. ზღმარტლს განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ კახეთისა და მთიულეთ-გუდამაყარის მოსახლეობა, სადაც დიდი რაოდენობით ეზიდებოდნენ ტყიდან და ნედლად ხმარებასთან ერთად სდებდნენ წნილად: სხვადასხვა წესებით ინახავდნენ „ცოცხლად: აკეთებდნენ საუმელებს და სხვ. ყვარელის რაიონის სოფ. გრემის მცხრ. ვანო აგლაძის გადმოცემით „ზღმარტლი ახლო-მახლო ტყეებში ბევრია, რომელიც ჯორებით ჩამოგვქონდა ხოლმე. ვკრეფდით გვიან შემოდგომით და რაც უფრო გვიან ჩამოიტან უფრო უჯობს. რადგანაც სიცივე უნდა მოხვდეს. მისივე გადმოცემით ზღმარტლი ხეზე ძიენ ძნელად მწიფს, ხოლო მოკრეფიდან 10—12 დღის მერე კი უკვე სიმწიფეში შედის, რომელსაც დროდადრო გადავარჩევთ, მწიფეს—„ჩაშავებულს“ გამოვიღებთ და იკრეფ გაშლილს დავტოვთ“. ზღმარტლი ნედლი ,ასეთი ინახება იანერამდე, ხოლო თუ სქლად არის დაყრილი მაშინ მალე ფუჭდება— „ჩახურება“ იცის.

მთიულეთში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ხილს, ზღმარტლსაც უმარილო და მარილიან წყალში ინახავენ, რომელსაც ზამთრობით შეექცევიან ან შეჭამანდს აკეთებენ. ზღმარტლის შეჭამანდს მწიფე

---

[33] П. М. Жуковский, Культурные растения их сородичи, 1950, Москва, стр. 229.

ნაყოფისაგან ამზადებდნენ, რომელსაც ამოჭყლიტავენ აუდუღარ წყალში და თხელ ნაჭერში გაწურავენ, ხოლო ხშირად მოუდუღარს შაქრის ფხვნილს მოაყრიან და ისე შეექცევიან. მთხრობელთა გადმოცემით, ზღმარტლის ჭამა ან წვენის დალევა საუკეთესო წამალია კუჭის აშლილობისას.

როგორც ცნობილია, ხილეულის უმეტეს ნაწილს განსაკუთრებით ხმარობენ ბწყემსები და ისინი კარგადაც იცნობენ თავიანთ ხეხარეში გავრცელებული ხილის დადებით-უარყოფით თვისებებს. სოფ. ჭიკანის (დუშეთის რ-ნი) მცხრ. გიორგი ბერასძე ჭიკაიძის გადმოცემით „როდესაც ახლად მოკრეფილი ზღმარტლის მალე დამწიფება გვინდოდა, მაშინ მას გუდაში ჩავყრიდით, პირს წავიკრავდით და ისე ვაგორავებდით ან ზედაც შევდგებოდით, რომ კარგად დაჟეჟილიყო. აღნიშნული ხერხით ზღმარტლი 1-2 დღეში მწიფდებოდა, ხოლო ვისაც დიდიხნით შესანახავად უნდოდა, მაშინ ახლად მოკრეფილს ქვევრში ჩაყრიდა, წყალს დაასხამდა და გაზაფხულამდე კარგად სძლებდა ხოლმე".

ზღმარტლისაგან აკეთებენ ძმარსაც, ხდიან არაყს, ხოლო მასალისაგან სხვადასხვა ხელსაწყოს და სამეურნეო იარაღებს, მათ შორის კოვზებს, რადგანაც მისი მასალა გამძლეა და მაგარი.

ზღმარტლი მრავლდება: თესლით, ბარტყებით, ნამყენს აკეთებენ თვით გარეულ ზღმარტლზე და კუნელზე, რომლის მყნობა შეიძლება მარტიდან ივნისის თვემდე.

შ ი ნ დ ი გარეული სახით ფართოდაა გავრცელებული განსაკუთრებით აღმ. საქართველოს მუხნარ-რცხილნარ ტყეებში, არაწაკლებად გვხვდება ტყიდან ჩამოტანილი მყნობის გზით გაკულტურებული შინდიც, რომელიც ძირითადად ორი ჯურისა არსებობს: წითელი და თეთრი ანუ ყვითელი. განსაკუთრებით გამრავლებულია წითელი შინდი, ხოლო თეთრი, რომელსაც კახეთში „ფაშა" შინდსაც უწოდებენ, გარეული სახით თითქმის იშვიათად გვხვდება. მას უყვარს მაგარი და ურწყავი ადგილები, რის გამოც მას ცოცხალი ღობეების მაგივრადაც იყენებენ. ყვავის ყველაზე ადრე და მწიფს ყველაზე გვიან. შინდის ამგვარი თვისების გამოსახატავად ხალხში შემდეგი გადმოცემა არსებობს: „როდესაც დათვმა დაინახა ადრე აყვავებული ხე, ის ძირში წამოუწვა, დაუწყო ლოდინი მის დამწიფებას, მაგრამ ამაოდ, რადგანაც ის დაყვავილებასთან შედარებით გვიან მწიფდება, ამის გამო იტყვიან ხოლმე — შინდმა დათვი მოატყუა"-ო.

შინდი მიუხედავად იმისა, რომ სულ ორი ჯიშისაა მათ შორის ვხვდებით სხვადასხვა შეფერილობის, მოყვანილობისა და გემოვნებისას. მისი ნაყოფი სიმწიფეში გამოირჩევა თავისი სილამაზით, რომელსაც განსაკუთრებით სიამოვნებით უყურებენ ქალები. აი რას ათქმევინებს შინდს ვარსევან ჩოლოყაშვილი:

„შინდმ. სთქვა: „ტეტ-ფა ხ�ილი ვარ. არ გავსულვარ ლალშია,
რა დამინახვენ ქალები. მოვეწონები თვალშია.
ტანის-სამოსის კალთასა ხეტ-ღ ჩავაგდებ ძალშია.
მამწყვეტენ უკუმიგდებენ. უკუმიყრიან გულშია"[134].

შინდმა თავის სილამაზით ოდითგანვე მიიქცია ყურადღება, რადგანაც საფიქრებელია საქ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი უამრავი არქეოლოგიური მასალა (გიშრის, ლალის ქვისა და სხვა), რომელიც უძველეს დროშივე ქალის სამკაულებს წარმოადგენდა, სწორედ მისგან გაღმოღებული ფორმით იყოს ნაკეთები.

ძველთასა და არმაზში „დვა ხეი შუენიერნი ბრინჯისაი—ნათქვამია ხშინდა ნინოს ცხოვრებაში—მაღალი და რტომრავალი"ო, რაც იმას ნიშნავს. რომ აქ ნაგულისხმებია შვინდის ხე, რომელიც სანაყოფედ და საჩრდილობლად იყო გაშენებული[125].

შინდი მის სილამაზესთან ერთად გამოიყენება როგორც საკვები ისე სამკურნალო დანიშნულებით, ხოლო მასალა სხვადასხვა სამეურნეო იარაღების დასამზადებლად.

შინდის ნაყოფისაგან ახმობენ კერკს, ჩურჩას, აკეთებენ მურაბას, ტყლაპს, შეუამანდს, ხდიან არაყს, ხოლო მის ხეს იყენებენ წნელად, ყავარჯნად, უღლის ტაბიკებად, მეცხვარის კავებად, თითისტარებად და სხვა. აღსანიშნავია, რომ იოანე ბატონიშვილს საქართველოში თავის დროისათვის მიღებულ საჭმელებთან ერთად შინდის ჩურჩა და მისი წვენიც აქვს ნახსენები[136].

გერმანიაში შინდის დაუმწიფებელ ნაყოფს ხარშავენ დაფნის ფოთოლში, პიტნაში, ქონდარში და როცა მოიხარშება გააციებენ, სხვა ჭურჭელში გადაიღებენ, ზეთს დაასხამენ და ისე ინახავენ. აღნიშნული წესით დამზადებული შინდი იღებს ზეთის ხილის გემოს და მის მაგივრად ხმარობენ სუფრაზე.[137] იმავე ავტორის ცნობით

---

[134] ანთოლოგია. გვ. 65, ტ. 17.
[135] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 279
[136] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქალმასობა, გვ. 225.
[137] ა რ ჩ. დ ა რ ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა. გვ. 17.

შინდის გამხმარ ყვავილს ჩაის მაგივრად ხმარობენ „გულღებისა-და ხველების წინააღმდეგა“-ო.

შინდის კერკს, რომელსაც გათუთქვის ან ცოცხლად მზეზე გახმობის წესით აკეთებენ გარდა შეპამანდისა იყენებენ სხვადასხვა ნორცეულის შესანელებლადაც. სხვა სამკურნალო თვისებებთან ერთად აღსანიშნავია მისი წვენის დალევა უზმოზე, ოფლის დენისათვის, სიცხის დასაწევად და კუჭის გასასუფთავებლად, ხოლო კერკის ფქვილი მედიცინაში მიღებულია როგორც კუჭის აშლილობის სამკურნალო საშუალება[139]. იმავე ავტორის მტკიცებით ალუჩის ტყლაპთან ერთად ახალგაზრდა ზეთის ხილის ტოტები გამოიყენება შალის ქსოვილების ბორდოსფრად შესაღებავად[139] და სხვა.

კ ა კ ა ლ ი. სულხან საბა ორბელიანს, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ხილეულის სამი სახეობა აქვს მოხსენებული: ხიჩატელი, ხული და ხმილი. „ხული ეწოდების ქერქთ მაგართა, ვიეთა: ნუშთა, ნიგოზთა, წაბლთა, ნაყვთა და მისთანათა“[140]. აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კაკალს ნიგოზს ან ნიგვზის ხესაც უწოდებენ. ნიგვზის ხეს ძველ საქართველოში ძალიან აფასებდნენ, როგორც ნაყოფისათვის და სამასალეო, ისე საჩრდილოებლის თვალსაზრისით. უყვარს ნესტიანი და თბილი ადგილები, დიდ ყინვებს ვერ უძლებს, გვხვდება თითქმის ყველგან—საქართველოში, ხოლო მომეტებულად იმერეთში, საიდანაც მისი კულტურა თითქოს რომაელებს უნდა ჰქონდეთ გატანილიო.[141] ჩვენს ტყეებში საკმაო რაოდენობით გვხვდება, თუმცა ის ნ. ყეცხოველის მტკიცებით მეორადი ე. ი. გაველურებული უნდა იყოსო. ერთი კი ნათელია, რომ საქართველოსათვის ის ძველისძველი კულტურა უნდა იყოს, რაც ნაწილობრივ გეოგრაფიული სახელებიდან და ზოგიერთი ისტორიული წყაროებიდანაც ჩანს.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში შაჰ-აბასმა სხვა ხეხილთან ერთად კახეთში ძირფესვიანად ამოაგდებინა ნიგვზის ხეებიც, რაც იმ დროისათვის ფართოდ გამრავლებული უნდა ყოფილიყო. ნიგოზი, როგორც შემდგომი წყაროებიდანაც ჩანს, ისევ მალე გაუშენებიათ და XVIII საუკუნისათვის უკვე კარგად გამრავლებული ყოფილა (აღწ. სამეფ. საქართ-სა, „ქალმასობა“). „აქ (საინგილოში)—აღნიშნავს ავტორი—ბევრია კაკალი. რასაც ხელს უწყობს ყვა-

---

[138] В. А. Петров, დასახ. შრომა, გვ. 60.

[139] ი ქ ვ ე, გვ. 60.

[140] ს ა ბ ა, ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი, გვ. 468.

[141] ძველი საქართველო, ექვთ. თაყაიშვილის რედაქციით. გვ. 103

ვების სიმრავლეც, რომელიც მაღლიდან აგდებს გასატეხად და ხში-
რად უადვილო ადგილას ვარდება და ასე ბევრი მრავლდება"-ო[142].

ნიგვზის ხე იზრდება დიდი. რის გამოც მას ბაღ-ვენახებიდან
მოცილებით აშენებენ, მისი ნაყოფი სხვადასხვა გვარისა გვხვდება:
მრგვალი, მოკრძო და წვეტიანი, ხოლო მისი სიმაგრის თვალსაზრი-
სით ყოფაში არჩევენ: თხელნაჭუჭა, სქელნაჭუჭა და კირკიტს[143].

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ყოფაში კაკალს გემოვნებისა და
მოყვანილობითაც არჩევენ, რის გამოც იტყვიან: „ფშიტიანი", „ზე-
თიანი", „თხილა", „წოპა", „ჯილა კაკალი", ხოლო საინგილოში
არჩევდნენ: „ქონიან კაკალ", „ჩუნგურა კაკალ". „ფოხრუტ კაკალ",
„ჩოფურ კაკალ" და ა. შ.[144]

კაკლის ლებანი ანუ ნიგოზი განსაკუთრებული მოთხოვნილებით
ხასიათდება ქართველი ხალხის ყოფაში. მისგან ხდიდნენ ზეთს, აკე-
თებდნენ გოზინაყს, ჩურჩხელას, ხინკალს, ანელებენ საცივს, ლო-
ბიოს, ღოლოს, შეჭამანდს, მისი დახმარებით ამზადებენ სხვადასხვა
საწებლებს, მისი შემოუსვლელი ნაყოფისგან ხარშავენ ე. წ. „წენ-
გოს მურაბას" და სხვა. მისი შენახვა ხდება როგორც დამტვრეული-
ლებანის ისე კაკლად—ნაჭუჭიანი სახით.

როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, ხალხის დაკ-
ვირვებით კაკლის ყვავილის წვენს, რომელსაც თაფლში ურევდნენ
გამოიყენებოდა ყელის ტკივილისას, ხოლო ნაყოფის—წენგოიანი
წვენის ნახარშს იყენებდნენ მუცლის ჭიისა და სურავანდიანი ბავ-
შვის გასაკურნავად. ხალხის დაკვირვებით კაკლის ფოთლის ნახარ-
შით თავის დაბანვისას თმა მაგრდება, ხოლო ტანსაცმელის კარგად
შენახვის მიზნით შიგ ფოთლების ჩაწყობით ჩრჩილი იხოცება.

როგორც აღვნიშნეთ, კაკლის ფართო გამოყენებას ისიც ემატე-
ბა, რომ ძველად მისი წენგო და ფოთოლი შალის ქსოვილების ან
ნაწარმის კარგი შესაღებავიც ყოფილა, რომელისაგანაც სხვადასხვა
მეთოდებით იღებდნენ შავსა და ყვითელი ფერის საღებავებს[145]. ხო-
ლო რაც შეეხება მის სამკურნალო თვისებებს ეს კარგად ჩანს ძვე-
ლი ხალხური მკურნალობის წიგნიდანაც. მაგ. ხუნაგის, მუცლისა,
გულისა და დაბეგვილი ტკივილების გასაკურნავად წამალში სათა-
ნადო რაოდენობით კაკლის სხვადასხვა ნაწარმსაც ურევდნენ[146].

---

142 იქვე.

143 საკითხთან დაკავშირებით იხ. ვ. ჭიპაშვილის სადისერტაციო შრომა „კაკლის კულტურა ქართლში", თბილისი, 1948.

144 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში დაცული შინამრეწველობის მასალები, საინგილო, გვ. 393.

145 П. Виноградов-Никитин, დასახ. შრომა, გვ. 157.

146 ხახა ფანასკერტელი-ციციშვილი, დასახ. შრომა, გვ. 225, 236, 243.

ცნობილია თვით კაკლის ხის მასალის მაღალი ღირსება და გამოყენება, რომელიც სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღებისა და საოჯახო დანიშნულების საგნების გასაკეთებლად იხმარება. როგორც კაკლით მდიდარი ქვეყანა, საქართველოს მოსახლეობა ძველად მას იყენებდა სამრეწველო დანიშნულებისათვის, რომელიც საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. სხვა უამრავ ცნობებთან ერთად ვ. კრივენკოს ცნობაც ადასტურებს, რომ საზღვარგარეთ ჯერ კიდევ ძველად განთქმული იყო კავკასიური ხე-ტყის მასალა, საიდანაც ყოველწლიურად გაჰქონდათ კაკლისა და პალმის ხეები.[147]

ნიგოზი რომ ძველადვე ქართული ნაციონალური საჭმელების შესანელებელი და ფართო მოხმარების პროდუქტი იყო ეს კარგად ჩანს XVIII ს. სიტყვა-კაზმულ ლიტერატურიდანაც. სადაც ნიგოზს ათქმევინებენ:

„ნიგოზმან უთხრა. ვიკადრო მართალი. სწორი გულისა.
მე ხე ვარ კარგი სახმარი საესე ლხინითა სრულითა,
მასპინძელი ვარ ნიადაგ გულითა მხიარულითა,
საჭმლისა შემამკობელი, მაცხონებელი სულისა"[148].

ნიგვზის ანუ კაკლის ხე ძველ საქართველოში წმინდა ხედ იყო მიჩნეული, რომელსაც ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში კარკვეული ადგილი ეჭირა. ამის გამო საქართველოში ეკლესია-მონასტრებთან და სხვა წმინდან ადგილებში ხშირად ვხვდებით კაკლის ხეებს, რომელთა მოკრა სარწმუნოებას ეწინააღმდეგებოდა.

საახალწლო ჩიჩილაკის მორთვისას ცნობილია, რომ სახლის ჭერიდან კაკლებს ჩამოიღებდნენ და წმინდანების სახელზე სტეხავდნენ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ფუჭი გამოდგებოდა, იმავე წმინდანს ევედრებოდნენ და შესთხოვდნენ რათა ფათერაკისაგან დაეცვა მათი ოჯახი. ამ წესით კაკალს ამტვრევდნენ ოჯახის ყველა წევრთათვის და ამით მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ[149].

თ ხ ი ლ ი. ვახუშტი ბატონიშვილი იმ დროინდელი ხილეულის ჩამოთვლისას შინაურ-კულტურულ თხილთან ერთად გარეულ—

---

[147] В. С. Кривенко, Очерки Кавказа, Санкт-Петербург, 1893 გვ. 103.

[148] ანთოლოგია, გვ. 65, ტ. 14.

[149] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. შრომა, გვ. 36.

ტყის თხილსა და დათვის თხილასაც იხსენიებს. და დღესაც „ჩვენში ველურად იზრდება“ რამდენიმე სახეობა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს დიდ ხედ მოზარდი კირკიტნაყოფიანი ქართული თხილი, დათვის თხილი, კოლხური თხილი, იმერული თხილი, პონტური თხილი[150], ძუძუთხილა და სხვა.

თხილის კულტურას ქართველი ხალხი ოდითგანვე იცნობდა, ძველი რომაელი მწერლების ცნობებით თუ ვიმსჯელებთ (კოლუმელა, პლინიუსი) საბერძნეთში თხილს პონტოს ზღვის ქვეყნებიდან ეზიდებოდნენო[151]. ჟუკოვსკის აზრით, თხილის გავრცელების არეალი ძალიან დიდია: ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვის სანაპიროები, მცირე აზია და სხვა „.ასე თუ ისე—აღნიშვანს ავტორი, ესენია მისი წარმოშობის კერები“[152].

თხილის ხე ძალზე ამტანიანი კულტურაა, მას არ ეშინია სიცხე-სიცივისა, თუმცა ნესტიან ადგილებში კარგად ვერ გვარობს. ჩვენში განსაკუთრებით გამრავლებულია სამეგრელოსა და კახეთში, სადაც თხილნარების ტყეებიც კი გვხვდება. ეთნოგრაფიულ ყოფაში მას ფართოდ იყენებენ, შემოდგომით სპეციალურად მიდიან ტყეში და დიდი რაოდენობით ჩამოაქვთ, რაც ძირითადად ქალების საქმედ ითვლება. ხოლო იქ, სადაც მთებს მდინარეები ჩამოუდის, მოსახლეობა მდინარეზე ფაცრებს მართავდა. ფაცრები იმართებოდა ლასტებისა ან მსხვილი წნელების ჩაწყობით, რომელსაც გვერდებზე და ბოლოზე ფიჩხი ქონდა შემოწყობილი და ასე აგროვებდნენ[153]. ამ წესით შეგროვილ თხილს კარგად გაშრობის შემდეგ მშრალ ადგილას ტომრებში ინახავდნენ.

როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ჩვენში თხილის მრავალი სახეობები არსებობს, ჯერ კიდევ ძველ საინგილოში იცნობდნენ ადრეულა, მოწითალო, მოწაბლისფრო, ქართულ, მოწითალო-მოწაბლისფრო, დუდრუან ანუ „ბერძნულად“ ცნობილ თხილს. ტყიურ ანუ გარეულსა და სხვა[154].

თხილისაგან ხდიან ზეთს. აკეთებენ ჩურჩხელას, გოზინაყს, სჭამენ ნედლად, ხმელად და ა. შ. საინგილოში ყველაზე გემრიელად ითვლება „ჭარული“ თხილი. მიუხედავად იმისა, რომ ის ბერძნულ

---

150 ნ. კეცხოველი, დასახ. შრომა, გვ. 325.

151 П. М. Жуковский, Земледельческая Турция, გვ. 675.

152 იქვე.

153 ნ. კეცხოველი, დასახ. შრომა. გვ. 325.

154 ეკვ. თაყაიშვილი, ძვ. საქართველო. თბილისი. 1911, 1913. ტ. II, გვ. 101.

თხილთან შედარებით წვრილია გემოვნებით ბევრად უსწრებს ბერძნულს. თხილის ჩამოტანისა ან დაბერტყვის დროს იმის მიხედვით თუ რამდენნაირი ჯურისაა ცალცალკე ინახავენ, რადგანაც ყველა ერთნაირად როდი ინარჩუნებს გემოვნებას. ზოგი მალე იფშვიტება, მძაღდება და დროზე უნდა დაიხარჯოსო. იქ სადაც თხილს სამრეწველო ხასიათი აქვს სპეციალურად ახარისხებენ და საბაზრო სახელებსაც ადებენ. მაგ. ცნობილია, რომ თხილის საბაზრო წარმოების მხრივ თურქეთს პირველი ადგილი უჭირავს. სადაც ახარისხებენ და საბაზრო სახელებს ადებენ: 1. „Гамбул"—გრძელი, 2. „Синри"—გრძელწვეტიანი, 3. „Бадем" ნუშისმაგვარი, რომელთა ერთმანეთში შერევა აკრძალულია[155].

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თხილის ხეს წმინდა ხედ მიიჩნევდნენ, რის გამოც საახალწლო ცერემონიალის მზადებისას ჩიჩილაკს მისგან თლიდნენ, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე წყალში ალბობდნენ და შემდეგ ფურცელ-ფურცელ დახუჭუჭებულად თლიდნენ.

თხილის მასალა კარგია სხვადასხვა სამეურნეო იარაღების დასამზადებლად: ჭირნახულის კოდი (ერთი ასეთი უზარმაზარი თხილის კოდი შემორჩენილია გელათის მონასტერში), ფოცხებისა, არნადეჩისა და ორთითების გასაკეთებლად, ლასტებისა და გოდრების საწნავად, საქონლის რკალებად, სარებად და სხვა. თხილის მასალა ძოქნილია, როცა ხმება მაგარია, ჭია ნაკლებად ეკარება და დიდხანს ძლებს. მთიულეთ-გუდამაყარში მის წნელს ფართოდ იყენებდნენ ცალოს მოწყობისა და თვით სახლის „გასაწოლავად"—გადასატხრავად, რომელსაც მიწანარევი საქონლის პატივით ლესავდნენ.

ძველ ქართულ სიტყვა-ყაზმულ მწერლობაში სხვა ხილთან ერთად თხილიცაა ნაქები:

..ოხილმან სთქუა: გაყრო მართალი. ჩემი პასუხი გულსა,
მოკუეთ ტყეულ-ტყეულსა, მე ამან გამაგულსა.
სალხინოდ შესაქცევარი მე ვარ ყოვლისა რჯულსა,
ვარ მატკივნელი კბილსა, მერმე დამწველი გულსა-[156].

წ ა ბ ლ ი კავკასიისათვის უძველესი კულტურაა, საქართველოში ის გაველურებული სახით გვხვდება, რომელიც ხშირად წმინდა წაბლნარის ტყითაა წარმოდგენილი. საკვლევი რაიონებიდან წაბლი ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება კახეთის სინაძდვილეში რო-

---

[155] П. М. Жуковский, დასახ. შრომა. გვ. 675.

[156] ანთოლოგია, გვ. 64, ტაეპი 6.

ნელიც ნ. კეცხოველის გამოკვლევით 1500 მ სიმაღლემდე გვარობს[157].

წაბლის ნაყოფს სხვა გარეულ ხილთან ერთად კაცობრიობა უძველესი დროიდანვე თავის სასარგებლოდ იყენებდა. წაბლის ფართო დანიშნულება-გამოყენების ირგვლივ სხვა ისტორიულ წყაროებთან ერთად აღსანიშნავია IV საუკ. (ჩვ. ერამდე) ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს ცნობა, რომელსაც მოსინიკების აღწერისას აღნიშნული აქვს: „На кришах лежало много плоских каштанов без поперечных стенок Моссинойки употреблями их в большом количестве в пищу, отваривая их и выпекая из них хлеба»[158].

წაბლის ხე კავკასიაში, სახელდობრ ყარაბაღში, მკვლევართა გამოკვლევით გვიან—მესამეულის პერიოდშიც ყოფილა გავრცელებული.[159] ხოლო საქართველოს ტყეებისათვის ძველთაგანვე ტიპიური დამახასიათებელი და ფრიად გავრცელებული, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ტყის ხილში იხსენიებს[160].

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში წაბლს, მისი ნაყოფის მოყვანილობის, ფერისა და გამოყენების თვალსაზრისით არჩევენ სხვადასხვა ჯურისას, მათ შორის აღსანიშნავია ჩვეულებრივი და ე. წ. „ცხენის წაბლი“, რომელიც მუშტის სიმსხოა და საჭმელად გამოუსადეგარი. ცხენის წაბლი, რომ ძველთაგანვე საჭმელად გამოუსადეგარი ყოფილა კარგად ჩანს საბას განმარტებიდანაც: „ცხენის-წაბლა სხუა რიგი წაბლია ხე შვენიერი, კაი ყუავილი და ხილი მწარე“ (იქვე აღნიშნავს) „ცხენის-წაბლა+და წმ. ეგნატეს წაბლა[161].

წაბლის ხე ყველგან გვარობს, ეჯავრება ჭანჭრობი ადგილები და არც დიდი სიცხე-სიცივე უყვარს. ნაყოფს დიდი მოთხოვნილება აქვს, როგორც ჩვენთან ისე სხვა ქვეყნებშიც, ჭამენ როგორც უმს, ისე მოხარშული სახით. გვიან შემოდგომას კახეთში ჩამოაქვთ დიდი რაოდენობით, სადაც ღამის თევითაც მიდიან ხოლმე. კარგად შემოსული წაბლი, მთხრობელთა გადმოცემით „გადაკუჭულია და შერხეისთანავე თვითონ ჩამოდის ხრიალით, ხოლო თუ ძალიან სუფთად გვინდა დავკრიფოთ მაშინ კაკალივით ვბერტყავთ ხოლმე“-ო. დაბერტყილ წაბლს ადგილზევე გადაარჩევენ, სახლში ჩამოტანისთანა-

---

157 ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 326.

158 К с е н о ф о н т, Анабасис, Москва, 1951, стр. 138.

159 В. А. П е т р о в, დასახ. შრომა, გვ. 51.

160 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 29.

161 ს ულ ხ ან-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, გვ. 42.

ვე ცოტა ხანს მზეზე შეაფიცხებენ (მიწაზე ან ტილოებზე გაშლილს) და შემდეგ ასევე გაშლილს მშრალ ადგილას ინახავენ. მისი ნაყოფი, კარგად შენახული, ძლებს გაზაფხულის პოლომდე, რომელსაც შემდეგ უმეტესად მარილწყალში ხარშავენ, და ისე ჭამენ. ხოლო ახალ ჩამოტანილს კი უფრო მოუხარშავად ან შემწვარი სახით იყენებენ. მისი ნაყოფი ფართოდ ყოფილა გამოყენებული საკონდიტრო წარმოებაშიც[162]. მართალია წაბლის ხის მასალა ძვირფასია სხვადასხვა საოჯახო ჭურჭლის დასამზადებლად, მაგრამ ყოფაში ტყეების გაკაფვისას, სხვა გარეულ ხილთან ერთად წაბლის ხესაც საკმაო რაოდენობით სტოვებენ. მთხრობელთა გადმოცემით. „ნაყოფმომცემი მცენარის მოჭრა დიდი ცოდვაა და თუ მოსჭერი ხატიც დაგწყევლის, ხეცა და ხალხიცა"-ო.

ეს ძველისძველი კულტურა, რომელსაც ხალხი ოდითგანვე იყენებდა საკვებად, როგორც სახამებლის დიდი რაოდენობით შემცველი ხილი, სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში გარსევან ჩოლოყაშვილს ასე აქვს შექებული:

„წაბლმა სთქუა:

„ტურფა ხილი ვარ მეტად დიდისა მთისაო.
სახლი მაქვს შიგან საჯდომი, სხუა ჩრა მინდა სხვისაო.
ტანსა მაცვია მრავალი, შიგნით არ ცივა, თბისაო.
ნახუა სწადიან ჩემი და ყოველთა ლამაზისაო" [162].

ფშატი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ველური ფორმითაა წარმოდგენილი, რომელიც აღმ. საქართველოს ბაღ-ვენახებისა და ჭალის ტყეებში ფართოდაა გამრავლებული. ის საუკეთესო მასალას წარმოადგენს ცოცხალი ღობის გაშასენებლად, ვენახის სარებისა და ღობის „მანეებად"[164]. ფშატს, როგორც ხილს ქართველი ხალხი ძველთაგანვე იყენებდა, რადგანაც ვახუშტი ბატონიშვილს სხვა გარეულ ხილთან ერთად ისიც აქვს მოხსენიებული.

ფშატი სხვადასხვა ჯურისაა, ზოგს მოაქვს წვრილი ნაყოფი, ხოლო ზოგს თითის სიმსხოც კი, რის გამოც ეთნოგრაფიულ ყოფაში ორი სახის ფშატს იცნობენ: ბაღურს — მსხვილსა და ჭალისას — წვრილს, თუმცა მეურნეთა გადმოცემით ერთგვარ, ძალიან წვრილნაყოფას ანუ გამოუსადეგარს „კატაფშატასაც" უწოდებენ ხოლმე. ფშატი იტანს ყოველგვარ ადგილს, განსაკუთრებით უძლებს

---

[162] П. М. Жуковский, Земледельческая Турция, 1933. გვ. 678.

[163] ანთოლოგია, გვ. 66, ტაეპი 24.

[164] კახეთში მანას უწოდებენ, როგორც საწნაე ისე ღობეში მარგილად გამოყენებულ მასალას.

უწყლობას და ადვილად მრავლდება: დაწვენით, თესლით, პატარა ტოტებით, ხოლო კარგი ჯიშის ფშატის მისაღებად გაზაფხულობით ხამყენსაც აკეთებენ. ფშატი განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე თურქეთში, სადაც მას საბაზრო დანიშნულებითაც კი იყენებენ[165].

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფშატის ნაყოფს სხვადასხვა დანიშნულებისათვის ხმარობენ. იგი, მშრალ ადგილას შენახული, მთელი წლის განმავლობაში ძლებს. კრეფავენ გვიან შემოდგომაზე „სიცივენაჭამ“ ფშატს, რომელსაც არხევენ ან უმეტეს შემთხვევაში ბერტყავენ.

საჭმელად იყენებენ ზამთარ-გაზაფხულზე, რომელსაც ქერქს აცლიან და ისე შეექცევიან, ხოლო ზოგგან დახალულს გაუფცქვნელად ჭამენ.

ისევე როგორც წაბლის ფშატის ნაყოფიდანაც ყოფაში ფქვილსაც ამზადებდნენ, რომელსაც მშრალად, პრიმიტიული წესით ქვაზე დაფშვნით იღებდნენ[166]. ფშატის ფქვილის ასეთი არქაული წესით მიღება საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ გარდა საკვები მნიშვნელობისა, ძველ ქართულში იგი გამოიყენებოდა, როგორც კარგი სამკურნალო თვისებების შემცველი პროდუქტი. მაგ. კარაბადინში აღნიშნულია: „ერგების ტკივილსა ღუძლისასა... და სტომაქსა... ალარდენი ნოხალული და ნაცარფშატისა ფქული“...[167] იმავე წიგნში ფშატის ნაყოფისა და ფქვილის მინარევებით მოხსენებულია სხვა მრავალი წამლების შემზადების პროცესებიც (გვ. 145, 174, 234).

ფშატის ხე ეკლიანი, მაგრამ სასიამოვნო შესახედავია განსაკუთრებული ფერისა და ყვავილის წყალობით, რომელსაც ძალზე ეტანება ფუტკარიც.

ძველ ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში თეიმურაზ II-ს სხვა ხილთან ერთად ფშატიც აქვს შექებული, როგორც სასიამოვნო შესაქცეველი:

„ფშატმან თქვა, ნეტამც იკადროთ თქვენ ჩემი შემოხედვავო,
საჭმელად შესაქცევარი, ხელს მოუჭირებ ჰხედაო,
მზის შუქი ასე დამაჭკნობს, აველა მე მეტყვის „ბედაო“.
„ჩემი ყვავილის სურნელი ყველაყამ იცით ხედაო“[168].

---

165 П. М. Жуковский, Землед. Турция, გვ. 667.

166 Виноградов-Никитин, დასახ. შრომა, გვ. 149.

167 ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, დასახ. შრომა, გვ. 225, 236.

კ ე ვ ი ს ხ ე გავრცელებულია აღმ. საქართველოს ჭალის ტყეებში. იგი განსაკუთრებით ფართოდ გვხვდება „შირაქის ველებში“. სადაც ადგილობრივი მოსახლეობა „სახსახაჯს“ უწოდებდა. ნ. კეცხოველის გამოკვლევით აღმოსავლეთ საქართველოში მისი გამრავლების საზღვრები სამხ. საქართველოდან ქსნის ხეობამდე მიდის[169].

კევის ხიდან ხდიდნენ ანუ ადნობდნენ კევს, რომელსაც მოსახლეობა (ნამეტნავად მწყემსები და ბავშვები) „თავის შესაქცევად“— გასართობად იყენებდა. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ „გადამდნარს ლერწმის ჩიხებში (გულამოღებული ლერწამი) ჩავასხამდით და როცა გაცივდებოდა დანით გავხეჩამდით ჩიხებსაცა და კევსაც; კევით ძიენ ვერთობოდით, როგორც მწყემსები, იგრე დედაკაცები და ბავშვები, კევსა ძიენ ეტანებოდნენ და ასაღებდნენ მერე მეწვრიმალეები, რომელთაც სოფელ-სოფელ კარი-კარ დაჰქონდათ, ცვლიდნენ ჭირნახულზე, კეერცხებზე და სხვა“ (მთხრ. კრაწაშვილი წყალობა გლახოს ძე 98 წ., სიღნ. რ-ნი, სოფ. ჭოტორი 1959 წ.).

კ უ ნ ე ლ ი. კუნელს კახეთში გვინელას, ქართლში—კუნელი, სკუნელი, იმერეთში—კუმელა, გურიაში—კურკანტელა, მესხეთში, აჭარაში—ლიცვი, სამეგრელოში—ქუნცი, ეშმაკის მათრახსაც უწოდებენ[170]. ის სხვადასხვა ჯურისაა, ხარობს ყველგან—ხრიოკ ადგილებშიც და იცის ეკალი, რის გამოც მას ეთნოგრაფიულ ყოფაში განსაკუთრებით აშენებენ ცოცხალი ღობისათვის, რომელსაც სამ წელიწადში ერთხელ თავსა და გვერდებს შეუკვეცავენ ხოლმე.

კუნელი ძირითადად ორვვარია, წითელი და შავი, რომელთა შორის პირველი უფრო გავრცელებულია; კუნელის ნაყოფი ხილად საჭმელად ძველადვე უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რადგანაც სხვა საჭმელ ტყის ხილთან ერთად ვახუშტის ეს უკანასკნელიც აქვს დასახელებული.

როგორც დღევანდელი ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს შიუხედავად ხილთა სიმრავლისა, მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. „მთხრ. გადმოცემით კუნელი, როცა კარგად შემოდის და სიცივეს სჭამს ფქვილივით საჭმელია, ხოლო ზოგიერთი ეთგანი და ნამეტნავად კი შავი წყლიანიც არის“. მისი ნაყოფი განსაკუთრებით კარგი საზრდოა წვრილფეხის გასაზრდელად. ქერქი და ფოთლები მოწითალო ფერის საღებავად, ხოლო ხალხურ მედიცინაში მას იყენებდნენ „კაცური ავადმყოფობისათვის მილში“-ო (მთხრ. ბაბო ივანეს ასული ფსუტერი, სოფ. ტყვიავი, გორის რაიო-

---

169 ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, დასახ. შრომა. გვ. 313.

170 ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტ. ლექსიკონი, გვ. 41.

ნი, 1957 წ.,). ყოველივე ამის გამო კუნელის ნაყოფს კრეფენ და ზამთარ-გაზაფხულისათვის ინახავენ, ხოლო შემდგომ ახმობენ, ხელსაფქვავზე ფქვავენ და ხორბლის ფქვილთან ერთად კვერებს აცხობენ.

კუნელის მასალა ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების დასამზადებლადაც (ტაბიკების, საჭსოვი ხელსაწყოების, ყავარჯნისა და სხვა).

კოწახური სომხურში „Кутцукур", გვარის ყველგან და განსაკუთრებით უძლებს ხმელ ადგილებს. ისე, როგორც სხვა ეკლიან მცენარეულობას, კოწახურსაც იყენებენ ცოცხალ ღობედ. მისი ნაყოფი, რომელიც მოცხარის მტევნებს მოგვაგონებს დამწიფებისას წითლდება და „რთვილის ჭამის" შემდეგ კრეფენ, რომელიც მჟავე და მწკლატე გემოთი ხასიათდება.

კოწახურის, როგორც ნაყოფს, ისე მასალასა და ფესვებსაც კი სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებდნენ. სხვა გარეულ ხილთან ერთად ძველ ხალხურ მედიცინაში მასაც გარკვეული ადგილი ეჭირა. როგორც კარაბადინიდან ჩანს მის ძირს, ნაყოფის გამოწურულ წვენსა და ნედლსაც სხვადასხვა წამლების შესამზადებლად იყენებდნენ[171].

ხალხურმა მედიცინამ დღევანდლამდე კარგად შემოგვინახა კოწახურის სამკურნალო მნიშვნელობა, რომ მისი ფესვების ქერქის ნახარშისაგან მკურნალობენ სურავანდს. კოწახური გამოყენებული ეოფილა აგრეთვე საქონლის სხვადასხვა დაავადებათა განსაკურნაველადაც, რომელთაგან აღსანიშნავია ცხვრის ავადმყოფობის „პიზოოტიის" მკურნალობისას[172].

კოწახურის სიმრავლეზე და ფართოდ გამოყენებაზე თავის დროზე მიგვითითებდა ვახუშტი ბატონიშვილიც, რომელიც მას გარეულ ხილთან ერთად იხსენიებს. კოწახურის ნაყოფისაგან ამზადებდნენ წვენს, ინახავდნენ ნედლად ტოტებიანად, დაკიდული ან დაკრეფილი სახით, რომელიც კარგად ძლებს მეორე მოსავლამდე. კოწახურის ნაყოფს ფართო გამოყენება აქვს ქართული ნაციონალური საჭმელების „შეგემებისას", რომლითაც არაერთხელ მოხიბლულან უცხოელი სტუმრებიც.

ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობისა კოწახურის ნორჩი ფოთლები ერთ-ერთი

---

[171] ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, დასახ. შრომა, გვ. 101, 201. 238, 241, 245 და ა. შ.

[172] Петров, დასახ. შრომა, გვ. 46.

„ნადრევი ხილი“ ყოფილა, რომელსაც განსაკუთრებით შეექცეოდნენ მწყემსები. აღმ. საქართველოს ზოგ ადგილებში მას „მეაუნასაც“ უწოდებდნენ. კოწახურის ფოთლების მომეაო გემოს წყალობით მისთვის ხალხს მეაუნაც შეურქმევია, მით უმეტეს, რომ ისევე, როგორც ჩვეულებრივი მეაუნისას კოწახურის ფოთლებისაგანაც ხშირად შეკამანდსაც აკეთებენ. იმის გამო, რომ კოწახურს ბასრი ეკლები ახასიათებს, მის დაფოთლილ ტოტს სასურველ ადგილას მოაუკავენ და ქვემოდან ზემოთ ამოსხვეპის წესით კრეფენ ხოლმე.

მთხრობელთა გადმოცემით „კოწახურის ხე ძვალივით არის“, რაც მის სისუფთავეში და ძარღვიანობა-სიმაგრეში მდგომარეობს. ამის გამო მას ფართოდ იყენებდნენ საქსოვი სავარცხლის კბილებად, თიხის სადღობელის შუშუტად, ტაბიკებად[173] და სხვა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ხალხურ ფეიქრობაში მისი ქერქის სამღებრო დანიშნულებით გამოყენებას, რომლითაც მატყლს ჯერ შეღებავდნენ, ხოლო შემდეგ სათანადოდ დაამუშავებდნენ.

ჯ ა ხ ვ ე ლ ი ხარობს როგორც ტყეში, ისე მდინარის პირა ჭალებში და უყვარს ნოტიო ადგილები. იზრდება ბუჩქად, რომელიც ისსამს პატარა მტევნებისმაგვარ გრძელყუნწა წითელ ნაყოფს. შემოდის გვიან შემოდგომით, უყვარს სიცივე და ამის გამო სანამ ყინვა არ მოხვდება ძალიან მეავე საჭმელია. ხეზე ძლებს გაზაფხულამდე, რომელიც მწკლატე გემოსა და ოდნავ შემჭკნარ სახეს ღებულობს.

ყოფაში ჯახველს, როგორც ფართო მოთხოვნილების ხილს არ ხმარობენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის დიეტიურ-სამკურნალო მნიშვნელობას. ჯახველისაგან ხდიან წვენს, ატკბობენ და ისე სვამენ, მის მსხმოიარე ტოტებს ამტვრევენ და ზამთარ-ზაფხულ გარეთ დაკიდული წესით ინახავენ. მთხრობელთა გადმოცემით ჯახველი უებარი წამალია უგუნებობისას. მადის გასახსნელად და ხველება-ყელის ტკივილის დროს, რომელსაც „ცოცხლად გამოსწურნიან“ ხოლმე. მათივე გადმოცემით ჯახველი ბევრ შემთხვევაში მრეშინრომეაო ბროწეულის შემცვლელი არის სხვადასხვა საჭმელის შესანელებლად, ხოლო ნორჩი ყლორტების ნახარში კი სურავანდის სამკურნალოა.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მუხის, მსხლისა და ჯახველის ნაშთები მოწმო-

---

[123] გ. ჩ ი ტ ა ი ა. სახვნელი იარაღების ისტორიისათვის საქართველოში. საქ. ᲛუᲖეუმის მოამბე. თბილისი, 1929 წ., ტ. V, გვ. 273.

ბენ, რომ ჯერ კიდევ პალეოლითელი ადამიანი ამ მცენარეთა ნაყოფს საკვებადაც იყენებდა[174].

მ ო ც ხ ა რ ი აღმ. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ხილია, რომელიც რამდენიმე სახეობისა გვხვდება. არჩ. დარეჯანიშვილის გამოკვლევით იგი 28 ჯურისა უნდა იყოს ,საიდანაც 12 წითელია, 2 ვარდისფერი, 4 თეთრი, 2 მოჭრელო და 8 შავი. მთხრ. გაღმოცემით, „ეს არის ახლობას საჭმელი ხილი, რომელსაც ვერ ვინახავთ"-ო.

როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს მოცხარი ანუ ხუნწი ყველგან ადვილად და კარგად მრავლდება, მაგრამ უჯობს ნოყიერი ნოტიო ადგილები. ისხამს წვრილმარცვალა ნაყოფს, რომელიც პატარა მტევნებს მოგვაგონებს. კარგად მოვლის (გაპატივების, გასხვლისა და რწყვის) შემთხვევაში იძლევა მომსხო ნაყოფსაც. განსაკუთრებით ბევრია ჩვენში წითელი მოცხარი, რომელიც ძველთაგანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოს მთის ტყეებში. მიუხედავად მისი დიდი ხნის წარსულისა, რომელსაც ვახუშტიც იხსენიებს, ჩვენში ფართოდ არ აშინაურებდნენ, მაგრამ ბას შემდეგ (XIX—XX საუკ. დასაწყისში ე. ი.), რაც ევროპიული ჯიშების ბაღები გაშენდა. შავი მოცხარიც გაჩნდა, რომელთაც მწკრივთა შორის რგავენ[175].

ეთნოგრაფიულ ყოფაში მისგან ამზადებდნენ მურაბას, ტკბილ სასმელებს, ჟელესა და სხვა.

ხ ურ ტ კ მ ე ლ ი კულტურაში ველური ჯიშებიდან არის გამრავლებულ-მოშინაურებული. საქართველოში ხურტმელის ნარგაობა სამრეწველო დანიშნულებით ძალზე ნაკლებია. იგი მოცხარივით საკარმიდამო ნაკვეთებზე გაფანტული სახით გვხვდება.

პირველი ცნობები ხურტკმელის შესახებ გვხვდება საფრანგეთში — XVI საუკუნეში, მისი კულტურული ჯიშების გამოყვანა იწყება იმავე საუკუნიდან და ასი წლის შემდეგ უკვე ცნობილი ბიყო რამდენიმე ათეული ახალი ჯიში, რომელიც ძირითადად ინგლისში იყო გამოყვანილი.[176]

---

[174] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ს. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი. 1959, გვ. 53.

[175] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი. დასახ. შრომა. გვ. 322.

[176] ბ. ი ვ ა ნ ო ვ ი, ბ. კ ა ვ ბ ა რ ა ვ ა და სხვა ავტორთა კოლექტივის დასახ. შრომა, გვ. 448.

რუსეთში ხურტკმელი ჯერ კიდევ XI საუკუნეში იყო ცნობილი და მოსახლეობის მიერ გამოყენებული. კულტურაში იგი გადააქვთ XV საუკუნეში, ხოლო XIX საუკუნეში შემოტანილმა უცხო წარმოშობის მსხვილნაყოფა ჯიშებმა თანდათან განდევნეს აღმოსავლობრივი წვრილნაყოფა ჯიშები და კიდევ უფრო შეუწყვეს ხელი მის კულტურაში ფართოდ გავრცელებას[177]. ხურტკმელი სხვადასხვა ჯურისაა, რომელიც ერთიმეორისაგან სიმსხოთი, შეფერილობით, სიმწიფის დროით, ფოთლებითა და ეკლებით განსხვავდება. უყვარს ნოტიო, მსუქანი, და ჩრდილიანი ადგილები; აშენებენ ღობისა და მიჯნის ადგილებზე. ხურტმელისაგან ხარშავენ მურაბას. ხოლო იქ სადაც დიდი რაოდენობითაა იგი გამრავლებული, ხარშავენ ყელეს, ხდიან არაყს, ღვინოს და სხვადასხვა სასმელებს. მრავლდება ყოველნაირად, თესლით, ტოტებით, ფესვებით, გადაწყვნით, ნამყენითა და სხვა.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში იგი სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი: „ქვ. ქართ. კრიკინა; ფშ., ხევს. ორყუნწა; მხვ. ეკალხუნწაი; მსხ., ჯვხ. ღორღოშინა, გორგოშა, ღორღოშო; ზემ. რჭ. რუსული მოცხარი; ინგ.. ურუსი ყურზენ; ერ. თეთრეკალა, კინკრიყა, კუნკრუხელა; ჩ. ეკალხუნწა, კვრიხი"[178].

ხ ურ მ ა საქართველოში ველური სახით ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს ტყის ხილში აქვს მოხსენებული. საკვლევი რაიონებიდან ველურად მდგარი ხურმა განსაკუთრებით ფართოდ გვხვდება კახეთის ჭალის ტყეებში და თბილისის სანახებში, რომელიც საკმაოდ დიდი ხეების სახით არის წარმოდგენილი. მთხრობელთა გადმოცემით ხურმას უყვარს თბილი ადგილები და არის ორგვარი—ბაღური და ტყისა. ბაღური მსხვილია და ნამყენსაც ეძახიან, ხოლო ტყისა წვრილია, რომელიც თავისითაა ამოსული. სიღნაღის რ-ნის ს. ჭოტორის მცხოვრებთა გადმოცემით: „წვრილი ხურმა ძიენ ისხამს და გვიან შემოდგომას ვკრეფამთ, მზეზე შევახმობთ და ზამთარ-გაზაფხულზე იმის ჭამას არაფერი ჯობიან. რაც დრო გადის უფრო ტკბება-"ო. ხურმას ინახავენ ცოცხალი სახითაც—ტოტების დამტვრევით და მშრალ ადგილას სხვენზე დაკიდვით, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ობი ეკიდება. მოკრეფისას—აღნიშნავენ მთხრობელები, პირველად მწკლატეა, ხოლო როდესაც ჩაშავდება ტკბება და მეორე მოსავლამდე ინარჩუნებს ვემოსაო. მსხვილი ხურმისაგან ინახავენ ჩირს, რადგანაც ის დიდ ხანს

---

[177] ი ქ ვ ე.

[178] ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტ. ლექსიკონი, გვ. 99.

ვერ ინახება. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხურმისაგან ხდიან ჩრაიას, ასუქებენ ღორებს, მისი გამხმარი ნაყოფი კარგია კუჭის აშლილობისას და სხვა.

მ ა ყ ვ ა ლ ი საქართველოს თითქმის ყველა ადგილებში გვარობს. იგი ჯურთა სიმრავლით ხასიათდება, რომელზედაც ვახუშტი ბატონიშვილი გარეული ხილის ჩამოთვლისას აღნიშნავს—„მაყვალი მრავალგვარი"-ო. ყოფაში ძირითადად არჩევენ ორი ჯურის მაყვალს: „ძეძუ მაყვალი" და „ხე მაყვალი". მთხრ. გადმოცემით ძეძუ-მაყვალი მიწაზეა გართხმული, ისხამს შედარებით წვრილსა და კარგად დამწიფებისას ნაცრისფერი დაკრავს, ხე მაყვალი კი ბუჩქივით იზრდება, ეკლიანია, რის გამოც ცოცხალ ღობედაც აშენებენ; ისხამს ჩსხვილსა და შავად „მოპუყვრიალე"—მბზინვარე ნაყოფს. მრავლდება ადვილად და უყვარს ცხელი ქვეყნები.

მაყვლის ნაყოფს, რომელსაც ძველ საქართველოში სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ჩვენ მიერ დამოწმებულია მისი კერკად შენახვის, შეჭამანდის გაკეთების, მაშარაფის მოდულების, მურაბის გაკეთების, ღვინისა და ჩრაიას გამოხდის სხვადასხვა წესები. ანნა გიორგის ასულ კრაწაშვილის (სიღნ. რაიონი, სოფ. ჭოტორი, 1959 წ. 79 წ.) გადმოცემით, „წითელ—ჯერ კიდევ დაუმწიფებელ მაყვალს მოხარშავენ, გამოჭყლეტავენ, მარლაში გასწურავენ და მერე წამოდუღებისას ფქვილს მოუკიდებენ, ნიორით, ქინძით და ცერეცოთი შეანელებენ და ისე სჭამენ".

ძველად მაყვალი რომ სანაქებო ხილად იყო ცნობილი კარგად ჩანს, როგორც ფოლკლორულ, ისე ძველ ქართული სიტყვა-კაზმულ ლიტერატურიდანაც, სადაც თეიმურაზ მეორე მაყვალს ათქმევინებს:

„მაყვალმან უთხრა: არა ვარ ხილი თქვენებრი ქებული,
უარესი ვარ ყველასა, არევსგან მოწონებული,
ზედან მასხია ეკალი, ვარ მისთვის დაწუნებული,
პირველ გახლავარ ყირმიზი, მერმე პირ-გაშავებული" [179].

ე ო ლ ო სხვადასხვა ჯურისაა, მაგრამ ყოფაში ძირითადად არჩევენ თვიურსა და ზაფხულისას. მთხრობელთა გადმოცემით ზაფხულის ჟოლოს მთელი წლის განმავლობაში ერთხელ მოაქვს ნაყოფი, ხოლო თვიურს რამოდენიმეჯერ, რაც ამინდებზეც არის დამოკიდებულიო. ზაფხულის ჟოლო თავის მხრივ სხვადასხვაგვარია, რომელთაგან ასხვავებენ მოთეთრო-მოყვითალოს და წითელს. ხოლო თვიურ ჟოლოში არჩევენ 5 სხვადასხვა ჯურისას: წითელი, ჭროღა, ღვინა, შემოდგომისა და სხვა. მისი ხე ნაზი არ არის, გვარობს

[179] თეიმურაზ II, გვ. 110, ტაეპ. 8.

ადვილად ტყეებსა და ჭალებში, უყვარს ნოტიო ადგილი, რომელსაც აშენებენ ღობის ძირებში, სადაც ის მალე მრავლდება ბარტყობით. საქართველოში მას იყენებდნენ. როგორც საუკეთესო და სასარგებლო ხილს, რაც დასტურდება ისტორიული წყაროებიდანაც:

„ჟოლო იკადრებს ქებასა; აწ ვიტყვი რაცა მოვდებია.
მოელენ ყველანი ფრინველნი, ჩემზედა შემოსხდებისა.
კაცნი მრავალნი მეძებენ, ადვილად ვერ მომხვდებისა,
სიყვარულითა ჩემითა მჭამენ და ვერ განძღებისა“ [179].

ჟოლო როგორც ძველადვე ფრიად გავრცელებული მთის მცენარე მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც. და ეჭვი არ არის, რომ ქართველი მეურნე მას ჯერ კიდევ გვიანი დროიდან თავის სასარგებლოდ იყენებდა-იშინაურებდა. ისევე, როგორც სხვა საკვებ ხილს, ქართველი ხალხი ტყის გაკაფვისას ნაპირებზე. ჟოლოსაც სტოვებდა, რომელიც სწრაფად მრავლდებოდა. ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ ჟოლო ჩვენში იმდენად ბევრი მოიპოვებოდა, რომ მას საბაზრო დანიშნულებაც კი ჰქონდა. როგორც მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების ლიტერატურიდან ჩანს, მარტო ბორჯომის ტყეებიდან და განსაკუთრებით კი ბაკურიანის მიდამოებიდან ყოველწლიურად თბილისში გაჰქონდათ 5 ვაგონამდე ჟოლოს ნაყოფი[181].

ჟოლოს ხე ოდნავ ეკლიანია, ხოლო ნაყოფი შემოსილია „წვნიკი“ ბუსუსებით. ეთნოგრაფიულ ყოფაში მის ნაყოფს დიდი გამოყენება აქვს: ხარშავენ მურაბას, აკეთებენ ტკბილ წვენს, ხდიან არაყს, ახმობენ კერკად და ხალხურ მედიცინაში ხმარობენ როგორც სამკურნალო საშუალებას. გამხმარ კერკს ხმარობენ ჩაის მაგივრად, როშელსაც გაციების დროს ავადმყოფს ოფლის მოსადენად ასმევდნენ. ხოლო თუ კერკი არ მოეპოვებოდათ, მაშინ მის ნაცვლად ავადმყოფს ჟოლოს მურაბიან ჩაის დაალევინებდნენ.

ზ ე თ ი ს ხ ი ლ ი, როგორც სპეციალისტი მკვლევარები ფიქრობენ, ჩვენში შემოტანილია საბერძნეთ-რომიდან. ცნობილია, რომ ძველად ლაშქრობისას ამა თუ იმ ქვეყანას თან შეჰქონდა თავისი კულტურა და მათ შორის მცენარეულობაც. როგორც ფიქრობენ, ბერძნებისა და რომაელების მიერ შავი ზღვის სანაპირო ახალშენების გაშენებისას მცენარეულიც გაუშენებიათ,[182] სადაც, რასაკვირ-

---

180 თეიმურაზ II, გვ. 109, ტ. 4.

181 П. Виноградов-Никитин, დასახ. შრომა, გვ. 141.

182 ნ. კ ვ ე ტ ნ ო ვ ე ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 310.

ველია. პირველ რიგში თავიანთი საყვარელი ზეთის ხილიც არ იქნებოდა გამორიცხული. ზეთის ხილს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თურქეთში, სადაც სხვა ხეხილის (ლეღვის, მსხლის, ბროწეულის, კომშის) ბაღებშიაც აშენებდნენ და ტყის გაკაფვისასაც სტოვებდნენ[153].

ზეთის ხილი საქართველოში, როგორც ითქვა, დიდი ხნიდან უნდა იყოს შემოტანილი, რასაც შემდგომი ისტორიული წყაროები დასტურებენ. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნში მოხსენებულია ზეთის ხილით მკურნალობის რამდენიმე მეთოდი, მათ შორის „კაცსა რომე უმართული ეჭამოს, მისი წამალი ეს არის... ზეთის ხილისა ზეთიცა გაურიონო“...[154] მრავალ ადგილას იხსენიებს ზეთის ხილს ვახუშტი ბატონიშვილიც ჩვენში, რაც უდაოდ მის დიდ წარსულზე მეტყველებს.

საქართველოს სინამდვილეში ზეთის ხილი განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს კახეთში (ანაგა, კარდანახი, სიღნაღი), თბილისში და მის მიდამოებში, დასავლეთ საქართველოში (ჭოროხის მიდამოებში, ახალ ათონში) და სხვ. ზეთის ხილი, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა,—უმთავრესად სამარხო საჭმელად იხმარებოდა. კულდენშტედტის აზრით, ბაღდადთან მისი ხეები მდგარა და თითქოს ახალციხიდან იყო გადმორგული, სადაც იგი ბლომად მოყავდათო[155].

ზეთის ხილზე ფართო მოთხოვნილებას, რასაკვირველია, საქართველოს რამდენიმე ადგილას გაშენებული ხილი ვერ დააკმაყოფილებდა, რის გამოც იგი უცხოეთიდანაც შემოჰქონდათ. ეთნოგრაფიული ყოფიდან ცნობილია „ზეითუნის ზეთის“ სახელწოდებით, რომელსაც განსაკუთრებით იყენებდნენ ხალხურ მედიცინაში, ხოლო ხაყოფს რიტუალური დანიშნულებით სწირავდნენ, რაც ნათლად ჩანს გარს. ჩოლოყაშვილის ხილთა ქებიდანაც:

„ზეთის ხილმან სთქუა ყოველთა გვარად მე გჯობივარ ძირადო
კაცისთვის მარგებელი ვარ, ღვთისათვის შესაწირადო.
ეს უცხოდ მიკვირს, ვერა ვარ ტურფა ტანად და პირადო,
უცხო ქვეყანის ხილი ვარ, მათ ვიშოები ძვირადო“[156].

---

[153] П. М. Жуковский, Землед. Турция, стр. 649.

[154] დასახ. შრომა, გვ. 259.

[155] გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში ტ. I, თარგმანი. გ. გელაშვილის, თბილისი, 1962, გვ. 163.

[156] ანთოლოგია, გვ. 66, ტ. 20.

საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გაშენებული ზეთის ხილის ბაღი (ათონის მონასტერთან) ერთადერთია თავისი სიდიდით მთელ კავშირში.[187]

ზეთის ხე თავის ნაყოფით წმინდა მცენარედ უნდა ყოფილიყო გამოცხადებული, რის გამოც დღევანდლამდე შემორჩენილი ზეთის ხილის ძირითადი ნაწილი ეკლესია-მონასტრების მიდამოებში გვხვდება.

ასკილი განსაკუთრებით გამოიყენება ყოფაში, როგორც სამკურნალო ხილი, თუმცა გვიან შემოდგომას „რთვილნაპამი" სასიამოვნო საჭმელია. საქართველოს ტყეებში და ჭალებში ფართოდ გამრავლებული მცენარეა. ასკილი სხვადასხვა ჯურისაა, რომელთაგან ანსხვავებენ ჩვეულებრივსა და სამურაბეს, რადგანაც მის მურაბასაც სამკურნალო დანიშნულებით იყენებენ.

მთხრობელთა გადმოცემით ასკილის ნაყოფი კარგად მოწეული ისედაც იჭმევა, მაგრამ განსაკუთრებით კარგია მოდუღებული წვენი, რაც უებარი წამალია თირკმელების ტკივილისას. გარდა იმისა, რომ მის ნაყოფს თირკმელების გასაკურნავად იყენებენ, მისგან ძველ საქართველოში სხვა დაავადებასაც კურნავდნენ: „არგებს ყოველსა მოწამლულსა, გუელ ნაკბენსა უშუელის, ცოფნაკბენსა...—რის გარეშე სხვა მინარევებთან ერთად წამლის შემზადებისას „ორმოცდა ექვსი ასკილისა კუერი"-ც[188] იყო საჭირო.

ასკილის ახალგაზრდა ყლორტებისაგან მწყემსები აკეთებენ სტვირებს, ხოლო რელიგიური თვალსაზრისით „აღებღამეს" თაგვების გარეკვა იგივე ასკილის ჯოხებით უნდა მომხდარიყო.

ასკილს რომ სხვა ტყის ხილეულთა შორის გარკვეული ადგილი ეჭირა და ქართველი ხალხი მის შეგროვებას აწარმოებდა, ეს კარგად ჩანს ძველი სიტყვა-კაზმული ლიტერატურიდანაც:

„ასკილი ეტყვის კუნელსა: ვაი შენ, ცუდათ ჰქარაო,
მე ვარ კარგი და ლამაზი, ენად მოყბედი ჩქარაო,
ჩემი ყვავილი შენა გჯობს, მზესა არ დავიფარაო
შემოდგომაზე მწიფე ვარ, ქალ-ყმანი მოველ ფარაო" [189].

---

[187] П. Виноградов-Никитин, დასახ. შრომა, გვ. 143.

[188] ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, დასახ. შრომა, გვ. 95 — 99.

[189] თეიმურაზ II, დასახ. შრომა, გვ. 113, ტ. 36.

ასკილის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება კავკასიის სხვა ხალხებშიაც გვხვდება. მაგ. აზერბაიჯანის—ყარაბაღში მას მალარიისა და ძლიერი დასუსტების დროსაც იყენებენ[190].

უ ნ ა ბ ი ბოტანიკოს სპეციალისტთა გამოკვლევით ტიპიური მშრალი სუბტროპიკების მცენარეა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე „მცხეთასა და არმაზშიც ბევრი მდგარა“[191]. ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოსათვის იმ დროს დამახასიათებელ „წალკოტთა ხილ“ შორის უნაბსაც იხსენიებს. რაც ერთხელ კიდევ მიგვითითებს ჩვენში მის ფართოდ გამრავლებაზე.

ვ. ბიბილაშვილის მტკიცებით უნაბის გავრცელების არიალი სირიიდან იწყება, რომელიც შემდგომ რომში, საფრანგეთსა და ესპანეთშიც ჩნდება.[192]

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს უნაბი ადვილად იტანს თითქმის ყოველგვარ ნიადაგს, სადაც კი მშრალი და ცხელი ადგილებია. დამწიფებამდე მისი ნაყოფი მწვანე ფერისაა, რომელიც თანდათანობით ტკბება და მოწითალო ხდება. უნაბის დაუმყნელი ტანი ეკლიანია, ხოლო დამყნილი, რომელსაც გაზაფხულ-ზაფხულში აწარმოებენ, ეკლებს კარგავს. იგი მრავლდება თესლით ტოტების ჩარჭობით, გადაწვენით და ფესვდაყოფით. მთხრ. სიკო მიხეილის ძე ბეჟაშვილის (სოფ. ბაკურციხე გურჯანის რ-ნი, 1959 წ.) გადმოცემით „უნაბი ზამთრის ხმელი ხილია, რომელსაც იგრევე პარკში ჩავყრით და იგრე ვინახავთ, რადგანაც მშრალი ხილი იცის“. მისივე გადმოცემით უნაბი განსაკუთრებით კარგი წამალია გულით დაავადებულთათვის, ხოლო ხის მასალა კარგია დურგლის ხელსაწყო-იარაღების გასაკეთებლად, სოლებად და სხვა.

უნაბი დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შედარებით ნაკლებადაა გამრავლებული და როგორც ნ. კეცხოველი აღნიშნავს: „თბილისის კარის ბაღებში თითო-ოროლა ხე უეჭველად იდგა და მისი ნაყოფი სანუგბარო ხილად ითვლებოდა. ძველი თბილისის ეზობაღებში დღესაც შეიძლება თითო-ოროლა ძველი ხე მოიძიოს“[193].

ა კ ა კ ი სხვადასხვა ჯურისაა, ხარობს ყველგან და გამძლე ხედ ითვლება, რომლის ნაყოფი წვრილია და კურკიანი. საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებისათვის აკაკი ერთ-ერთი უძველესი მცენა-

---

[190] П е т р о в, დასახ. შრომა, გვ. 19.

[191] ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ხელნაწერთა ფონდი, გვ. 85.

[192] ვ. ბ ი ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 123.

[193] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 313.

რეთაგანია. კიროვაბადის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების დროს ნანახია ნუშის, ატმის კურკისა და აკაკის თესლები[194].

აღმოსავლეთ საქართველოს ეზო-კარმიდამოებისათვის, როგორც საჩრდილობელი და დეკორატიული მცენარე ხილთან ერთად აკაკი ფრიად დამახასიათებელი იყო. როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, აკაკის ხეს ხალხი წმინდა მცენარედ მიიჩნევდა, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბავშვის აღზრდის საქმეში, რამაც უდაოდ ხელი შეუწყო მის ეზო-კარმიდამოებზე დარგვას.

ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით საზოგადოდ, ავი სულების საწინააღმდეგო საშუალებად მთიულეთში, აკვანზე სხვადასხვა ამულეტების შებმა იციან, რომელთა შორის აკაკის ხისაგან გამოკრილი ჯვარი, ტყემლის ტოტი (რათა ბავშვი სასახელო გაზრდილიყო) და ურძელას ხის ტოტიც უნდა ყოფილიყო.[195]

როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ აკაკის ნაყოფი შემოდგომით შემოდის, რომელსაც ხალხი (უმეტესად ბავშვები) მზესუმზირასავით სჭამენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის დაკვირვებით აკაკის ფოთლებით აბრეშუმის ჭიის გამოკვებაც შეიძლება, ხოლო მისი ქერქის დახმარებით ტყავის გამოყვანაც, რაც სათანადო ლიტერატურიდანაც ირკვევა.[196]

წ ი ფ ე ლ ი საქართველოს ტყეებში ფართოდაა გამრავლებული, გვარობს თითქმის ყოველგვარ ნიადაგზე, თუმცა უჯობს ნოყიერი და ნოტიო ადგილები. აღმოსავლეთ საქართველოს სანახებში განსაკუთრებით ფართოდ გვხვდება მესხეთში, კახეთში, ალგეთის, პატარა და დიდი ლიახვის ხეობებში.

წიფლის ნაყოფი მუხის რკოსთან ერთად ძვირფას საკვებად ითვლება მეღორეობაში, ამისათვის მეღორე-მწყემსები საძოვრებად ყოველთვის მუხნარ-წიფლნარიან ტყეებს ირჩევენ, რის გამოც მათ ბომთაბარეობა საკმაო შორ მანძილზეც კი უხდებოდათ ხოლმე.

ხალხის დაკვირვებით წიფელით ნაკვები ღორის ხორცი თავისი გემოვნებით გამოირჩევა, ხოლო ზოგიერთი მთხრობელის გადმოცემით, ყოფაში წიფლისაგან ზეთის გამოხდასაც აწარმოებდნენო (ბუჩუკური სანდრო, სოფ. დრე, თეთრიწყაროს რ-ნი).

---

[194] Б. Б. П и о т р о в с к и й, Археология Закавказья, Ленинград, 1949, გვ. 71.

[195] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე-ლ ო მ ი ა, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბილისი, 1928, გვ. 235.

[196] ა. დ ა რ ე ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საუნჯე მეურნისა. თბილისი, 1903.

როგორც მთხრ. ანა გიორგის ასული წიკლაური (72 წ., თეთრი-წყაროს რ-ნის სოფ. ზირბითი, 1961 წ.) გადმოგვცემს, „წიფელს ქალები და ბავშვები ვაგროვებდით, კაცები ამაზე არ მოსცდებოდნენ. იგი ენკენისა და თიბათვის თვიდან თვითონ ჩამოდის დაბლა, ხოლო ბევრჯერ ჩვენც ვარხევთ ხოლმე და სახლში მოტანისას მშრალ ადგილას ვინახავთ, რომელიც მეორე მოსავლამდე კარგად სძლებს". ამისივე გადმოცემით წიფელს აკრეფისთანავე „ჩერჩნიან"—აარჩევენ და გემრიელი საჭმელია, როგორც „მოხალული" ისე მოუხალავი სახითაც.

თ უ თ ი ბ ო უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლშია გავრცელებული. იზრდება პატარა ტანის ხედ და ისხამს წითელ ნაყოფს, რომელიც შემოდგომას იკრიფება. იგი საქართველოს ფლორისათვის ძველთაგანვე დამახასიათებელ მცენარედ ითვლებოდა, რომლის ნაყოფს ქართველი ხალხი სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებდა. მის ფართო გამრავლებაზე მიგვითითებს გარეჯული ძღვენის შედგენილობა, სადაც სხვა ხილეულთან და საჭმელ-სასმელთან ერთად თუთიბოს თავისი ადგილი ჰქონდა დათმობილი.[197]

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა თუთიბო გარეჯის უდაბნოს მამულებში ბლომად და საუკეთესო ღირსებისა უნდა ყოფილიყო.[198]

ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ყოფაში თუთიბოს განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა ქართული ნაციონალური საჭმელების შესაკაზმავად და მათ შორის ლობიოსიც. როგორც მთხრ. ანა მიხეილის ასული ჯოხარიძე (70 წ., სოფ. საქობო, სიღნაღის რ-ნი, 1959 წ.) გადმოგვცემს „თუთიბოს შემოდგომას აკრეფდით და მზეზე გახმობის შემდეგ ფილთაქვებით ვნაყამდით, მისი ნაყოფი უკურკოა, იზრდება ბუჩქად და ამოდის ლიტაოდ, რომელსაც წვერზე სქელი წვერი ამოსდევს ხოლმე"-ო.

ა მ პ უ რ ა მთიულეთში მაპუროს სახელწოდებით არის ცნობილი, ქართლში და აჭარაში მას დათვის ბაბას, ჩრ. კახეთში კომშს, კომშარას, მესხეთში პურისცომს, იმავე მთიულეთში პურადას, პურის გულას, პურგულას. საპურეს, სამეგრელოში თუნთიში ბაცუს, ხევსურეთში სამპურას[199] უწოდებენ.

---

[197] ხელმწიფის კარის გარიგება, ექეთ. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1920, გვ. 15.

[198] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ხელნაწერთა ფონდი, გვ. 74.

[199] ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი. ბოტანიკური ლექსიკონი, გვ. 11.

მთხრობელთა გადმოცემით „ამპურა იზრდება მოზრდილი ხე, რომლის ნაყოფი განსაკუთრებით „რთვილის ჭამის“ შემდეგ ჯობიან თამელსაცა და კუნელსაც. ის მშრალი, ფქვილივით საჭმელი ხილია, კაცი რომ შეჭამს დაანაყრებს და ამისათვის ქვია მაპურო-დამაპურაო“ (მნათობიშვილი მიხეილი ივანეს ძე 42 წ-სა. დუშეთის რ-ნი, სოფ. უკანამხარი, 1960 წ.)

ამპურა განსაკუთრებით ბევრი გვხვდება აღმ. საქართველოს მთების წინა კალთებზე 1500 მ სიმაღლემდე ბუჩქნარებსა და ტყეებში, რომელიც ხალხის მიერ თანდათანობით კულტურაშია გადმოტანილი და დეკორატიულ მცენარედაც ითვლება.[200].

დუშეთის რაიონის სოფ. ჭიკაანში მცხრ. გიორგი ბერას ძე ჭიკაიძის გადმოცემით „ამპურა მარწყვივით ხილია, აქვს კომშივით მსხვილი და სქელი ფოთოლი, მშრალია, როგორც პური. ესკალასავით კუნწს მოვაცლით, ,როგორც ზღმარტლს და ისე ვჭამთ. მისი ხე დიდი არ იზრდება, ვამტვრევთ მსხმოიარე ტოტებს და ამ წესით ვინახავთ“ მისივე გადმოცემით ამპურას ნაყოფი თხილის სიმსხოა, მრგვალი, ლეგა ფერისაა და აქვს „მხვრიში“ ვაშლივით ქერქი, რომლის გულიც კი იქმევა ხოლმეო.

მ წ ო რ ი, მთხრობელთა გადმოცემით ძახველივითაა, თუმცა ის ამ უკანასკნელზე უფრო დიდი ხე იზრდება, რომელიც განსაკუთრებით კარგია, როგორც „არაყის გამოსახდელად ისე იგრე საჭმელადაც“. იცის ანწლივით კუნწულ-კუნწულა სხმა და თამელს ემსგავსება. მწორი, მშრალი ხილია, ზამთარში არ ინახავენ, რადგანაც „სამკურნალოდ არაფრის ბედენაა“-ო.

თ ა მ ე ლ ი მწორსა გავს და ფქვილივით საჭმელი ნაყოფი იცის, ეს არ ინახება, რის გამოც მას შემოდგომასვე სჭამენ. გვხვდება მთიულეთ-გუდამაყარის მთების შუა სარტყელზე. ნაყოფი იცის მსხვილი კუნელისებური და ბევრჯერ ბაღებშიც გადმორგავენ ხოლმე.[201] მთხრობელთა გადმოცემით თამელის ნაყოფი მწორივით ლეგენაა— ,მომწვანოა და ზოგი მოწითალოც არის. მწიფდება შემოდგომას, იქმევა უკურკოდ და არის ტკბილი გემოსი. მისი მასალა, რომელიც ძნელად იშოვება, კარგია „ქიტისა“ (საწვნე) და კოვზების გამოსათლელად.

---

[200] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 324.
[201] ი ქ ვ ე.

აღმოსავლეთ საქართველოში მეხილეობის ეთნოგრაფიულად შესწავლამ ერთხელ კიდევ ცხადყო მიწათმოქმედების სხვა დარგებთან ერთად მეუონეობის აღნიშნული დარგის მაღალი კულტურა.

ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად დგინდება, ო

მ საკვლევ რაიონში საბაღეო ცალკე სამეურნეო ნაკვეთის გამოყოფისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნიადაგის შედგენილობას, მის ავკარგიანობას, მდებარეობას და მოვლა-დამუშავებას. მეურნე ამ მხრივ კარგად არჩევს: „მსუქან“, „ღარიბ“, „მჩატე“, „ალქატ“, „გაოფიტულ“, „ჯანდაკ“, „ძარღვიან“, „ღარიბ“, „მლაშე“, „ფერდა“, „სარწყავ“. „მზისგულ“. „მყუდრო“ და სხვა მონაცემების შემცველ ნიადაგებს თვისებებისა და შედგენილობების მიხედვით საკვლევ რაიონში არჩევენ: „შავ“, „წითელ“ ანუ თიხა“, „ტრედისფერი“, „თირ“, „ჭანჭრობ“. „ქვიშა“ და „აყალო“ ნიადაგებს, რომლითაც იტყობენ სხვადასხვა ხალხური მეთოდებით: მუჭაში გამოფვშვნით, ბალახეულობით, სუნით, რწყვით, ბარვით და ამა თუ იმ კულტურის მოსავლიანობა-მოუსავლიანობით.

ითვალისწინებდნენ რა თავიანთი ნიადაგების მდებარეობასა და შედგენილობებს ქართველი მეურნეები ხეხილის გაშენებისათვის მიმართავდნენ მიწისმოქმედების ისეთ რთულ ხერხებს, როგორიც იყო: „ტერასების მოწყობა“, „ჭაობის დაშრობა“, „ნარგავთა ძირს დაშვება“, ფერდობ ადგილებში ბაქნების მოწყობის გარეშე ხილის გაშენება „შემობარვის“ წესით და ა. შ.

ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დგინდება ხეხილის შერჩევისა და ველურ მცენარეთა კულტურაში გადმოტანის გზები. ადგილზე მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში იყვნენ ტყიდან გარეული საძირის—„ბაყილოს“ ჩამომტანი მეურნეები. ამასთან ერთად დადგენილ იქნა მათ მიერ სასურველი ხეხილის შერჩევის, მოთხრის, შეკვრისა და დარგვამდე მისი შენახვა-გამოზამთრების წეს-ჩვეულებანი.

ხეხილის ტყიდან ჩამოტანისა და მოშინაურების გზით გამრავლებასთან ერთად ქართველი მეურნე ფართოდ აწარმოებდა ახალი და ძველი ჯიშების გამოყვანა-გამრავლებას: მყნობით, გადაწვენით, ლერწით, ფესვის ბარტყობით, ფესვდაყოფით, თესლთესვით და სხვა. დადგინდა „ჩხირით მყნობის“ თავისებური ხალხური ხერხები, სადაც გამოყენებული იყო სხვადასხვა ხელსაწყო იარაღები და საჭირო მასალა: სასხლავი ხერხი, დანა, ხის ან ძვლის ჩხირი, მანეული,

სუფთა თიეა, ბავსი, თელის ქერქი ან ტილოს ნაჭერი. საგოზავებიდან განსაკუთრებით გამოიყენებოდა სარობალახის ძირისაგან გამონადენი ე. წ. „ლაბა-წვენი“, საქონლის უმარილო ქონი, ფუტკრის სანთელი, ზეთი, საქონლის ნაკელი, თიხა, აყალო მიწა, პალახნარევი მიწა და სხვა.

ნამყენის კარგად დახარების მიზნით ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მიმართავდნენ სანამყენე „კეწრების“ სპეციალურად „დამშევა“-ს, რაც მის სიბნელეში, ნესტიან ადგილას შენახვაში და მოგვიანებით მყნობაში მდგომარეობდა. კარგი ნამყენის გამოყვანისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე თვით კეწრის შერჩევას, მის სითამამეს და „მუშაკვირტიანობას“.

აღმოსავლეთ საქართველოს მეურნე-მებაღეები ხეხილის ფართოდ გამრავლების მიზნით მიმართავდნენ სპეციალური სანერგეების შოწყობას, სადაც აწარმოებდნენ ჯერ სანამყენე საძირეების გამრავლების მიზნით თესლთესვას, ხოლო შემდეგ ახალი ან სასურველი სილის მყნობის სხვადასხვა წესებით გამრავლება-გამოყვანას. სანერგეების მოწყობა უმეტესად მცირე საკარმიდამო ნაკვეთებზე ეწყობოდა, რომელსაც „შკოლა“ ეწოდებოდა. აღნიშნულ ადგილზე საძირეების თესვის საწარმოებლად „მებაღე-მეხილეები მიმართავდნენ თესლის წინასწარ დამზადებას „დაჩეჩქვის“. „დაქაჩვის“, „დალპობის“ და „დაჩირვის“ საშუალებებით.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დადგენილია ბაღების მშენებლობა „იჯარით“, „დაგირავებით“, „სანახევროდ“, „სამწილად“ „ოთხწილად“ ე. ი. ამხანაგით დამუშავება, „მონაშენეობა“ და სხვა.

საკვლევ რაიონში დამოწმებულია ხეხილის დარგვისათვის ორმოს რამდენიმე კვირით ადრე მოთხრის მეთოდი, რომელიც ნიადაგის კარგად „გამოქარვა“-ს ითვალისწინებდა, ამავე მიზნით საყურადღებოა ახლად მოთხრილი ორმოს ხელოვნურად გამოქარვის— ცეცხლით ამოწვის წესი, რომელიც თავისი სიძველით გამოირჩევა.

ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ირკვევა ხეხილის გასხვლის რიგი ხალხური წესები, რაც ნერგის კარგად გახარებას, გარეგან ფორმას, მის სიძლიერეს, ქარისაგან ნაყოფის დაცვასა და სხვა თავისებურებებს აპირებებდა. სასხლავი ხელსაწყო-იარაღებიდან თავისი სიძველით ხასიათდება წალდი და პატარა ზომის სანაბყენე დანის მოყვანილობის „წალდუნა“.

აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში ბაღ-ვენახებისა და საერთოდ ნიადაგის განაყიერების საქმეში საზომ ერთეულად „ჯინი“ იგივე ძარი იყო გამოყენებული. ჯინი, იწვნოდა რა წნელისაგან, მარხილზე იმართებოდა და საშუალოდ 10—15 საქონლის ნაკელს ატევდა. ყოველ ორ ახალგაზრდა ხეს ერთ ჯინ ნაკელს უყრიდნენ, ჩოლო „ბებერს“ ერთზე მეტსაც კი.

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად შესწავლილია ხეხილის სხვადასხვა დაავადებანი და ზოგიერთი მათგანის მკურნალობის ხალხური მეთოდები, როგორიცაა: ფესვებიდან ნიადაგის გამოღება და ხამი მიწით შეცვლა, დაზიანებული ან ავადმყოფი ფესვის სათანადო წესით ჩაპრა, ფესვებში ნაცრის, დამბალი ქერის, ქვიშა-ბიწის ჩაყოლება და სხვა.

ხეხილის მოსავლიანობის გადიდებისა და კარგი ხილის მისაღებად მეურნე-მებაღეები მიმართავდნენ ნიადაგის გაყამირება-გაკორდებას, პერიოდულ რწყვას, ხეხილისათვის წვერების—კენწეროების წაჭრის ანუ „წაკვერცხვის“, „დასერვის“, „დაბელებისა“ და გაახალგაზრდავების წესებს. ხოლო მისი კარგად დაყვავილების და ნაყოფის კარგად გამოტანის, რთვილისა და სიცივეებისაგან დაცვის მიზნით ყოფაში ძველთაგანვე მიმართავდნენ კომლის ხრჩოლვის მეთოდს, რომელსაც „ჰიაკოკონა“-ს უწოდებდნენ.

ხილის საკრეფად განკუთვნილ ხელსაწყო-იარაღებად გამოიყენებოდა: გასაშლელი კიბე ანუ „ტანტრა“, ლატანი ანუ „მერდევანი“, სხვადასხვა სახის „სანცვრევები“, კონუსისებური ფორმის მანეულის საკრეფლები და ძირვიწრო ანუ „ბაყლის“ კალათები, ხის ქერქისაგან ნაკეთებ სხვადასხვა ხოკერების, გოდრები, ხის კავსი და თოკი.

მოკრეფილი ხილის კარგად გაბოზამთრების მიზნით დადგენილია ზამთრის ხილისათვის „ოფლის მოხდის“, ორმოში, ქვევრში, საწნახელში და წყალში შენახვის ხალხური წესები, რომელნიც ქართველი ხალხის ტრადიციულ ცოდნა-გამოცდილებაზეა აღმოცენებული. ხმელი ხილის კარგად შენახვა-გამოზამთრებისა და თავისი ვემოვნების კარგად შენარჩუნების მიზნით მიმართავდნენ: ჩირის დამზადება-გამოშრობას მზეზე—სახლის სახურავებზე, ლასტებზე, ბონეში, ყურძნის „ბადაგში“ ამოვლების, წნელზე „აბმის“, „გორგოშიკელა-“დ გაკეთებისა და სხვა მეთოდებს. ხოლო სამზარეულო და სამკურნალო დანიშნულებით მთელი წლის განმავლობაში ხილით უზრუნველყოფის მიზნით დადასტურებულია: „ქერკი“-ს გახმობა, ტყლაპების გაკეთება, „მაშარაფი“-ს მოდუღება, ტკბილი ხილის

წვენის, „ჭრიანტელის“, მურაბებისა და კომპოტებად შენახვის წესები.

მოწმდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელია ხილეულის შემდეგი სახეობანი: ვაშლი, ცხალი, კომში, ლეღვი, ატამი, ჭერამი, გარგარი ნუში, ტყემალი, ქლიავი, კვრინჩხი, ბროწეული, ბალი, ალუბალი, თუთა, ზღმარტლი, ბინდი, კაკალი, თხილი, წაბლი, ფშატი, კევის ხე, კუნელი, კოწახური, ჯახველი, მოცხარი, ხუოტკმელი, ხურმა, მაყვალი, ყოლო, ზეთის ხილი, ასკილი, უნაბი, აკაკი, წიფელი, თუთიბო, ამპურა, მწორი, თამელი და სხვა.

როგორც ისტორიულ-აოქეოლოგიური მონაცემების და ამ დარგის სპეციალისტების შრომებიდან მტკიცდება, ხილეულის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობის უმეტესი ნაწილი ადგილობრივი წარმოშობისაა. საქართველოს პირობებისათვის თავისი სიძველითა და ყოფაში ფართო გამოყენებით განსაკუთრებით გამოირჩევა: ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ბროწეული, ნუში, ატამი, კაკალი, თუთა, ალუბალი, წაბლი, წიფელი, შინდი და სხვა ხილეული, რომელთაც აგრეთვე დიდი ადგილი ეჭირათ ქართველი ხალხის სხვადასხვა რიტუალური ცერემონიალის შესრულების პროცესებსა და რწმენა-წარმოდგენებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ნაშრომში ასახული რიგი ცოდნა-გამოცდილებათა გამომზიურებას მეურნეობის დარგში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ПЛОДОВОДСТВО ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

(по этнографическим данным)

Резюме

Этнографическое изучение плодоводства в Восточной Грузии показало, наряду с другими отраслями земледелия, развитую культуру садоводства.

В результате проведенной нами работы установлено, что в исследуемом районе при выделении для фруктового сада отдельного хозяйственного участка земли большое значение придается структуре почвы, ее пригодности, местоположению, обработке и уходу. Садоводы хорошо различают: «жирные», «бедные», «выветренные», «солончаковые», «скло-

новые», «орошаемые», «солнечные», «теновые» и другие почвы. В соответствии со свойствами и составом, в исследуемых районах различают: «черноземные», «красные или глинистые», «голубого цвета», «илистые», «песчанистые», и др. почвы. Эти почвы определяют разными народными способами: размалыванием в пальцах, по растущей траве, запаху, поливкой и мотыжением и по урожайности тех или иных культур.

Учитывая местоположение и структуру почв, грузинские садоводы для разведения фруктового сада прибегают к таким сложным способам, как: «устройство террас», «осушение болот», «спуск насаждения», окопивание насаждения без устройства площадки на склонах и т. д.

На основе этнографических материалов выявлены народные способы отбора фруктовых сортов и приемы перенесения в культуру диких растений. Выяснилось, что в целом ряде районов Восточной Грузии практиковалось доставка из леса диких кореньев — «бакили». Вместе с тем были установлены правила отбора, выкапывания, связывания и хранения до посадки желаемых фруктовых насаждений. Вместе с размножением фруктовых насаждений путем доставки из леса дичков и их окультивирования, крестьяне широко практиковали выведение и размножение старых и новых сортов путем прививки, «сгибанием ветвей», «отростками, «размножением корней, «разделением корней», посева семян и т. д. Установлены своеобразные народные способы «прививки палочкой», с использованием прививочной пилы, ножа, деревянной или костяной палочки, прутьев, чистого сена, мха, коры вязи или куска полотна. Из числа замазок использовались, вытекающий из корней щавеля конского, сок «лаба», животный жир без соли, пчелиный воск, растительное масло, навоз скота, глина, глинистая земля, смешанная с травой земля и т. д.

С целью хорошего роста прививки прибегали к специальному «голоданию» прививочных глазков, что достигалось в хранении в темном, сыром месте и запозданием прививки. Для успешной прививки большое значение придавалось также отбору самого глазка, его «бодрости» и «прививочности».

Садоводы Восточной Грузии с целью широкого размножения фруктовых насаждений прибегали к устройству специальных питомников, в которых сначала производили посев семян, а затем выведение и размножение новых или желаемых сортов путем прививок. Питомники устраивались на небольших участках приусадебной земли и назывались «шко-

лой». Для производства посадочного материала садоводы прибегали к предварительной подготовке семян путем «растрепывания», «выжимания», «замачивания» и «нарезки».

Историко-этнографические материалы свидетельствуют о разведении фруктовых садов «арендной», «в заклад», «исполу», «изтрети», «изчетверти», т. е. обработка артелью «за денежную или натуральную оплату» и т. д.

В исследованных районах установлено, что яма для посадки фруктовых саженцев выкапывалась за несколько недель раньше, что предусматривало хорошую «обсушку» почвы. С этой же целью прибегали к искусственной обсушке огнем; этот способ весьма древний.

Этнографические материалы выявляют различные народные способы подрезки фруктовых насаждений, обусловливающих хорошую приживаемость прививки, ее наружную формовку, защиту от ветров и т. д. Из прививочных инструментов своей древностью выделяются салди («Цалдуна») и небольшого размера прививочный нож.

В Восточной Грузии количество удобрений для фруктовых садов, виноградников и вообще почвы измерялось, т. н. «джини» (плетенные корзины большого размера на всю арбу). «Джини вмещала 10 — 15 пудов навоза. На каждые два фруктовых деревца новой посадки давали один «джини» навоза, а на каждое старое насаждение — целый «джини» и даже больше.

В результате этнографических разысканий изучены различные заболевания фруктовых насаждений и народные способы борьбы с некоторыми из них; к ним относятся: выкапывание земли из под корней и замена ее свежей землей, подрезка поврежденного или заболевшего корня, подсыпка между корнями золы, размоченного ячменя, песчанной земли и т. д.

Для увеличения урожайности фруктов садоводы прибегают к переводу почвы в целину, периодической поливке, к обрезке верхушек фруктовых насаждений и другим приемам их «омолаживания». С целью же хорошего цветения и плодоношения, сохранения урожайности от холодов издревле прибегали к окуриванию дымом, называвшемуся «чиакокона».

Из приспособлений для сбора фруктов следует отметить раскрывающую лестницу или «тантра», жердь или «мердевани», различного вида «трясилки», «собиралки» конусообразной формы, из прутьев, корзины с узким дном или «бакли», изготовленные из древесной коры, деревянный крюк и веревки. Для лучшего сохранение в зимний период урожая фруктов выявлены народные способы «выпотение» зимних

фруктов в яме, кувшине, виноградной давильне и воде. Для сохранения в зимний период сухих фруктов без потери их вкусовых качеств сушку производили на солнце на крышах, или же в печах для выпечки хлеба; пользовались способом обливания сухофруктов сладким, неперебродившим виноградным соком. Сухофрукты нанизывали и подвешивали на деревянных прутьях и т. д. Для лечебных целей и домашнего потребления изготовляли фруктовые соки, лепешки из протертой фруктовой массы, варили густой сладкий сироп, т. н. «машараби», варенье и компоты.

В Восточной Грузии наибольшее распространение имеют следующие виды фруктов и ягод: яблоки, груши, айва, инжир, персик, курага, абрикос, миндаль, «ткемали», слива, гранат, черешня, вишня, тута, мушмула, кизил, грецкий орех, мелкий орех, каштан, лох, фисташки, боярышник, барбарис, смородина, крыжовник, хурма, ежевика, малина, шиповник, ююба, каркас, сумах, рябина, и др.

По данным этнографии, истории, археологии и этноботаники, многие из видов перечисленных выше фруктов Грузии грузинско-кавказского происхождения. В условиях Грузии своей древностью и широким распространением в быту особенно выделяются: яблоки, груши, инжир, гранат миндаль, черешня, грецкий орех, тута, вишня, каштан, кизил и др.

Роль и место садоводства в хозяйственном быту грузинского народа в прошлом хорошо отражены и в религиозных обрядах и ритуалах связанных с плодородием земли. Фруктам отведено значительное место в ряде обрядов народных празднеств ,поминок и т. д.

Изучение трудовых навыков и производственного опыта грузинских садоводов имеет не только познавательное, но и практическое значение. Дальнейшее развитие и усовершенствование этой древней и высококультурной отрасли сельского хозяйства Грузии в условиях строительства коммунистического общества внесет свою значительную лепту, в деле создания изобилия продуктов в нашей стране.

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი. ნიადაგების შერჩევა-გამოყენების ხალხური წესები მეხილეობაში 13

თავი მეორე. ხეხილის გამრავლება, ბაღის გაშენება, ხეხილის მოვლა, ხეხილის დაავადებები და მისი მკურნალობის ხალხური წესები 27

თავი მესამე. ხეხილის მოსავლიანობის გადიდების, ხილის კრეფისა და შენახვის ხალხური წესები 91

თავი მეოთხე. ხილეულები და მათი გამოყენება 114

დასკვნა 176

რეზიუმე რუსულ ენაზე 179

Давид Сименович Павлиашвили

ПЛОДОВОДСТВО ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ (ПО ЭТНОГРАФИЧЕСКИМ ДАННЫМ)

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. ჩიტაია
გამომცემლობის რედაქტორი ნ. კონდრატენკო
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ე. ებრალიძე

გადაეცა წარმოებას 5.6.1962; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 15.9.1962; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 5,75; საბეჭდი ფურცელი 15,75; საავტორო
ფურცელი 11,8; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 12,0
შეკვეთა 769; უე 02956; ტირაჟი 1000
ფასი 89 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, გ. ტაბიძის ქ., №3/5

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი		არის	უნდა იყოს
	ზემოდან	ქვემოდან		
5	2		განვითარება	განვითარებისა
33		15		ან
40		12	ე.	ეი
68		სქოლიო	ფეხებსაო	ფესვებსაო
112		სქოლიო	დასახ. შრომა	Анабасис, Москва, 1951
115		სქოლიო	დასახ. შრომა	Этноботаника нагорного Карабаха, Баку, 1940
162		სქოლიო	უნდა დაემატოს	168 თეიმურაზ II, გვ. 111

დ. პაელიაშვილი